ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№11 (41)

ნოემბერი, 2016 წელი

Светлана Алексиевич

ნომრის ავტორები
ეთერ თათარაიძე & სვეტლანა ალექსიევიჩი

პოეზია
ნინი ელიაშვილი

მწერლის არქივიდან
ზაზა თვარაძე
თხა და გიგო (პიესა)

ახალი თარგმანები
ტონინო ბენაკვისტა
ეუგენიუს ალიშანკა

ფასი 1,5 ლარი

№11 (41) ნოემბერი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ელისო მეტრეველი, ეთერ თათარაიძე, ნინო ბექიშვილი, თამარ კოტრიკაძე, ნინი ელიაშვილი, მანანა ჯიქია, გიორგი ეკიზაშვილი, მარიამ წიკლაური, ნანა დევიძე, ლიდია გიორგობიანი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეთერ თათარაიძე

ელისო მეტრეველი — გაჩერებები დროში

გზის ნაწყვეტა'მ ამომიღამ თვალებ
წახვედ ი'სრ რო არც სთქვი, როდის მოხვალ
ი'გრ ვარ, რა'გვერც დადუმებულ ღიღინ,
ძნელ აღმართზე რა'გვერც ძალით მხოხავ...
ბინდდებისა -დ შემომიღამდ გულში
უშენობას ცხელ ცრემლებით ვხპოხავ...

ამ ლექსს ხშირად ამბობდა ჩემი ერთი მეგობარი უშუქო და გაყინულ ოთხმოცდაათიანებში. სტუდენტები ვიყავით, საღამოობით ვიკრიბებოდით და სანთლის შუქზე ლექსებს ვყვებოდით. უფრო ისინი ამბობდნენ, ზეპირად იცოდნენ უამრავი ლექსი, კარგი ლექსები. ხანდახან მგონია, რომ ეს ყველაფერი არც ყოფილა - რა სანთლის შუქი, რა ლექსები. თუმცა დღემდე მახსოვს ეთერ თათარაიძის ეს ლექსი და ეს სიტყვები.

სიტყვა ეთერ თათარაიძის ძალაცაა და სისუსტეც, მისი პროფესიაც და ცხოვრების საქმეც. სიტყვაზე დგას მისი, როგორც პოეტისა და ფოლკლორისტის მთელი სამყარო. მან იცის, რა შეუძლია სიტყვას და რა შეუძლია მის სიტყვას. მე სიტყვით ვცოცხლობ და სიტყვის მონა ვარ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვამბობო. ამდენი პოეტური კრებულისა თუ ფოლკლორული გამოცემის ავტორი სიტყვებზე დარდობს, უნდა, რომ სკოლის პროგრამაში მეტი ფოლკლორული მასალა, ზეპირსიტყვიერების მეტი ნიმუშები შევიდეს. ეთერ

თათარაიძე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მუშაობს. მისი ოთახის კედლებზე ვახტანგ კოტეტიშვილისა და სხვადასხვა ფოლკლორულ ექსპედიციაში გადაღებული ძველი ფოტოები კიდია. კარადაში ბევრი წიგნია, ლურჯად ანათებს ერთ-ერთი - ეთერ თათარაიძე, «დემონოლოგიური თქმულებები», ისევ ის შრიფტია, ათასში რომ გამოგარჩევინებს მის წიგნებს, სულ ახალი გამოცემული. «დემონოლოგიური თქმულებები» - ქართული მითოლოგია, ნამდვილი და უძველესი, ისეთი, ფენტეზის ცნობილი მწერლები განგებ რომ იგონებენ და არსაიდან ქმნიან. ეს კი ნამდვილია, საუკუნეების და ეთერ თათარაიძის 20 წლიანი შრომის შედეგი. ლექსები არასოდეს უწერია სალიტერატურო ენაზე და იმის მიუხედავად, ვინ როგორ აფასებდა მის შემოქმედებას, მის თუშურ დიალექტზე შექმნილ პოეზიას, მიაჩნია, რომ არაფერი ისე არ ამდიდრებს ენას, როგორც დიალექტები. შეფასებები კი იყო, ბევრი და ბევრნაირი, თუმცა იმ დღიდან, რაც საქვეყნოდ წაიკითხა თავისი ლექსები, ბევრი სიყვარული და მხარდაჭერაც ნახა. ამიტომაც ზუსტად იცის, რომ თუ შენს საქმეს იპოვი, თუ შენს საქმეს აკეთებ და ამ საქმის სიყვარული გაქვს, შეუძლებელი არაფერია.

მნიშვნელობა არა აქვს, რას აკეთებს ადამიანი - თოხნის, გვის, მწყემსავს, აშენებს, აზროვნებს, მთავარი მხოლოდ პროფესიონალიზმია. ასეთი იყო სტეფანე თათარაიძეც, ეთერ თათარაიძის მამა. მე ვარ ერთი უბრალო, მაგრამ ძალიან კარგი, ძალიან საამაყო მეცხვარის შვილიო, ამბობს და იხსენებს მამას, ყველასთვის სასურველ მწყემსს, არაჩვეულებრივ სარქალს, ანუ ნამდვილი გუდის ყველის ამომყვანს. «მან ამ საქმის მთელი საიდუმლო იცოდა და შემიძლია, ვთქვა, რომ მე ვარ ნამდვილი თუშური ყველის ძალიან ცნობილი ტექნოლოგის შვილი». როცა

ფილარმონიაში, ფოლკლორის საღამოზე

ასეთ რამეს ამბობს, მხიარულდება, მერე კი სერიოზულად ამატებს, რომ ეს მაშინაც ძალიან დიდ ამბავს ნიშნავდა. «იყო ასევე «მცნობი», ესეც პროფესიაა მეცხვარეობაში. 1000 დედაცხვარს რომ მოეგო, ათასივეს ბატკანს სცნობდა, აიყვანდა, პირდაპირ დედას დაუსვამდა. ასეთი პროფესიონალი მამა მყავდა, ოჯახში კი იყო უთბილესი და უტკბილესი. ჩემი მამის თაობის თუშის კაცები გამოირჩეოდნენ სრულიად საქართველოს მთის კაცებისგან. ყველგან საიდუმლო სითბო და სიყვარული დასდევდათ მაშინ, ახლა არ ვიცი. ასე მეუბნებოდა მამა: «ჩემ მარეხმასკვლაო, გენაცვალოს მამაი». უთბილესი კაცი, რომელიც გამოხატავდა უგონო სიყვარულს ჩვენდამი, ბევრი არ იცოდა თქმა, მაგრამ თვალები მოეცრემლებოდა, როცა მოდიოდა ცხვრიდან. ჩვენ ვხედავდით წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. ეს მოსვლა იყო დიდი ბედნიერება. ომში იყო, ტყვეობაც გამოიარა. გერმანელ ფერმერთან მუშაობდა, თუშობამ უშველა, ალბათ. მოდიო, მეტყოდა. ლამაზად აგიწევ თმას და მანდილს გერმანულად დაგხურავო. ბევრი კულული მქონდა, უკნიდან წამოიღებდა ამ თავსაფარს და როგორღაც მომახვევდა. არ ვიცი, ვინმე ქალი მოსწონდა თუ საიდან იცოდა გერმანელი ქალების თავბურვის წესი».

მამის სოფელი იყო დანო, რომელიც ეთერ თათარაიძის ლექსებში სულ არის. ეს იყო მთელი სამყარო, ყველაზე დიდი სამყარო. დედის სოფელს ქუმელაურთა ერქვა. დანო

ალპურია და ხე არ ხარობდა, ქუმელაურთა კი ნაძვნარით იყო სავსე, ბებერი ნაძვებით.

«დედა გვიყვებოდა, ბავშვები წყალს რომ დავლევდით ტყის პირას, წყაროზე, მერე ირმები გამოდიოდნენ თავის შვილებთან ერთად და იმ წყალს ეწაფებოდნენო. წარმოიდგინეთ, როგორი იდილია იდგა დედამიწაზე. ახლა არის სრული საგიჟეთი და ამან თუშეთშიც შეაღწია. მე მებრალებიან ის თუშის ბავშვები, რომლებიც ჩემნაირ თუშეთს ვერ მოესწრნენ, რომლებმაც სიზმარშიც არ იციან, როგორი იყო ნამდვილი თუშეთი, როგორი იყო ის დრო, როცა ირმები და ბალღები ერთად სვამდნენ წყალს. როგორი წონასწორი იყო თუში კაცი, იმ ირემს არ ესროდა, რომელიც მშვიდად გამოდიოდა და სვამდა წყალს».

ერთი წელია, რაც დედა გარდაეცვალა - კესო გულუხაიძე, ცნობილი თუში ეროვნული გმირის, შეთე გულუხაიძის პირდაპირი შთამომავალი. მის ციხე-სახლში სამი და დარჩა. ხუთი ძმა გარდაეცვალათ. «მძვინვარე» იყო მაშინ ტრადიცია და ხმით ნატირლებით უნდა გაესტუმრებინათ ძმებიო. 24 წლის ასაკში გარდაიცვალა ბოლო დედისძმა. როცა ფოლკლორისტი გახდა და სადიპლომოდ «თუშური ხმით ნატირალი» აირჩია, მაშინ ჩააწერინეს დედის ხმით ნატირლები, რამდენიმე ფრაგმენტი. «მითხრეს, დედაშენი რომ შედიოდა, გამოსული მოტირალი უკან ბრუნდებოდა, რომ მოესმინა, რას იტყოდა, როგორ იტირებდაო». კიდევ, იმ დროს წერილებს სწერდნენ ქალები ერთმანეთს, სასაცილო, ნაივურ წერილებსო, მაგრამ კესოს წერილებს საჯაროდ კითხულობდნენ, ისეთი განსხვავებული იყოო. «თვითონ რომ გეკითხა, არა, რა განსხვავებული, რა სისულელეაო».

«ალვანებში» გაიზარდა. სოფელ ალვანში - იქ, სადაც თუშები ჩაასახლეს, რამდენიმე ათეული სოფელი - კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე. «მე ვერ შევიყვარე ალვანები. მე იქ გავიზარდე, მაგრამ ყველა ზაფხული გატარებული მაქვს თუშეთში. სამი თვით თუშეთში მივდიოდით. მომთაბარე ხალხი ვიყავით და ვართ დღესაც. მხოლოდ ჩვენ დავრჩით საქართველოში და მაღალმთიან აჭარაში კიდევ. ავიყრებოდით დედაბუდიანად და მთის სოფლებს ავავსებდით, ავაჟრიამულებდით ამ მეცხვარე მამების წყალობით».

როცა ალვანში ბრუნდებოდა, იცოდა, რომ შაბათობით მარიამ ბებო უნდა მოსულიყო სტუმრად. დილითვე ჩუმად წავიდოდა და სოფლის ბოლოში ელოდებოდა. ერთადერთი ბებო, რომელიც ჰყავდა და რომელიც ისე მალე გარდაიცვალა, რომ ახსოვს, როგორც სიზმარი, რიბირაბოდ». მაგრამ ეს ხსოვნა ისე მკვეთრიცაა, რომ ლექსებში ძლივს ეტევა. როგორ მოდის სოფლის დაბლა, შორიდან შაოსანი, ჩიხტიკოპიანი, მაღალი ქალი. შავი, გრძელი მანდილი კოჭებამდე აქვს დაშვებული, რომელსაც ხანდახან ქარი ააფრიალებს. მოდის და თან ქსოვს, თუშის ქალები დროს არ კარგავდნენ, სულ ქსოვდნენ.

«მარიამ ბებომ ბოლომდე არ გაიხადა თუშური ტანსაცმელი. დავინახავდი და გავიქცეოდი ამ ყანებზე. ამას, როგორც დღეს, ამწამს ვხედავ ნათლად აქაურობას, ისე ვხედავ ხოლმე. გავიქცეოდი ამ მწვანე ყანებზე, ეს ყაყაჩოები, აქოშინებული მივვარდებოდი. ბებო დამინახავდა, აი, იმ ჩხირს გაუყრიდა წინდაში და ასე, შორს გადააგდებდა. გამიშლიდა ხელებს და მეც შემოვეხვეოდი მაგრად, მერე ჩამოიმუხლებდა და დიდხანს ასე ჩაკონილები ვიყავით. იქვე დავისვენებდი აქაქანებული. ეს მენატრება, ბავშვობა ჩემთვის ეგ იყო. ეს

არის ძალიან მნიშვნელოვანი სურათი, რომელიც არ გადის, ასე დარჩა. მე ვიცოდი, რომ ბებო ძალიან სევდიანი იყო, ძალიან მტკივნეული ცხოვრება ჰქონდა, მე უნდა გამეხარებინა. მერე მოვდიოდით შინისკენ...»

«სანთლისდრად დამდნარ ამოჩინდის
სოფლის ძირ ბებოდ ,
თავს - კუჭურა'ით, ჴელს - წინდა'ით,
მკლავს - ტყავის ბადით,
შინ მოიდისა-დ წამ არ დახკარგის
უსაქმოდ დამჯდარმ,
ხან ქსოის, ქარგის, გავის, რეცხის,
ფეჴსამოს ბანდის.
სუ ცრემლის შამან გარს მბრუნავ მყვანდ
ცოდვილა' ბებოდ,
ჩვენ ბაგეს ღიმილ, - შვილიშვილებს
ცხვა არა გვანდის...
სანთლისდრად დამდნარ დადიოდის
დარდნალეწ ბებოდ,
სეტყვადაცემულ, ფოთოლწაყრილ,
ნათელ ბაღს ღგვანდის».

ასეთი ბებოს გაზრდილი დედა მყავდაო, ამბობს. თუშის ქალებს კაცის და ქალის ფუნქციები თავის თავზე ჰქონდათ აღებული, რადგან კაცები სულ ცხვარში იყვნენ. ყველაფრისთვის უნდა მიეხედათ: მეურნეობა, სადილი, საქონელი, ვენახი, ბოსტანი, საქსოვი, ჩაცმა, დახურვა. ტანსაცმელსაც კი თვითონ გვიკერავდაო.

«მამა დიდხანს იყო ცხვარში. როცა დაბრუნდა, უკვე ავად იყო, პარკინსონი დაემართა. ცხვარი რომ მიდიოდა, სულ იმალებოდა. ცხენების ჭიხვინი რომ იდგა და ხმაური, ეს სადღაც დაიმალებოდა და ნატირებს ვიპოვიდით ხოლმე -

ამირან არაბულთან

უჰ, რაღაა ეს სიცოცხლეო... უცებ გარდაიცვალა.»

ამბობს, რომ აქტიური არასდროს ყოფილა, სკოლაში მისვლაც მხოლოდ იმიტომ უნდოდა, რომ მისი და-ძმები, ყველანი, უკვე სკოლაში უნდა ყოფილიყვნენ და მარტო დარჩენა არ უნდოდა. ბაღიც არ უყვარდა, იქ სიარული გააპროტესტა.

«სულ ქუხილით ვტიროდი, აღარ ვივლი ბაღში თქო. ხუთი წლისა ვაპირებდი ალვანში, სკოლაში შესვლას, ყველაფერი მიყიდეს, მაგრამ სკოლაში არ მიმიღეს. დედა ავადობდა, თელავში დადიოდა ექიმთან და იმან ურჩია ჰაერის გამოცვლა. ასე რომ, სექტემბერშივე გაირკვა, რომ თუშეთში მივდიოდით. ამ ჩემი ჩანთიანწიგნებიანად წავედით შენაქოში, აღმოჩნდა, რომ შენაქოში იხსნება დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლა და არის ერთი მასწავლებელი. პირველ კლასში იყო ერთი ბავშვი და მეორეც თუ არ იქნებოდა, შეიძლება სკოლა არ გაეხსნათ. იყო ცხრა ბავშვი და ოთხი შავი მერხი, თავიდან შენაქოს ეკლესიაში ვიყავით. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ბათო ბორძიკიძე, ბათო ძიო, უთბილესი თუში კაცი».

ერთი წელი გაატარა იქ. მეორე სექტემბრისთვის ალვანში დაბრუნდნენ. შენაქოში პირველი კლასი ფრიადებზე დაამთავრა, მოწმობაც ჰქონდა და უკვე ალვანის სკოლაშიც მიიღეს. ოთხი წელი გაკვეთილის სწავლა არ დამჭირვებია, ისე მქონდა ოთხივე კლასის პროგრამა ნასწავლიო. უყვარდა ბიოლოგია. როცა მომავალ

პროფესიას ირჩევდა, დიდხანს ფიქრობდა, ფილოლოგიის ფაკულტეტი აერჩია თუ ბიოლოგიის. აირჩია ფილოლოგია, თუმცა დღემდე ფიქრობს, რომ სხვა დროს და სხვა ქვეყანაში, სხვა პირობებში, სიტყვის კი არა, ბიოლოგიისა და სამყაროს სასარგებლოდ გააკეთებდა არჩევანს.

«გვყავდა ფანტასტიკური ბიოლოგიის მასწავლებელი - მაგდა ბაიხოიძე. ულამაზესი და უჭკვიანესი. მიყვარდა, რასაც გვასწავლიდა. ამბობდა, «ეთერო სისხლძარღვებს დაჰყვებაო». ეგ რას ნიშნავდა, არ ვიცი. არ ვუყურებ ტელევიზორს რამდენი წელია, რადგან საკითხავი ბევრი მაქვს, არ მცალია. ვერ ვასწრებ, მენანება დრო და რაღაცების მოსწრება მინდა, რომ სამყარო ისე დავინახო, როგორიც არის ნამდვილად. ერთადერთი, რაც მე დროს მართმევს, ბიოლოგიური გადაცემებია. ეს ჩემებმაც იციან და «დედაა» რომ დამიძახებენ, უკვე ვიცი, რომ სატყუარაზე ვარ. სულ ვამბობ, რომ ვყოფილიყავი მდიდარი, რომ ვყოფილიყავი სხვა ქვეყანაში, აუცილებლად ავირჩევდი მოგზაურობას და ვნახავდი ჯერ ადამიანებს, როგორ ცხოვრობენ, ვინ არიან, მთელ დედამიწაზე და მერე მთელ ამ ბიოლოგიურ სამყაროს - მცენარეს, ცხოველს, ფრინველს».

9 წელი სწავლობდა ალვანში. მას შემდეგ ალვანში არ უცხოვრია. სკოლა რომ დაამთავრა, თბილისში ჩამოვიდა და აღმოჩნდა სულ სხვა, უცხო სამყაროში. ასე დაიწყო ხანგრძლივი აბიტურიენტობის პერიოდი. აბარებდა უნივერსიტეტში კავკასიურ ენებზე. სულ ნახევარი ქულა აკლდებოდა, მხოლოდ ერთხელ მიიღო ქართულ წერაში ორიანი. ეს იყო «ბუნება ვაჟა-ფშაველასთან», ჰოდა «კარგად» გაასწორეს, ოღონდ ვაჟა-ფშაველას ციტატები.

«ძალიან მაგრად ვიცოდი საზეპიროები, მაშინ ჩემთვის ჩუმად ვწერდი სუფთა თუშურ დიალექტზე. ვმალავდი, არავის ვეუბნებოდი. ვგიჟდებოდი დიალექტიზმებზე. საერთოდ, ეგ იყო ჩემი სამყარო. ამიტომაც იყო, რომ დამძლია და ბიოლოგია დამათმობინა. სიტყვაზე ვგიჟდებოდი. სიტყვის სიღრმეზე, ქართულ სიტყვაზე. დავრჩი ამ სიტყვის მონობაში და დღესაც ეგრე ვარ. რომ გავიზარდე და გავთამამდი, მერე დავწერე წერილი - «დაწუხებულმა, არაგვო...» გამისწორეს და მე არა, ვაჟას დაუწერეს ორიანი-მეთქი. სადღაც იქნება ეს წერილი, აღარ მახსოვს, სად დაიბეჭდა».

ეს იყო უსამართლობის რამდენიმე წელი, რომელიც მეორდებოდა და მეორდებოდა. ამბობს, ახლა რომ ჭკუა მაქვს, მაშინაც რომ ასეთ ჭკუაზე ვყოფილიყავი, წავიდოდი იმ ჩემს თუშეთში და სამუდამოდ იქ დავრჩებოდიო. საბუთებს ისე არ იღებდნენ, თუ ექვსთვიანი სტაჟი არ ექნებოდა. თავიდან დაიწყო სატელეგრაფო აპარატების ქარხანაში, სადაც გაიარა პლასტმასის მწნეხავის კურსი და გადაიყვანეს რადიოქარხანაში; მეორე წელსაც სატელეგრაფო აპარატების ქარხანაში მუშაობდა, მერე იყო პირველი სტამბა, საამკინძაო საამქრო, სადაც დიდ, შავქვაბში ხის წებოს ხარშავდნენ, საშინელი სუნი იდგა და მუშები ამ წებოთი წიგნების ყდებს აწებებდნენ; შემდეგ იყო პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა «ივერია», «ტრაინოი ადეკალონების» ჩამოსასხმელი საამქრო - თავსახურებს აფარებდა მინის ბოთლებს, რომლებიც ზოგჯერ ცვიოდა და ტყდებოდა, საშინელი სუნი დგებოდა. საშხაპეები არ მუშაობდა და სახლში დაბრუნებისას, ტრანსპორტში სულ უკან დგებოდა, რომ სუნს არავინ შეეწუხებინა. «ივერიის» მოწინავე მეკალპაკე ვიყავიო,

იცინის. ბოლოს ბავშვთა სტომატოლოგიის კლინიკაშიც კი მუშაობდა.

«მაშინ ვიბრძოდი, რომ სტუდენტი გავმხდარიყავი. დავამთავრე ეს უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე ისე, რომ არაფერში არ მჭირდება, ხუთოსნებს ვერ ვიტან, მაგრამ დავამთავრე იმის გამო, რომ ვინმეს არ ეფიქრა, რომ მე შტერი ვარ, რომ ამის გამო ვერ ვაბარებდი ამდენი წელი. მხოლოდ პოლიტეკონომიაში მაქვს საჩუქრად ხუთიანი მიღებული. ჩვენ გვყავდა ფანტასტიკური პროფესორი, ქისტაური და მან მთელ 80 ბავშვს გამოუცხადა, ეთერო იღებს ხუთიანს პოლიტეკონომიაში, იმიტომ, რომ ხევსურებს ბიჭი გაგვიჩინაო. მინდია მყავდა პატარა. პირველ კურსს ვამთავრებდი, რომ გავთხოვდი, მაისში. მეორე კურსზე უკვე მინდიაც გვყავდა. ბოლო კურსზე - ანანო და შვიდი წლის შემდეგ გაჩნდა მარიამი. ახლა უკვე შვილიშვილიც გვყავს...»

44 წელია, თბილისში ცხოვრობს, მხოლოდ სტუმრად თუ წავსულვარ სადმეო. დიდი ხანია, თუშეთშიც არ ყოფილა. მხოლოდ იქ გადაღებულ ფოტოებს და ვიდეოებს უყურებს, ენატრება და გულში სულ «იმუქრება», რომ შემდეგ წელს წავა, კიდევ ცოტაც და წავა, და შეიძლება, მთელი ზამთარიც იქ დარჩეს.

«იქ, მაღლა, კარგად ვარ, მაგრამ გზას ვეღარ ვიტან, წნევები მიშლის ხელს, კრიზი მქონდა და ცუდად ვიყავი... იქაურობაც შეიცვალა. ყველაზე დიდი, რაც მოხდა თუშეთში და რაც მოხდა მთელ საქართველოში და რამაც გამოფიტა ქვეყანა, ეს არის შორს წასული დედები. იმ დედებმა გაიყოლეს მთელი მადლი. წავიდნენ და თვითონ ცალკე იტანჯებიან, სხვა ქალები გახდნენ, და ცალკე ეს ოჯახები და ბავშვები გახდნენ უფუძოები. ყველაფერი წაართვათ

დედის წასვლამ, გახდა დედის ფულის მომლოდინე თაობა. ზოგი ისე გახდა სრულწლოვანი, დედა არც უნახავს. მე მომისმენია, დედა არ გენატრებაო, ჰკითხეს ერთ ბავშვს, ნეტა, მალე ჩამოგივიდესო. იმან, არაო, მერე რა გვეშველება ჩვენ, როგორ უნდა ვიცხოვროთო, არ მინდა რომ ჩამოვიდესო. ამ გაგლეჯილმა ოჯახებმა შექმნა სხვა თუშეთი, სხვა ხევსურეთი, სხვა ფშავი, სხვა მთიულეთი, სხვა გუდამაყარი, სხვა იმერეთი, სხვა რაჭა, სხვა ქართლი, სხვა კახეთი - სხვა საქართველო. ქალი მსხვერპლია, ყველაზე ცოდვაა, ქალმა აიღო ეს ყველაფერი თავის თავზე».

მთას ეჭირა საქართველოო, ამბობს, ახლა რა ხდება, დაცარიელდა მთელი სასაზღვრო ზოლი. აღარავის ეცოდინება, რა ერქვა იმ მთას ან იმ გორაკს, არადა, ხალხთან ერთად, სწორედ სახელები, ტოპონიმიკა ინახავდა და იცავდა იმ ტერიტორიებს. საზღვრებს დებდა სახელიც და საფლავიც, რომელიც ამბობს, რაკი მე აქ ვარ, ეს მიწა შენია. ლექსებშიც კი ჩაწერა ის სახელები, რა შუაში იყო, მაგრამ ისეთი ლამაზებია, რომ მოკვდნენ, მეცოდებიანო. და საერთოდ, სიტყვები ეცოდება, სულ ეცოდებოდა - ყოველთვის სხვანაირად იგებდა, სხვანაირად ესმოდა. სხვები რომ რაღაც ამბავზე იცინოდნენ ან ყურადღებას არ აქცევდნენ, ეს ტირილს იწყებდა და მთელი ღამეები არ ეძინა.

«მე ვცოცხლობ სიტყვით, რაც აზროვნება მაქვს, ბავშვობიდან. ამედევნებოდა ერთი სიტყვა ან ფრაზა, დამდევდა და აღარ მასვენებდა. ხანდახან ისე მეცოდებოდა ის სიტყვები, რომ ვტიროდი. «რა გატირებს, ეთერო», დედა მეკითხებოდა. მე არ შემეძლო ამეხსნა, რა მატირებდა».

თენგიზ მირზაშვილთან

სიტყვა და ამბავი კი ბევრი იყო. იქ, სადაც იზრდებოდა, ალვანის გრძელ ქუჩაზე, სახლი არ იყო, რომლის წინაც ძელსკამი არ იდგა და სადაც საღამოობით ერთი ან ორი მოხუცი არ ჩამოჯდებოდა ხოლმე.

«მე გავიზარდე მოხუცებით უმდიდრეს უბანში. მათ»მომწამლეს» თუშეთის სიყვარულით. ჩემს სრულიად «ავადმყოფურ» დამოკიდებულებას ჩემი დიალექტისადმი ამასაც ვაბრალებ. ჩემ წინ, ერთი სახლის წაცდენით, ცხოვრობდნენ მაკა ბებო და ოსე პაპა. ხშირად არიან ჩემს ლექსებში. სხვა უბანში ცხოვრობდა მათი ერთი შვილი - ეგო. იქ კი, მეორეს, ომში წასულ ვანოს ელოდებოდნენ. ესენი ყველაზე სევდიანები იყვნენ. ორი მოხუცი ვიცი მთელ თუშეთში, ეს მაკა ბებო, რომელიც ჩაალაგებდა ვანოს სამოსს და თუშეთში რომ მიდიოდნენ, თან წაიღებდნენ და მეორე, ბექურაიძეების ბებო, რომელიც ასევე ჩაულაგებდა თავის შვილს ტანსაცმელს და მიჰქონდა მთაში. მთელი წლები ეს სამოსი ცხენებით და ხურჯინებით მოძრაობდა. არც ის დაბრუნდა და არც ეს. დიდი მავთული იყო გაბმული მაკა ბებოს ეზოში, დიდ, მწვანე, ხასხასა ეზოში და მახსოვს, როგორ ივსებოდა ეს მავთული ნელ-ნელა ვანოსთვის მოქსოვილი ჭრელი წინდებით. ყოველ ზამთარს ემატებოდა. ალბათ, ათობით წყვილი იქნებოდა. გაზაფხულზე გასანიავებლად გამოფენდა ხოლმე. ულამაზესები, მაშინ რომ ვინმეს ფერადი ფოტო გადაეღო. დედის ნაქსოვი ჭრელი წინდები. ძალიან ვუყვარდი ორივეს».

ოსე პაპას ჰქონდა ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ 1934 წელს გამოცემული «ხალხური პოეზია». ახლა ის წიგნი შინ აქვს, ოსე პაპამ აჩუქა. კოტეტიშვილები ბედისწერასავით იქიდან მომყვებიანო. ადვილი არ იყო ალვანში, ვახტანგ კოტეტიშვილი გცოდნოდა, ვახუშტის მამა - მთელი ფოლკლორული მეცნიერებისა და კვლევების ფუძემდებელი. იჯდა ხის კიბეზე ოსე პაპა და კითხულობდა ამ ლექსებს ხმამაღლა. მერე, თვითონაც რომ ისწავლა კითხვა, დაუძახებდა და ეტყოდა - «ჩემ ქალო, თვალთ აღარ მიჩინსავ, შენ წამიკითხევ» ჰოდა, კითხულობდა, ხანაც უამრავ შეკითხვასაც უსვამდა და სუნთქვაშეკრული უსმენდა:

«ადრე ოსე პაპა ნავთ-მარილზე გადადიოდა ჩეჩნეთ-ინგუშეთში და ვეკითხებოდი, მიამბე, პაპა, რაგვერა გზები ქისტეთ რო მიდიხარ? ეს მეუბნებოდა, «თახტა-ტახტად ჩადის გზა ქისტეთისაკ, ჩემ ქალო». თახტა-ტახთად, ბექ-ბექ ჩადისო, ბექებიაო. ლექსიც მაქვს ამაზე. ბოლოს, როცა ძალიან დაბერდა, დამიძახა ერთ დღეს. მეც უკვე დიდი ვიყავი, სტუდენტი და მითხრა, «ეს წიგნი შენ გქონდეს, ეთერო, მეა-დ შენ გავცვითეთ». რაც მახსოვს და რაც გონება მიჭრის, სულ ვწერდი».

წერდა და ინახავდა. აქ თბილისშიც, მცხეთის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა, განსაკუთრებული სამალავი ჰქონდა მოწყობილი თავისი ნაწერებისთვის. «ემჩე» - დიდი, მრგვალი ღუმელი იდგა და რვეულებს მის ქვეშ მალავდა. დაკეცავდა და შეინახავდა. დაკეცავდა და შეინახავდა. თავის დას, ლელასაც კი არ აჩვენებდა. ერთ დღესაც, გამოიტანა და დაწვა. ფუთიანი ვედრო იდგა ნაგვისთვის, ცარიელი. ჩაყარა და ცეცხლი მოუკიდა, ორი ვედრო ნაწერები დაწვა.

ვახუშტი კოტეტიშვილთან

«დღემდე არ ვპატიობ ჩემს თავს. უბრალოდ, მრცხვენოდა, არ მინდოდა, რომ ვინმეს ენახა. იქაც აღარ ეტეოდა. ვჭედავდი იმ ფურცლებს ქვემოდან. რა უნდა ენახა, რისი მრცხვენოდა, ლექსები იყო, სხვა ხო არაფერი. სულ ვეუბნები დამწყებებსაც და ყველას, ვისაც ნამდვილად აქვს სიტყვასთან ურთიერთობა, ეგეთი სისულელე არ უნდა გააკეთონ, არ უნდა გაიმეტონ. თუ რამედ ღირს, ხო ღირს და თუ არაფერია, შენს განცდას ხომ მაინც ინახავს, შენს ბალღობას, შენს დროს, უამრავ რამეს, შენი ფიქრის ნაწილია. იქ ისეთი რამეები დავწვი, რომ ვერასდროს ვერ ავანაზღაურებ. ძალიან ვნანობ და ძალიან გული მწყდება. რამდენი რამ დამეკარგა - რამდენი სურათი, რამდენი განცდა, რამდენი ფიქრი».

რაღაც დროის შემდეგ ლელამ მაინც გაიგო, რომ ლექსებს წერდა. ჰოდა, ლელამ «გათქვა» თავის მეგობართან, ციური აზიკურთან. იმან კიდევ ვახუშტის (ვახუშტი კოტეტიშვილი), ჩუბჩიკას (თენგიზ მირზაშვილი) და ლექსო პაპას (ალექსი ჭინჭარაული) უთხრა, ეთერო წერსო, თუშურ დიალექტზეო. ჰოდა, მოიყვანეთო. ეს იყო 1979 წელი. ქალაქში უკვე აფიშები იყო გამოკრული, ფოლკლორის დიდი საღამო უნდა გამართულიყო ფილარმონიაში. მე და ჩემი მეგობარი ვოცნებობდით, რომ ბილეთები გვეშოვა და როგორმე იქ მოვხვედრილიყავითო. ჰოდა, მოხვდა კიდეც. ოღონდ როგორც გამომსვლელი. ეთერ თათარაიძემ ამ საღამოზე თავისი ლექსები პირველად წაიკითხა ხმამაღლა, ფილარმონიის გადაჭედილ დარბაზში. ეს იყო 1979 წლის 14 აპრილი. ეს იყო ძალიან უცნაური ამბავი და ამან მერე

მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრაო. ამის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა -აგვისტოში უგამოცდოდ ჩაირიცხა უნივერსიტეტში. იმავე წელს გამოვიდა პირველი წიგნი - «იმედის გვირილაო» - 10 000 ტირაჟით, რომელიც რამდენიმე დღეში გაიყიდა, გაქრა წიგნის მაღაზიებიდან. ახლა უცნაურია და სასაცილო, მაგრამ იმ დროს უცებ ძალიან პოპულარული გავხდიო, ამბობს. მის მოსასმენად მიდიოდნენ მთელი საქართველოდან. მახარაძის ქუჩაზე, ახლანდელ ქიქოძეზე ცხოვრობდა და 14 აპრილის შემდეგ მისი ნაქირავები სახლის დერეფანსა და კიბეებზე უამრავი ყვავილი ეწყო, მიჰქონდათ და ტოვებდნენ, წერდნენ წერილებს, უნდოდათ, მისი ლექსებისთვის მოესმინათ.

«ეს გრძელდებოდა თვეობით, სანამ ყვავილების სეზონი იყო. არ ვიცოდი, სად წამეღო ამდენი ყვავილი. ქალი, კაცი, ახალგაზრდობა, მოხუცებიც კი, მოდიოდნენ ჩემ მოსასმენად. თუ ვერ მნახულობდნენ, ბარათებს მიტოვებდნენ. ვამბობ ხოლმე, იმდენი ყვავილი მაქვს მიღებული, როცა მოვკვდები, აღარ მჭირდება-მეთქი. ასე მოვიდა უნივერსიტეტიდან ფილოლოგების რამდენიმე ჯგუფი. ერთ-ერთ ჯგუფს ახლდა ამირან არაბული. თურმე იმ საღამოს დარბაზში მსხდარან ამირანი და მამამისი, დავით არაბული. ის იყო ძალიან დარბაისელი კაცი. უდახვეწილესი, გარეგნულად ულამაზესი, ძალიან თავმოვლილი და ძალიან კოხტა, ძალიან ნაკითხი, ძალიან სხვანაირი შეგრძნებების მქონე. მერე ჩვენ ვმეგობრობდით და მითხრა, როცა შენ გამოგაცხადეს და ლექსები წაიკითხე, გავიფიქრე, ნეტა, იმ ოჯახს, სადაც ეს შევაო და მე მაშინ უფალი მისმენდაო, შენ ჩემს ოჯახში მოხვედიო. ახლა ეს სასაცილოა, მაგრამ მამას ასე ეჯერა. ამირანთან ერთად იმ ჯგუფში იყვნენ ბაბუა ალუდაური,

ტარიელ ხარხელაური და ნოდარ გრიგალაშვილი. დავდიოდი ლექციებზე ჩვეულებრივ და ამ ტიპებს ხანდახან ვხედავდი. ძალიან მეთბუნებოდნენ, მივლიდნენ, როგორც მთის ქალს მთის ხალხი, ბაბუაც და ტარიელიც. ამირანიც გამოჩნდა ერთი-ორჯერ. არაფერი. ისე კი, ამირანს რომ დავინახავდი, სულ მამახსოვრდებოდა. რატომ მამახსოვრდებოდა, მართლა არ ვიცი. ახლა ხომ შემიძლია ღიად ვთქვა, ან შემიყვარდა, ან მომწონდა, ან განგებ მაგას ვაქცევდი ყურადღებას. არა, უბრალოდ, მერე გავაცნობიერე, რომ ეს ადამიანი სულ იყო. რაღაცა მინათდებოდა გულში მაგას რომ დავინახავდი. ვიცოდი, რომ ერთი ძალიან წესიერი ადამიანია, სხვანაირია. არავის რომ არ ჰგავდა, ეგეთი ტიპი იყო, უთქმელი, როგორ გითხრათ, აბა. ერთ დღესაც ტარიელი მოვიდა და მითხრა, მე და ამირანი მივდივართ მამაშენთანო. რისთვის-მეთქი, მე ლექციაზე შევდიოდი. შენი ხელის სათხოვნელადო. მე არ მივიღე ბოლომდე ეს ამბავი, ჩვენ უკვე ვმეგობრობდით. ამირანს სიტყვა არ უთქვამს. ამირანის გამოა, რომ ძალიან მიყვარს წონასწორი და სიტყვამოზომილი ადამიანი. ლექსიც მაქვს ეგეთი, ის ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის, მე უცებ გადავწყვეტ, ეგეთი ვარ, რაღაც ჩქარჩქურა, ბოლოს ვკითხულობ, დამიჯერებთ, რომ ეგეთებსაც აბერებს ერთად უფალი? ამირანიც ძალიან მოყვარულია იმ ყველაფრის, რაც მე მიყვარს; ის ყველაფერს აფასებს ისე, როგორც მე ვაფასებ. მისთვის მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რაშიც დავბერდით. მე და ამირანი შინ არ ვყოფილვართ მოცლილები. ჩვენ არ გვქონია უაზრო დღე, თავისუფალი დღე. წლებია, არ დაგვისვენია, ერთი დღეც კი. თუ რამე გვიჩნდება და ვიცით, რომ ხვალ არაფერი არ გვაქვს ისეთი, რომ გავაკეთოთ, უცებ გადავწყვეტთ და მივდივართ «საშოვარზე». ჩვენი საშოვარია ის, თუ სადმე გვეგულება ერთი კარგი მესიტყვე, მელექსე, ან ერთი კაი

ამბის მთხრობელი, ერთი მაგარი, საკულტო ტექსტის მცოდნე; ან საფლავის ქვაა სადმე, ან ეკლესია, ან მინაწერი. ასე გვათენდება და გვაღამდება ხან საქართველოს ხევებში, ხან ჭალებში, ხან მწვერვალებზე... დამღლელიც არის ეს და ძალიან დიდი ბედნიერებაცაა. სხვანაირად ვეღარც ვიცხოვრებთ. ეს ჩვენი პროფესიული ავადობაც გახდა და სულის მოთხოვნაც».

მეორე წიგნიც სტუდენტობის დროს გამოვიდა - «მთვარის ნალი». მერე - «ჩამომიარ საწუთრო». როგორც თავად ამბობს, სულ ჩუბჩიკას წყალობით, ჩუბჩიკა ადგენდა, აფორმებდა. ზეპირად იცოდა ყველაფერი. მერე იყო ლექსების სხვა კრებულებიც.ბოლოსკენ გამოვიდა «100 ლექსი», «ჩიტ რო იძახს, წიავ»... შუალედებში გამოდიოდა «აღათო», «მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი»...

«ერთ-ერთი დიდი წყალობა იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა მე ვხვდებოდი გულქან რაზიკაშვილს, ვაჟა-ფშაველას შვილს. ერთხელ ფურცლებს ვალაგებდი სახლში. ზოგჯერ ისეთი რია-რია მაქვს და ვხედავ, ამირანის საექსპედიციო უბის წიგნაკში ასეთი დიალოგია: ამირანო, ხევსური ხარა? ამირანი ეუბნება - კიო. მაშ, შენ ბურნითიანთ ცხვირ არ გაგიკვირდება, კიდევაც მოვსწევ ემსაათშია, კიდევაც გავილამაზებ ცხვირსა... მიწერილი აქვს - გულქან რაზიკაშვილთან დიალოგი, ჩარგალი. მეთქი, ეს ის გულქანი როგორ არის, ყველას ერთი და იმავეს რომ უამბობს - მამაი? მამაი იყო კეთილი, ლამაზი, ისეთი, ასეთი და მორჩა... ამირანის მოსვლამდე უკვე მოფიქრებული მქონდა, რომ მე ჩარგალში მივდივარ. კარი გავუღე და იქვე ვეცი, ხომ წამიყვან ჩარგალში? გაგიჟდა, რა ჩარგალი. ეგეთები ვიცი ხოლმე. წაგვიყვანა მე და ბავშვები, პატარები იყვნენ. 10 დღე ვცხოვრობდი ჩემთვის სრულიად უცხო ჩარგალში და 10 დღე არ მძინებია. ვერ ვიჯერებდი,

რომ იქ დავდივარ და ვაჟა-ფშაველას შვილს ველაპარაკები. ეს მიყვება, მამაი, ბიძაი... დავფიქრდები, ვინ მამა, ვინ ბიძა. ვინ და ვაჟა-ფშაველას შვილთან ვზივარ... 10 დღის შემდეგ ამოგვაკითხა ამირანმა. იქიდან პირდაპირ წავედით ბარისახოში, ბარისახოს გზაზე დამეძინა პირველად, ჩარგალს გამოვცდით თუ არა, მაშინვე. ხელით ვიწერდი. შეეჩვია, როგორ ვიწერ და ცოტას რომ გამიფერადებდა სათქმელს, გამილამაზებდა, გამიხელოვნურებდა, ვჩერდებოდი. მე მთის ქალი ვარ და ყველაფერს ვხვდებოდი, მაგრამ ვერ ვაკადრებდი, არ ჩავიწერ-მეთქი. რაად არა სწერ? შემეკითხებოდა. ჩვენ უკვე ვმეგობრობდით და ვეუბნებოდი: ეგრე ქალაქელებს უამბე. იიი, დიდი მაიმუნი ხარ შენა, დაწერე ახლა წესიერად! - და იმას მიამბობდა, რაც სინამდვილე იყო».

მთელი ცხოვრება დადის, მთელი საქართველო აქვს მოვლილი. ზოგ ადგილას ათჯერაც ყოფილა და ალბათ ღმერთმა დამიფარა, რომ ახალგორში, ქსნის ხეობაში ერთხელაც ვერ წავედიო, ღმერთმა დამიცვა, ალბათო. შეიძლება გული გამხეთქოდა ამ ამბების მერე, ზუსტად ვიცი, რომ ვერ გადავიტანდიო. მისთვის ყველაფერი ძვირფასია, ყველა კუთხის ამბები. დიდი და განსაკუთრებული ფოლკლორი აქვს ყველა კუთხეს. მნიშვნელოვანია მთაც და ბარიც - სვანეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, რაჭა-ლეჩხუმი; ქართლი, იმერეთი, კახეთი.

«როგორი იუმორი აქვთ, როგორი ამბები, როგორი ქსოვილი. ყველა კუთხეში დიდი სიმდიდრეა. ლეჩხუმში პირველად ვიყავი, დავრჩი ერთი კვირა და ვიმუშავე. რაღაც სხვა ხალხია, აბსოლუტურად. ძალიან საინტერესოა იქ მუშაობა. ახლა ვიყავი მაღალმთიან აჭარაში. მე ვამბობ, თუ მოგენატრება ქართველის ნახვა, წადი აჭარაში და ადი

მთებში. შუახევში ვიმუშავე, რამდენიმე რეგიონში. გამოვშტერდი და მართლა გავგიჟდი, როგორი ახალგაზრდობა არის, საიდან შეინახეს ამ ბავშვებმა დიდპატარაობის და უფროს-უმცროსობის ეს სკოლა. როგორც ჩანს, რაღაცისთვის მიგვაწყვეტს ბოლომდე უფალი და მერე ნელ-ნელა წამოგვკრეფს, იმ კუთხეში იმას აკრეფს, ამ კუთხეში - ამას და გაგიჩნდება იმედი, რომ შენი ქვეყანა უეჭველად იცოცხლებს».

წლის დასაწყისში გამოვიდა ეთერ თათარაიძის წიგნი «დევიღუპეთ», სულ ახლახან კი - «დემონოლოგიური თქმულებები». ეს არის ქართული მითოლოგიური ტექსტები, მწერლის დისერტაცია და 20 წლის ნამუშევარი. როგორც თავად ამბობს, ეს ის მითოლოგიაა, რომლითაც მსოფლიოს წინაშე თამამად დადგები და თამამად ილაპარაკებ საკუთარი ქვეყნის მითოლოგიური აზროვნების სიღრმეზე, ფანტაზიაზე, სივრცესა და მასშტაბზე. ახლა რამდენიმე წიგნზე ერთად მუშაობს.

«წამოწყებული მაქვს, სულ ცოტა, ოთხი წიგნი. ერთი იქნება თენგიზ მირზაშვილზე. ყველას ვეუბნები, მის მეგობრებს, რაც ახსოვთ და როგორც ახსოვთ, მომაწოდონ. ეს არის თენგიზის მოგონებები, რომლებიც ჩამაწერინა. მთელი ცხოვრება ვიწერდი, აგების პროცესშია ახლა. ძნელი იქნება, მაგრამ ისეთი უნდა იყოს, რომ თენგიზს მოეწონოს. ასევე წამოწყებული მაქვს ჩემი ბავშვობისა და კიდევ სხვა ამბებიც, ადამიანები, გარემო - დაბადებიდან დღემდე; ყველაფერი, რაც ვერ გაცვდა ჩემს გონებაში და დარჩა ჩემს თვალსაწიერში, სულში, გულში. ეს ცოტა შორეული წიგნია. ახლა კი ვამზადებ წიგნს, რომელზედაც წლებია, ვმუშაობ. უკვე გავასწორე ტექსტი. ეს იქნება ლექსების კრებული - ბერდედების ციკლით. როგორ ჰყვებიან თავის ცხოვრებას და როგორ ურთიერთობენ ახალგაზრდებთან -

თუში ბერდედები და პაპებიც ხანდახან. საერთოდ, რა არის წუთისოფელი. სულ გამოვიდა 5 000 სტრიქონი. დიზაინი ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებთ, არც სათაური არ მაქვს ჯერ. ისე, მე ყველა ლექსი უსათაურო მაქვს. მირჩევნია, არაფერი არ ერქვას ხოლმე. სათაურიანი სულ რამდენიმე ლექსი მაქვს. თითქმის მზად არის და თუ ვინმე მოიცლის ამათ საკითხავად, ხომ კარგია და თუ არა, სწორად ხომ მაინც იქნება გაკეთებული. მეოთხე არის კიდევ წერილები, ჩემდამი მოძღვნილებიც, რომლებმაც შეიძლება, რაღაცები განსაზღვრეს ჩემს ცხოვრებაში. მაგას არ ვჩქარობ. ახლა უფრო ფოლკლორისკენ მაქვს გეზი, რაღაც ოცნებები გვაქვს მე და ამირანს, რამდენიმე პროექტი. წამოწყებული გვაქვს საფლავის ქვების მეორე წიგნი. «შენდობით მომიხსენიეთ», რომელმაც «საბა» მიიღო, პირველი იყო. მეორე იქნება საფლავის ქვები ამბებით, გამორჩეული ამბებით. ზოგ საფლავს აქვს თავისი წარმომდგენელი ისტორია. მაგალითად, სოფელ წვერში ჩვენ გადავიღეთ გადაშლილი გარმონი საფლავის ქვაზე. მოხუცი პაპა შემოვიდა და ვკითხე, ეს ალბათ, კარგი მეგარმონე იყო-მეთქი. ქალის ქანდაკება იყო და გვერდზე აქვს ეს გარმონი. ასე წევს. ნაივურად ამოჭრილი ფიგურა, როგორც არის ხოლმე. ჰო, შვილოო, ესო ილიას მკვლელის ცოლის საფლავიაო. უკვე მკვდარი იყო და ქმრის სოფელში იყო დაკრძალულიო. ძმებმა პროტესტის ნიშნად ამოთხარეს და აქ დაკრძალესო. არაფრით არ დავტოვებთ იქო. მაქვს წამოწყებული ქალების თავისკვლის ამბები. როგორც აღათო, მაგალითად, სულ იყვნენ ასეთი ქალები, მთაშიც, ბარშიც. რატომ და როგორ ხდება ეს...»

ნიჩაფ ხყუდავ ღრმა თოვლში,
ბოსლით ჴუმფელ გამოდის,
თბილა' თოვლის ძირითად

წვეთებ მღერით ჩამოდის.
წყალნაწინწლებ ბანითად
ათას სურათ გამოდის,
კუნძურა’ დევს ბოხარში,
სქელ ბოლ ჴვნეშით ამოდის...
გვერდზე თავგადაგდებულ
ლელას მღერა გამოდის.

«მინდა, რომ ის დრო გაჩერდეს», ხშირად ამბობს ეთერ თათარაიძე და მთელი ეს საუბარიც სულ გაჩერებები იყო, დროში გაჩერებები - ხან თუშეთი და ხან ალვანი, ბევრჯერ თბილისი და ზოგჯერ დანარჩენი საქართველოც, ხან დარდი და წარუმატებლობა და ხანაც სიყვარული - უფრო სიყვარულის «ათას სურათები»!

* * * (ჩიტ რო ხეზე ზისა-დ...)

«ჩიტ რო ხეზე ზისა-დ»
ცინგლ რო ჩამოზდის,
ი’მის დედა რო მეკითხებ;
«ნეტა, რა’ მზდის»

ჩიტის დედო, ვერ ხვდები,
შავ ზამთარ მოდის.

* * * (წვიმიან-ნისლიან დღეს...)

წვიმიან-ნისლიან დღეს
გავიქირსლებ მეაც,
ვერა-დ ვერ გამოვეთხოვ
ჯამ სევდიან ჩვევას.

* * * (ხუნწიან-შალდაყიან დარუება ჩადის...)

ხუნწიან-შალდაყიან დარუება ჩადის,
იმის ძირში რუკ-რუკით ბროლის წყარო გადის,
იმის იქის ნაწყვეტა’ ბილიკზე ჴარ გადის,
იმის თავზე შავნარევ დარდიან ჯანღ დადის.
ნანესტარა’ ტაფეზე მზენაშალ ქირსლ ადის,
მღერით წამდინარა’ ჴევ უდარდელად ჩადის
მთელ დღე ამინდ უდუმლობს, ვერ ვიც,
რა’ს რა სჩადის.
ოხ, უცვეთელ სურათო,
შენთან ჴშირად მწადის...

* * * (გამიმარჯდ დედის სიკვდილ...)

გამიმარჯდ დედის სიკვდილ,
ისრ გამიმარჯდ, კარგა’ნო,
რა’გვერც საყდრის ნგრევაჲ,

გამიმარჯდ დედის სიკვდილ,
გულის ტკივილ დამეწყო-დ
ღამეების თევაჲ...

* * * (დარ-ღურბელა’ ამინდ იყვ...)

დარ-ღურბელა’ ამინდ იყვ,
ერთ რა’გვერთიმ უღონოდ,
მე ჩემ ფიქრის ბურბუსალს
განაყოლარ უგონოდ,

ხან გხვდებოდე-დ ვერ გიცნობდ,
ხან შენდ ვიყავ უცნობელ,’
ხან შენს იქის გზა არ მქონდ,
ხან შენდ ვიყავ უთმობელ.

ხან ორნივ მიწად ნაქცევნ
ხან მზეს გამწვდარნ,უკვდომელნ,
დარ-ღურბელა’ ამინდ იდგ,
დარდისფერი-დ უჴმობელ...

* * * (პატარა როცა ვიყავ...)

პატარა როცა ვიყავ,
ვხჴდებოდ, არავისაც არ,
არავის არ ვღვგვანდ.

ცხვან რო სიცილს კვდებოდეს,
ი’მ ამბავს მე მდუღარე,
მლაშე ცრემლით ვღბანდ.

სიბერემდ ემაგთა’ დავრჩ:
ჲახლაც სევდიან ამბებს
მივხკემსავა-დ ვღბანდ.

ჲამ საბანდველ-კემსვაში
სამზეოვ არ დამაცალ,
ქარ-სეტყვობა-დ ღბარდნ.

ნურაფრის იმედ გექნებ,
შენდ ჲეს დრო თვალდათხრილიი,
წედ-წედ მიწას ღბარდ.

ეთერო ხვალ დამჭირდებ,
შორით განაჩენს ვისმენ
უფლის ჴმაიი-ბანგ...

* * * (მალ გი’ვლის გაზაფხული-დ...)

მალ გი’ვლის გაზაფხული-დ
ჩადგებ ჩიტთა ჭიკ-ჭიკ,
დაბერდების ბალახებ:
ღოლო-ჯინჭარ-ჭიმჭიკ.
ღონე დ’ელვის დღეებს,
ვეღარ ივლის ციმ-ციმ,
ქარ მოარდებად მოხფხვრის
ნათბილარ დღეთ ცივ-ცივ...

* * * (აი შენ ჴელს ნაჭერალ...)

თენგიზ მირზაშვილს

აი შენ ჴელს ნაჭერალ
განაცვეთარ ფუნჯებ,
ათას სურათ ნახატარ
ყვავილ,ზამთარ,თუნგებ.

ჲახლ შენსავით მდუმარენ,
შენ სიკვდილით მუნჯებ....

* * * (გადამბულად ტირის ცაჲ...)

გადამბულად ტირის ცაჲ,
ვითომ ჩემ დარდს ხედავდეს...

* * * (**წვიმით ფთებ გუ’შრობელა...**)

წვიმით ფთებ გუ’შრობელა’
ბაბანით ზის ჩიტ,
მომლოდინეჲ სითბოსი-დ მომლოდინეჲ მზის...

* * * (აი, ცხოვრების რთველ მიდგ...)

აი, ცხოვრების რთველ მიდგ
შედი-დ ჩემ ზვრებ დამიზვერ,
სი ჴმების საფერავი-დ
სი ყლორტყრილი, ამიწერ.
არ მითხრ უმოსავლობაჲ,
გულ სხეპვით არ გამისერვ...

* * * (ყორეები-დ ყავრეებ...)

ყორეები-დ ყავრეებ,
ჴიდებ შენაბოლარ,
ჭიღვა’ ცვეთილა’ ცოცხებ
მჭიდროდ შენაკონარ.
ცას მი-მომქრალ ქირსლები,
მზეს ვერ შენაწონარ,
გველ-ვაშრაპად მიმდორალ,
წყალ ფერდს შენაწოლარ.
ძოვნ-ძოვნითა-დ ლოღნ-ლოღნით
ცხვარ მთას შენაყოლარ...

* * * (მე რა’ით გავიფერადვ...)

მე რა’ით გავიფერადვ
ფერგაცრეცილ დღეებ...

* * * (უუჰ, რამდენჯერ მიმიმწყვდი...)

უუჰ, რამდენჯერ მიმიმწყვდი
ჲამ ცხოვრებამ კუთხეში,
რამდენჯერ დამიბრუნ თვალ
ცხელ ცრემლშია-დ მწუთხეში.

უუჰ, რამდენჯერ მიმიმწყვდი
წუთისოფელმ კუთხეში,
ერთხენც იქნებ ჩამაწვენს
განარანდალ ბრუდ ხეში.

გამამგზავრ-მაბინავებს
საიქიოს კუთხეში...

* * * (სიაღა გძლაად გზას განაბამ...)

სიაღა გძლაად გზას განაბამ,
მუჴლმაგარ ცხენთა ჭიხვინებ,
ჺახლ ახალ ჯურის მანქანებს
ბობღვით უდგ ჴველა-ხიხინებ,

სიაღა კავკასიონზე,
გაშლილ მეცხვარულ ლოგინებ,
წავიდა-დ ჴმა-ჭკვა გადაკრიფ
დიდხან თუშთ ადათმ მბოგინემ.

ვერა-დ ვერ გაღბედ, ეთერო,
წასვლა უფრ კაის მლდინემ,
ტყუილიი, ის დრო აღარმოვ,
წედ, თვარამ დარშჩებ მლოდინეჺ...

* * * (– ჩემ წილ ყველაფერ ქარმ წი’ღვ...)

– ჩემ წილ ყველაფერ ქარმ წი’ღვ,
სიყვარულიც ნიადაგ,
აღარ მწადის,უფალო,
ვის-რად ვშჭირდებ მე აბა?
ერთხენა’ემ მახედვი,
რა’გვერ დავრჩებ მე ამბად...

– ერთ დროს ცას პირ გე’ჴსნება-დ
შენ ლექსთ მოსთოვს ნიადაგ.

– მერავ, მერავ, უფალო,
მერავ, მერავ, მერავ...

* * * (თვალსისხლიან დაღბრუნავს...)

თვალსისხლიან დაღბრუნავს
მიწად საქცევ მიწას,
გაჭენებულ გულს უტკეპნს
მიწად საქცევ მიწას.
ხვალ თავადაც მიწადქნილნ
ხარბად ღგლიან მიწას,
მიწა მუ᾽რეველ არის,
თავ და᾽ნებეთ მიწას.
თვალსისხლიანნ იტაცვენ
მიწად საქცევნ მიწას,
მიწა მეტა᾽ მარჴეი,
თავ და᾽ნებეთ მიწას.

* * * (რა’ი რო არ მასვენებს...)

რა’ი რო არ მასვენებს,
სულ განგაშად მიქცი...

* * * (ღურბლის ნაგლეჯმ გადი’არ...)

ღურბლის ნაგლეჯმ გადი’არ
ანაჩქარალმ ცას...

* * * (ღადე-ღუდეს ედების...)

ღადე-ღუდეს ედების
ოღრო-ჩოღრო ფიქრებ,
ნეტა, რა᾽გვერ იცხოვრებ,
მე რო აღარ ვიქნებ...

* * * (ციგრიგელა’ ნიავი...)

ციგრიგელა’ ნიავი
აუჰ, რა’გვერ დავზერ...

* * * (ცას ჭექვა-ელვა მე’ჩვი...)

ცას ჭექვა-ელვა მე’ჩვი,
დღედა’ პირ3სნით ტირის...

* * * (გადის ნაქანც სამზეოდ...)

გადის ნაქანც სამზეოდ,
ნაღალ დღეებ დარდიან...

* * * (მანდ რა’გვერით ამინდ გაქვთ...)

მანდ რა’გვერით ამინდ გაქვთ,
წინდა’ ქსოა ნავიწყნო...

* * * (ჭორ-მრის ოღრო-ჩოღროში...)

ჭორ-მრის ოღრო-ჩოღროში
ჩახერგილიი ქვეყანაჲ...

* * * (რაძალიან დავიღალ...)

რაძალიან დავიღალ,
შენ ვეღარ იც დედო...

* * * (დანაკლაკნ ბილიკებიი...–

დანაკლაკნ ბილიკებიი
წინაპრების ნაწირებ,
ი’მ დანავიწყ ბილიკთგან
გულ ვერ ნაკან,ნატირებნ.
ვის ფეჴ აღარ დაგლაჴვი,
ცხენის ნალი ნატორებ,
გლიმდუ’ძვრელა’ სწევხარი-დ
გულ ჩანაჩუმ ნაფორებ...

ერთდროს ჩემ პატარა ფეჴთ
ნაკვალა’ებ ნაკონებ...

* * * (**რა’ს ამირბენ-ჩამირბენ...**)

რა’ს ამირბენ-ჩამირბენ,
თმაგაწეწილ ეთერო,
შტამბოვკა’ის მრეშ კაბას
ბოლო-კალთა’თ მზემფენო.

რად თავს აღარ მანებებ,
ჩემ ბალღობის აღეო,
გულდაწყვეტილს რად მწირავ,
ნატვრით მააღბაღეო.
რა’ს ამირბენ-ჩამირბენ,
რა’ს სტუსტუსებ ეთერო!

* * * (ხვალ არაგვის ჭალა’ზე...)

ხვალ არაგვის ჭალა’ზე
თვალს წყალს დავალევიებ.

* * * (ვაჟა’ის ნაკვალევზე...)

ვაჟა’ის ნაკვალევზე
კანკალ-კანკალ მივდივარ...

* * * (ცაში, ზღვაში მიწაზე...)

ცაში, ზღვაში მიწაზე
ვერსი ღნახავ სიმშვიდეს..
ხალხ გაგიჟდა-დ გაცეტდ...

ბუნებაიც გა’გიჟეს...

* * * (სიყვარულ გადი’კარგა-დ...)

სიყვარულ გადი’კარგა-დ
სიძულვილიი მოსულ...

* * * (სულ გუ’ჩანაგდ ადამიანს...)

სულ გუ’ჩანაგდ ადამიანს:
ავსა-დ-კას ვერ არჩევს...

* * * (ნეტა გამაჯეილა-დ ერთხენ კიდე დუ’ღლელად...)

ნეტა გამაჯეილა-დ ერთხენ კიდე დუ’ღლელად
შენ მთებ გადამატარ,
უეს ნაძვნარში ფეჯხრილს
ქარის მოღებულ წიწვებ
ზედ თავ-პირზე მაყარ.
ღელეს ი’ს ჩემ ბალღობის ათასფერის ყვავილებ
კნაჭა’ ფეჯებს მაშალ,
შრიალით ჩამომდინარ ბუერა’იან ჯევებ
ცვარ-ცრილ სახეს მაღვარ.

დაჩუმდ,დაჩუმდ, ეთერო, ჲეგ დრო უკვე გაგივიდ,
აღარ მოგივ, აღარ!..

* * * (ნამკრეფია’ ბალახიი...)

ნამკრეფია’ ბალახიი,
დილა’ობას ცრემლიან
მზედახედვით ბწყინავს.

* * * (ოჴრის მამულს დანაფერ...)

ოჴრის მამულს დანაფერ,
განაწირალ მთის სოფლებ...
დაფიქრდ ჴელითა მიგდის
გიცოტა’დებ სამშობლოდ...

* * * (სენ-სარიჯელ გაშოროსთ...)

სენ-სარიჯელ გაშოროსთ,
სუ ჯვარ გწეროსთ უფალმ,
ჩვენ მომდვნო ქართველნო...

* * * (იგებამე, ჩემ დედო...)

იგებამე, ჩემ დედო,
დრო-დრო რა᾽გვერ მჭირდებ,
შენ ერთ ჭკვიანად რჩევაჲ
რა᾽გვერ უღვთოდ ძვირდებ.

სიკვდილსთან სავედრებლით
შენახვედრალ დედო.

* * * (– „ლელავ“! – დედამ მიძახავ...)

– «ლელავ»! – დედამ მიძახავ
წუხრ სიზმარში – ცხადადავ!

– ნეტაი შენ, ლელა რო
დედის ჴმა მოგედინ...

* * * (ჩამოძონძილი-დ კონკილ...)

ჩამოძონძილი-დ კონკილ
ჩარგალს მბრუნავ ლუკაჲ,
ცალ თვალ ციმბირის წყლულით
ჩამობღლეჯილ ლუკაჲ.

მაინც ზეცას დანამკვიდრ,
უფალს ზიარ ლუკმაჲ.

* * * (შენაც შემოგეტანა...)

შენაც შემოგეტანა
სიბერის ავ ძაღლ,
პაპა გახჴდი, გყავისა
ტანწვართ ქერა’ ბალღ.
შენსავით ნიავს მღვრელ თმით,
გამოხედვა – ბანგ.

შენაც შემოგეტანა
სიბერის ავ ძაღლ,
შენაც შემოგეხვია,
მზეჩუ’ღწეველ ჯანღ.

არ მემეტებ სიბერიზდ,
არ მემეტებ, მაგრ...

* * * (ოთხრქა-ოთხყურა’ ცხვარო...)

ოთხრქა-ოთხყურა’ ცხვარო,
დევ-კერპებიზდ ცხარო...

* * * (ენა ჭიკ ჭიკ ჩიტუნა’ს...)

ენა ჭიკ ჭიკ ჩიტუნა’ს
ღგავის ჩემ მზე ტასოდ...

* * * (დამიქუჩდ ბევრ სათქმელი-დ...)

დამიქუჩდ ბევრ სათქმელი-დ
პირს წისქვილის ქვა მადევს.

* * * (ᲯᲐᲮᲚ ᲔᲠᲗ ᲣᲪᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲕᲐᲠᲓ...)

ᲯᲐᲮᲚ ᲔᲠᲗ ᲣᲪᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲕᲐᲠᲓ,
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲬ ᲠᲝ ᲒᲜᲐᲮ
ᲯᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲐᲠᲕᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲬᲛ,
ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲙᲛ ᲠᲝ ᲛᲜᲐᲮ.

ᲣᲤᲐᲚᲛ ᲣᲪᲑᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲐᲡᲛᲘ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲮ...

* * * (დედასავით გამიწვრილდ მაჯებიცად-სავალიც...)

დედასავით გამიწვრილდ მაჯებიცად-სავალიც,
წუთისოფლისგან მივიღ ნაჩუქარი-დ-თავანიც,
მაინც თვალებ ჯაქის მრჩებ, დავლაჭლაჭებ- დავალიც,
მომივ, მომივ თვალნაფართ, სიკვდილ უმშვრალ დავალის,
ჩემ ლეშს კმილებით გაზძიძგნს,სულ ზეცისაკ ავალის,
ლურჯ კამკამა’ ცას ასულ მზისაკ მიხრით წავალის...
ჩემ სულ ი’ქ მართლ დი’სვენებს, მზედ მოალის-წავალის,

* * * (გამოგეგულ კარებებ...)

გამოგეგულ კარებებ
უკვე მერამდენედ,
ჩაგ- მოგიჩუმდ არე-კარნ
უკვე მერამდენედ.
ჩემ მომთმენელ თუშეთო,
შენ მიწადამ მქნაჲ.

* * * (ბოლო წერომ გადმი’არ...)

ბოლო წერომ გადმი’არ
კავკასიონ – ჩვენ ცერ,
ეტყობ, ჩემსავით ვერ სთმობს
ჩემ ტკმილ თუშეთს ჯეგ შტერ...

თავადა’ მრჩალს რა’ ეზმის!

* * * (თავწილა’ო, შენ ხარი...)

თავწილა’ო, შენ ხარი,
თუშეთ რო არ გეთმობა-დ
ჲაქავ დასცაკუნებაჲ?
წედ ცა სათოვარს იმოსს,
გზა აგერ-დაგერევის,
თუშსავით გზას არ მოხკვდ.
წედ,წედ, დროზე მთას გადედ,
თბილა’ ქვეყნებისკ გაფრინდ,
ჲაქ ნუ დახკარკურებ.
რა’ი,თუშეთს ვერ სთმობა’?
ი’ქ სიკვდილ გირჩიავა’?
რა’ებს დახკაკუნებ!

უყურ ჲამ ერთ ნამლევა’ს
თუშეთ რა’გვერ ხყვარები,
ჩიტუნა’ უძახ,თუ გინდ...

* * * (**რადამ ქვად არვიქციე-დ...**)

რადამ ქვად არვიქციე-დ
დანოს გორზე არ დავრჩ.
ანა-დ ცირცლის მრეშ ხედა-დ
შენ მიწაზე არ გავ§მ.
ან წყაროდ არ ამოვჩქვიფდ,
მანდ ქანცწყვეტილ არ ჩავშრ.
ან კერა'ის ჯაჭვად მბულ
მანდ არ ჩავდნი-დ არ ჩავწყდ.

ანა-დ ანა-დ ანა-დ ან
სიკვდილმ მანდ რად არ გამფქვ.

* * * (მიმივლისა-დ მომივლის...)

მიმივლისა-დ მომივლის,
შორითა მეკითხების
ახლოს საკითხავა’ს...

რა’მ გა’ეშმაკ ჲეს ხალხ...

* * * (დრო და დრო მომვარდების...)

დრო და დრო მომვარდების
ფიქრ,რა სუფთად ვუყვარდ,
უჭუჭყოა’ სიყვარულს
ჴელს ნუ დახკრავთ, თუ გაქვთ.

თუ დახკრავთა-დ მოგივათ
დღეებ ცივი-დ სუ ქარ.

* * * (თვალნაფართალ,განაკვირ...)

თვალნაფართალ,განაკვირ,
დავიწყებულ სიყვარულმ
საქართველო გაწირრა-დ
სიისკ წავიდ, ვინ იცის...

* * * (ბოღმამ შეჭამ წინავეც...)

ბოღმამ შეჭამ წინავეც
ჯახლაც ბოღმა-სამსალა’
დუღს ჩემ საქართველოში
რა’ სისხლ,გვქონი,ხალხნო...

* * * (მტერ-მოყვარე არეულ...)

მტერ-მოყვარე არეულ,
ჲამ ერთ ნამცეც მიწაზე
ჟივჟივია-დ ჟოჟინ.

მიწა მომთმენელია-დ
მდუმარედ დგას დალოცვილ
არ ზძრავს’ჟოჟინ-ყოყინ.

ერთ ჲგე რო დღე და დღე
ჲამ გამყიდველთ წყალობით
პატარავდებ ცოდვილ.

იგრეა’ეც ერთნამცეც
ბევრჯელ გულ -კალთა’მოფხვრილ,
ჩემ ვერ დანათმობილ.

ჲეს ნაფლეთიც გვეკარგებ
ტკმობილ,ტკმობილ, ტკმობილ...
გონზე,ჩემ ხარბ ქართველნო

გონზე,გონზე,გონზე,თვარ...

* * * (არაფერზე არ იდარდვ...)

არაფერზე არ იდარდვ,
სიცოცხლეზე იფიქრ,
თავზე სუ მზე დანაფენმ
ხან ფიორ თოვლ იფიფქ.
არ გინდ მაძღრისად ყოფნაჲ,
ალალ ლუკმა იკიკნ,
უშურ-მტროა’ იყავი-დ
ცხვათ ტკივილიც იტვიფრ.
ერთ ნათლიერ თბილა’ დღეს
ცას წავედივ,- იწივლ,
ფთებს ცად ამსვლელმ-მზენაშალმ
გაცრილ წვიმა იწინწლ...

* * * (ჩანამტკმარ შემოდგომაᲘ...)

ჩანამტკმარ შემოდგომაᲘ
გძეელ ზამთრისად ემზადებ.

* * * (ვერავის მონარევალ...)

ვერავის მონარევალ
უღონობა მერევის,..

კარს ხჴსნის სიბერეჲ.

ჯერ ვერავის გუ᾽კურნავ
ჲამ სამზეოს თვალთმაქცი-დ

მაგის სიძერეჲ

მე რა᾽ ვასაშველვ?!

* * * (თუშებსავით ვერ მორშჩენთ...)

თუშებსავით ვერ მორშჩენთ
ჩიტებო გზა-მგზავრობას,
სუ ცის გზებს ხართ ნაკერებნ...

* * * (ანაჩქარალ წეროებთ...)

ანაჩქარალ წეროებთ
სივილია’ გადიღეს,
სიისკ წეროთ წრიალა’ვ
სიდ ატარებთ ზამთარს?
მშვიდობით გატაროსთა-დ
აგარიდოსთ ავქარს...

* * * (ჭვანა, ზამლეთ – მარეთის...)

ჭვანა, ზამლეთ – მარეთის
ჴეობებ შემოვიარ,
ნანატრ საქართველო ვნახ...

სიყვარულ თუ მოგენატრ,
სიალალე მოგენატრ,
წედიდ ჲეს ჴეობებ ნახ.

სამშობლო თუ მოგენატრ,
არასიისკ არ გი’ხედვ,–
აჭარაი მბწყინავ თაღ.

სიყვარულსაც იქ შეხვდებ,
სიალალეს ი’ქ შე’ყრებ,
დანარჩენ ცხვა ჩმახი,ჩმახ!..

* * * (ერთდროულად იწყებოდ...)

ერთდროულად იწყებოდ
მინარეთის ძახილი-დ
ტაძრის ზართა გუგუნ.

ლოცვა ცისაკ ადიოდ,
ყველა’ თავის უფალს ხვმობდ,
იდგ უტკმილეს ბუბუნ.

სტკიოდ მიწას წარსული-დ
გულზე ყველა’ს თანაბრად
იტარებდ, ხკვებდ მფუფუნ.

ჟამ მივია-მოვეი,
ხანდხან ჭექა-ქუხილ დგას,
ხან მზე მცინარ-მღუღუნ.

ღმერთო, აჭარა გვიცოცხლ!..

* * * (გაძაღლებულ ღამეებს...)

გაძაღლებულ ღამეებს-
ღენა-ღრენით ვათენებ...

* * * (ჩემ ფიქრ, სევდა შენამოს...)

ჩემ ფიქრ, სევდა შენამოს
ჯანღიან მთებს შევაფარ...

* * * (– **დედა ჯამ ბოლო დროსაავ...**)

– დედა ჯამ ბოლო დროსაავ
სევდიან ლექსებს სწერავ, -
ჩემ თუთიკომ მითხრ.
– ჰო, ჩემ ლექსებს ნისლ ხვიავ,
ჯანღ ხვივა-დ ფითრ...
ძალის-ძალით თავს ვირთობ
ლოდმბულ მუჴლებს მივსთრ...
გულიც მეტა’ დამეღალ
სიმართლე რო გითხრ...’

ამონარიდები

ეთერ თათარაიძემ ათრთოლებული ხელებით მოგვიტანა თავისი ფიქრების ჭრელი ფარდაგი, ჭროლ-ჭოდით მორთული დიდი იმედების მწვანე მინდორი, თუშეთის ქორბუდა სოფლები, ცქრიატი საღამო, პირდაღებული ეხი, ქერეჭითა და ჩხლაკვით გაღვივებული ჟიკ-ჟიკა ცეცხლი, ხის ტაბაკზე ამღერებული საცერი, ჩიხრიხზე მიგრ-მოგრეხილი ნებისყოფა, ხანდახან უეტლო ფიქრი, ყანის მკით მოკლული დარდი, მაგრამ ყოველთვის მღიე ბინდ-ლურჯ ბაწრით ამოქარგული ლექსები. ეს ყოველივე ეთერ თათარაიძის მიერ გათავისებული სამყაროა – სიყვარულით ნატკივარი, ნალოცვარი, ნათვლემი... ნუვინ იფიქრებს, თითქოს ამ ლექსების თავისებურებას მხოლოდ თუშური კილო განაპირობებდეს. როდესაც კარგად გაეცნობით მის ლექსებს, როდესაც ყველაფერი გასაგები გახდება თქვენთვის, მაშინ კიდევ უფრო გაცხადდება მათი ავტორის ხატოვანი აზროვნების თავისთავადობა...

ვახუშტი კოტეტიშვილი

ამ წიგნის ენა თუში ტომის საშინაო სალაპარაკო კილოა, რომელზეც არ არსებობს ხალხური პოეტური ტრადიცია, ის თითქმის ყამირია, თითქმის მოუხვნელი მიწა, სადაც, თუკი ჩაგდებულა პოეზიის თესლი, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მგლოვიარე სულის ამოძახილი – მხედველობაში მაქვს თუშური «ხმით ნატირლები», რომელთა წყობა მკვეთრად განსხვავდება ფშავ-ხევსურული «ხმით ნატირლებისგან». თუ პოეტი ე. თათარაიძე დავალებულია თავისი კუთხის ხალხური პოეტური ტრადიციებისაგან, იგი სწორედ ამ «ნატირლებისაგან» არის დავალებული, რომლებიც მთლიანად ქალთა შემოქმედებაა. მაგრამ

ისინი – ბევრი მათგანი ჭეშმარიტი პოეტურობით ბრწყინავს – შეზღუდულია თემატურად და არა აქვთ ფართო გასაქანი. ერთხელ შექმნილნი სასოწარკვეთილების ექსტაზში მიცვალებულის ცხედართან, საჯაროდ აღარ ითქმებიან, არ ჴამ», ისინი არ არის სათქმელ-სამღერალი ლექსები. შესაძლებელია, ე. თათარაიძის პოეზიის ნაღვლიანი კილოს მიზეზი ამ რიტუალური პოეზიის წიაღში იყოს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის ნოსტალგიურ სულისკვეთებას, თუმცა მკითხველი მის ლექსებში ვერ აღმოაჩენს «ხმით ნატირალთა» პოეტურ სტერეოტიპებს. ე. თათარაიძე ქმნის საკუთარ პოეტიკას, ქმნის საკუთარ ნოვატორულ კომპოზიციებს, იმგვარი აზროვნების ნაყოფს, როგორიც არასოდეს დაბადებულა ამ დიალექტზე. თავის მხრივ, დიალექტის ფონეტიკური თავისებურება განსაზღვრავს ლექსების პროსოდიას, გარითმვასაც (თუმცა რითმა სრული სიახლეა ამ დიალექტზე: «ხმით ნატირლები» გაურითმავია). ამ დიალექტს მოაქვს აღწერის სიზუსტე, უტყუარობა, პასუხისმგებლობა მოვლენათა და საგანთა სინამდვილის წინაშე, ერთგულება გარესამყაროსადმი – თითქოს დიალექტი თავისი ხმით, პოეტის ჩარევის გარეშეც, აღბეჭდავს ლანდშაფტს, წუთისოფლის ზოგადობამდე აყვანილ სოფლის სურათებს. დიალექტს მოაქვს თავისი სინტაქსურ-მორფოლოგიური წყობით შესაძლებლობა ახალ გამომხატველობით საშუალებათა აგებისა (მაგ. ლაკონიზმი: საამქვეყნო ყოფნა თითზე დათვლილ») – თითქოს სადაგი კილოკავი, პოეზიის ინსტრუმენტი, თავად იქცევა პოეზიის ნიმუშად. დიალექტს მოაქვს მკითხველისათვის ის ოდნავი, აუცილებელი ბურუსი, რომელიც გალაკტიონის «ბლონდებივით» თან სდევს პოეზიას («ნუ მოაცლი ციურ რიდეს, რომ ბურუსში ჩნდებოდეს...»), თუმცა ამ ბურუსის გაფანტვის შემდეგ (რასაც ხელს უწყობს ლექსებს დართული განმარტებანი

კუთხური სიტყვებისა) ახალი პოეტური სიღრმე და ახალი ვერბალურ-საგნობრივი სამყარო იხსნება. [...]

პოეტმა სადაგი ენა გარდაქმნა პოეზიის იარაღად, აამაღლა იგი საყოფაცხოვრებო ენიდან, დაძლია მისი უტილიტარიზმი, უჩვეულო განცდებისა და ფიქრების მიღვრით მის კალაპოტში გაარღვია კუთხურობა. არსებობს საყოველთაო ფართო გზა, მაგრამ არის ბილიკიც, თუმცა ხშირად ბილიკიც არ ჩანს, მხოლოდ რაღაც ნიშანია, რომ აქ, შეიძლება, გაჩნდეს ბილიკი და გაიაროს მგზავრმა და გაივლის კიდეც, თუ ჭეშმარიტებამდე სურს მისვლა. ენა, რაც უნდა მცირერიცხოვანი ხალხის, თუნდაც ერთი საზოგადოების, ერთი საყმოს პირიდან ისმოდეს ის, რაკი იგი ადამიანთა ენაა და ადამიანთა საფიქრალით არის შექმნილ-ნასაზრდოები, ის უნდა მოელოდეს გასხივოსნებას, სუბლიმაციას, და გასხივოსნდება კიდეც შემოქმედის ხელში.

ნუ ვიკითხავთ, რატომ აირჩია პოეტმა ეს დიალექტი და გამართლებულია თუ არა მისი არჩევანი: კითხვა უქმია, რადგან ამგვარი არჩევანი ყოველთვის ირაციონალურია, ის ჭკუაზე არ არის დამყარებული, რომ განსჯის საგანი შეიქნას, მას «ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან». რაკი არჩევანი მომხდარია და მისი შედეგი პოეზიაა, იგი არ საჭიროებს გამართლებას. ის არ იმართლებს თავს, ის ადასტურებს თავის ერთადერთობას და ამით ობლობასაც, როგორც

ჲამ დალოცვილჲ მიწისაჲ
ერთ სამარით მმკობარ.

ზურაბ კიკნაძე

ეთერის ლექსის მომხიბვლელობასა და მუსიკალობას ბევრი გრძნობს, გარე თვალმა შეიძლება ერთი-ორი სიტყვა

ვერ გაიგოს, მაგრამ შეიგრძნობს. ეთერი ჩიტივით ლაღად გალობს და არა მგონია, ლიტერატურული დინებები ანაღვლებდეს. თავიდანვე უდიდესი ოსტატობა ჰქონდა – თანდაყოლილი, ინტუიციური შეგრძნება ლექსისა. ამის სწავლა არ შეიძლება, ბუნების მოცემულია. თან ეს ყველაფერი თუშური დიალექტის ბუნებიდან მოდის. ეთერის ლექსი ისეთივე წონადია, ლაკონიური, მეტყველი და, ამავე დროს, ძალზე პირადული... წყობა, სახეები – ეს ხომ ხალხური არ არის, თავისია, თათარაიძისაა. სხვათა შორის, თათარაიძის ფრაზები რომ არ თქვა თუშურად და თქვა ლიტერატურულ ქართულზე, ძალზე ბევრ რამეს დაკარგავს... ამ შემთხვევაში თუშური დიალექტის იდუმალი მადლიც ქმნის ფასეულობასა და განუმეორებლობას.

საგნობრივია მისი ლექსი. სიტყვა ისე უზის, რომ ფერწერული დატვირთვა აქვს... და ხმოვანებაა კიდევ, სიტყვის ხმოვანება... მერე რიტმიკა... შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ რითმა მარტივი აქვს, მაგრამ მე ძალიან საინტერესო მგონია... ბევრი პრინციპული თანხვედრა აღმოგვაჩნდა და, ამ დროს, სულ სხვადასხვა გარემოდან ვართ წამოსული... გარემო სხვადასხვაა, თუმცა, ესეც პირობითია. ეს სრულებით არ უშლის ხელს ჩემი და ეთერის მსოფლმხედველობრივ სიახლოვეს. დღე ისე არ გავა, რომ მის ლექსებზე არ ვიფიქრო. სადაც უნდა ვიყო, მუდამ თანმდევია ჩემთვის, ვერ წარმომიდგენია უიმათობა...

თენგიზ მირზაშვილი

დიალექტი თუ არქაული მეტყველება, ყოველთვის მასალაა მოდერნისტული ძიებისას, სტილიზებული ენის შესაქმნელად; და განა შეიძლება მკითხველის თვალში

მასალა ჩრდილავდეს მხატვრულ მხარეს, თუ ეს ის მკითხველია, ვინც განსაზღვრავს ლიტერატურულ ცხოვრებას?

ის მკითხველები შემორჩენით კი შემორჩენილან, მაგრამ მიმოფანტულან და ვეღარ ქმნიან შესაფერის გარემოს, საერთო გემოვნებასა და საზომებს.

ასე რომ იყოს, მართლაც შესაფერისი გარემო რომ ყოფილიყო, თავის დროზევე მოძველებული არ იქნებოდა ის უმწიფარი შეხედულებანი, თითქოს ვაჟა-ფშაველა დიალექტზე წერდა, ვასილ ბარნოვი არქაულ მეტყველებას ამჯობინებდა... ოთარ ჩხეიძე ქართლურ კილოკავს ეყრდნობოდა, ანა კალანდაძე არქაულ მანერასაც მიმართავდა და ხევსურულ დიალექტსაც...

სინამდვილეში ეს ყოველივე მოდერნისტული ძიებანია, ზოგადენობრივი სტილური მანერა, გადახალისების მოთხოვნილება, რაც ვერ ჩაიჭედება ხელოვნურ ჩარჩოებში. როცა ხერხადაა გამოყენებული, მაშინ იქნებ კოლორიტის შექმნას ისახავდეს მიზნად, მაგრამ როცა მხატვრული სისტემაა, მხოლოდ ზოგადენობრივი თვალთახედვით უნდა გავიაზროთ.

ამ რაკურსიდან უფრო უკეთ, უფრო სახიერად მოჩანს ყოველივე და ეთერ თათარაიძის ლექსებიც აღარ გვეჩვენება ჩაკეტილი ერთ რომელიმე კუთხე-მხარეში, აშკარად ვგრძნობთ, როგორ აირეკლავს და გამოსახავს მთლიანქართულის ფერებსა და ტეხილებს.

როსტომ ჩხეიძე

ეთერი იმთავითვე გვთავაზობს იმ ქსოვილს, რომელსაც ჩვენს პირველად თანაყოფნას დავარქმევდი. ეს უკანასკნელი თითქოს მისი მეშვეობით გამოთქვამს თავს.

ამიტომაც, პირველი, რასაც შეეჯახები ადამიანი, ესაა უშუალო, თუ გნებავთ, ინფანტილური განცდა იმ საერთო ნიადაგისა, რომელშიც ვართ - მას შემდეგ, რაც რაღაც ძალებმა ჩვენ, როგორც ხალხს, ამქვეყნად ყოფნა განგვიჩინეს. მის ლექსებს სწორედ ჩვენი ერთად ყოფნის, ჩვენი თანაობის, ჩვენი ხალხურობის მეტაფიზიკური ჰორიზონტი განსაზღვრავს. ეს პირველადი ერთად ყოფნის სიხარულია სწორედ, რაც ჰიპნოზურად გვეუფლება ამ ტექსტებთან შეხებისას და მნიშვნელობა არა აქვს, მათი მეშვეობით ტკივილი და სევდა გამოითქმის, თუ სხეულებთან და ადამიანებთან შეხვედრის შეუნიღბავი სიხარული. ყველა შემთხვევაში მეტყველებს ის შრე სულიერებისა, სადაც ჩვენი, როგორც ხალხის, თანაობა თამაშდება - ჩვენი ერთად ყოფნის ის ინტიმი, დაბადებიდანვე მადლად რომ მოგვეცემა.

ზაზა ფირალიშვილი

შეიძლება ადამიანი ოთხმოცდაათი წლის იყოს, მაგრამ უასაკო ყრმასავით სიხარულით, ნდობითა და გულწრფელობით აღიქვამდეს გარემომცველ საგნებს და მოვლენებს, შეჰყურებდეს და იგემოვნებდეს სამყაროს, რომელიც მარად ახალია, რადგან ყოველდღე ხელახლა იქმნება და იბადება.

ასეთი უასაკონი არიან პოეტები, რომელთაც თითქოს არ ჰყოფნიდეთ იმის ცოდნა, რომ მთვარეს მთვარე ჰქვია, მიწას – მიწა და სიცოცხლეს – სიცოცხლე. სიტყვათა არსში შეღწევას ლამობენ, და ყველა ნამდვილ პოეტს მსჭვალავს თუ ტანჯავს იმის შეგნება, რომ თვითონ რომ არა, ეს ამოდენა ქვეყნიერება სამუდამოდ სახელშეურქმეველი, ანუ გაუგებარი, შეუცნობელი და აღმოუჩენელი დარჩებოდა.

მაინცდამაინც ნუ შეგვაშფოთებს, თუ მითოსის სამანს გადავედით. მითოლოგიის გარეშე ვერაფრით მივხვდებით ეთერ თათარაიძის პოეზიას. აქ სიტყვებში, როგრც ნაცარში, ისე შეუნახავს პოეტს თავისი გრძნობების, თავისი მითიური წუხილის ნაღვერდალი.

გიორგი ლობჟანიძე

სვეტლანა ალექსიევიჩი

„სოციალიზმი დასრულდა. ჩვენ დავრჩით“ (ინტერვიუ)

რუსულიდან თარგმნა ნინო ბექიშვილმა

დიდი უტოპიისა და მისი პირმშოს შესახებ ციკლი სვეტლანა ალექსიევიჩმა თითქმის ოცდაათი წლის წინ ჩაიფიქრა. როგორც მეგობრები იხსენებენ, ხუთი ათასი მანეთი (იმ დროს დიდი ფული) ისესხა ვასილი ბიკოვისგან, აინკა ბრეილისგან და ალეს ადამოვიჩისგან, ჟურნალში, სადაც მუშაობდა, შვებულება აიღო, ბაბინებიანი მაგნიტოფონი იყიდა (სხვანაირი მაშინ არ არსებობდა) და საბჭოთა კავშირის ქალაქებში ნაფრონტალი ქალების ინტერვიუების ჩასაწერად გაემგზავრა. ასე დაიბადა წიგნი, რომლის სათაურიც იდიომად იქცა: «ომს ქალის სახე არა აქვს». მას შემდეგ დაიწერა «უკანასკნელი მოწმეები», «თუთიის ბიჭები», «ჩერნობილის ლოცვა». სვეტლანა ალექსიევიჩი ცნობილი მწერალია, პრესტიჟული რუსული, ევროპული და

ამერიკული ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. ხოლო ქვეყანა, რომელმაც უტოპიის ცხოვრებაში განხორციელება სცადა, აღარ არსებობს. «ხუთწიგნეულის» ახალი, უკანასკნელი ნაწილი «სექენდ ჰენდის დრო» ეპოქასთან დამშვიდობებაა.

უკვე ოცი წელია, მე და სვეტლანა მის წიგნებზე და კიდევ იმაზე ვსაუბრობთ, როგორ იცვლება სამყარო და როგორ ვიცვლებით ჩვენც.

ნ. ი.: შენი წიგნით დღევანდელი მსოფლმხედველობრივი პოლემიკის ცენტრში ექცევი. სსრკ-ს დაშლიდან უკვე ოც წელზე მეტი გავიდა, რუსული საზოგადოება კი ისევ ამ ნგრევის მიხედვით იყოფა – მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. პოლიტიკურ თოქ-შოუებში და ზოგადად, მედიაში, ყველაზე მძაფრი დისკუსიები ეხება დუმის დეპუტატების ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს იმის შესახებ, უნდა გამოიტანონ თუ არა ლენინი მავზოლეუმიდან, აგრეთვე სტალინს, დიდი სამამულო ომის მოვლენების გადაფასებას, გორბაჩოვის და ელცინის როლს, და იმასაც, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში ახალი და უახლესი ისტორია.

ს. ა.: ეს შიშის ბრალია, შიშისა, ახალი რეალობა რომ აჩენს, რეალობა, რომლის პირისპირაც აღმოვჩნდით და რომლის წინაშეც უძლურები ვართ. ამიტომ ერთგვარი თავდაცვის მიზნით საკუთარი წარსულიდან კი არ ამოვდივართ, არამედ, ჩვენივე მითებიდან ვაწყობთ რაღაც ფიგურებს. საკუთარი ისტორიიდან უცებ რაღაც საერთო დროში გადაგვისროლეს. თავიდან გვეჩვენებოდა, რომ ამ სამყაროში იოლად ჩავეწერებოდით. მასობრივი ცნობიერი ელოდა, რომ ჩვენთან ისეთივე ვიტრინები და ისეთივე მაღაზიები იქნებოდა. ინტელექტუალებს კი ეგონათ, რომ

პირდაპირ მსოფლიო ელიტის დონეს მიაღწევდნენ. არადა, აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ასეთი იოლი არ არის, რომ ესაა უზარმაზარი სამუშაო, რომელიც მოითხოვს თავისუფალ ადამიანებს, ისეთებს, როგორებიც ჩვენ არ ვყოფილვართ, და თავისუფალ აზროვნებას, რაც არ გვცოდნია. ჩვენ ახლა სამყაროში კი არ შევედით, არამედ თავს ვარიდებთ მას.

ნ. ი.: ამასწინათ გამოქვეყნდა ლავადას ცენტრის სოციოლოგიური გამოკითხვა ქვეყნის ლიდერების შესახებ. ყველაზე კარგი დამოკიდებულება აქვთ ბრეჟნევის (56%), ლენინის (55%), სტალინის (50%) მიმართ. გორბაჩოვისა და ელცინის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებაა (66% და 64%).

ს. ა.: მომხდარმა დიდი გულაცრუება გამოიწვია. ეს იმის მანიშნებელია, რომ ელიტებმა ვერ იმუშავეს.

ნ. ი.: შენთან ერთ-ერთი გმირი წუხს: «ჯერ არაფერი გაგვიგია იმ სამყაროს შესახებ, რომელიც ახლახან დასრულდა და უკვე ახალ სამყაროში ვცხოვრობთ. მთელი ცივილიზაცია აღმოჩნდა სანაგვეზე.» იქნებ ისაა პრობლემა, რომ არ ვცდილობთ გავარკვიოთ, რა მოხდა და მხოლოდ ვაფასებთ – კარგია ეს თუ ცუდი? შენი წიგნები, სადაც სრულიად განსხვავებული ადამიანების ხმა ისმის, დროს აღწერს.

ს. ა.: იდეას კი არ აღვწერ, როგორც ასეთს, არამედ წნეხში მოყოლილი ადამიანური ცხოვრების მეტაფიზიკურ ტრაგედიას. მე არავის განვსჯი. ეს უტოპიური იდეა ყველაზე კარგ, ლამაზ ადამიანებს ნთქავდა, რომლებიც ახალ ცხოვრებაში იმ რწმენით გადაეშვნენ, რომ კაცობრიობისთვის ბედნიერება მოჰქონდათ და ცხოვრებას კარგად, სწორად მოაწყობდნენ.

შევხვედრილვარ ასეთ ხალხს. თუმცა, ათასწლეულების მანძილზე ნანგრევებზე არასდროს კარგი არაფერი ამოზრდილა და ამიტომ, ყოველთვის გრძელ და ნელ სამუშაოზე უნდა გვქონდეს გათვლა.

ნ. ი.: პრობლემა იდეაშია თუ მის განხორციელებაში და «განმახორციელებლებში?»

ს. ა.: იდეის პასუხიმგებლობაზეც უნდა ვილაპარაკოთ. დარწმუნებული ვარ, ადამიანები კი არ უნდა მოვკლათ, იდეებს უნდა დავუპირისპირდეთ. ევროპაში დიდხანს ვიცხოვრე – მწერლები, თეატრალები, მხატვრები არსად არ არიან ჩაკეტილები გლამურულ თამაშებში. დაუსრულებელი დისკუსია მიდის იმის შესახებ, რაც საზოგადოებაში ხდება. განსაკუთრებით, გერმანიაში, რომელიც ახლა, ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად გვგავს. იქ კარგად გაიგეს, რომ ადამიანის ბუნებისა უნდა ეშინოდეთ: უზარმაზარი ცხოველი მკვდარია, მაგრამ პატარა მონსტრები, რომლებიც ეუფლებიან ადამიანს, გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ის დიდი ურჩხული. ამ პატარა მონსტრებთან ბრძოლის პრაქტიკა კი არც ლიტერატურას აქვს და არც – ინტელექტუალებს.

ნ. ი.: როგორ აფასებ ჩვენი ისტორიის ამ სამოცდაათ წელს – რა გამოცდილებაა ეს? რა არის კომუნიზმი? სოციალიზმი? შენს წიგნში «ვირუსზე», «შხამზე» ლაპარაკობ. ეს მასობრივი «დაავადება» იყო თუ ნათელი, მიუწვდომელი იდეალი, ან, შეიძლება, სულაც რაიმე მესამე?

ს. ა.: დღევანდელ დღეს, ეს, რა თქმა უნდა, მიუწვდომელ იდეალად მოჩანს. მართალია, კაცობრიობა სამართლიანი საზოგადოების გზას ადგას, მაგრამ ეს პერსპექტივა ჯერ ძალიან შორსაა.

ნ. ი.: «უბრალო» ადამიანების უმეტესობა, იმას, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, აფასებს, როგორც ძალიან დიდ უსამართლობას...

ს. ა.: ის, რაც რუსეთში მოხდა, სწორედ რომ დიდი უსამართლობაა. ბოლო დროს რუსეთის ათობით ქალაქი მოვიარე, ასობით ადამიანი გამოვკითხე. ისინი არ უარყოფენ სტალინის სისასტიკეს, რეპრესიებს, მაგრამ ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სამართლიანი იყო უბრალო ადამიანებთან, რომ მაშინდელი ფულიანი ადამიანი არ იყო ისეთი სასტიკი, როგორიც დღევანდელი პირველი თაობის «კაპიტალისტები» არიან, რომ არ იყო ამხელა კორუფცია. უფროსი თაობისთვის მთავარი ტრაგედია კეთილი ადამიანის და რაღაც საერთო, თანასწორი ცხოვრების გაქრობაა, რომელსაც სახელმწიფო მფარველობდა. ჩემი თაობის ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით, ინტელიგენცია, ისევ ამოვარდნილია ცხოვრებიდან, ისევ ღატაკია. ახალგაზრდები შედარებით ძლიერები არიან, ბევრმა მოიწყო ცხოვრება. მაგრამ ეს მხოლოდ დიდ ქალაქებშია ასე, პროვინციაში ახალგაზრდების პრობლემაც არ არის გადაწყვეტილი, ყველაზე მეტად მათ ის აწუხებთ, რომ განათლება თითქმის ყველგან ფასიანი გახდა. ამის გამოა, რომ ისევ ყველაფრის თავიდან დაწყება უნდათ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს.

ჩვენ რომ მაშინ სოციალ-დემოკრატიის გზა აგვერჩია, შეიძლება, ყველაფერი სხვანაირად წასულიყო. მაგრამ ახლა რა უნდა ვიმარჩიელოთ? 90-იანებში ძალიან დიდი დარტყმა მივიღეთ, ისეთი, როგორსაც არ ველოდით. ინტელიგენციას ეჩვენებოდა: ვიცით, რაც გვინდა, ახალ დროს ვეგებებით. ჩვენ მართლა გვინდოდა ცვლილებები. ხალხს კი, უბრალოდ, უკეთესი ცხოვრება სურდა. სხვათა

შორის, ჩემი გმირები ბევრად უფრო საინტერესოდ პასუხობენ ამ კითხვებს, ვიდრე მე.

არ ვარ მზად ვიმსჯელო, როგორც პოლიტიკოსმა და ეკონომისტმა. უბრალოდ, მთელი ამ ქაოსის ორგანიზება მსურდა. საზოგადოება დაიქსაქსა და ბევრი იდეა მუშაობს ამ სივრცეში. ჩემი ამოცანა იყო ცხოვრებისეული ენერგეტიკული დინებების გამორჩევა და მათი სიტყვაში გადმოტანა, თანაც, ამ ყველაფრის ხელოვნებად ქცევა. მინდოდა, რომ ყველას ეყვირა საკუთარი სიმართლე. ჩემთან ყველანი ლაპარაკობენ – ჯალათნიც და მსხვერპლნიც. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ მსხვერპლთა საზოგადოებად ვიქეცით. სულ მაინტერესებდა, რატომ არიან ჩუმად ჯალათები? რატომ გათანაბრდა ბოროტება და სიკეთე?

ნ. ი.: თვლი, რომ ჩვენი საზოგადოება სწორედ ასეა დაყოფილი: ჯალათებად და მსხვერპლებად?

ს. ა.: რა თქმა უნდა, დაყოფა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. «ქოროში» არის სიუჟეტი იმის შესახებაც, რომ ჩვენ ჯალათთა და მსხვერპლთა შორის ვიზრდებოდით და ვხედავდით, რომ ყველაფერი ერთმანეთში იყო გადაზელილი და ეს გვაშინებდა. ცვლილებებს სისუფთავე და სხვანაირი მსოფლმხედველობა სჭირდებოდა, რაც, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, არ აღმოგვაჩნდა. ყველაფერი გადაიდღაბნა, ყველაფერი ჩანასახში, ჩანახატში, მშვენიერ ოცნებებში დარჩა, ოღონდ ადრე სამზარეულოებში ოცნებობდნენ, ახლა კი მოედნებზე გადიან. მერე ვიღაც კონკრეტული ბიჭები გამოჩნდნენ, რომელებმაც ამ უზარმაზარი ქვეყნის დანაწილება დაიწყეს. დანაწილება, დახლეჩა, გატანა.

ნ. ი.: ერთ-ერთი შენი გმირი ამბობს: «სოციალიზმი ჩვენს თვალწინ კვდებოდა. მერე ეს რკინის ბიჭები მოვიდნენ». ნახე, რა საოცრად დაემთხვა ორი ხატება: ავღანეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაგზავნილი და იქ დაღუპული შენი «თუთიის ბიჭები» და «რკინის» დაუნდობელი «ძმები», პოსტსაბჭოთა 90-იანებიდან, რომლებიც მზად იყვნენ ფულის გამო ეხოცათ ხალხი... შენივე წიგნიდან ვიღებ ციტატას და გეკითხები: «ნუთუ საჭიროა, ვინმეს ვუამბოთ სოციალიზმზე? ვის? ჯერ კიდევ ყველა მოწმეა»...

ს. ა.: ვიღაცამ იმ ქვეყანაში საკუთარი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, ვიღაცამ ბავშვობაში ნახა და სწავლობდა იმათგან, ვინც სოციალიზმის დროს ცხოვრობდა, ან იმ წიგნებიდან, სოციალიზმის ადამიანებმა რომ დაწერეს. სოციალიზმი ჩვენში ჯერაც ცოცხალია, ჯერაც ყველაფერი სოციალიზმითაა აღბეჭდილი.

ნ. ი.: სოციოლოგიური კვლევების მიხედვით ახალგაზრდობის დიდ ნაწილს, მათ შორის მათაც, ვინც სსრკ-ს შემდეგ დაიბადა, გული სწყდება მის დაშლაზე. შეიძლება ვცდები, მაგრამ მარიემა ჩუდაკოვამ ძალიან მკაცრად ჩამოაყალიბა: «ასევე იქნება მანამ, სანამ არ დაიხოცებიან საბჭოთა ბებიები, რომელებიც შვილიშვილებს საკუთარი ცხოვრების შესახებ უყვებიან.»

ს. ა.: მე არ განვსჯიდი ბებიებს ასე მკაცრად, მთლად არ ტყუიან. ბევრი რამ, რაც დაიკარგა, დასანანია. უპირველეს

ყოვლისა კი – ღირსება. პატარა ადამიანის ღირსება. მე არ ვთვლი, რომ საჭიროა ყველაფერი ისევე აღდგეს, როგორც იყო, მაგრამ ის, რაც საბოლოოდ მივიღეთ, ჩემი ბევრი გმირის მსგავსად, მეც არ მომწონს. ოცნებები არ ახდა.

ნ. ი.: რა მიზანს ისახავდით, როცა უტოპიის შესახებ წიგნების ციკლი ჩაიფიქრეთ? როგორ არჩევდით მტკივნეულ საყრდენ წერტილებს? ზოგადად, როგორ შეიმუშავეთ ეს ჟანრი და ეს შინაგანი კონსტრუქცია – აღსარება- მონოლოგები, მრავალხმიანობიდან რომ იკვეთებიან, ქოროს ხმას რომ ფარავენ?

ს. ა.: ამ «წითელ» ენციკლოპედიას ოცდაათ წელზე მეტხანს ვწერდი. ყველაფერი ალეს ადამოვიჩთან შეხვედრით დაიწყო. დიდხანს ვეძებე ჩემი ჟანრი – მინდოდა ისე მეწერა, როგორც ჩემს ყურს ესმის. როცა წავიკითხე მისი წიგნი «ცეცხლმოკიდებული სოფლიდან», მივხვდი, რომ ეს შესაძლებელია. სულ მაწვალებდა ის, რომ სიმართლე ვერ თავსდება ერთ გულსა და ერთ გონებაში. რომ ის რაღაცნაირად დანაწილებულია, ბევრია და მთელ სამყაროშია მიმოფანტული. როგორ უნდა შეკრიბო? და აი, მივხვდი, რომ შეიძლებოდა შემეკრიბა. ასე დაიბადა «ომს ქალის სახელი არა აქვს». ომი რატომღაც სულ ჩვენი ცხოვრების ცენტრშია. მაშინ, 80-იანებში წიგნს არ ბეჭდავდნენ – ამ თემას ტაბუ ედო: ამ ადამიანების და მათი საქციელებისა, გენერალსიმუსიდან დაწყებული ჯარისკაცებით დამთავრებული, მხოლოდ ქება შეიძლებოდა, სხვანაირად ვერ იტყოდი, მხოლოდ ევფემიზმები იყო დაშვებული. სამხედრო ლიტერატურა, შენ ეს ჩემზე უკეთ იცი, ცდილობდა ომზე სხვანაირი ენით ელაპარაკა. მაგრამ ნახე, რა გამოვიდა: ჩვენ რაღაცას კი მივაღწიეთ, მაგრამ დღესაც დარჩათ ის სტერეოტიპები და შიშები და – არა მხოლოდ პოლიტიკოსებს. მთელი ეს

ბრალდებები ომის სიმართლის დამახინჯების შესახებ იმიტომ ჩნდება, რომ საზოგადოებას ეშინია გაიგოს სიმართლე საკუთარ თავზე, ეშინია გასწიოს შინაგანი სამუშაო. ჩვენ რომ მომავალი გააზრებული გვქონოდა, კარგად რომ გვცოდნოდა, რა გვინდა, მართლაც რომ გვეშენებინა საზოგადოება და ღია მსოფლიოს შევერთებოდით, ასე აღარ შეგვეშინდებოდა ჩვენი წარსულისა.

ნ. ი.: ვინმე გველის ამ ღია სამყაროში? როგორც ჩანს, ევროპა აპირებს «კონსულტაციების გამართვას ამ საკითხზე»...

ს. ა.: არავინ არსად არავის არ ელის. მაგრამ არსებობს რაღაც საერთო ინტელექტუალური და პოლიტიკური სივრცე, განვითარების ლოგიკა, საერთო მიმართულება, ისლამური სამყაროს გარდა, რომელზეც ძნელია საუბარი და ჩვენც იქით უნდა წავსულიყავით, გამოგვევლინა პოტენციალი და შესაძლებლობები. ახალგაზრდები გაიზარდნენ, დადიან და ნახულობენ მსოფლიოს, ბევრ ენაზე ლაპარაკობენ, უფრო გახსნილები, უფრო მობილურები არიან და შესძლებდნენ, ეს ახალი დრო ეშენებინათ. მაგრამ ისინი არავის სჭირდება. სოციალური კავშირები არ მუშაობს. რამდენს ნიშნავს ათი-თხუთმეტი წელი ადამიანისთვის, როცა უსაქმურადაა, არავის სჭირდება, თავისი სპეციალობით არ მუშაობს... ათი წლის შემდეგ მინსკში რომ დავბრუნდი, გავოგნდი, იმდენი მეგობარი დამხვდა გარდაცვლილი. იმიტომ დაიხოცნენ, რომ მათ დრო მოპარეს, წარსულში დააკონსერვეს. ჯერ ზოგადად, დრო მოიპარეს, ხოლო შემდეგ – მათი პირადი დრო.

ნ. ი.: გახსოვს, ერთი მოხუცი ქალი ამბობს შენთან: «სოციალიზმი დასრულდა, ხოლო ჩვენ დავრჩით». თანაც სამსახურების გარეშე ისინი დარჩნენ, ვინც შეჩვეული იყო საზოგადოებრივ აქტიურობას...

ს. ა.: რა თქმა უნდა. ეს რაღაც ენერგიას კვებავდა. ასე კი ადამიანები სიცარიელეში ჩაიძირნენ. ჩემი წიგნის მეორე ნაწილს სწორედ ასე ჰქვია: «სიცარიელის ხიბლი». შეეცადნენ დავერწმუნებინეთ, რომ ცხოვრებაში ფლობა და გლამურია ყველაზე მთავარი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბევრმა ძალიან მალე გაიგო, რომ ეს სისულელეა და ამის უკან არაფერია.

ნ. ი.: სიცარიელე რაღაცით უნდა შეივსოს.

ს. ა.: ყველანი ყვირიან, რომ ეროვნული იდეაა საჭირო, სინამდვილეში კი სიცარიელეს ხარახურით ავსებენ. უბრალო ადამიანს ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. ერთი ჩემი გმირი აღიარებს: როცა რკინის ფარდა გაიხსნა, ვფიქრობდით, რომ ყველანი სოლჟენიცინის კითხვას დაიწყებდნენ, ადამიანები კი ეცნენ და დაიწყეს ისეთი საჭმლის ჭამა, რაც მანამდე არ გაესინჯათ, გაეშურნენ იმ ადგილებისკენ, რომლებიც ადრე მხოლოდ ტელევიზორში ჰქონდათ ნანახი.

ნ. ი.: მთელ ქვეყანაში მოგზაურობის დროს ალბათ ხვდები გაუტეხელ, მოქმედ, წარმატებულ, პოზიტიურად განწყობილ ადამიანებს, ასეთები ცოტანი არ არიან არც შუა ხნის ხალხს და არც ახალგაზრდებს შორის. არ გიფიქრია, რომ მათი ისტორიებიც შესულიყო წიგნში?

ს. ა.: მაშინ სუფთა ჟურნალისტიკა გამოვიდოდა, ერთგვარი «დადებითი მაგალითი». ამ წიგნში ყველაზე მტკივნეული რაღაცები ვაჩვენე, ვაჩვენე ისიც, რა დგას ამის უკან.

ნ. ი.: არაერთხელ გითქვამს, რომ ჩვენ უბედური და დატანჯული ხალხი ვართ. იქნებ, არც არაფერი შეიცვალოს მანამ, სანამ არ შევწყვეტთ საკუთარ თავზე ასე ფიქრს?

ს. ა.: რა იქნება, არ ვიცი. ის, რომ ჩვენ უბედური და დატანჯული ხალხი ვართ ღრმა და ძველი რუსული ამბავია. წადი სოფელში და ნებისმიერ ქოხში დაელაპარაკე ადამიანებს: რაზე ილაპარაკებენ? მარტო უბედურებაზე.

მნიშვნელოვანია ის, რისკენ მოუწოდებენ ხალხს. ჩვენ ახლო წარსულში მოგვიწოდებდნენ, რომ რაღაცისთვის გაგვეწირა თავი, ახლა კი გვეუბნებიან – დღევანდელი დღით იცხოვრე, როგორც გინდა, ისე გადარჩიო. მოწოდება კი, მე ასე მგონია, უბრალოდ, ადამიანური უნდა იყოს: უნდა გაიაზრო, რატომ მოდიხარ... ეს გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე უარყოფითად ან დადებითად განწყობა. ჩვენ არა გვაქვს სიცოცხლით ტკბობის და ბედნიერების კულტურა, შემდეგი წიგნი, რომელსაც ვწერ, სიყვარულზეა: ასობით ადამიანის ნაამბობია სიყვარულზე. რუს მწერლებთან ვერ ვპოულობ ბედნიერი სიყვარულის ამბებს – ყველაფერი სიკვდილით, არაფრით, ან ძალიან იშვიათად, ქორწილით სრულდება. ჩვენთან არ ყოფილა ასეთი ცხოვრება და საიდან უნდა მოეტანა ის ლიტერატურას? ტანჯვა, ბრძოლა და ომი – ესაა ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი ხელოვნების გამოცდილება.

შენს კითხვებზე მარტივი პასუხები არა მაქვს. მე თვითონ ცხოვრების ამ მრავალშრიანობის, მრავალხმიანობის წინაშე გავქვავდი და მაქვს განცდა, რომ ამ დინებას ჩვენ არ ვმართავთ. ნეტავ საით წაგვიღებს? მგონი, ეს კარგად აქვს აღწერილი ავერინცევს, როცა ამბობს, რომ ჩვენ უმეცრების მდინარეებზე ვაგებდით ხიდებს, მდინარეებმა კი კალაპოტი შეიცვალეს. მომავალი სრულიად

არაპროგნოზირებადია, ამაზე მე და შენ ერთ ადრინდელ ინტერვიუშიც ვილაპარაკეთ. ჩვენ აქ საკუთარ პრობლემებში ვიქექებით, კაცობრიობა და სამყარო კი იმდენად შეიცვალა, რომ გავოგნდით ჩვენს წინაშე უცბად გადაშლილი მრავალფეროვნების პირისპირ.

ჩემი ამოცანა კითხვების დასმა იყო.

ნ. ი.: ამ წიგნით იმასაც ხვდები, რომ დღეს ადამიანები სხვანაირად და სხვა რაღაცებზე ყვებიან, ისე არა, როგორც ოცდაათი, ოცი წლის წინ...

ს. ა.: დღეს უფრო ღიად ლაპარაკობენ საკუთარ გრძნობებზე, სამყაროს აღქმაზე, უფრო ფართოდ აღიქვამენ მოვლენებს. გაქრა კანონი, რომლის მიხედვითაც უნდა გელაპარაკა. მაშინ, როცა ვწერდი წიგნს, «ომს ქალის სახე არა აქვს», ომის კანონი მოქმედებდა. ჩერნობილის შესახებ რომ ვწერდი, უკვე სხვა ვითარება იყო, კანონი აღარ არსებობდა და ადამიანს თავად უნდა განესაზღვრა, რა და როგორ ეთქვა. ასე იყო ახლაც, როცა ვმუშაობდი წიგნზე «სექენდ ჰენდის დრო».

ნ. ი.: და მაინც, საიდან გაჩნდა უკვე გამოყენებული «დრო» სათაურში?

ს. ა.: იმიტომ, რომ იდეები, სიტყვები – ყველაფერი თითქოს სხვისია, გუშინდელია, ნახმარია. ვერავინ ხვდება, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა გადავრჩეთ და ამიტომ, ყველა იმას მიმართავს, რაც ოდესღაც იცოდა, რაც სხვისი ცხოვრებაა, რაც წინა გამოცდილებაა. ჯერჯერობით სექენდ ჰენდის დრო დგას. თუმცა, ნელ-ნელა ვიწყებთ გონზე მოსვლას და საკუთარი თავის გააზრებას სამყაროში. არავის უნდა სულ ნანგრევებში ცხოვრება, სურთ რაღაც ააშენონ ამ ნამსხვრევებიდან.

ნ. ი.: ისიც საკითხავია, რა უნდა აშენდეს და რატომ? არ მეგონა, მაგრამ წიგნში დაახლოებით ათი ადამიანი აუგად მოიხსენიებს ამ საცოდავ ძეხვს, კაპიტალისტური კეთილდღეობის სიმბოლოს, რომლის გამოც დაემშვიდობნენ იდეას და შესაბამისად, ქვეყანასაც. ძლიერი სახეა და უპირველეს ყოვლისა მიჯაჭვულობის უაზრობას ასახავს.

ს. ა.: იმ ქვეყანაში სხვა გამოცდილება არსებობდა. ოდესღაც შალამოვი ამბობდა, რომ ბანაკის გამოცდილება მხოლოდ ბანაკშია საჭიროო. ჩვენც სწორედ ამ სიტუაციაში ვართ ახლა.

ნ. ი.: თაობებისთვის იყო საყრდენი ლიტერატურა, რუსული კლასიკა. ახლა ეს გამოცდილებაც აღარ არსებობს, მიდის, კითხვა აღარ არის ადამიანის კულტურის განმსაზღვრელი მთავარი პარამეტრი, ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილებაა. როგორ ფიქრობ, შეიძლება კულტურულ ადამიანად მივიჩნიოთ ის, ვინც არ კითხულობს?

ს. ა.: ჩვენი წრის ადამიანი გიპასუხებთ, რომ არა. მაგრამ მაღალი კულტურა შეიძლება სხვადასხვანაირად განისაზღვროს. ერთხელ ასეთი სცენის მონაწილე გავხდი: ჩვენი მასპინძელი, მოსკოველი მეცნიერი, ძალიან ცნობილი კაცი, რომელიც კოსმოსს იკვლევს, კომპანიის სული და გული, მთელი საღამო რუსული კლასიკიდან იშველიებდა ციტატებს და ლექსებს კითხულობდა ზეპირად. ერთ-ერთმა სტუმარმა, დასავლელმა კოლეგამ ჰკითხა: სპეცილურად ისწავლეთ ლექსები ზეპირად? აი, რა მიკვირდა დასავლეთში ყველაზე მეტად – არ არის აუცილებელი ჰუმანიტარული დიაპაზონი, ძლიერი პროფესიონალები არიან, მაგრამ ფართო განათლება არა აქვთ.

ნ. ი.: იქნებ თვითონ მწერლები არიან დამნაშავენი, რომლებიც 90-აინებში გაექცნენ იმ პრობლემებს, ადამიანებს რომ აწუხებდათ? წაგიკითხავს რამე ამ ბოლო დროს ისეთი, რაზედაც იტყოდი: «ოჰ, ამის გამოტოვება არ შეიძლება!»

ს. ა.: სულ ვკითხულობ ოლგა სედაკოვას. ისეთ ბნელ დროს, როგორიც ჩვენია, აუცილებლად გვჭირდება მქადაგებლები და მისი არსებობა თანამედროვე ყოფაში ჩემთვის ლამპარივითაა.

ნ. ი.: ამბობ, ბნელი დროაო. 80-იან წლებში ლიხაჩოვი წინასწარმეტყველებდა: მეოცე საუკუნემ ტოტალიტარიზმის გამოცდილება და დიდი სამეცნიერო წინსვლა მოიტანა, შემდეგი კი კულტურის საუკუნე იქნებაო.

ს. ა.: მგონია, რომ ეს არ გამოგვივა, როგორც მეოცე საუკუნეში არ გამოგვივიდა მეცხრამეტე საუკუნის კანონებით ცხოვრება. რაღაც სრულიად განსხვავებული იქნება.

ნ. ი.: დოკუმენტური და მხატვრული ლიტერატურის სინთეზი, რომელიც ოდესღაც შენი გამოცდილება იყო, დღეს ტრენდად იქცა. ვითარდება დოკუმენტური რომანის ჟანრი, ჩნდება ავტობიოგრაფიული წიგნები გამოგონილი სახელებით, ან პირიქით, ვიღაცები საკუთარი სახელით თითქოს მემუარებს წერენ, მაგრამ ეს «ნიღაბია», იქ რეალური ადამიანები და გამოგონილი პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს, ან ლიტერატურული პერსონაჟები განიხილავენ რეალურად არსებული ადამიანების პრობლემებს.

ს. ა.: ეს რეალობასთან მიახლოების მცდელობებია.

ნ. ი.: რა თქმა უნდა, თანაც, სიტუაციაში, როცა ადამიანს სჯერა სწორედ დოკუმენტისა და ფაქტის, და არა მათი ინტერპრეტაციისა.

ს. ა.: დოკუმენტებსა და ფაქტებში გაცილებით უფრო მეტი მოულოდნელობა აღმოვაჩინეთ, ვიდრე ველოდით. გვეგონა, რომ დოკუმენტი უბრალო, სწორხაზოვანი, შიშველი რამე იყო. ის კი ზუსტად დროით და ადამიანითაა საინტერესო. დღეს გაფართოვდა მიდგომა დოკუმენტებისადმი. ადრე გიშლიდნენ – არ შეიძლებაა ხელის ხლებაო, იქ არ შეიხედოო... სულ მიკვირდა, რატომ არ შეიძლება ჩემი გმირების ძალიან პირად და იდუმალ ამბებზე წერა?.. უბრალოდ, საჭიროა მერე კარგად დაიცვა ისინი.

ნ. ი.: სვეტლანა, განსხვავდება შენი წიგნების აღქმა ჩვენთან და დასავლეთში? როგორია ის?

ს. ა.: უკვე 125 წიგნი გამოვეცი სხვადასხვა ენაზე. ამ ქვეყნის, ამ იდეის მიმართ ინტერესი დიდია და როგორც ჩანს, მე შევძელი მენახა ის ფორმა, რომელიც საშუალებას მომცემდა, უფრო კარგად მოვახერხო სათქმელის და ადამიანის გახსნა. უკვე თქვეს, რომ საშინელებებს ვაგროვებ, მაგრამ ეს ასე არ არის. წაიკითხეთ წიგნები იმის შესახებ, რაც რუანდაში მოხდა, დასავლეთის ბაზარზე იმდენი წიგნია თანამედროვე ცხოვრების საშინელებებზე, რომ ჩემები მათთან შედარებით საბავშვო ზღაპრებია. კიდევ ერთი მიზეზი არსებობს, რომლის გამოც ჩემი წიგნები ეგრევე მიიღეს. მაგალითად, ავღანეთის შესახებ დაწერილი «თუთიის ბიჭების» შემდეგ საფრანგეთში დაიწყეს ლაპარაკი ალჟირის ომზე. «ჩერნობილის ლოცვა» საფრანგეთში სამასი თუ ოთხასი ათასიანი ტირაჟით გამოიცა, ბევრი სპექტაკლი დაიდგა. ეს მხოლოდ იმას არ

უკავშირდება, რომ მათ ტერიტორიაზე ბევრი ატომური სადგურია – ჩვენი მსოფლმხედველობა, სიყვარულის ჩვენეული გაგება, სიყვარულის სახელით ექსტრემალურ სიტუაციაში გაღებული მსხვერპლი მათთვისაც ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა.

ნ. ი.: იაპონიაში ფუკიშიმას შემდეგ?

ს. ა.: ფუკიშიმას შემდეგ თავიდან გამოსცეს «ჩერნობილის ლოცვა». იქ კუნძულ ჰოკაიდოზე ატომური ელექტროსადგურია, «თამარა» ჰქვია. მახსოვს, წიგნი პირველად რომ გამოვიდა, ჩავედი იქ. ფანჯრიდან რომ გავიხედე – წარმოუდგენლად ლამაზი ბუნება და ეს არამიწიერი, კოსმოსური ობიექტი დავინახე. შეხვედრაზე მოსული სადგურის თანამშრომელები სრულიად დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათთან წარმოუდგენელია, მომხდარიყო ის, რაც მოუწესრიგებელ რუსებს მოუვიდათ, მათ ყველაფერი გათვლილი აქვთ და ამგვარი არაფერი მოხდება. და რა? სეისმომდგარდობაზე ერთი ბალით მეტი მიწისძვრა მთელი ამ პროგრესიდან მხოლოდ ნაგავს დატოვებდა... 11 სექტემბრის შემდეგ «ჩერნობილის ლოცვას» და «თუთიის ბიჭებს» ინტერესით კითხულობენ ამერიკელები. სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მართალია, ადრე ასე გვეგონა, მაგრამ მარტონი არ ვართ ამ სამყაროში, არსებობს რაღაც სხვა კანონებიც, რაღაც სხვა ძალებიც...

ნ. ი.: რატომ ვერ დაასრულე წიგნი სიყვარულზე, რომელზეც ამდენი წელია მუშაობ? მგონია, რომ მის გარეშე ციკლი საბჭოთა ადამიანის შესახებ არასრულია. ეს ხომ რომანტიკული აღტკინების, წმინდა სიყვარულის დროც იყო...

ს. ა.: არა, ეს ციკლი დღეს უკვე დასრულებულია და მასში ხუთი წიგნი შედის: «ომს ქალის სახე არა აქვს», «უკანასკნელი მოწმეები», «თუთიის ბიჭები», «ჩერნობილის ლოცვა» და «სექენდ ჰენდის დრო». სულ ესაა «წითელი» ციკლი. წიგნები სიყვარულზე, სიბერეზე და სიკვდილზე – სრულიად განსხვავებული იქნება. მათ უკვე სხვა ადამიანი დაწერს.

ნ. ი.: როგორი?

ს. ა.: ჯერ არ ვიცი, მაგრამ სხვა. ადამიანი, რომელსაც დღეს ბევრად უფრო მეტად აოცებს ცხოვრება, ვიდრე ადრე. ადრე უფრო მეტად მაინტერესებდა ზოგადი იდეები და ადამიანზე თავსდატეხილი სტიქიები: ომი, ჩერნობილი... დღეს უპირველეს ყოვლისა ის მაინტერესებს, რაც ერთი ადამიანის სულშია. მეჩვენება, რომ იქ მთელი სამყარო იყრის თავს.

ომს არა აქვს ქალის სახე (ფრაგმენტი წიგნიდან)

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ადამიანი ომზე მეტია *(წიგნის დღიურიდან)*

მუქთად დახოცილთ მილიონებმა
ბნელში ბილიკი გაკვალეს მრუმე...

ოსიპ მანდელშტამი

1978-1985 წლები – ომის შესახებ ვწერ წიგნს...

მე – არასოდეს რომ არ მიყვარდა ომის შესახებ კითხვა, თუმცა ჩემს ბავშვობასა და სიყმაწვილეში ეს ყველას საყვარელი საკითხავი იყო. ყველა ჩემი თანატოლისა. ეს არცაა გასაკვირი – ჩვენ ხომ გამარჯვების შვილები ვიყავით. გამარჯვებულთა შვილები. ომთან დაკავშირებით პირველი რა მაგონდება? ესაა ჩემი ბავშვური სევდა გაუგებარი და შემაშფოთებელი სიტყვების გარემოცვაში. ომს გამუდმებით ახსენებდნენ: სკოლაში თუ შინ, ქორწილში თუ ნათლობაში, დღესასწაულზე თუ ქელეხში. ბავშვების საუბრებშიც კი. მეზობლის ბიჭმა ერთხელ მკითხა: «ადამიანები მიწის ქვეშ რას აკეთებენ? იქ როგორ ცხოვრობენ?» ჩვენც ვცდილობდით, ომის საიდუმლო ამოგვეცნო.

სწორედ მაშინ დავუფიქრდი სიკვდილს... და მას მერე ეს ფიქრი არც შემიწყვეტია: სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლის მთავარ საიდუმლოდ იქცა.

ჩვენთვის ყველაფერი იმ საშინელი და იდუმალი სამყაროდან იღებდა სათავეს. ჩვენს ოჯახში უკრაინელი პაპა, დედაჩემის მამა, ფრონტზე დაიღუპა და სადღაც უნგრეთის მიწაშია დაკრძალული, ბელარუსი ბებია,

მამაჩემის დედა, პარტიზნებთან ტიფით გარდაიცვალა, მისი ორი ვაჟი ჯარში მსახურობდა და ომის პირველივე თვეებში უგზოუკვლოდ დაიკარგა, სამიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა შინ. ის ერთი მამაჩემია. თერთმეტი შორი ნათესავი ბავშვებთან ერთად გერმანელებმა ცოცხლად დაგვიწვეს – ზოგი თავის ქოხმახში, ზოგიც სოფლის ეკლესიაში. ასე იყო ყველა ოჯახში, ყველასთან.

სოფლელი ბიჭები კიდევ დიდხანს თამაშობდნენ «გერმანელებსა» და «რუსებს». გაჰყვიროდნენ გერმანულ სიტყვებს: «ჰენდე ჰოჰ!» «ცურიუკ», «ჰიტლერ კაპუტ».

მშვიდობას ომის გარეშე არ ვიცნობდით, ომის სამყარო ჩვენთვის ნაცნობი ერთადერთი სამყარო იყო, ხოლო ომის ადამიანები ჩვენი ერთადერთი ახლობლები იყვნენ. სხვა სამყაროსა და სხვა ადამიანებს არც ახლა ვიცნობ. ყოფილან კი ოდესმე სხვები?

* * *

ჩემი ბავშვობის ომისშემდგომი სოფელი მთლიანად ქალებით იყო დასახლებული. კაცების ხმები არ მაგონდება. ასევე ჩამრჩა მეხსიერებაში: ომის ამბებს დედაკაცები ჰყვებიან. მოთქვამენ. მოთქმით მღერიან.

სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნების ნახევარი ომზეა. სოფლისაშიც, რაიონის ცენტრისაშიც, საიდანაც მამას ხშირად ჩამოჰქონდა წიგნები. ახლა შემიძლია ვუპასუხო შეკითხვას, თუ რატომ იყო ასე. განა ეს შემთხვევითი იყო? შულ მუდამ ვომობდით ან ომისთვის ვემზადებოდით. სხვაგვარად არასოდეს გვიცხოვრია და ეს, ალბათ, არც შეგვიძლია. ვერ წარმოგვიდგენია სხვაგვარად ცხოვრება, ამის სწავლა ოდესმე დიდხანს მოგვიწევს.

სკოლაში სიკვდილის სიყვარულს გვინერგავდნენ. ვწერდით თხზულებებს იმის შესახებ, რომ გვინდოდა ამა და ამისთვის შეგვეწირა სიცოცხლე... ამაზე ვოცნებობდით...

ქუჩიდან მოსული ხმები კი სულ სხვას გაიძახოდნენ, უფრო დაჟინებით გვიხმობდნენ.

ძალზე დიდხანს ვიყავი წიგნიერი ადამიანი, ვისაც სინამდვილე იზიდავდა და აშინებდა. ცხოვრების არცოდნა უშიშობას ბადებდა. ახლა ვფიქრობ: უფრო რეალისტი რომ ვყოფილიყავი, განა ამ უფსკრულში გადავეშვებოდი? ასეთ ტვირთს ავიკიდებდი? რამ გამოიწვია ეს – არცოდნამ? თუ გზის წინათგრძნობამ? რადგან გზის წინათგრძნობა მართლაც არსებობს...

დიდხანს ვეძებე... რომელი სიტყვებით გადმომეცა ის, რაც ჩამესმოდა? ვეძებდი ისეთ ჟანრს, სამყაროს ჩემეულ ხედვას, ჩემი თვალისა და ყურის მოწყობილობას რომ შეესატყვისება.

ერთ მშვენიერ დღეს ხელში ჩამივარდა ა. ადამოვიჩის, ი. ბრილისა და ვ. კოლესნიკის წიგნი «მე ცეცხლოვანი სოფლიდან ვარ». ცხოვრებაში ასე ძლიერ მხოლოდ დოსტოევსკის კითხვამ შემძრა. აქ კი სრულიად უჩვეულო ფორმა დამხვდა: რომანი თვით ცხოვრების ხმებისგანაა შექმნილი, ეს ჩემ მიერ ბავშვობაში მოსმენილი ხმებია, ისინი დღესაც ისმის ქუჩაში, შინ, კაფეში, ტროლეიბუსში. მაშ, ასე! წრე შეიკრა. რასაც ვეძებდი, რასაც წინათგრძნობა მკარნახობდა, ის ვიპოვე.

ალეს ადამოვიჩი ჩემი მასწავლებელი გახდა.

* * *

ორი წლის მანძილზე იმდენად ადამიანებს კი არ ვხვდებოდი და მათ ლაპარაკს კი არ ვიწერდი – უფრო ვფიქრობდი. ვკითხულობდი. რაზე იქნება ჩემი წიგნი? მორიგი წიგნი ომის შესახებ... რისთვის? ისტორიას ათასობით ომი ახსოვს, დიდი თუ მცირე, ცნობილი თუ უცნობი. მათ შესახებ ხომ სულმთლად ბევრია დაწერილი. მაგრამ... ამ ყველაფერს მამაკაცები წერდნენ მამაკაცების შესახებ – ამას მაშინვე მივხვდი. ყველაფერი, რაც ომის შესახებ ვიცი, «მამაკაცის ხმით» მოვისმინეთ. ომის შესახებ «მამაკაცური» წარმოდგენებისა და «მამაკაცური» შეგრძნებების ტყვეობაში ვიმყოფებით. «მამაკაცური» სიტყვებისაც. ქალები კი დუმან. ჩემ გარდა ხომ არავის გამოუკითხავს ბებიაჩემი. დედაჩემი. ისინიც კი დუმან, ვინც ფრონტზე იყო. და მხოლოდ შინ, ნაფრონტალი მეგობარი ქალების წრეში წაიტირებენ და თავიანთი ომის შესახებ თხრობას იწყებენ, სრულიად უცნობი რომაა ჩემთვის. მხოლოდ ჩემთვის კი არა, ყველა ჩვენგანისათვის. ჩემი ჟურნალისტური მოგზაურობებისას არაერთხელ ვყოფილვარ სრულიად ახალი ტექსტების ერთადერთი მსმენელი. მოსმენილით ისე ვიყავი შეძრული, როგორც ბავშვობაში. ამ მონათხრობიდან უცხო საიდუმლოს დაბჯენილი ხახა მზარავდა... როდესაც ქალები საუბრობენ, სრულებით ან თითქმის არაფერს გაწვდიან ისეთს, რის კითხვას და მოსმენასაც ვართ მიჩვეულნი: თუ რა გმირულად ხოცავდნენ ერთნი მეორეებს და როგორ გაიმარჯვეს. ანდა, როგორ დამარცხნენ. როგორი ტექნიკა ჰქონდათ და როგორი გენერლები ჰყავდათ. ქალები სხვაგვარად და სხვა რამეებზე მოგვითხრობენ. «ქალის» ომი სხვაგვარადაა შეფერილი, სხვა სუნი, სხვა განათება და გრძნობათა საკუთარი სივრცე აქვს. საკუთარი სიტყვებიც. იქ გმირებისა და დაუჯერებელი გმირობების ნაცვლად უბრალოდ, ადამიანებს შეხვდებით,

არაადამიანური და მაინც ადამიანური საქმით დაკავებულებს. თანაც, იქ მხოლოდ ისინი (ადამიანები!) როდი იტანჯებიან, არამედ მიწაც, ფრინველებიც, ხეებიც. ყველაფერი, რაც ამქვეყნად ჩვენთან ერთად ცხოვრობს. უსიტყვოდ რომ იტანჯებიან, ეს კიდევ უფრო შემზარავიც კია.

კი, მაგრამ, რატომ? – არაერთხელ მიკითხავს ჩემივე თავისთვის, – რატომაა, რომ ქალებმა შეძლეს ოდესღაც მთლიანად მამაკაცურ სამყაროში თავის დამკვიდრება, მაგრამ ვერ დაიცვეს საკუთარი ისტორია? საკუთარი სიტყვები და განცდები? საკუთარ თავს თვითონვე არ დაუჯერეს. მთელი მათი სამყარო ჩვენგან აღმოუჩენელი დარჩა. მათ ომს დღემდე არ ვიცნობთ...

ჰოდა, სწორედ ამ ომის ისტორია მსურს დავწერო. ქალური ისტორია.

* * *

პირველი შეხვედრების შემდეგ...

გაოცება: ამ ქალებს სამხედრო პროფესიები ჰქონდათ – სანინსტრუქტორი, სნაიპერი, მეტყვიამფრქვევე, საზენიტო ქვემეხის მეთაური, მესანგრე, ახლა კი ბუღალტრებად, ლაბორანტებად, ექსკურსიამძღოლებად, მასწავლებლებად მუშაობენ... აქაც და იქაც – როლების შეუსაბამობა. ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს საკუთარ თავებს კი არა, ვიღაც სხვა გოგონებს იხსენებენ. მაშინდელი საკუთარი თავი დღეს თვითონვე აკვირვებთ. და ჩემ თვალწინ ისტორიის «გაადამიანება», მისი ჩვეულებრივ ცხოვრებასთან მიმსგავსება ხდება. მას სულ სხვა შუქი ეფინება.

ამ ქალებს შორის სრულიად გასაოცარი მთხრობელები მხვდება, მათ ცხოვრებაში ისეთი ფურცლებია, კლასიკის საუკეთესო ფურცლებს რომ გაეჯიბრება. ადამიანი ასე ცხადად ხედავს საკუთარ თავს ზევიდან – ციდან, და ქვევიდან – მიწიდან. მის წინაშე მთლიანადაა გადაშლილი ზევით ამავალი და ქვევით ამავალი გზები: ანგელოზიდან – მხეცამდე. მოგონებები არ არის წარსულის მღელვარე თუ აუღელვებელი თხრობა – ეს წარსულის ხელახალი დაბადებაა, როდესაც დრო პირუკუ იწყებს სვლას. ეს, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებაა. თხრობისას ადამიანები ქმნიან, «წერენ» თავიანთ ცხოვრებას. ზოგჯერ «მინაწერსაც», ანდა «კორექტურასაც» აკეთებენ. ამიტომაც ფხიზლად ყოფნა გიწევს. ამასთან, ტკივილი ყოველგვარ სიყალბეს ადნობს და სპობს. ტემპერატურა მეტისმეტად მაღალია! როგორც დავრწმუნდი, გულწრფელად იქცევიან უბრალო ადამიანები – მედდები, მზარეულები, მრეცხავები... მათ – როგორ გამოვთქვა? – სიტყვები საკუთარი თავიდან ამოაქვთ, და არა გაზეთებიდან თუ წიგნებიდან: სხვის სიტყვებს არ იყენებენ. მხოლოდ საკუთარ ტკივილსა და განცდებს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, განათლებული ადამიანების გრძნობები და მეტყველება ხშირად ბევრად უფრო მეტადაა დროის მიერ დამუშავებულ-შეცვლილი. მისი ზოგადი შიფრი ადევს. მეორადი ცოდნის, მითების სენი აქვს შეყრილი. ხშირად დიდხანს გიწევს, ადამიანს გარს წრეები უარო, რათა «მამაკაცური» ომის ნაცვლად «ქალური» ომის ამბავი გამოსტყუო: თავდაპირველად იმას მოგითხრობს, თუ როგორ იხევდნენ უკან, როგორ უტევდნენ, ფრონტის რომელ მონაკვეთზე... ერთი შეხვედრა არ კმარა, რამდენიმე სეანსი გჭირდება. როგორც ნამდვილ პორტრეტისტს.

დიდხანს, ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში მიწევს უცნობ ბინაში ჯდომა. ჩაის ვსვამთ, ცოტა ხნის წინათ ნაყიდ კოფტებს ვიზომავთ, ვარცხნილობებისა და კულინარული რეცეპტების შესახებ ვსაუბრობთ. შვილიშვილების ფოტოსურათებს ვათვალიერებთ. და, აი, სწორედ მაშინ... გარკვეული დროის შემდეგ – არასოდეს იცი ზუსტად, რა დრო უნდა გავიდეს – დგება ის ნანატრი წუთი, როდესაც ადამიანი სცილდება კანონს, ჩვენი ძეგლებივით თაბაშირითა და რკინაბეტონით ნაგებს, და საკუთარ თავს უბრუნდება. უღრმავდება. ომის ნაცვლად საკუთარი ახალგაზრდობის გახსენებას იწყებს. თავისი ცხოვრების მონაკვეთს იხსენებს... ამ წუთის მოხელთებაა მთავარი. არ უნდა გამოგეპაროს! მაგრამ ხშირად სიტყვებით, ფაქტებით, ცრემლით სავსე გრძელი დღის შემდეგ მეხსიერებაში ერთადერთი ფრაზა დამრჩენია (თანაც როგორი ფრაზა!): «ფრონტზე ისეთი პატარა წავედი, რომ ომის განმავლობაში ტანიც კი ავიყარე». ბლოკნოტში სწორედ მას დავიტოვებ, თუმცა მაგნიტოფონზე ათობით მეტრიანი ფირი ჩავიწერე. ოთხი-ხუთი კასეტა...

რა მეხმარება? მეხმარება ის, რომ ჩვენი ხალხი ერთობლივ ცხოვრებასაა შეჩვეული. ერთად, ერთსულოვნად. «სობორული» ადამიანები ვართ. ყველაფერი საერთო გვაქვს – ბედნიერებაც და ცრემლიც. ტანჯვის ატანაც შეგვიძლია და მისი აღწერაც. ტანჯვა ჩვენს მძიმე და არეულ-დარეულ ცხოვრებას ამართლებს. ჩვენთვის ტკივილი ხელოვნებაა. უნდა ვაღიარო, ქალები ამ გზას მამაცურად ადგებიან...

* * *

როგორ მეგებებიან?

მომმართავენ ასე: «გოგონი», «შვილო», ალბათ, მათი თაობის წარმომადგენელი რომ ვყოფილიყავი, სხვაგვარად მომეპყრობოდნენ. თავისუფლად და თანასწორად. იმ სიხარულისა და გულაჩუყების გარეშე, სიბერის ახალგაზრდობასთან შეხვედრას რომ ახლავს თან. ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და ახლა, მოხუცებულობაში იხსენებენ იმ დროს. მას მერე მთელმა ცხოვრებამ, ორმოცმა წელიწადმა განვლო. ფრთხილად გადამიშლიან თავიანთ სამყაროს, მიფრთხილდებიან: «ომი როგორც კი დამთავრდა, გავთხოვდი. ქმრის ზურგს ამოვეფარე. ყოფას, ბავშვის საფენებს. სიხარულითაც ამოვეფარე. დედაც მთხოვდა: «ჩუმად იყავი! ხმა არ ამიღო! ნურაფერს იტყვი». სამშობლოს წინაშე ვალი მოვიხადე, მაგრამ იქ რომ ვიყავი, ეს მასევდიანებს. ნეტავ არ მცოდნოდა... შენ კი სულ პატარა გოგო ხარ. მეცოდები...» ხშირად ვაკვირდები: სხედან და საკუთარ თავს აყურადებენ. საკუთარი სულის ხმას სიტყვებს უწყობენ. მრავალი წლის შემდეგ ადამიანი ხვდება, რომ, აი, ეს მისი ცხოვრება იყო, ახლა კი ბედთან შერიგება და წასასვლელად მომზადება უწევს. გული ეთანაღრება, ასე უბრალოდ რომ უნდა გაქრეს. უდიერად. შეუმჩნევლად. აი, ასეთ დროს უკან მოიხედავს ხოლმე, უჩნდება სურვილი, არა მხოლოდ თავისი ამბავი მოუთხროს ვინმეს, არამედ სიცოცხლის საიდუმლოსაც ჩასწვდეს. საკუთარ თავს უპასუხოს ამ შეკითხვაზე: რატომ გადამხდა თავს ეს ყოველივე? ყველაფერს გამოთხოვების თვალით, ოდნავ სევდიანად უცქერს... აღარც ტყუილი სჭირდება, აღარც თავის მოტყუება. უკვე ესმის, რომ სიკვდილზე ფიქრის გარეშე ადამიანში ვერაფერს ამოიცნობ. მისი საიდუმლო ყველაფერს ფარავს.

ომი მეტისმეტად ინტიმური განცდაა. და ადამიანის ცხოვრებასავით უსასრულო...

ერთხელ ქალმა (მფრინავმა) შეხვედრაზე უარი მითხრა. ტელეფონით ამიხსნა: «არ შემიძლია... არ მინდა გახსენება. სამი წელი ვიყავი ოში... და ის სამი წელი თავი ქალად არ მიგრძვნია. ორგანიზმი თითქოს გამიქვავდა. მენსტრუაცია შემიჩერდა, თითქმის ყველა ქალური სურვილი გამიქრა. არადა, ლამაზი ვიყავი... როცა მომავალმა მეუღლემ ცოლობა მთხოვა... ეს უკვე – ბერლინში, რაიჰსტაგთან... მითხრა: «ომი დამთავრდა. გადავრჩით. გაგვიმართლა. ცოლად გამომყევი». ტირილი მომინდა. მინდოდა მეყვირა, მისთვის სილა გამეწნა! რას ჰქვია, «ცოლად გამომყევი»?! ახლა? ამ საშინელებაში გათხოვებაზე ვიფიქრო? ამ შავ ჭვარტლსა და გაშავებულ აგურებს შორის... შემომხედე... ნახე – რას დავემსგავსე! ჯერ ქალად მაქციე: ყვავილები მაჩუქე, მომეფერე, ქათინაურები მითხარი. ეს ისე ძალიან მინდა, ისე ველოდები შენგან ამას! ლამის მართლა გავარტყი სილა... დავაპირე... მას კი ცალი ლოყა გამწვარი და ღვინისფრად ატყავებული ჰქონდა. ვხედავ, ყველაფერს მიხვდა და ამ გამწვარ ლოყაზე ცრემლები ჩამოსდის... ახალ ნაიარევზე... და საკუთარ სიტყვებს თვითონვე ვერ დავუჯერე: «ჰო, გამოგყვები ცოლად».

მაპატიეთ... არ შემიძლია...»

ამ ქალს გავუგე. მაგრამ ესეც მომავალი წიგნის ერთი გვერდია, თუნდაც ნახევარი.

ტექსტები, ტექსტები. ყველგან – ტექსტი. ქალაქურ ბინებში თუ სოფლის ქოხებში, ქუჩაში თუ მატარებელში... ყურს ვუგდებ... სულ უფრო მეტად ვიქცევი ვეება ყურად, გამუდმებით სხვა ადამიანისაკენ მიბრუნებული, მის ხმას «ვკითხულობ».

* * *

ადამიანი ომზე მეტია... სწორედ ის მომენტები მამახსოვრდება, როცა ის ომს აღემატება. როცა მას რაღაც ისტორიაზე ბევრად უფრო ძლიერი ამოძრავებს. უფრო ფართო ხედვა მჭირდება: უნდა ვწერო სიმართლე სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, და არა მხოლოდ ომის სიმართლე. დავსვა დოსტოევსკისეული კითხვა: რამდენია ადამიანში ადამიანური და როგორ შევინარჩუნოთ ადამიანი საკუთარ თავში? უეჭველია, ბოროტება მაცდურია. ის სიკეთეზე უფრო გაქნილიცაა. უფრო მიმზიდველიც. სულ უფრო ვუღრმავდები ომის უსასრულო სამყაროს. ყველაფერი დანარჩენი თითქოს გამკრთალდა, ჩვეულზე უფრო «ჩვეულებრივი» გახდა. ეს გრანდიოზული და მტაცებლური სამყაროა. ახლაღა მესმის იქიდან მობრუნებული ადამიანის სიმარტოვე. ის სხვა პლანეტიდან თუ საიქიოდან მობრუნებულს ჰგავს. ისეთ ცოდნას ფლობს, სხვებს რომ არ აქვთ, რომლის მოპოვებაც მხოლოდ იქ, სიკვდილის სიახლოვეს შეიძლება. სიტყვებით რაიმეს გადმოცემას რომ ცდილობს, კატასტროფის განცდა ეუფლება. ადამიანი მუნჯდება. ის თხრობას ცდილობს, სხვები ცდილობენ, მის მონათხრობს ჩასწვდნენ, მაგრამ ყველა უძლურია.

ისინი მუდამ მსმენელისაგან განსხვავებულ სივრცეში იმყოფებიან. გარს უხილავი სამყარო არტყიათ. საუბარში, სულ ცოტა, სამი ადამიანი მონაწილეობს: მთხრობელი, იგივე ადამიანი, როგორიც ის მომხდარის მომენტში იყო, და მე. ჩემი მიზანი, პირველყოვლისა, იმ წლების სიმართლის მოპოვებაა. იმ დღეების. გრძნობისმიერი ჩანაცვლების გარეშე. ომის დასრულებისთანავე ადამიანი სულ სხვა ომს მოჰყვებოდა, ვიდრე ათობით წელიწადის შემდგომ; ცხადია, მისთვის ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ

იცვლება, რადგან ის მოგონებებში უკვე მთელ თავის ცხოვრებასა და საკუთარ თავს აწესრიგებს. ამ წლების მანძილზე როგორ ცხოვრობდა, რას კითხულობდა, რას ხედავდა, ვის ხვდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი იყო თუ უბედური. იმასაც აქვს მნიშვნელობა, პირისპირ ვსაუბრობთ თუ გვერდით კიდევ არის ვინმე. ოჯახი. მეგობრები – როგორები? ფრონტის მეგობრები ერთია, ყველა დანარჩენი – სულ სხვაა. დოკუმენტებიც ცოცხალი არსებები არიან, ისინიც ჩვენთან ერთად იცვლებიან და ჭოჭმანობენ, მათგან გამუდმებით შეიძლება ახალ-ახალი ცნობების მიღება. რაღაც ისეთის, სწორედ ამ წუთას რომ გვესაჭიროება. მაინც, რას ვეძებთ? უფრო ხშირად გმირულ საქმეებს კი არა, არამედ რაღაც მცირესა და ადამიანურს, ჩვენთვის ყველზე ახლობელსა და საინტერესოს. აი, თუნდაც, ძველი საბერძნეთის, ძველი სპარტას ისტორიიდან ყველაზე მეტად რის გაგებას ვისურვებდი?.. სიამოვნებით წავიკითხავდი იმის შესახებ, თუ რას და როგორ ლაპარაკობდნენ ადამიანები შინ. როგორ მიდიოდნენ ომში. რა სიტყვებს ეუბნებოდნენ უკანსაკნელ დღეს და უკანასკნელი ღამით საყვარელ ადამიანებს. როგორ აცილებდნენ მეომრებს. როგორ ელოდნენ ომიდან მათ მობრუნებას... გმირებისა და სარდლების კი არა – უბრალო ყმაწვილკაცებისა...

ისტორია – მისი ყველასაგან შეუმჩნეველი თვითმხილველისა და მონაწილის თვალით, დიახ, სწორედ ეს მაინტერესებს, ეს მსურს ლიტერატურად ვაქციო. მაგრამ მთხრობელები მხოლოდ თვითმხილველნი როდი არიან – ისინი ყველაზე ნაკლებად არიან თვითმხილველნი, უფრო მეტად მსახიობები და შემოქმედნი არიან. სინამდვილეს მთლად ახლოს, შუბლით შუბლზე, პირისპირ ვერ მიუდგები. ჩვენსა და სინამდვილეს შორის ჩვენი გრძნობების ზღუდე

აღმართულა. მესმის, რომ ვერსიებთან მაქვს საქმე, ყველას საკუთარი ვერსია აქვს და მხოლოდ მათი სიმრავლიდან და გადაკვეთებიდან იბადება დროისა და მასში მცხოვრები ადამიანების სახეები. მაგრამ არ მსურს ჩემს წიგნზე თქვან: მისი პერსონაჟები რეალურები არიან, ეს არის და ეს. ეს ისტორიაა. მხოლოდ ისტორია.

ვწერ არა ომის, არამედ ომში ადამიანის შესახებ. ომის ისტორიას კი არა, – გრძნობების ისტორიას ვწერ. გრძნობათა ისტორიკოსი ვარ. ერთი მხრივ, კონკრეტულ ადამიანს ვიკვლევ, კონკრეტულ დროში მცხოვრებსა და კონკრეტული მოვლენების მონაწილეს, მეორე მხრივ კი, მასში მარადიული ადამიანი უნდა დავინახო. მარადისობის კრთომა. ის, რაც მუდამ არის ადამიანში.

მეუბნებიან: ჰო, კარგი, მოგონებები – ეს ხომ არც ისტორიაა, არც ლიტერატურა. უბრალოდ, ცხოვრებაა, დანაგვიანებული და ხელოვანის ხელით გაუწმენდელი. მეტყველების ნედლი მასალა, ნებისმიერი დღე მას მრავლად შეიცავს. ეს აგურები ყველგანაა მიმოფანტული. მაგრამ აგურები ჯერ კიდევ ვერ ქმნის ტაძარს! ჩემთვის კი ყველაფერი სხვაგვარადაა... სწორედ იქ, ადამიანის თბილ ხმაში, წარსულის ცოცხალ ანარეკლშია ჩამალული პირველქმნილი სიხარული, იქაა გაშიშვლებული სიცოცხლის წარუშლელი ტრაგიზმიც. მისი ქაოსი და ვნება. მისი განუმეორებელი და შეუცნობელი არსი. იქ ეს ყოველივე ჯერაც დაუმუშავებელია. ეს – დედნებია.

ტაძრებს ვაგებ ჩვენი გრძნობებისაგან... ჩვენი ნატვრებისაგან, იმედგაცრუებებისაგან. ოცნებებისგან. იმისაგან, რაც მართლა იყო, მაგრამ შეიძლება ხელიდან გაგვისხლტეს.

* * *

ერთხელაც ამავე თემაზე... მხოლოდ ის სინამდვილე კი არ მაინტერესებს, გარს რომ გვარტყია, არამედ ჩვენ შიგნით არსებული სინამდვილეც. თვით მოვლენა კი არ მაინტერესებს, არამედ გრძნობების მოვლენა. ასე ვთქვათ – მოვლენის სული. ჩემთვის გრძნობები სინამდვილეა.

ისტორია? ის ქუჩაშია. ხალხში. მჯერა, ყოველი ჩვენგანი საკუთარ თავში ისტორიის ნაკუწს დაატარებს. ზოგი – ნახევარ გვერდს, ზოგი – ერთს ან ორს, ზოგიც – რამდენიმე სტრიქონს. დროის წიგნს ყველანი ერთად ვწერთ. ყოველი ჩვენგანი საკუთარ ჭეშმარიტებას გაიძახის. ელფერთა კოშმარული მრავალფეროვნება. ეს ყოველივე უნდა გაიგონო, ამ ყოველივესთან განზავდე, მის ნაწილად იქცე. ამავდროულად, არც შენი თავი დაკარგო. ქუჩის ენა ლიტერატურის ენას შეურწყა. სირთულე იმაშიცაა, რომ წარსულის შესახებ დღევანდელი ენით ვლაპარაკობთ. ამ ენით იმდროინდელი გრძნობები როგორ გადმოვცეთ?

* * *

დილიდან სატელეფონო ზარი: «ერთმანეთს არ ვიცნობთ... მაგრამ მე ყირიმიდან ჩამოვედი, რკინიგზის სადგურიდან გირეკავთ. ეს თქვენგან შორსაა? მინდა, ჩემი ომი გიამბოთ...»

ასე?!

მე კი ჩემს გოგონასთან ერთად პარკში წასვლას ვაპირებდი. კარუსელზე უნდა გვექანავა. როგორ ავუხსნა ექვსი წლის პაწია ადამიანს, რით ვარ დაკავებული? ამასწინათ მკითხა, ომი რა არისო. როგორ გინდა, უპასუხო... მსურს, ამ სამყაროში ლბილი გულით გავუშვა და ვასწავლი, რომ ყვავილის ტყუილუბრალოდ მოწყვეტა არ შეიძლება. ჭიამაიაც ცოდოა გასაჭყლეტად, ნემსიყლაპიაც ცოდოა,

ფრთებს თუ დააგლეჯ. ომი როგორღა უნდა ავუხსნა ბავშვს? როგორ ავუხსნა სიკვდილი? როგორ ვუპასუხო კითხვას: რატომ ხოცავენ ადამიანებს ომში? მის ტოლებსაც კი? უფროსებს თითქოს პირი გვაქვს შეკრული. ვიცით, რაზეცაა ლაპარაკი. მაგრამ ბავშვები? ომის შემდეგ მშობლებმა ეს რაღაცნაირად ამიხსნეს, მე კი ჩემს შვილს უკვე ვეღარ ვუხსნი. სიტყვებს ვერ ვპოულობ. ომი სულ უფრო ნაკლებად მოგვწონს, სულ უფრო გვიჭირს, გამართლება მოვუძებნოთ. ჩვენთვის ის უკვე მკვლელობა გახდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

ნეტავ ომის შესახებ ისეთი წიგნი დამაწერინა, ომის ხსენებაზე გული რომ გვერეოდეს და მასზე გაფიქრებაც კი გვზარავდეს. სიგიჟედ რომ გვეჩვენებოდეს. თვით გენერლებსაც კი ერეოდეთ გული...

ჩემს მეგობარ მამაკაცებს (ქალებისაგან განსხვავებით) ასეთი «ქალური» ლოგიკა თავზარს სცემთ. კვლავაც «მამაკაცური» არგუმენტი მესმის: შენ ომში არ ყოფილხარო. არადა, ასე იქნებ ჯობდეს კიდეც: სიძულვილის ჟინს არ ვიცნობ, ნორმალური ხედვა მაქვს. არა საომარი, არა მამაკაცური.

არსებობს «ოპტიკური ძალის» ცნება – ესაა ობიექტივის უნარი, მეტ-ნაკლებად კარგად დააფიქსიროს მოხელთებული გამოსახულება. ჰოდა, ომის შესახებ ქალის მეხსიერებას გრძნობითი მუხტისა და ტკივილის თვალსაზრისით ყველაზე უფრო დიდი «ოპტიკური ძალა» აქვს. ამასაც კი ვიტყოდი: «ქალის» ომი «მამაკაცისაზე» უფრო საშინელია. მამაკაცები ისტორიას, ფაქტებს აფარებენ თავს, ომი მათ ხიბლავთ, როგორც მოქმედება და იდეათა თუ ინტერესთა შეხლა, ქალებს კი გრძნობები იტაცებთ. და კიდევ: მამაკაცებს ბავშვობიდანვე

უნერგავენ, რომ, შესაძლოა, სროლა მოუწიოთ. ქალებს ამას არ ასწავლიან... ისინი ამ საქმისათვის არ ემზადებოდნენ... ამიტომაც მათ სხვა რამ ახსოვთ და სხვაგვარად ახსოვთ. ისეთ რამეებს ხედავენ, რასაც მამაკაცები ვერ ამჩნევენ. ვიმეორებ: მათ ომს სუნი, ფერი, დეტალური საარსებო სამყარო აქვს: «სამხედრო ტომრები დაგვირიგეს, ჩვენ კი ამ ტომრებისაგან ქვედაბოლოები შევიკერეთ»; «სამხედრო კომისარიატში ერთ კარში კაბით შევედი, მეორედან შარვლითა და გიმნასტურით გამოვედი, ნაწნავი შემაჭრეს, თავზე ქოჩორიღა შემრჩენოდა»; «გერმანელებმა მთელი სოფელი დახვრიტეს და წავიდნენ... მივადექით იმ ადგილს: დატკეპნილი ყვითელი ქვიშა, ზედ კი ბავშვის ცალი ფეხსაცმელი...» არაერთხელ გავუფრთხილებივარ (განსაკუთრებით მწერალ მამაკაცებს): «ქალები ისეთებს შეგითხზავენ. მოგიგონებენ». მე კი დავრწმუნდი: ამგვარ რამეს ვერ მოიგონებ. ვისგან გადაიწერ? თუ გადაწერაა, თვით ცხოვრებას უნდა დაესესხო: მისნაირი ფანტაზია სხვას არავის აქვს.

ქალებმა რაზეც არ უნდა ილაპარაკონ, ყველაფერს მათი უწყვეტი აზრი გასდევს თან: ომი პირველყოვლისა მკვლელობაა, შემდეგ – მძიმე სამუშაო, ამის შემდეგ კი – უბრალოდ, ცხოვრება: ომშიც მღეროდნენ, უყვარდებოდათ, ბიგუდებს იხვევდნენ...

ყურადღების ცენტრში მუდამ ერთი რამაა: რა გაუსაძლისია სიკვდილი და როგორ გზარავს მასზე ფიქრი. კიდევ უფრო გაუსაძლისი და საძულველია სხვისი მოკვლა, რადგან ქალი სიცოცხლის მბოძებელია. ის სიცოცხლეს სჩუქნის. საკუთარ თავში ხანგრძლივად ატარებს, ანანავებს. მივხვდი, რომ ქალებს მოკვლა უფრო უჭირთ.

* * *

მამაკაცები... ისინი ქალებს უხალისოდ უშვებენ თავიანთ სამყაროში, თავიანთ ტერიტორიაზე.

მინსკის სატრაქტორო ქარხანაში ვეძებდი ქალს, წინათ სნაიპერად რომ მსახურობდა. ცნობილი სნაიპერი ყოფილა. ფრონტის გაზეთებში მის შესახებ არაერთხელ დაუწერიათ. მისი სახლის ტელეფონის ნომერი მოსკოვში მისმა მეგობარმა ქალებმა მომცეს, მაგრამ ძველი გამოდგა. გვარიც ქალიშვილობისა მეწერა. მივედი ქარხანაში, სადაც, როგორც ვიცოდი, კადრების განყოფილებაში მუშაობდა, და მამაკაცებისაგან (ქარხნის დირექტორისა და კადრების განყოფილების უფროსისაგან) მოვისმინე: რა არის, მამაკაცები გაკლიათ, რად გინდათ ეს ქალების ნაბოდვარიო... მამაკაცები შიშობდნენ, ვაითუ ქალებმა რაღაც სხვა ომი მომითხრონ.

ერთ ოჯახში ვიყავი... ცოლ-ქმარი – ორივე იბრძოდა. ერთმანეთი ფრონტზე გაიცნეს და იქვე იქორწინეს: «ქორწილი სანგარში ვიზეიმეთ. ზედ ბრძოლის წინ. თეთრი კაბა კი გერმანული პარაშუტისაგან შევიკერე». ქმარი მეტყვიამფრქვევე ყოფილა, ცოლი – მეკავშირე. ჩემი მოსვლისთანავე მამაკაცმა ცოლი სამზარეულოში გაგზავნა, რამე მოგვიმზადეო. უკვე ჩაიდანიც წამოდუღდა, ბუტერბროდებიც დაჭრილია, ქალი გვერდით ჩამოგვიჯდა, ქმარმა კი ისევ წამოაყენა: «მარწყვი სადღაა? ჩვენი აგარაკის ნობათი?» ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ უხალისოდ დაუთმო ადგილი, თან დაარიგა: «როგორც გასწავლე, ისე მოყევი. ცრემლისა და ქალური წვრილმანების გარეშე: როგორ გინდოდა გაპრანჭვა და როგორ ტიროდი, ნაწნავი რომ შეგაჭრეს». მერე ქალმა ჩურჩულით გამანდო: «მთელი ღამე «დიდი სამამულო ომის

ისტორიას» მაკითხებდა. ეშინოდა, ახლაც ეშინია, ვაითუ რაღაც არასწორად გავიხსენო».

მსგავსი რამ არაერთხელ მინახავს, არაერთ სახლში.

დიახ, ბევრს ტირიან. მოთქვამენ. ჩემი წასვლის შემდეგ გულის აბებს ყლაპავენ. სასწრაფოსაც იძახებენ. და მაინც მთხოვენ, მოდი, აუცილებლად მოდი, იმდენ ხანს ვიცდიდით, ორმოცი წელიწადია ვდუმვართო...

მესმის, რომ ტირილსა და მოთქმას ვერ დაამუშავებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარი მოთქმა-ტირილი კი არა, ეს დამუშავება იქნება. სიცოცხლის ნაცვლად ლიტერატურა შეგრჩება. რას იზამ, ასეთია მასალა და ამ მასალის ტემპერატურა! გამუდმებით სცილდება სკალას. ადამიანი ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს, ყველაზე უკეთ იხსნება ომში და, ალბათ, კიდევ, სიყვარულშიც. სიღრმეებამდე, კანქვეშა შრეებამდე ჩანს. სიკვდილის პირისპირ ყველა იდეა მკრთალდება, იხსნება შეუცნობელი მარადისობა, რომლისთვისაც არავინაა მზად. ჩვენ ჯერ კიდევ ისტორიაში ვცხოვრობთ და არა კოსმოსში.

ჩასასწორებლად გაგზავნილი ტექსტი რამდენჯერმე ასეთი მინაწერით დამიბრუნდა: «წვრილმანები ამოაგდე... ჩვენი დიადი გამარჯვების შესახებ დაწერე...». არადა, «წვრილმანები» ჩემთვის უმთავრესია – ეს სიცოცხლის სითბო და სიცხადეა: ნაწნავების ადგილას შერჩენილი ქოჩორი, ცხელი ფაფითა და წვნიანით სავსე ქვაბები, რომლის მჭამელიც აღარავინაა – ბრძოლიდან ასი კაცის ნაცვლად შვიდიღა დაბრუნდა; ანდა ეს: ომის შემდეგ ბაზარში სიარული და ხორცის აწითლებული რიგების დანახვა არ შეეძლოთ... წითელ ჩითსაც კი ვერ უყურებდნენ... «ოჰ, ჩემო კარგო გოგოვ, ორმოცი წელია

გასული, ჩემს სახლში კი დღესაც წითელს ვერაფერს ნახავ. ომის შემდეგ წითელი ფერი შემძულდა!»

* * *

ვაყურადებ ტკივილს... ტკივილს, როგორც გასული ცხოვრების დასტურს. სხვა დასტური არ არსებობს, სხვას მე ვერ ვენდობი. სიტყვები ხშირად გვაშორებს ჭეშმარიტებას.

ვფიქრობ ტანჯვაზე, როგორც ინფორმაციის უზენაეს ფორმაზე, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს საიდუმლოსთან. სიცოცხლის მისტერიასთან. მთელი რუსული ლიტერატურა ამაზეა დაწერილი. ის ტანჯვაზე უფრო მეტს მოგვითხრობს, ვიდრე სიყვარულზე.

მეც უფრო მეტს სწორედ ამაზე მიამბობენ...

* * *

მაინც ვინ არიან – რუსები თუ საბჭოელები? არა, წინათ იყვნენ საბჭოთა ადამიანები – რუსებიც, ბელარუსებიც, უკრაინელებიც, ტაჯიკებიც...

ის მაინც არსებობდა: საბჭოთა ადამიანი. ვფიქრობ, მსგავსი ადამიანები აღარასოდეს იარსებებენ, მათ ეს უკვე თვითონაც ესმით. ჩვენც კი, მათი შვილები, უკვე განსხვავებულები ვართ. გვინდა, სხვებს დავემსგავსოთ. მშობლებს კი არა, დანარჩენ მსოფლიოს. შვილიშვილებზე ხომ აღარაფერს ვამბობ...

მაინც მიყვარს ისინი. აღფრთოვანებით მავსებენ. ამ ადამიანებს სტალინიც ჰყავდათ, «გულაგიც» ჰქონდათ, მაგრამ გამარჯვებაც ჰქონდათ. და მათ ეს იციან.

ამასწინათ მივიღე წერილი: «ჩემს ქალიშვილს ძალიან ვუყვარვარ, მისთვის გმირი ვარ, თქვენი წიგნი რომ წაიკითხოს, საშინელ იმედგაცრუებას იგრძნობს.

სიბინძურე, ტილები, ყველგან სისხლი – არ უარვყოფ, ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ განა ეს მოგონებები კეთილშობილ გრძნობებს აღგვიძრავს? განა ამას შეუძლია, გმირობისათვის მოგვამზადოს...»

არაერთხელ დავრწმუნებულვარ:

...ჩვენი მეხსიერება იდეალური ინსტრუმენტი სულაც არ არის. ის არამხოლოდ თვითნებური და ჭირვეულია, ის აგრეთვე დროის ჯაჭვზე ძაღლივითაა დაბმული.

...წარსულს დღევანდლის გადასახედიდან ვუცქერთ, სხვაგვარად არ შეგვიძლია.

...და კიდევ: შეყვარებულნი არიან იმაში, რაც თავს გადახდათ, რადგან ეს მხოლოდ ომი კი არა, მათი ახალგაზრდობაცაა. პირველი სიყვარული.

* * *

ყურს ვუგდებ, როდესაც ლაპარაკობენ... ყურს ვუგდებ, როდესაც დუმან... სიტყვებიც და დუმილიც ჩემთვის ტექსტია.

– ამას დასაბეჭდად კი არა, შენთვის ვამბობ... ჩვენზე უფრო ასაკოვანნი... მატარებელში ჩაფიქრებულები ისხდნენ... სევდიანები. მახსოვს, ერთი მაიორი ღამით, ყველას როცა ეძინა, სტალინზე მელაპარაკა. ბევრი დალია და გათამამდა, გამომიტყდა, მამაჩემი უკვე ათი წელიწადია, მიმოწერის უფლების გარეშე ბანაკში იმყოფებაო. არ იცოდა, ცოცხალია თუ არა. ამ მაიორმა საშინელი სიტყვები თქვა: «სამშობლოს დაცვა მინდა, მაგრამ არ მსურს ეს რევოლუციის მოღალატე სტალინი დავიცვა». ასეთი სიტყვები მანამდე არავისგან გამეგონა... შევშინდი. საბედნიეროდ, ის დილითვე გაქრა. როგორც ჩანს, ჩავიდა...

ამ თემას ფრთხილად და იშვიათად ეხებიან. დღემდე არამხოლოდ სტალინური ჰიპნოზითა და შიშით არიან მონუსხულნი, არამედ თავიანთი მაშინდელი რწმენითაც. ჯერაც ვერ გადაუყვარებიათ, რაც მაშინ უყვარდათ. სიმამაცე ომში და სიმამაცე აზროვნებაში ორი სხვადასხვა რამაა. მე კი ერთი და იგივე მეგონა.

* * *

ხელნაწერი, დიდი ხანია, მაგიდაზე მიდევს...

უკვე ორი წელია, გამომცემლობებიდან უარი უარზე მომდის. განაჩენი მუდამ ერთია: მეტისმეტად შემზარავი ომი. ბევრი საშინელება. ნატურალიზმი. არ იგრძნობა კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლი. ერთი სიტყვით, ეს ის ომი არ არის... აბა, რომელია – ის? გენერლებისა და ბრძენი გენერალისიმუსის ომი? სისხლისა და ტილების გარეშე? გმირებითა დ საგმირო საქმეებით. მე კი ბავშვობიდან მახსოვს, ბებიასთან ერთად დიდი მინდვრის განაპირას როგორ მოვდიოდით, ბებია კი მიამბობდა: «ომის შემდეგ ამ მინდორზე კიდევ დიდხანს არაფერი მოდიოდა. გერმანელები უკან იხევდნენ... აქ ბრძოლა იყო, ორ დღეს იბრძოდნენ... დახოცილები ერთიმეორის გვერდით ძნებივით ელაგნენ. რკინიგზის შპალებივით. გერმანელებიც და ჩვენებიც. წვიმის შემდეგ ყველას ნამტირალევი სახე ჰქონდა. მერე მთელ ერთ თვეს ვასაფლავეთ მთელმა სოფელმა...»

როგორ დავივიწყო ის მინდორი?

უბრალოდ როდი ვიწერ. ვაგროვებ, ვიკვლევ ადამიანის სულს იქ, სადაც ტანჯვა პატარა ადამიანისაგან დიდ ადამიანს ძერწავს. სადაც ადამიანი იზრდება. და მაშინ ის ჩემთვის უკვე აღარ არის ისტორიის მუნჯი და უღიმღამო

პროლეტარი. მისი სული იხსნება. სადღაა ჩემი კონფლიქტი ხელისუფლებასთან? მივხვდი – დიდ იდეას პატარა ადამიანი სჭირდება, დიდი კი არა. მისთვის ის ზედმეტი და მოუხერხებელია. დასამუშავებლად შრომატევადი. მე კი სწორედ მას ვეძებ. პატარა დიდ ადამიანს. დამცირებულმა, გასრესილმა, ნამუსახდილმა, მან სტალინის ბანაკები და ურიცხვი ღალატი გამოიარა და მაინც გაიმარჯვა. სასწაული მოახდინა.

მაგრამ ომის ისტორია გამარჯვების ისტორიით ჩაანაცვლეს.

ამის შესახებ ეს პატარა თვითონვე გიამბობთ.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ – 2002-2004 წლები

ვკითხულობ ჩემს ძველ დღიურს...

ვცდილობ, ის ადამიანი გავიხსენო, ვინც მაშინ ვიყავი, ამ წიგნს როცა ვწერდი. ის ადამიანი აღარ არსებობს და ის ქვეყანაც კი აღარ არსებობს, რომელშიც მაშინ ვცხოვრობდით. არადა, სწორედ მას იცავდნენ, მისთვის იღუპებოდნენ ორმოცდაერთ-ორმოცდახუთ წლებში. ფანჯრებს მიღმა ყველაფერი სულმთლად შეცვლილა: ახალი ათასწლეული, ახალი ომები, ახალი იდეები, ახალი იარაღი და ყოვლად მოულოდნელად სახეცვლილი რუსი (უფრო სწორად კი – რუს-საბჭოელი) ადამიანი.

დაიწყო გორბაჩოვისეული გარდაქმნა. ჩემი წიგნი ერთბაშად გამოსცეს გამაოგნებელი ტირაჟით: ორი მილიონი ეგზემპლარი. ეს ის დრო იყო, როდესაც ბევრი საოცარი რამ ხდებოდა: კვლავაც ადგილს მოვწყდით და სადღაც მგზნებარედ გავექანეთ. კვლავაც – მომავლისაკენ. ჯერ არ ვიცოდით (თუ დაგვავიწყდა), რომ რევოლუცია მხოლოდ ილუზიაა, განსაკუთრებით, ჩვენს ისტორიაში.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა, მანამდე კი ყველა თავისუფლების ჰაერით იყო მთვრალი. ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ წერილს ვიღებდი, ჩემი საქაღალდეები სულ უფრო იბერებოდა. ადამიანებმა ლაპარაკი მოინდომეს... მანამდე უთქმელის ამოთქმა სურდათ... ბევრად გულწრფელნი და თავისუფალნი გახდნენ. ეჭვი აღარ დამრჩა, რომ ბედმა ეს მარგუნა: ჩემი წიგნების წერა უსასრულოდ განვაგრძო. ხელახლა კი არ გადავწერო, არამედ განვაგრძო. როგორც კი წერტილს ვსვამ, ის იმწამსვე მრავალწერტილად იქცევა...

* * *

ვფიქრობ, დღეს ალბათ სხვა შეკითხვებს დავსვამდი და პასუხებსაც სხვას მოვისმენდი. წიგნიც სხვა გამომივიდოდა, მთლად სხვა თუ არა, ცოტათი მაინც სხვა. დოკუმენტები (რომლებთანაც საქმე მაქვს) ცოცხალი მოწმობებია. ისინი გაცივებულ თიხასავით როდი ქვავდება. როდი მუნჯდება. ისინი ჩვენთან ერთად მოძრაობს. ახლა უფრო რის შესახებ გამოვკითხავდი? რის დამატებას მოვინდომებდი? ალბათ, ძალიან დავინტერესდებოდი... შესაფერის სიტყვას ვეძებ... ბიოლოგიური ადამიანით და არა მხოლოდ დროისა და იდეის ადამიანით. ვეცდებოდი, უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ადამიანის ბუნებას, ბნელს, ქვეცნობიერს. ომის საიდუმლოებას.

იმის შესახებ დავწერდი, ყოფილ პარტიზან ქალს როგორ ვესტუმრე... ტანსრული, მაგრამ ჯერაც ლამაზი ქალი იყო, მიამბო, თავის ჯგუფთან ერთად (თვითონ მეთაური იყო და თან ორი მოზარდი ახლდა) დაზვერვაში როგორ გამოვიდა და შემთხვევით როგორ ჩაიგდეს ტყვედ ოთხი გერმანელი. მათთან ერთად დიდხანს ეხეტნენ ტყეში, მოწინააღმდეგეთა საფარს წააწყდნენ. ნათელი იყო, რომ

ტყვეებთან ერთად იქაურობას თავს ვერ დააღწევდნენ და მეთაურმა გადაწყვეტილება მიიღო: ტყვეები გაესაღებინათ. მოზარდები მათ დახოცვას ვერ შეძლებდნენ: უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ტყეში ერთად გაეტარებინათ, ხოლო ადამიანთან ერთად როცა ამდენ ხანს ატარებ, თუნდაც უცხო იყოს, მაინც რაღაცნაირად უახლობლდები, ეჩვევი – უკვე იცი, როგორ ჭამს, როგორ სძინავს, როგორი თვალები და ხელები აქვს. არა, მოზარდები ამას ვერ შეძლებენო – მაშინვე მიხვდა. ესე იგი, თვითონ უნდა დაეხოცა. და, აი, ჩემი თანდასწრებით იხსენებდა, როგორ ხოცავდა. როგორ გახდა საჭირო, ისინიც მოეტყუებინა და ესენიც. ერთი გერმანელი, ვითომდა, წყალზე გაიყოლა და კეფაში ესროლა. მეორე ფიჩხის მოსაგროვებლად წაიყვანა... შემზარა იმან, თუ რა მშვიდად იხსენებდა ამას.

ომში ნამყოფები იხსენებენ, რომ სამოქალაქო ადამიანს სამი დღე სჭირდება, სამხედროდ რომ გადაიქცეს. რატომ კმარა სამი დღე? იქნებ ესეც მითია? უფრო ასე მგონია. იქ მოხვედრილი ადამიანი ბევრად უფრო იდუმალი და უცხოა.

ყველა წერილში ერთსა და იმავეს ვკითხულობდი: «მაშინ ყველაფერი ვერ გიამბეთ, იმიტომ, რომ სხვა დრო ოყო. შეჩვეულები ვიყავით ბევრი რამის შესახებ დუმილს...» «ყველაფერი ვერ გაგანდეთ. სულ ცოტა ხნის წინათ ამაზე ლაპარაკი ან აკრძალული იყო, ან სასირცხვო», «ჩემთვის ცნობილია ექიმების განაჩენი. საშინელი დიაგნოზი მაქვს. მსურს, სიმართლე გიამბოთ...»

ამასწინათ კი ასეთი წერილი მომივიდა: «მოხუცებს ძალიან გვიჭირს ცხოვრება... მაგრამ მცირედი პენსიები როდი გვტანჯავს. ყველაზე მეტად ის გვიკლავს გულს, რომ დიადი წარსულიდან აუტანლად კნინ აწმყოში გამოგვაძევეს.

აღარავინ გვეპატიჟება სკოლებში, მუზეუმებში სიტყვით გამოსასვლელად, აღარავის ვჭირდებით. გაზეთებს თუ გადახედავ, ფაშისტები სულ უფრო კეთილშობილად გამოჰყავთ, წითელი ჯარისკაცები კი სულ უფრო ამაზრზენად».

დროც ერთგვარი სამშობლოა... მე კი ეს ადამიანები ძველებურად მიყვარს. მათი დრო არ მიყვარს, ისინი კი მიყვარს.

* * *

ყველაფერი შეიძლება იქცეს ლიტერატურად...

ყველაზე მეტად ჩემს არქივებში იმ წიგნაკმა მიმიზიდა, სადაც ცენზურის მიერ ამოღებული ეპიზოდები ჩავიწერე. ასევე ცენზორთან ჩემი საუბრებიც. იქვე ვიპოვე ის გვერდები, თვითონვე რომ ამოვაგდე. ჩემი თვითცენზურა, ჩემი საკუთარი აკრძალვა. და ჩემივე ახსნა-განმარტება: თუ რა მიზეზით ამოვაგდე ესა თუ ის ადგილი. აქედან ზოგი რამ წიგნში უკვე აღვადგინე, მაგრამ ეს რამდენიმე გვერდი განცალკევებით მსურს წარმოგიდგინოთ – ესეც დოკუმენტია. ჩემი გზაა.

ცენზურის მიერ ამოღებულიდან

«ღამის მორიგეობა მქონდა... მძიმედ დაჭრილთა პალატაში შევედი. წევს კაპიტანი... მორიგეობის წინ ექიმებმა მასთან დაკავშირებით გამაფრთხილეს, ღამით მოკვდება, დილამდე ვერ მიატანსო... ვეკითხები: «აბა, როგორ ხარ? რით დაგეხმარო?» არასოდეს დამავიწყდება... უცბად გაიღიმა, ნატანჯი სახე გადაუნათდა: «ხალათი შეიხსენი... მკერდი მიჩვენე... დიდი ხანია, ცოლი არ მინახავს...» დავიბენი, მაშინ ხომ არავისთვის ნაკოცნიც კი

არ მქონდა. რაღაც ვუპასუხე. გავიქეცი და ერთი საათის შემდეგ მივბრუნდი.

მკვდარი იწვა. და სახეზე ისევ ის ღიმილი ეფინა...»

«ქერჩთან... ღამით საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მივცურავდით ბარჟით. გემის ცხვირს ცეცხლი აეკიდა... მილს აჰყვა. საბრძოლო მასალა აფეთქდა... უმძლავრესი აფეთქება იყო! ისეთი ძალის, რომ ბარჟა მარჯვენა ფერდზე გადაიზნიქა და ჩაძირვა დაიწყო. ნაპირი კი უკვე ახლოს იყო, ვხვდებოდით, რომ ნაპირი სადღაც აქვეა და ჯარისკაცები წყალში გადაეშვნენ. ნაპირიდან ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ. ყვირილი, კვნესა, დედის გინება... კარგად ვცურავდი, მინდოდა, ვინმე ერთი მაინც გადამერჩინა. ერთი დაჭრილი მაინც... წყალი ხმელეთი ხომ არ არის – დაჭრილი წამში დაიღუპება. ჩაიძირება... მესმის, გვერდით ვიღაც ხან ამოყვინთავს, ხანაც წყალქვეშ ჩადის. ამოვა – ჩავა. ვიხელთე წამი, მკლავები შემოვხვიე... რაღაც ცივი და სლიპინა იყო... ჩავთვალე, რომ დაჭრილია, ტანისამოსი კი აფეთქების ძალით შემოეხია. იმიტომ, რომ თვითონაც შიშველი ვიყავი... საცვალიღა შემრჩენოდა... სიბნელე იყო უკუნეთი. ყველა მხრიდან: «ოოჰ!.. აიი-ა!» და გინება... როგორღაც მასთან ერთად ნაპირს მივაღწიე... ცაში სწორედ მაშინ რაკეტა აალდა და დავინახე, თურმე ვეებერთელა დაჭრილი თევზი ამომითრევია. ადამიანისხელა თევზი. სვია... კვდებოდა... მის გვერდით ძირს დავეცი და სამსართულიანი შევიგინე. ბოღმისგან ავტირდი... და იმიტომაც, რომ ყველა იტანჯება...»

«ალყიდან გამოვდიოდით... სადაც არ მივაწყდით, ყველგან გერმანელები დაგვხვდნენ. გადავწყვიტეთ: დილას ბრძოლით გაგვერღვია ალყა. თუ დაღუპვაა, ღირსეულად მაინც დავიღუპოთ. ბრძოლაში. სამი გოგო გვყავდა. ღამით

ყველასთან მიდიოდნენ, ვისაც ჯანი ჰქონდა... რასაკვირველია, ყველას არ შეგვეძლო. ნერვები – ხომ გესმით. ასეთი ამბავი იყო... ყველანი სიკვდილისთვის ვემზადებოდით...

დილით ერთეულები გადავრჩით... ძალიან ცოტა... ასე, შვიდიოდე კაცი, არადა, ორმოცდაათნი მაინც ვიქნებოდით. გერმანელებმა ტყვიამფრქვევებით დაგვცხრილეს... იმ გოგოებს მადლიერებით ვიხსენებ. დილით ვერცერთი ვერ ვნახე ცოცხალი... აღარც შემდგომში გადავყრივარ...»

ცენზორთან საუბრიდან

– ასეთი წიგნების შემდეგ ვიღა წავა ომში? თქვენ ქალი მდაბიო ნატურალიზმით დაამცირეთ. გმირ ქალს გვირგვინი მოხადეთ. ჩვეულებრივ ქალად, მდედრად აქციეთ. ეს ქალები კი წმინდანები არიან.

– ჩვენი ჰეროიზმი სტერილურია, არც ფიზიოლოგიას სცნობს, არც ბიოლოგიას. მისი არ გჯერა. ომი სულის გარდა სხეულსაც, მატერიალურ გარსსაც უწყობს გამოცდას.

– საიდან გაქვთ ეს აზრები? ეს უცხო აზრებია. არასაბჭოური. ამით თქვენ იმათ დასცინით, ვინც ძმათა საფლავებში განისვენებს. გეტყობათ, მეტისმეტი მოგსვლიათ რემარკის კითხვა... ჩვენთან რემარკიზმი არ გაგივათ. საბჭოთა ქალი ცხოველი არ არის.

* * *

«ვიღაცამ გაგვცა... გერმანელებმა პარტიზანთა ბანაკის ადგილსამყოფელი შეიტყეს. ტყესა და მის მისადგომებს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ვიმალებოდით უსიერ ტევრებში, ჭაობებმა გადაგვარჩინა, სადაც დამსჯელები არ შედიოდნენ. ჭაობი. ტექნიკასაც და ადამიანებსაც სიღრმეში ითრევს, გამოღწევა შეუძლებელია. რამდენიმე

დღეს თუ მთელ კვირას ყელამდე წყალში დგომა გვიწევს. ჩვენთან ერთად რადისტი ქალია, ცოტა ხნის წინ იმშობიარა. ბავშვი მშიერია, ძუძუს ითხოვს... მაგრამ დედა თვითონაც მშიერია, რძე არ აქვს, ჰოდა, ბავშვი ტირის. დამსჯელები აქვე არიან... ძაღლებით... ძაღლებმა თუ გაიგონეს, ყველანი დაღუპულები ვართ. მთელი ჯგუფი – ოცდაათიოდე კაცი... ხომ გესმით?

მეთაური გადაწყვეტილებას იღებს...

ვერავინ ბედავს, დედას მისი ბრძანება გადასცეს, მაგრამ ის თვითონვე ხვდება. შეფუთულ ბავშვს წყლის ქვეშ უშვებს, დიდხანს უჭირავს იქ... ბავშვი აღარ ყვირის... სიჩუმეა... ჩვენ კი თავებს მაღლა ვერ ვწევთ. ვეღარც დედას ვუსწორებთ თვალს, ვერც ერთმანეთს...»

«აყვანილი ტყვეები რაზმში მოგვყავდა... მათ არ ხვრეტდნენ, ეს მათთვის მეტისმეტად იოლი სიკვდილი იქნებოდა, ხიშტებით ვსერავდით, ღორებივით შამფურებზე ვაცვამდით, ნაკუწებად ვკეპავდით... ამის სანახავად დავდიოდი... ველოდი! დიდხანს ველოდი იმ წამს, როცა ტკივილისაგან თვალები, თვალის გუგები დაუსკდებოდათ...

თქვენ რა იცით ამის შესახებ?! მათ დედაჩემი და ჩემი დაიკოები სოფლის მოედანზე, კოცონზე დაწვეს...»

«ომის დროს არც ძაღლები დამამახსოვრდა, არც კატები, ვირთხები მახსოვს. ვეებერთელები... მოყვითალო-მოლურჯო თვალებით... იმდენი იყო, თვალებში აგიჭრელდებოდა. ჭრილობა რომ მომირჩა, ჰოსპიტალიდან ისევ ჩემს ნაწილში დამაბრუნეს. ეს ნაწილი სტალინგრადთან სანგრებში იყო გამაგრებული. მეთაურმა განკარგულება გასცა, ქალების მიწურში მოვეთავსებინე. მიწურში პირველყოვლისა იმან გამაოგნა, რომ იქ

არანაირი ნივთები არ დამხვდა. საწოლებად დაფენილი წიწვოვანი ტოტები, ეს იყო და ეს. არავის გავუფრთხილებივარ... მიწურში ჩემი ზურგჩანთა დავტოვე და გავედი, ნახევარ საათში რომ დავბრუნდი, ზურგჩანთა აღარ დამხვდა. ნივთების კვალიც კი ვეღარ ვნახე – არც სავარცხელი, არც ფანქარი. თურმე ვირთხებს ყველაფერი წამში შეუხრავთ...

დილით კი მძიმედ დაჭრილები მიჩვენეს, რომლებისთვისაც ვირთხებს თითები მოუჭამიათ...

ყველაზე საშინელ ფილმშიც კი არ მინახავს, როგორ ტოვებენ ვირთხები ქალაქს საარტილერიო თავდასხმის წინ. სტალინგრადთან არა... ეს უკვე ვიაზმასთან იყო... დილით ქალაქის ქუჩებში ვირთხების ჯოგები მოძრაობდნენ, მინდვრებისკენ მიდიოდნენ. წინასწარ გრძნობდნენ სიკვდილს. ათასობით იქნებოდნენ... შავები, რუხები... ამ სურათის შემხედვარე ხალხი დამფრთხალი ეკვროდა სახლების კედლებს. როგორც კი ვირთხები თვალს მოეფარნენ, მტრებმა ცეცხლი გახსნეს. ქალაქს თვითმფრინავები დააცხრა თავს. სახლები და სარდაფები სულ ქვიშად იქცა...»

«სტალინგრადთან იმდენი იყო დაღუპული, რომ ცხენები აღარ უფრთხოდნენ. ჩვეულებრივ, ცხენს მკვდრისა ეშინია. მკვდარს ფეხს არასოდეს დაადგამს. ჩვენი მკვდრები ავიყვანეთ, გერმანელები კი ყველგან ეყარნენ. გათოშილები... ყინულად ქცეულები... მძღოლი ვარ, საარტილერიო ჭურვებით სავსე კოლოფებს ვატარებდი, ბორბლებქვეშ მათი ძვლების, თავის ქალების ხრაშუნი მესმოდა... და ბედნიერი ვიყავი...»

ცენზორთან საუბრიდან

– დიახ, გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ ჩვენ გმირული მაგალითები უნდა ვეძებოთ. ისინი ასობითაა. თქვენ კი ომის ჭუჭყს ასახავთ. მის ბინძურ საცვლებს ამზეურებთ. თქვენს გადმოცემაში ჩვენი გამარჯვება შემზარავია... ამით რას ესწრაფვით?

– სიმართლეს.

– და გგონიათ, სიმართლე ისაა, რასაც ცხოვრებაში, ქუჩაში ვხვდებით, რასაც ფეხქვეშ ვთელავთ? თქვენთვის ის ასეთი მდაბალია. მიწიერი. არა, სიმართლე ისაა, რაზეც ვოცნებობთ. როგორებიც გვსურს, ვიყოთ!

ჩემ მიერ ამოღებულიდან

«ორმოცდაერთი წელი... ალყაში ვართ. ჩვენთან ერთად პოლიტხელმძღვანელი ლუნინია... მან წაგვიკითხა ბრძანება იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარისკაცები მტერს არ ბარდებიან. როგორც ამხანაგმა სტალინმა თქვა, ჩვენ ტყვედ ჩავარდნილები არ გვყავს, გვყავს მხოლოდ მოღალატეები. ბიჭებმა პისტოლეტები ამოიღეს... პოლიტხელმძღვანელმა უბრძანა მათ: «არა, ბიჭებო, იცოცხლეთ, თქვენ ახალგაზრდები ხართ». და თვითონ მოიკლა თავი.

ეს კი უკვე ორმოცდასამი წელია... საბჭოთა ჯარი მტერს უტევს. ბელარუსში მივდივართ. მახსოვს პატარა ბიჭი, საიდანღაც მიწიდან, სარდაფიდან ამოხტა, ყვირილით გადაგვიდგა წინ: «მოკალით ჩემი დედა... მოკალით! დედას გერმანელი უყვარდა...» შიშისაგან დაჭყეტილი მრგვალი თვალები ჰქონდა. ბიჭს შაოსანი დედაბერი მისდევდა. მორბოდა, თან პირჯვარს იწერდა: «ნუ უსმენთ ბავშვს. ბავშვი შეშლილია...»

«გამომიძახეს სკოლაში... ევაკუაციიდან დაბრუნებული მასწავლებელი მელაპარაკა:

– მინდა, თქვენი ვაჟიშვილი სხვა კლასში გადავიყვანო. ჩემს კლასში მხოლოდ საუკეთესო მოწაფეები სწავლობენ.

– კი, მაგრამ ჩემს შვილს სულ «ხუთები» აქვს.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. ბიჭი გერმანელებთან ცხოვრობდა.

– დიახ, მძიმე დრო გამოვიარეთ.

– ამას არ ვგულისხმობ. ყველა, ვინც ოკუპაციაში იმყოფებოდა... ეჭვქვეშაა...

– რაო? ვერ მიგიხვდით...

– ბავშვებს გერმანელებზე უყვება. თანაც, ენა ებმის.

– ეს შიშისაგან დაემართა. გერმანელმა ოფიცერმა გალახა, ჩვენს ბინაში რომ ცხოვრობდა. უკმაყოფილო დარჩა, ჩექმა ცუდად გამიწმინდეო.

– ხომ ხედავთ... თქვენ თვითონვე აღიარებთ... მტრის გვერდიგვერდ ცხოვრობდით...

– და ვინ მოუშვა ეგ მტერი ზედ მოსკოვამდე? ვინ დაგვტოვა აქ ჩვენს შვილებთან ერთად?

ისტერიკაში ვვარდები...

ორ დღეს ვშიშობდი, მასწავლებელმა არ დამასმინოს- მეთქი. მაგრამ საბოლოოდ ჩემი ვაჟი მაინც თავის კლასში დატოვა...»

სექენდ-ჰენდის დრო – ფრაგმენტი წიგნიდან

იმ დროზე, როცა ყველა, ვინც კლავს, ფიქრობს, რომ ღმერთს ემსახურება

რუსულიდან თარგმნა ნინო ბექიშვილმა

ოლგა ბ. ტოპოგრაფი, 24 წლის

– დილა. მუხლებზე ვდგავარ... ვდგავარ და ღმერთს შევთხოვ: «ღმერთო, აი, ახლა შემიძლია! ახლა მინდა სიკვდილი!» ჯერ დილაა... დღე იწყება...

მწველი სურვილი მკლავდა... სიკვდილი! ზღვასთან წავედი. სილაზე დავჯექი. საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ სიკვდილი საშიში არ არის. რომ სიკვდილი – თავისუფლებაა... ზღვა იბრძოდა, ნაპირს ასკდებოდა... დადგა ღამე, მერე ისევ დილა. ვერაფერი გადავწყვიტე. დავდიოდი და დავდიოდი. საკუთარ ხმას ვუსმენდი: «ღმერთო, მიყვარხარ! ღმერთო!» სარა ბარა ბზია ბზოი... ეს აფხაზურია.. . ირგვლივ იმდენი ფერია, ხმაა... მე კი სიკვდილი მსურს.

რუსი ვარ. აფხაზეთში დავიბადე და დიდხანს ვიცხოვრე იქ, ოცდაორ წლამდე. სოხუმში. ოთხმოცდათორმეტ წლამდე... სანამ ომი არ დაიწყო. აფხაზებს ასეთი გამოთქმა აქვთ – როგორ ჩააქრობ, როცა ცეცხლი წყალს უკიდია? ხალხი ერთი ავტობუსით დადიოდა, ერთ სკოლაში სწავლობდა, ერთსა და იმავე წიგნებს კითხულობდა, ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა და ერთ ენას – რუსულს სწავლობდა. ახლა კი ერთმანეთს ხოცავენ: მეზობელი – მეზობელს, კლასელები – კლასელებს. ძმა კლავს დას. აქვე ომობენ, სახლის წინ... რა ხნის? წლის... ორი წლის წინ ძმებივით ცხოვრობდნენ, ყველანი კომკავშირლები და კომუნისტები იყვნენ. სკოლის

დავალებაში ვწერდი: «მარადჟამს ძმები ვიქნებით». ეს არც გმირობაა და არც დანაშაული... ეს ისეთი საშინელებაა! ეს ვნახე... ამის გაგება შეუძლებელია... არც მესმის... აფხაზეთის ამბავს მოგიყვებით... ისე მიყვარდა... (გაჩერდა). ახლაც მიყვარს, მაინც... მიყვარს... ყოველი აფხაზური სახლის კედელზე ხანჯალი კიდია. როცა ბიჭი იბადება, ნათესავები ხანჯალს და ოქროს ჩუქნიან. ხანჯლის გვერდით, იმავე კედელზე ყანწიც კიდია. აფხაზები ღვინოს ყანწით სვამენ, ყანწის მაგიდაზე დადება არ შეიძლება, სანამ ბოლომდე არ დალევ. აფხაზური ტრადიციის მიხედვით ის დრო, რომელსაც სტუმრებთან ერთად სუფრასთან ატარებ, ცხოვრების ვადაში არ გეთვლება, იმიტომ რომ ღვინოს სვამდი და მხიარულობდი. როგორ ითვლება დრო, როცა კლავ? ესვრი? როგორ? ახლა ბევრს ვფიქრობ სიკვდილზე (ჩურჩულზე გადადის) . მეორეჯერ... უკან აღარ დამიხევია... აბაზანაში ჩავიკეტე... ფრჩხილები დამძვრა, კედელს გეჭიდებოდი, ვკაწრავდი თიხას, ცარცს, უკანასკნელ წუთს ისევ მომინდა სიცოცხლე. თოკიც გაწყდა... ბოლოს და ბოლოს, ცოცხალი ვარ, შემიძლია საკუთარ თავს ხელით შევეხო... მაგრამ ერთია... ვერ შევძელი შემეწყვიტა ფიქრი მასზე... სიკვდილზე...

თექვსმეტი წლის რომ ვიყავი, მამა გარდამეცვალა. იმის შემდეგ მძულს დაკრძალვის რიტუალი... ეს მუსიკა... არ მესმის, რატომ თამაშობენ ადამიანები ამ სპექტაკლს? კუბოსთან რომ ვიჯექი, მაშინვე მივხვდი, ის მამაჩემი არ იყო, მამაჩემი აქ არ იყო. ვიღაცის ცივი სხეული იდო, გარსი. მთელი ცხრა თვე მესიზმრებოდა... ვიღაც მეძახდა... მე კი არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი, ვისთან? ახლობლებზე ფიქრი დავიწყე... ბევრი მათგანი არასდროს მენახა და არ ვიცოდი, რომ ისინი მანამ მოკვდნენ, სანამ მე დავიბადებოდი. უცებ ბებია დავინახე... ბებია დიდი ხნის

წინ გარდაიცვალა, მაგრამ სიზმარში მაინც ვიცანი... იქ იმათთან ყველაფერი სხვანაირადაა. თითქოს არიან, თითქოს არც არიან, სხეული არ ფარავთ, არაფერი იცავთ. მერე მამა ვნახე... მამა მხიარული იყო, თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალი, ნაცნობი. დანარჩენები კი რაღაც ისეთები... ისეთები... ვითომ ოდესღაც ვიცნობდი და მერე დავივიწყე. სიკვდილი დასაწყისია... რაღაცის დასაწყისი... ოღონდ არ ვიცით, რისი... ვფიქრობ... სულ ვფიქრობ... ამ ტყვეობიდან თავის დაღწევა და დამალვა მინდა... ამას წინათ... სარკის წინ ვიცეკვე: ლამაზი ვარ, ახალგაზრდა! გავიხარებ! შემიყვარდება!

პირველი... ლამაზი რუსი ბიჭი იყო... აფხაზები ეგეთებზე ამბობენ: «გასამრავლებელი მამაკაცი». ცოტა მიწა ჰქონდა წაყრილი, ბოტასებში და სამხედრო ფორმაში იწვა. მეორე დღეს რომ ვნახე, ბოტასები ვიღაცას გაეხადა... აი, მოკლეს... და მერე? რა არის იქ? მიწაში... ჩვენს ფეხებს ქვემოთ... იქ, ქვემოთ ან ცაში? ზაფხულია, ზღვაც ხმაურობს... ციკლადები... დედამ მაღაზიაში გამაგზავნა. ის კი მოკლეს. ქუჩაში იარაღით სავსე სატვირთო მანქანები დადიან, ავტომატებს ისე არიგებენ, თითქოს პური იყოს. ლტოლვილები ვნახე, მითხრეს, ლტოლვილებიაო და ეს დავიწყებული სიტყვა გავიხსენე. წიგნებიდან მახსოვდა. ბევრნი იყვნენ ლტოლვილები: ვიღაცები მანქანებით, ვიღაცები ტრაქტორზე, ვიღაცები – ფეხით (გაჩუმდა). მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მაგალითად, კინოზე... მიყვარს კინო, მაგრამ მხოლოდ დასავლური ფილმები. რატომ? ჩვენს ცხოვრებას სრულიად არ ჰგავს. იქ შემიძლია,

საკუთარ თავს ნებისმიერი რამ მოვუგონო... ვიფანტაზიორო... სხვა სახე მქონდეს, იმიტომ, რომ საკუთარი მომწყინდა. ჩემი სხეული... ხელებიც კი... არ მაწყობს ჩემი სხეული, ამ ყველაფრით ძალიან ვარ შეზღუდული... სულ ერთი და იგივე სხეული მაქვს, მე კი სხვადასხვა ვარ, ვიცვლები... საკუთარ სიტყვებს ვისმენ და ვფიქრობ, რომ ამას მე ვერ ვიტყოდი, იმიტომ, რომ ეს სიტყვები არ ვიცი, იმიტომ, რომ სულელი ვარ და კარაქიანი ფუნთუშები მიყვარს. იმიტომ, რომ ჯერ არ მყვარებია... შვილი არ გამიჩენია... მე კი ამას ვამბობ... და არ ვიცი, რატომ? საიდანაა ეს ყველაფერი ჩემში? მეორე... ახალგაზრდა ქართველი... პარკში იწვა. იქ ერთ ადგილას ქვიშა ეყარა და იმ ქვიშაზე იწვა. იწვა და ზემოთ იყურებოდა. არავის გაჰქონდა, დიდხანს ეგდო. დავინახე... და მივხვდი, რომ სადმე უნდა გავქცეულიყავი... უნდა... მაგრამ სად? ეკლესიისკენ გავიქეცი... სულ ცარიელი დამხვდა. მუხლებზე დავდექი და ყველასთვის ვლოცულობდი... მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ლოცვა, ჯერ არ ვიცოდი მასთან ლაპარაკი... (ჩანთაში იქექება). სადაა აბები? ჩემთვის არ შეიძლება! არ შეიძლება ნერვიულობა... ამ ყველაფრის შემდეგ ავად ვარ და ფსიქიატრთან მიმიყვანეს. მივდივარ ქუჩაში, მივდივარ და უცებ ყვირილი მინდება...

სად ვიცხოვრებდი? სად და ბავშვობაში... იქ დედასთან ისე ვიყავი, როგორც ბუდეში... შემეწიე... შეეწიე უფალო მიმნდობებს და უსინათლოებს! მოსწავლეობისას მიყვარდა წიგნები და ფილმები ომზე. წარმოვიდგენდი, როგორი ლამაზი იყო ყველაფერი იქ... ელვარე... ნათელი ცხოვრებაა... გულიც კი მწყდებოდა, გოგონა რომ ვიყავი და არა – ბიჭი: თუკი ომი იქნებოდა, ომში არ წამიყვანდნენ. ახლა აღარ ვკითხულობ ომზე. საუკეთესოებსაც კი...

საუკეთესო წიგნებს... სინამდვილეში ომი ჭუჭყიანი და საშინელია. ახლა უკვე აღარ მჯერა, რომ ომზე წერა შეიძლება. მთელ სიმართლეს მაინც ვერ აღწერ და რა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს... მერე როგორ უნდა იყო ბედნიერი? არ ვიცი... დავიბენი... დედა მეხუტება: «შვილო, რას კითხულობ?» – შოლოხოვის, «ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ», ომზეა...» «რატომ კითხულობ ამ წიგნებს? ისინი ცხოვრებაზე არაა, შვილი. ცხოვრება სულ სხვანაირია!» დედას სასიყვარულო რომანები უყვარდა. დედა! არც ვიცი, ცოცხალია ახლა თუ მკვდარი? (გაჩუმდა) თავიდან მეგონა, რომ ვერ შეძლებდი იქ... სოხუმში ცხოვრებას. ვეღარ მიშველიდა წიგნები სიყვარულზე. სიყვარული არსებობს, ვიცი, რომ არსებობს... ვიცი...

ოთხმოცდათორმეტი წლის ზაფხული... ჩვენი მეზობლები – ვახტანგი და გუნალა: ქმარი – ქართველი, ცოლი – აფხაზი, – სახლიც გაყიდეს, ავეჯიც და უკვე მიდიოდნენ. დასამშვიდობებლად მოვიდნენ: «ომი დაიწყება, წადით რუსეთში, თუკი ვინმე გყავთ იქ». არ დავუჯერეთ. ქართველები სულ დასცინოდნენ აფხაზებს, აფხაზებს კი ქართველები არ უყვარდათ. ჰო... ოოჰ! (იცინის). «შეძლებს თუ არა ქართველი კოსმოსში გაფრენას?» – «ვერა», – «რატომ?» – «ქართველებს სიამაყე მოკლავთ, აფხაზებს – შური». «რატომ არიან ქართველები ასეთი დაბლები?» – «ქართველები კი არ არიან დაბლები, აფხაზეთის მთებია მაღალი». დასცინოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთად ცხოვრობდნენ. ვენახებს უვლიდნენ... ღვინოს აყენებდნენ. ღვინო აფხაზების რელიგიაა. ყველას თავისი საიდუმლო აქვს... მაისი დადგა... ივნისი... პაჟის სეზონი დაიწყო... პირველი კენკრა გაჩნდა... რა ომი? დედა და მე ომზე არ ვფიქრობდით, – კომპოტს ვხუფავდით, მურაბებს ვხარშავდით. ყოველ შაბათს ბაზარში დავდიოდით.

აფხაზური ბაზარი! ის სუნი... ხმები... ღვინის კასრების და მჭადის, ცხვრის ყველის და შემწვარი წაბლის სუნი. ალუჩის და თამბაქოს ნაზი სუნი, გასრესილი თამბაქოს ფურცლების... ნაირნაირი ყველი... ჩემი საყვარელი მაწონი... მყიდველებს აფხაზურად, ქართულად და რუსულად ელაპარაკებიან. ყველა ენაზე ერთად: «ვაი, ვაი, ჩემო კარგო! არ გინდა ნუ იყიდი, ოღონდაც გასინჯე!» ივნისის შემდეგ ქალაქში პური აღარ იყიდებოდა. დედამ შაბათს გადაწყვიტა, ფქვილი მოემარაგებინა... ავტობუსით მივდივართ, გვერდით ნაცნობი მოგვიჯდა ბავშვით. ბავშვი ჯერ თამაშობდა, მერე კი ტირილი მორთო, თან ისე ხმამაღლა, თითქოს ვიღაცამ დააშინაო. ნაცნობი უცებ კითხულობს: «ისვრიან? გესმით, ისვრიან! რა სიგიჟეა! მივადექით ბაზარს და ვხედავთ, შეშინებული ხალხი გამორბის. ქათმების ბუმბულია ჰაერში, ბოცვრები მორბიან, იხვები... ცხოველებს არ ახსენებენ ხოლმე... არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ ისინიც იტანჯებიან. მე კი სულ მახსოვს დაჭრილი ფისო... როგორ ყვიროდა დაჭრილი მამალი, ფრთაში ნამსხვრევი ჰქონდა მოხვედრილი. ნეტავ, მართლა არანორმალური ვარ? ხშირად ვფიქრობ სიკვდილზე... სულ ამაზე ვფიქრობ... კივილი! ეს ხმები... ერთი ადამიანი კი არა, ბრბო კიოდა. ვიღაც შეიარღებული ადამიანები, რომელთაც ფორმა არ ეცვათ, მაგრამ ავტომატები ეჭირათ, ქალებს მოსდევენ, ჩანთებს ართმევენ, ნივთებს: «მომეცი... გაიხადე». «დამნაშავეები არიან?» – ჩურჩულით მეკითხება დედა. ჩამოვედით ავტობუსიდან და რუსი ჯარისკაცები დავინახეთ. «რა ხდება?» – შეეკითხა დედა. «ვერ ხვდებით? ომია» – უპასუხა ლეიტენანტმა. დედაჩემი მშიშარაა. ეგრევე გული წაუვიდა. იქვე, ეზოში შევიყვანე. ვიღაცამ დოქით წყალი გამოიტანა. დაბომბვის ხმაც ისმის. აფეთქებების. «ქალებო, ქალებო! ფქვილი ხომ არ გჭირდებათ?» – დგას პატარა ბიჭი და

კითხულობს. ლურჯი ხალათი აცვია, ისეთი, როგორშიც ჩვენთან მტვირთავები დადიან, მაგრამ სულ თეთრია, ფქვილშია ამოგანგლული. გამეცინა, მაგრამ დედამ მითხრა: «მოდი, ავიღოთ, იქნებ მართლა ომი იწყება». ვიყიდეთ, ფული მივეცით და მხოლოდ მერე მივხვდით, რომ ნაქურდალი შევიძინეთ, მოროდიორისგან ვიყიდეთ.

ამ ადამიანებთან ვცხოვრობდი... ვიცი მათი წესები, ენა... მიყვარს ისინი. მაგრამ ესენი საიდან მოვიდნენ? ასე უცებ? წამში? სად იყვნენ მანამდე? ოქროს ჯვარი მოვიხსენი და ფქვილში დავმალე, საფულე და ფულიც დავმალე. ბებიებმა რომ იციან, ისე. უკვე ყველაფერს მივხვდი.... ათი კილო ფქვილი სახლამდე ფეხით მივათრიე... ხუთი კილომეტრია. მშვიდად მოვდიოდი. იმ წუთას რომ მოვეკალი, შეშინებასაც კი ვერ მოვასწრებდი... ხალხი... პლაჟებიდან... ჩამოსულები... შეშინებულები ტიროდნენ. მე კი მშვიდად ვიყავი... იქნებ შოკი მქონდა? აჯობებდა, მეყვირა... ისე, როგორც სხვები ყვიროდნენ... ასე მგონია ახლა... დასასვენებლად რკინიგზის ლიანდაგებთან შევჩერდით. რელსებზე ახალგაზრდები ისხდნენ: თავზე ზოგს შავი ლენტი ჰქონდა მოკრული, ზოგს – თეთრი. ყველანი შეიარაღებულები იყვნენ. შორიახლოს სატვირთო მანქანა იწვოდა. საჭესთან მოკლული მძღოლი იჯდა... თეთრ პერანგში... დავინახეთ და ვიღაცის მანდარინის ბაღებში გავიქეცით... მთლიანად ფქვილში ვიყავი ამოგანგლული. «გადააგდე, შეეშვი! – მეხვეწებოდა დედა. «არა, დედა, ვერ გადავაგდებ. ომი დაიწყო, სახლში კი არაფერი გვაქვს». აი, ეს სურათები... ჩვენი მიმართულებით მოდის «ჟიგული». ვუძახით. გვერდს გვივლის და ისე ნელა მოძრაობს, თითქოს დაკრძალვაა და ვხედავთ, წინ გოგო და ბიჭი სხედან, უკან კი ქალის გვამი დევს. შემეშინდა... მაგრამ ისე არა, როგორც ადრე წარმომედგინა (ჩუმდება).

სულ ამაზე მინდა ფიქრი, მუდმივად. ზედ ზღვასთან კიდევ ერთი «ჟიგული» ვნახეთ. წინა ფანჯარა ჩაემსხვრიათ... სისხლის გუბე იდგა... ქალის ფეხსაცმელი ეყარა (ჩუმდება). რა თქმა უნდა, ავად ვარ... ავად... რატომ არ მავიწყდება ეს ყველაფერი? (ჩუმდება). ჩქარა, ჩქარა უნდა მივსულიყავი სახლში. სადმე, ნაცნობ ადგილას. უცებ გუგუნი გავიგონეთ. ზემოთ ომია! მწვანე... სამხედრო ვერტმფრენები... და მიწაზეც... ვნახე ტანკები, ოღონდ კოლონებად კი არ მოდიოდნენ, არამედ – ცალ-ცალკე, ტანკებზე ავტომატებიანი ჯარისკაცები ისხდნენ, ქართულ დროშებს აფრიალებდნენ. კოლონა არეულად მოდიოდა: ზოგი ტანკი სწრაფად მოძრაობდა წინ, ზოგი კომერციული მაღაზიების წინ ჩერდებოდა. ჯარისკაცები ხტებოდნენ ტანკებიდან, ტეხავდნენ მაღაზიებს და გამოჰქონდათ შამპანური, კანფეტები, კოლა, სიგარეტები. ტანკებს უკან მატრასებით და სკამებით გატენილი «იკარუსი» მოჰყვებოდა. სკამები რაღად უნდოდათ?

სახლში ეგრევე ტელევიზორს ვეცით... სიმფონიური ორკესტრი უკრავდა. სადაა ომი? მანამ, სანამ ბაზარში წავიდოდით, პამიდორი და კიტრი მოვამზადე დასაკონსერვებლად. ქილები გავასტერილე. დავბრუნდით და საქმეს შევუდექი – ვხუფავდი. რაღაც უნდა მეკეთებინა, რაღაცით გამერთო თავი. საღამოს ვუყურეთ მექსიკურ სერიალს, «მდიდრებიც ტირიან». სიყვარულზე...

დილით, ძალიან ადრე გრუხუნმა გამაღვიძა. ჩვენს ქუჩაზე სამხედრო ტექნიკა მოდიოდა. ერთი მანქანა ჩვენს სახლთან შეჩერდა. ეკიპაჟი რუსული იყო. ეგრევე მივხვდი – დაქირავებულები იყვნენ. დედას დაუძახეს: «დედი, დაგვისხი წყალი». დედამ წყალი და ვაშლი გაუტანა. წყალი დალიეს, ვაშლი არ აიღეს. გვითხრეს: «გუშინ ერთი ჯარისკაცი მოგვიწამლეს ვაშლით». ქუჩაში ნაცნობი

შემხვდა: «როგორ ხარ? როგორ არიან შენები?» გვერდით ჩამიარა ისე, თითქოს არ მიცნობდა. გავეკიდე, მოვაბრუნე: «რა გჭირს?» – როგორ ვერ ხვდები? საშიშია ჩემთან ლაპარაკი. ქმარი ქართველი მყავს...» მე კი... მე არასდროს მიფიქრია იმაზე, აფხაზი იყო მისი ქმარი თუ ქართველი. რა მნიშვნელობა ჰქონდა? შესანიშნავი ადამიანი იყო. მთელი ძალით მოვეხვიე! ღამით ძმამ მოაკითხა. უნდოდა სიძე მოეკლა. მე და მისი ძმა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ვმეგობრობდით. ვიფიქრე: როგორ უნდა შევხვდეთ ხვალ? რა უნდა ვუთხრათ ერთმანეთს?

რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ქუჩა ახრიკს ვმარხავდით... ახრიკი... ნაცნობი აფხაზი ბიჭი... ცხრამეტი წლისა იყო. საღამოს გოგოსთან მიდიოდა და დანა ჩაარტყეს ზურგში. დედა კუბოს მოჰყვებოდა: ხან ტიროდა, ხან უცებ მოიხედავდა და იცინოდა. გაგიჟდა. ერთი თვის წინ საბჭოთა ადამიანები ვიყავით. ახლა კი: ქართველი – აფხაზი... აფხაზი – ქართველი... რუსი...

გვერდით ქუჩაზე კიდევ ერთი ბიჭი ცხოვრობდა... რა თქმა უნდა, ვიცნობდი, სახელი არ ვიცოდი, მაგრამ ვცნობდი, ვესალმებოდი. ლამაზი და მაღალი. თავისი მოხუცი მასწავლებელი მოკლა იმის გამო, რომ ქართულს ასწავლიდა და ორიანებს უწერდა. როგორ? გესმით რამე? საბჭოთა სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ადამიანი ადამიანის მეგობარია, ამხანაგი და ძმაა... დედაჩემმა ეს ამბავი რომ გაიგო... თვალები ჯერ დაუპატარავდა... მერე კი გაუდიდდა... დაიფარე უფალო მიმნდობნი და უსინათლონი! ეკლესიაში საათობით ვდგავარ მუხლებზე. იქ სიჩუმეა... თუმცა, ახლა იქაც ბევრი ადამიანია და ყველა ერთსა და იმავეს ევედრება ღმერთს... (ჩუმდება). ფიქრობთ, რომ შეძლებთ? იმედი გაქვთ? ჰო... აი, თქვენ გჯერათ... მე კი – არა.

ღამით მეღვიძება... დედას ვეძახი... დედაც თვალღია წევს: «არასდროს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც სიბერეში. და, უცებ – ომი!» კაცები სულ ომზე ლაპარაკობენ, იარაღი უყვართ, ახალგაზრდებსაც, მოხუცებსაც... ქალები კი სიყვარულს იხსენებენ... მოხუცი ქალები ჰყვებიან, როგორი ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ. ქალები არასდროს ლაპარაკობენ ომზე... ისინი თავიანთი კაცებისთვის ლოცულობენ... დედა გადავა მეზობელთან და იქიდან ყოველ ჯერზე შეშინებული ბრუნდება: «გაგრაში მთელი სტადიონი ქართველები დაუწვავთ!» – «დედა!» – «ისიც გავიგე, რომ ქართველები კასტრირებას უკეთებენ აფხაზებს!» – «მაიმუნების საშენი დაუწვავთ... ღამით ქართველები ვიღაცას გამოეკიდნენ და აფხაზი ეგონათ. დაჭრეს, ყვიროდა. აფხაზებმა იფიქრეს, ქართველიაო. დაეწივნენ, ესროლეს. დილით კი ნახეს, თურმე მაიმუნია. ყველამ – ქართველებმაც და აფხაზებმაც ომი დროებით შეწყვიტეს და მაიმუნის გადარჩენა სცადეს. ადამიანი რომ ყოფილიყო, მოკლავდნენ». რა უნდა მეთქვა დედაჩემისთვის? ყველასთვის ვლოცულობდი: «ზომბებივით დადიან. დადიან და სჯერათ, რომ სიკეთეს აკეთებენ. მაგრამ განა შეიძლება ავტომატითა და დანით სიკეთის კეთება? სახლებში შედიან და თუკი ვერავის ნახავენ, საქონელს და ავეჯს ესვრიან. ქალაქში გახვალ და დახვრეტილი ძროხა აგდია... ტყვიებისგან გატეხილი მურაბების ქილები... ისვრიან – ზოგნი ერთ მხარეს, სხვები – მეორეს. გონზე მოიყვანე!» (ჩუმდება). ტელევიზორი უკვე აღარ მუშაობდა, ხმა ისმოდა, გამოსახულება არა. მოსკოვი სადღაც შორს, ძალიან შორს იყო.

ეკლესიაში დავდიოდი... ვლაპარაკობდი იქ... ვლაპარაკობდი... ქუჩაში ვისაც ვხვდებოდი, ყველას ვაჩერებდი. მერე საკუთარ თავთან ლაპარაკი დავიწყე.

დედა გვერდით მეჯდა, მისმენდა და ეძინებოდა. ისე იღლებოდა, რომ ზეზეურად ეძინა. გარგარს რეცხავდა და ეძინებოდა. მე კი... როგორც დაქოქილი... ვყვებოდი და ვყვებოდი... იმას, რაც სხვებისგან გავიგე და რაც საკუთარი თვალით ვნახე... ქართველმა... ახალგაზრდა ქართველმა როგორ დააგდო ავტომატი და ყვიროდა: «ეს სად მოვხვდი! სამშობლოსთვის დასაცავად წამოვედი, სხვისი მაცივრის მოსაპარად კი არა! რატომ შედიხართ სახლებში და რატომ გამოგაქვთ სხვისი მაცივრები? საქართველოსთვის უნდა მოვკვდე!» ხელი მოჰკიდეს, ისე გამოიყვანეს და თან თავზე ეფერებოდნენ. კიდევ ერთი ქართველი წინ გადაუდგა აფხაზებს, რომლებიც ესროდნენ: «აფხაზო ძმებო! არ მინდა, მოგკლათ, თქვენც ნუ მესვრით!» ისევ თავისიანებმა დაახალეს ტყვია ზურგიდან. კიდევ... არ ვიცი, რუსი იყო თუ ქართველი, ჭურვით ხელში შეუვარდა სამხედრო მანქანას. თან რაღაცას ყვიროდა. ვერავინ გაიგო, რას ყვიროდა, მანქანაში აფხაზები დაიწვნენ... ისინიც ყვიროდნენ. (ჩუმდება). დედა... დედა... დედამ ფანჯრის რაფები ყვავილებით მორთო. მეხვეწებოდა: «შვილო, ყვავილებს უყურე, ზღვას უყურე». საოცარი დედა მყავს, კეთილი გული აქვს... გამომიტყდა: «დილით ადრე გამეღვიძა, – მზე აჭყეტდა ფოთლებში... ვფიქრობ: «აი, სარკეში ჩავიხედავ – რამდენი წლის ვარ?» უძილობა აწუხებს, ფეხები სტკივა, ოცდაათი წელი ცემენტის ქარხანაში ოსტატად იმუშავა, მაგრამ დილით აღარ ახსოვს, რამდენი წლისაა. დგება, კბილებს იხეხავს, სარკეში უყურებს საკუთარ თავს და მოხუც ქალს ხედავს... მერე საუზმის მზადებას იწყებს და ამ ამბავს ივიწყებს. მესმის, როგორ მღერის... (გაიღიმა) დედა... ჩემი მეგობარია... ამას წინათ სიზმარი ვნახე: სხეულს ვტოვებდი... მაღლა, მაღლა მივფრინავდი... ისე კარგად ვიყავი...

უკვე აღარ ვიცი, რა უფრო ადრე მოხდა და რა – გვიან... აღარ მახსოვს... პირველ დღეებში ყაჩაღები ნიღბებით დადიოდნენ, შავ წინდებს იცვამდნენ სახეზე. ნიღბები მალევე მოიხსნეს. მოდის: ერთ ხელში ბროლის ლარნაკი უჭირავს, მეორეში – ავტომატი, ზურგზე ხალიჩა ადევს. ტელევიზორები და სარეცხი მანქანები გამოჰქონდათ... ქალების ქურქები... ჭურჭელი... არაფრისა ერიდებოდათ, დანგრეული სახლებიდან ბავშვების სათამაშოებსაც კი მოათრევდნენ... (ჩურჩულზე გადადის). ახლა მაღაზიაში ჩვეულებრივ პურის დანას რომ ვხედავ, ცუდად ვხდები... ადრე სიკვდილზე არ მიფიქრია. სკოლაში ვსწავლობდი. ვსწავლობდი და მიყვარდა. ღამით ვიღვიძებდი და ვოცნებობდი. როდის იყო ეს? იმ ცხოვრებიდან უკვე აღარაფერი მახსოვს. სამაგიეროდ, მახსოვს: აფხაზ ბიჭუნას ყურები დააჭრეს, რომ აფხაზური სიმღერები არ მოესმინა. ახალგაზრდა ბიჭს კი... მოაჭრეს.... ხომ ხვდებით... ცოლს რომ ბავშვი არ გაეჩინა... სადღაც ბირთვული რაკეტები დგას, თვითმფრინავები და ტანკები, ადამიანები კი ერთმანეთს დანებით ჭრიდნენ, სამთითაზე აგებდნენ, ნაჯახით ჩეხავდნენ... ნეტავ როგორ არ გავგიჟდი ბოლომდე... ვერაფერს ვერ მივხვდებოდი... ჩვენს ქუჩაზე გოგონამ... თავი ჩამოიხრჩო... ვიღაც ბიჭი უყვარდა, იმან კი სხვა მოიყვანა ცოლად. თეთრი კაბით დაკრძალეს. არავის სჯეროდა, როგორ შეიძლებოდა ასეთ დროს სიყვარულის გამო სიკვდილი... რომ გაეუპატიურებინათ... სონია დეიდა მახსოვს, დედის მეგობარი... ღამით მისი მეზობლები დახოცეს... ქართველების ოჯახი, მეგობრობდა მათთან... ორი პატარა ბავშვიც. სონია დეიდა მთელი დღეები თვალდახუჭული იწვა და ადგომა არ უნდოდა: «ჩემო გოგონი, ღირს ამის შემდეგ სიცოცხლე?» – მეკითხებოდა ხოლმე. კოვზით ვაჭმევდი სუპს, ყლაპვა არ შეეძლო.

სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ უნდა გვყვარებოდა თოფიანი ადამიანი... სამშობლოს დამცველი! ესენი კი... ესენი სხვანაირები იყვნენ... და ომიც სხვანაირი ყოფილა. ყველანი ავტომატიანი ბიჭუნები იყვნენ. ცოცხლები – შიშის ზარს გვცემდნენ, მოკლულები კი ისეთი უმწეოები ეყარნენ, მეცოდებოდნენ. როგორ გადავრჩი? მე... მე მიყვარს დედაზე ფიქრი. დედა საღამოობით დიდხანს მივარცხნიდა თმას. «ოდესმე, – მპირდებოდა დედა, – სიყვარულზე მოგიყვები. მაგრამ ისე მოგიყვები, ვითომ მე კი არ გადამხდა თავს, არამედ, ვიღაც სხვას.» დედას და მამას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ძალიან, ძალიან. თავიდან დედას სხვა ქმარი ჰყავდა. ერთხელ ვახშმობდა, დედა კი პერანგებს აუთოვებდა. და უცებ (ასეთი რამე მარტო დედაჩემმა შეიძლება გააკეთოს) ხმამაღლა უთხრა: «შენგან ბავშვს არ გავაჩენ». მოკრიფა ნივთები და წამოვიდა. მერე შეხვდა მამას... მამა კუდში დასდევდა, საათობით ელოდა ქუჩაში, ზამთარში ყურები მოეყინა. დადიოდა და შეჰყურებდა. ბოლოს აკოცა...

მამა ომის დაწყების წინ გარდაიცვალა... გული გაუსკდა. საღამოს ტელევიზორთან დაჯდა და უცებ მოკვდა. თითქოს სადღაც წავიდა... «ჩემო გოგონი, როცა გაიზრდები...» მამას ჩემთან დაკავშირებით დიდი გეგმები ჰქონდა...(ატირდა) მე და დედა მარტონი დავრჩით. დედა, რომელსაც თაგვების ეშინია... არ შეუძლია სახლში მარტო დარჩენა. ომის დროს ბალიშს იფარებდა თავზე... ყველაფერი, რაც ღირებული გვქონდა, გავყიდეთ: ტელევიზორი, მამის ოქროს პორტსიგარი, რომელსაც დიდხანს ვუფრთხილდებოდით, ჩემი ოქროს ჯვარი. გადავწყვიტეთ, წავსულიყავით, მაგრამ სოხუმიდან რომ გამოსულიყავი, ქრთამი უნდა გადაგეხადა. ქრთამებს სამხედროები და მილიცია იღებდნენ. დიდი ფული იყო საჭირო. მატარებლები უკვე აღარ დადიოდა.

უკანასკნელი გემები უკვე დიდი ხანია, რაც გავიდნენ – დევნილები ტრიუმებში და კაიუტებში ისე იწვნენ, როგორც ქაშაყი კასრში. ფული მხოლოდ ერთი ბილეთისთვის გვყოფნიდა. ერთი ბილეთი და ერთი გზა... მოსკოვამდე. არ მინდოდა დედის გარეშე წასვლა. ერთი თვე მეხვეწებოდა: «შვილო, წადი, წადი!» მე ჰოსპიტალში მუშაობა და დაჭრილების მოვლა მინდოდა... (ჩუმდება). თვითმფრინავში, ხელჩანთის და საბუთების გარდა, არაფრის ატანის უფლება არ მომცეს. არც ნივთების, არც დედის გამომცხვარი ღვეზელების. საბაჟოზე ჩემთან ერთად სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იდგა, მაგრამ ჯარისკაცები ასე მიმართავდნენ: «ამხანაგო მაიორო» და მის ჩემოდნებს ეზიდებოდნენ, კიდევ რაღაც მუყაოს ყუთებს, ღვინის ბოთლებით, მანდარინით სავსეს. ვტიროდი... მთელი გზა ვტიროდი... ერთი ქალი მაწყნარებდა, რომელსაც თან ორი ბიჭი ახლდა. ერთი თავისი და მეორე – მეზობლის. ბიჭები შიმშილისგან დასიებულიყვნენ. არ მინდოდა... არაფრით არ მინდოდა წასვლა... დედამ მომიშორა და ძალით შემაგდო თვითმფრინავში. «დედა, სად მივდივარ?» სახლში ბრუნდები, რუსეთში».

მოსკოვი! მოსკოვი... ორი კვირა სადგურზე ვცხოვრობდი. ისეთი, მე რომ ვიყავი... ათასობით იყვნენ... მოსკოვის ყველა საგზურზე – ბელორუსიის, საველოვის, კიევის... ოჯახებით, ბავშვებით და მოხუცებით. სომხეთიდან, ტაჯიკეთიდან, ბაქოდან... სკამებზე ცხოვრობდნენ, იატაკზე... საჭმელსაც იქ აკეთებდნენ. რეცხავდნენ. ტუალეტში არის შტეფსელები... ესკალატორის გვერდითაც არის შტეფსელები... ტაშტში წყალს ჩაასხამ, ელექტრომადუღარას ჩააგდებ, ვერმიშელს ჩაყრი, ხორცს... სუპი მზადაა! საბავშვო მანის ფაფა! მეჩვენება, რომ

მოსკოვის ყველა სადგურზე კონსერვების და სუპ-ხარჩოს სუნია. ფლავის. ბავშვის ფსლის და ჭუჭყიანი საფენების, რომლებსაც ბატარეებზე და ფანჯრებზე აშრობდნენ. «დედა, სად მივდივარ?» – «სახლში მიდიხარ, რუსეთში» და აი, სახლში ვარ. სახლში არავინ მელოდა. არავინ დამხვედრია. არავინ გვაქცევდა ყურადღებას, არავინ არაფერს გვეკითხებოდა. დღეს მთელი მოსკოვი – სადგურია, ერთი დიდი სადგური. ქარავანი. ფული მალე გამითავდა. ორჯერ დამიპირეს გაუპატიურება – ერთხელ, ვიღაც ჯარისკაცმა, მეორედ – მილიციონერმა. მილიციონერმა ღამით იატაკიდან ამაგდო: «სადაა შენი საბუთები?» და მილიციის ოთახისკენ მიმათრევდა. შეშლილი თვალები ჰქონდა. ისე დავიკივლე! როგორც ჩანს, შეშინდა. გაიქცა. «შტე-რო შენ! მომაძახა. დღისით ქალაქში დავდიოდი... წითელ მოედანზე ვდგებოდი... საღამოობით კი სურსათის მაღაზიებში. ძალიან მინდოდა, რამე მეჭამა. ერთმა ქალმა ხორციანი ღვეზელი მიყიდა. არ მითხოვია... ჭამდა, მე კი ვუყურებდი... შევეცოდე. მხოლოდ ერთხელ... მე ეს «ერთხელ» მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა. ძალიან, ძალიან მოხუცი ქალი იყო. ღარიბი... სადმე უნდა წავსულიყავი, ოღონდაც სადგურზე არ ვმჯდარიყავი... არ უნდა მეფიქრა საჭმელზე, არ უნდა მეფიქრა დედაზე... და ასე, ორი კვირა... (ტირის). ვაგზალზე, ნაგვის ყუთში შეიძლებოდა პურის ნაჭრის პოვნა, ნაჭამი ქათმის ხორცის... ასე ვცხოვრობდი, სანამ მამიდა არ ჩამოვიდა, დიდი ხანი იყო, აღარაფერი ვიცოდით მისი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი... ოთხმოცი წლისაა, სახლის ტელეფონი ვიცოდი. ყოველდღე ვურეკავდი და არავინ იღებდა ყურმილს. მამიდა საავადმყოფოში იწვა. მე კი მეგონა, რომ გარდაიცვალა...

სასწაული მაინც მოხდა. ისე ველოდი... და მოხდა... მამიდამ ჩამომაკითხა. «ოლგა... მილიციის ოთახში მამიდა გელოდებათ ვორონეჟიდან». ყველა ახმაურდა, ამოძრავდა... მთელი სადგური: ვის? ვინ? რა გვარია? ორნი გავიქეცით: აღმოჩნდა, რომ ერთი გოგო კიდევ ყოფილა ჩემი მოგვარე, მაგრამ სხვა სახელით. დუშანბედან ჩამოვიდა. ისე ტიროდა, მისი მამიდა რომ არ აღმოჩნდა... არ მიჰყავდათ...

ახლა ვორონეჟში ვცხოვრობ... სადაც ამიყვანენ, იქ ვმუშაობ – ჭურჭლის მრეცხავად რესტორანში, დარაჯად მშენებლობაზე, ერთი ხანობა ვიღაც აზერბაიჯანელთან ვიმუშავე, ხილს ვყიდიდი, სანამ შევიწროება არ დამიწყო. ახლა ტოპოგრაფად ვმუშაობ, დროებით ამიყვანეს და მენანება, საინტერესო სამუშაოა. სამედიცინო ტექნიკუმის დიპლომი მოსკოვის სადგურზე მომპარეს. დიპლომიც და დედის ყველა ფოტოც... მე და მამიდაჩემი ეკლესიაში დავდივართ. მუხლებზე ვდგავარ და შევთხოვ: «უფალო! მზად ვარ, მზად ვარ ახლა რომ მოვკვდე! მინდა მოვკვდე!» ყოველ ჯერზე ვეკითხები, ცოცხალია თუ არა დედაჩემი... მადლობა... მადლობა, რომ არ გეშინიათ ჩემი, არ მარიდებთ თვალს, როგორც სხვები... მისმენთ. აქ მეგობარი არ მყავს, არც თაყვანისმცემელი... ვყვები... ვყვები... როგორ იწვნენ... ახალგაზრდები, ლამაზები... (შეშლილი ღიმილი სახეზე) თვალდაჭყეტილი... ფართოდ გახელილი თვალებით...

ექვსი თვის შემდეგ წერილი მივიღე მისგან. «მონასტერში მივდივარ. სიცოცხლე მინდა. ყველასთვის ვილოცებ».

„პრემია მთელმა რუსულმა სამყარომ მიიღო“

მოამზადა თამარ კოტრიკაძემ

სვეტლანა ალექსიევიჩისადმი 2015 წელს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებას რუსი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე *დმიტრი ბიკოვი* მთელი რუსულენოვანი კულტურის გამარჯვებად მიიჩნევს.

«სავსებით ვეთანხმები სანობელო კომიტეტის გადაწყვეტილებას. უნდა გვეამაყებოდეს და გვიხაროდეს, რომ რუსულენოვანმა მწერალმა, თუნდაც აწ არარსებული, მაგრამ წარსულში არსებული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელმა ნობელის პრემია აიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსულმა ლიტერატურამ დაიმსახურა ჯილდო თავისი ტრადიციული თვისებებისათვის: ესაა ჭეშმარიტების გაბედული ძიება, მილიონობით უბედური, დადუმებული, დამხრჩვალი ადამიანისათვის ხმის უფლების მინიჭება, თითოეული ადამიანისათვის იმის უფლების მიცემა, იცოდეს, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა ჩერნობილში, რა ბედი ელის ქალსა და ბავშვს ომის ქარცეცხლში», – განაცხადა ბიკოვმა.

«სვეტლანა ალექსიევიჩი მოწინავე რუსული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ტრადიციებს აგრძელებს – კოროლენკოს ტრადიციებს, ჟურნალისტური გამოძიებისა და პოლიფონიური ეპოსის ტრადიციებს. ჩემი აზრით, ეს პრემია ალექსიევიჩთან ერთად მთელმა რუსულმა სამყარომ მიიღო, იმ ჭეშმარიტმა რუსეთმა, რომელიც მთელ მსოფლიოს უყვარს, რომლის წინაშეც ყველა ქედს იხრის», – თვლის მწერალი.

2014 წელს სვეტლანა ალექსიევიჩი თავისი წიგნით, «სექენდ-ჰენდის დრო» რუსული ლიტერატურული პრემიის, «ბოლშაია კნიგა» ლაურეატთა სამეულში შევიდა. ამ პრემიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის, მიხაილ ბუტოვის აზრით, «უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ სანობელო კომიტეტმა ლიტერატურული ნაწარმოების სახით პირველად შეარჩია რამდენადმე მაინც ჟურნალისტური, პუბლიცისტური ტექსტები. მე მსგავსი შემთხვევა არ მახსენდება. ეს ნამდვილად ახალი ტენდენციის მანიშნებელია. შესაძლოა, მომავალში ნობელის სალიტერატურო პრემიის ლაურეატებად ვიხილოთ ისეთი წიგნების ავტორები, რომლებსაც უფრო მეტად პულიტცერის პრემია ეკუთვნოდათ. მეორე მხრივ, მაშინ, როდესაც სახელმწიფომ ოფიციალური სახის რამდენიმე უშედეგო მცდელობა ჩაატარა მსოფლიოში რუსული ენისა და ლიტერატურის სტატუსის ასამაღლებლად, ბელარუსმა მწერალმა სვეტლანა ალექსიევიჩმა საამისოდ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი გააკეთა. ამის გამო ის დიდ პატივისცემას იმსახურებს. დარწმუნებული ვარ, ეს სხვა რუსულენოვან ავტორებზეც რამდენადმე აისახება. ალექსიევიჩმა იმ ჟანრს მიმართა, რომელიც მანამდე სხვებმა აღმოაჩინეს, მაგრამ ალექსიევიჩმა ამ სფეროში ყველაზე უფრო მკვეთრად გამოავლინა თავი. მის წიგნებს მკითხველები გამოსვლისთანავე დახლიდან «აქრობდნენ», ამიტომაც დარწმუნებით ვამბობ, რომ ის დიდი ლიტერატორია. ამასთან, ჩვენთვის ცხადია, რომ სანობელო კომიტეტის არჩევანი მნიშვნელოვანწილად ავტორის ოპოზიციურმა პოლიტიკურმა განწყობამაც განაპირობა. საინტერესოა, როგორ უმკლავდება კომიტეტი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებთა შედარების სირთულეს. «ბოლშაია კნიგა»-ს ექსპერტთა საბჭოს საკმაოდ გაუჭირდა საერთო

კრიტერიუმების მოძებნა, რადგან შარშანდელ კონკურსში რამდენიმე ძლიერი ფიქშენ-მწერალი მონაწილეობდა; ალექსიევიჩი მაინც ჟურნალისტურ ჟანრში წერს».

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო «TACC».

სვეტლანა ალექსიევიჩი ტექსტ-ვერბატიმებს წერს. ეს ისტორიული მოვლენების მოწმეთა ინტერვიუების კომპილაციაა. ამასთან, ის უბრალოდ სხვისი ტექსტებისაგან კი არ აგებს წიგნს, არამედ კომპოზიციურად აწესრიგებს მას და, შეიძლება ითქვას, ამ ტექსტების აღქმისას სწორედ კომპოზიცია თამაშობს გადამწყვეტ როლს.

მას დაწერილი აქვს ხუთი რომანი – საბჭოეთის ტრაგედიათა ერთგვარი ხუთწიგნეული. ალექსიევიჩის წიგნები ემოციურად და მორალურად მძიმეა, ის რუსი ერისა და რუსეთის ისტორიის ყველაზე უფრო მტკივნეულ წერტილებზეა დამიზნებული. ესაა საკუთარ თავზე მუშაობა. კითხვისას ბრაზობ, ტირი, მწარედ გეცინება და თითქმის ყოველთვის განიცდი გაოცებას. გაოცებს რუსი ხალხის სიბეცე, სიკეთე და, ამასთან, მისი შესაბრალისი ყოფა, სახელმწიფო მანქანის სისასტიკე და სისუსტე, ზოგადად ადამიანური არსის წარმოუდგენელი სიღრმე. მის წიგნებში დასმულია შეკითხვა: რას წარმოადგენს ადამიანურობა და რამდენია ადამიანში ადამიანური? რამდენად ფასობს ადამიანის სიცოცხლე რუსეთში და რისთვის ღირს ცხოვრება?

თუმცა, თუკი თვალს მოვწყვეტთ მთელ ეგრეთ წოდებულ «ჩერნუხას», ალექსიევიჩის წიგნები მაინც სიყვარულზეა. სიყვარულზე იმის მიმართ, რისი შეყვარებაც რთული ან სულაც შეუძლებელია, სიკეთისა და ბოროტების,

ცოცხალთა და გარდაცვლილთა სიყვარულზე, ადამიანის სიყვარულზე.

როდესაც რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, მომწიფდება საიმისოდ, რათა საბჭოთა ეპოქის რეფლექსია შეძლოს, ალექსიევიჩის წიგნები ამ ურთულეს პროცესში მთავარი დოკუმენტების როლს ითამაშებს.

იური საპრიგინი

ბელარუსი მწერლის, სვეტლანა ალექსიევიჩის მიერ მიღებული სანობელო ჯილდო ლიტერატურის დარგში 1987 წლის შემდეგ რუსულ კულტურულ სივრცეში პირველი ნობელის პრემია გახლავთ. როგორც სანობელო კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებამ, წლევანდელმაც პირველ ყოვლისა მისი პოლიტიკური მოტივების შესახებ გამოიწვია დისკუსია. თუმცა მოცემულ შემთხვევაში პოლიტიკის მხრივ ყველაფერი საკმარისად გამჭვირვალეა: ჯერ ერთი, ლიბერალური, ანტისაბჭოური და ანტირევაშისტული შეხედულებების მქონე ალექსიევიჩის დაჯილდოვება თავისთავად უკვე ცალსახად მოწმობს იმაზე, რომ მსოფლიო საზოგადოება სულაც არ არის აღტაცებული იმ იმპერიული ამბიციებით, უკანასკნელ წლებში ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე რომ გაიფურჩქნა. მეორე მხრივ, რუსულენოვანი, მაგრამ რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ავტორისადმი ნობელის პრემიის მინიჭება ადასტურებს ბოლო დროს მიჩქმალულ ჭეშმარიტებას, რომ რუსული ენა გლობალური, საერთაშორისო ენაა. დაბოლოს, იმ ბელარუსი მწერლის დამსახურების აღიარება, აშკარად უარყოფითად რომ აფასებს ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმს და გამუდმებით აკრიტიკებს მას, პარადოქსულად გვევლინება ამავე რეჟიმის გაუხმაურებელი წაქეზების ფორმად. შეიძლება

ითქვას, ლუკაშენკომ ერთგვარი სიმბოლური ორდენი დაიმსახურა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ შემწყარებლობისა და რუსეთის დღევანდელი კურსისაგან გასამიჯნად მზადყოფნისათვის.

თუმცა, პოლიტიკური შემადგენლის გარდა – რომელიც გარდუვალია და რომელსაც ლიტერატურული ნობელის შემთხვევაშიც არავინ უარყოფს – ეს ჯილდო მუდამ შეიცავს მნიშვნელოვან სახელდობრ ლიტერატურულ ელემენტსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრემიას არასოდეს ანიჭებენ მხოლოდ მხატვრული ღირსებების გამო, ამ ნუსხაში, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მაინც, მდარე ან უმნიშვნელო მწერლებს ვერ ნახავთ. აი, სწორედ ამ პუნქტში ალექსიევიჩთან დაკავშირებით ბევრად მეტი ეჭვი და კითხვა ჩნდება, ყოველ შემთხვევაში, რუსულენოვან საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით ალბათ უადგილო არ იქნება, თუკი ჟიურის გადაწყვეტილების მადასტურებელ კონკრეტულ ფორმულირებას მივმართავთ, მით უმეტეს, რომ ის ამჯერად სავსებით ცალსახა და გასაგებია და არავითარ ჰერმენევტიკულ კვლევებს არ შეიცავს: «მრავალხმიანი შემოქმედებისათვის, რომელიც ჩვენი დროის ტანჯვისა და სიმამაცის ძეგლად გვევლინება». «ნობელის» ენიდან «ჩვეულებრივ» ენაზე თარგმანში ეს ნიშნავს შემდეგს: ალექსიევიჩი დაჯილდოვდა, როგორც ავტორი, რომელმაც მშობლიური ლიტერატურული ტრადიციების ფარგლებში პირველად მოახდინა საბჭოთა ხალხის ზეპირი ისტორიის გეგმაზომიერი დაფიქსირება და შენარჩუნება და, ამასთან, მის მტკივნეულ წერტილებზე გააკეთა აქცენტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაცვლად იმის ჩამოთვლისა, თუ რა არ გაუკეთებია ალექსიევიჩს (არ შეუქმნია დიდი რომანები, არ მოუხდენია გადატრიალება რუსულ

სიტყვაკაზმულ მწერლობაში, არ ჩამოუყალიბებია საკუთარი განუმეორებელი სტილი) ბევრად უფრო შედეგიანი იქნება, თუკი იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც მან გააკეთა. ეს კი სულაც არ არის ცოტა: მან დაფანტული ნამსხვრევები, ცალკეული სიუჟეტები და პირადი მოწმობები გამოწვლილვით შეაგროვა და სრულყოფილი და კომპლექსური პოზიცია ჩამოაყალიბა იმ საკითხებთან დაკავშირებთ, დღემდე საკვანძოდ რომ რჩება. თავისი წიგნისათვის «თუჯის ბიჭები» სვეტლანა ალექსიევიჩი გაესაუბრა ავღანეთის ომში დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ასობით მეუღლეს, დედას, სატრფოს. «სექენდ-ჰენდის დროში» კი ჭიანჭველას გულმოდგინებით შეაკოწიწა და მხატვრულად გადაამუშავა უდიდესი რაოდენობით იმ ადამიანთა მოგონებები, ვისაც ოთხმოცდაათიანებში მოუწია ცხოვრება. თავის ყველაზე ცნობილ წიგნში «ომს არ აქვს ქალის სახე» ჩაიწერა და ამით დავიწყებას გადაარჩინა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქალების პერსონალური მოგონებები. შეიძლება ითქვას, რუსული კულტურა მართლაც ბევრ რამეს ემადლიერება ალექსიევიჩს.

თავი დავანებოთ მისი პროზის ავკარგიანობას: რუსულენოვანი ავტორისათვის ნობელის მინიჭება მშვენიერი ამბავია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც რუსულ ენაზე კითხულობს და წერს. ლიტერატურული ნობელი გუნდური თამაში გახლავთ და ამ შეთხვევაში ალექსიევიჩთან ერთად მთელი რუსული ლიტერატურაა გამარჯვებული. ბოლო დროს მოხდა მშობლიური მწერლობის სწრაფი მარგინალიზაცია როგორც შიდა კულტურულ ბაზარზე, ისე, და უფრო მეტადაც, გარე ბაზარზეც. ამგვარი მარგინალიზაცია, პირველ ყოვლისა, იმითაა ცუდი, რომ დროთა განმავლობაში გაძლიერება

ახასიათებს: რაც ნაკლებად კითხულობენ რუსულენოვან ავტორებს, მით ნაკლები წიგნი იწერება რუსულ ენაზე, ხოლო სპირალის მომდევნო ხვეულაზე ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ რუსულ ენაზე ზოგადად სულ უფრო ნაკლებს წერენ და კითხულობენ. ალექსიევიჩის დაჯილდოების წყალობით რუსული მწერლობა გარკვეული დროით მაინც კვლავ მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცევა, რამაც, შესაძლოა, ახალი ბიძგი მისცეს მის განვითარებას. ამასთან, ამიერიდან რუსულ მედიასივრცეში გაჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი, ავტორიტეტული და მსოფლიოს მიერ აღიარებული ფიგურა, რომელსაც საკმაოდ მდგრადი და გონივრული პოზიცია უკავია საჭირბოროტო საკითხებთან მიმართებაში. ასე რომ, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, ალექსიევიჩის გამარჯვებამ ყველანი გამარჯვებულებად გვაქცია».

გალინა იუზეფოვიჩი

2.პოეზია

ნინი ელიაშვილი

* * * (აღარ დარჩება ცოტა ხანში აღარაფერი...)

აღარ დარჩება ცოტა ხანში აღარაფერი
ამ სურვილიდან. ამ ეჭვიდან. ამ ღიმილიდან.
მოვიმარაგე ყველაფერი, რაც კი გაფრენას
დასჭირდებოდა, არ მოვსულვარ რადგან სარბენად.
თუმცა არცერთი გამომივიდა.

*

ასეთი იყო ეს ამბავი, მე რომ გადამხდა.
დიდი ეჭვი მაქვს, რომ ისევე უნდა გადამხდეს.
ვიღაც მომდევდა ბავშვობიდან მუდამ მხარდამხარ.
ყოველთვის რაღაც ზეციურის სურდა დანახვა.
ის არ ჩანდა და მე რომ ვწყვეტდი მერე არტახებს
ამას ხედავდნენ მეგობრები. მტრები. მშობლები.
გულს მიკეთებდნენ საუბრებით. ქვებით. აბებით.
ვერც კი ვიხსენებ, როგორ შევძელ ამ სიშორემდე
წამოსვლა. გზაში (გზა არც ყოფილა) სულ ვიმეორებდი:
არაფერია, ყველასა აქვს მსგავსი ამბები!
არაფერია, ყველასა აქვს მსგავსი ამბები!
არაფერია, ყველასა აქვს მსგავსი ამბები!
გზა არ ყოფილა ეკლიანი, გზა არ ყოფილა
რადგან საერთოდ. გავდიოდი მხოლოდ ფიქრებით
ცრუ კილომეტრებს. მომდიოდა ბრაზი, ოფლივით,
რომ არ ვყოფილვარ არასოდეს უარყოფილი
და რომ ვხვდებოდი ცოტა ხანში მართლა ვიქნები.
ასე, რამდენჯერ წარმოდგენით ზღვებმა დამტბორა.
მხეცმა დამტორა და ვეძებდი ქარში მისაყრდენს.
წარმოვიდგენდი, ჩემი სული იყო კანტორა,
უცხო ხდებოდა ჩემთვის მერე ყველა რატომღაც,
ვინც უკითხავად ჩამისახლდა. აღარ მიყვარდნენ.

ვიტანჯებოდი, რადგან ვგრძნობდი, აღარ მიყვარდნენ.
ხელებდაჭრილს და მაინც ასე ანგარებიანს
არ მყვარებია არც მანამდე ვინმე გულწრფელად,
თუმცა ვერავინ ვერ იტყვის, რომ არ მყვარებია
მთელი არსებით და მწყდებოდნენ, ვაგონებივით,
ვინც დაინახა ჩემი გულის ბნელი მუცელი.
რამდენ სიცოცხლეს გადავურჩი. რამდენ სიკვდილებს
დამჭკნარ ხელებში ახალშობილ თვალებს ვუხელდი.
მათ რა იციან, როგორ დაშრნენ. როგორ იდინეს.
მათ რა იციან, მათ უბრალოდ გამომიტირეს,
თუმცა ცოცხალი ვიყავ მუხლამდე.
და ამიტომაც გავიქეცი. ჰო, ამიტომაც
მუდამ გზაში ვარ. გამუდმებით ვეძებ გასაღებს.
ასე, რამდენჯერ წარმოდგენით მფარავს დიდ თოვლად
თბილი საბანი. ხელით ვგრიხავ თასმებს – პითონებს.
მათ კი ჰგონიათ, გიჟი ვარ, ან გიჟად ვასაღებ
თავს. ბრალი არ აქვთ, ენდობიან მხოლოდ ზედაპირს.
მათ არ უნახავთ, როგორ ვწუხვარ, სულში, მომაკვდავ
ფოთლებს და ვიცი, ჩვენ ერთმანეთს რომ ვერ ვხედავდით,
მაშინ დაიწყო გზაზე გასვლის რთული ეტაპი.
გამვლელებისგან ვითხოვდი მას, რაც შემომაკლდა
თანდაყოლილი მდგმურებისგან. ახლა კი მახრჩობს
ეს უცხოობა. ამ ხეების კენწეროები
კარგად ვხვდები, რომ არ გაწვდება გზის სიგრძეს სარჩო.
ჩემს თავს ვარწმუნებ, მოვტრიალდე, დავბრუნდე სახლში.
თუნდაც დროებით!
თუნდაც დროებით!
თუნდაც დროებით!
სახლში, რომელიც უკითხავად ყველას უტევებს
წასვლას. სარკმლიდან გულგაყინულ სივრცეს აჭედებს
სითბოს. ჰო, ვფიქრობ, დავბრუნდები და ჩემს სრუტეებს,

ოკეანეებს, უდაბნოებს მშვიდად ვუმღერებ
ჩემს ლამაზ ბაღჩას, აქამდე რომ ვერც კი ვამჩნევდი.

*

აღარ დარჩება ცოტა ხანში აღარაფერი
ამ სურვილიდან. ამ ეჭვიდან. ამ ღიმილიდან.
მოვიმარაგე ყველაფერი, რაც კი გაფრენას
დასჭირდებოდა, არ მოვსულვარ რადგან სარბენად.
თუმცა არცერთი გამომივიდა.

* * * (ნუ გეშინია...)

ნუ გეშინია, ბავშვობაში მეც მეგონა, რომ
კედლები ჩემკენ მოცოცავდნენ. მას მერე რამდენ
ღამეს დავუსხლტი და რამდენჯერ თეთრი ზონარი
უკან ჩამისვამს ფეხსაცმელში. გაუგონარი
სიგიჟე იყო. მეც მეგონა, კედლები მჭამდნენ.
თანდათანობით მეც ვხვდებოდი, ვეღარ შეცვლიდნენ
ვერაფერს თბილი სეზონები და არც თავიდან
დაიწყებოდა რამე. ვგრძნობდი, თუმცა ვერც იმდენ
სიკვდილს ვხედავდი, ჩამეთვალა ნიშნად ზეციდან.
ასე იყო, თუ ისე იყო, მაინც გავიდა
ის, რაც მეგონა უძრაობით სულს დამიცლიდა.
ნუ გეშინია, ბავშვობაში თითქმის არავინ
არ ფიქრობს კარგზე და ჰგონიათ, მხოლოდ მიწიდან
გაქცევა შველის. თითქოს მიწა ვეღარ იზიდავს.
მეც მეშინია, მაგრამ მჯერა დაგვიფარავენ
წმინდა გიორგი, ღვთისმშობელი, ჩვენი სოფლიდან
რომ იმზირება სიამაყით ორი ტაძარი.
ისევ ის მინდა, რაც მინდოდა და რაც მყოფნიდა,
ისევ ის მყოფნის. ჩვენს სარდაფში ბიძის თოფი და
შემონახული, დიდი პაპის ძველი ხანჯალი
დღესაც ინტერესს მიღვიძებს და დღესაც სერივით
ავრბივარ სიზმრებს. ძაღლის ყეფა დღესაც ჟრუანტელს
მგვრის და სიტყვები უთქმელობით მაქვს დასერილი,
რამდენჯერ მსურდა გადამევსო გრძნობით წერილი,
თუმცა დავფრთხი, რომ უნებლიეთ ამოვუვარდე
ვინმეს გულიდან. გახდებოდა ყველა ბარათი
გამოსაგზავნი უკან – მათგან ჩემკენ და უფრო
ის მაშინებდა, რომ ამ გრძნობებს ვინმე წამართმევს.

არადა, შენთან, რა თამამად, როგორც კამათლებს
ვაგორებ სიტყვებს. როგორც დიდი, ისე ვსაუბრობ.

* * * (ჩემ გარეთაა ყველაფერი...)

ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი.
არც მიფიქრია, ამის მეტი რამე გცოდნოდა.
მე გავიქეცი სახლიდან და სამეგობროდან.
პირნათლად ვიხდი ამ გაქცევის ტკივილს და სირცხვილს.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემზე იცი.
გადიან. მერე შემოდიან. ისევ გადიან.
ასე, წრიალში დღე კვდება და ღამე იხრება.
მწკრივში ჩამდგარი, რწევა-რწევით, როგორც იხვები,
ფიქრები ტბისკენ მიიწევენ. ისე ცხადია
კარი, – გადიან. შემოდიან. ისევ გადიან.
ჯერ ცრუობს, თუმცა ეს დღეც წინას დაემსგავსება.
ჯერ არაფერი, მერე ვიცი ისევ შუბივით
დამეძგერება ჭვალი. ირგვლივ ეჭვის გუბეა
მასში ჩაძირულს დამიფარა მზერა ხავსებმა.
ჯერ ცრუობს, თუმცა ეს დღეც წინას დაემსგავსება.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში გიყვარს.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში მოგწონს.
რას გავუძლებდი ამდენ ყინულს, ან ამდენ კოცონს.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში მოგწონს.
ჩემ გარეთაა ყველაფერი, რაც ჩემში გიყვარს.

* * *(დღეიდან მკვდარი ცოცხლებს შორის...)

«მკვდარმა ძმაკაცმა მკვდარი ხელი
დამიქნია და გაქრა
ვერ მოვასწარი მეთქვა რომ მომენატრა»

გელა ჩქვანავა

*

«დღეიდან მკვდარი ცოცხლებს შორის!» – ითქვა და ჩემი
მკლავები მძიმედ, შეუმჩნევლად დაბლა დაეშვა.
ვიდექი, როგორც დასჯილი და როგორც ნაცემი.
თითქოს მისჯიდნენ სამუდამო სასჯელს – კაეშანს.

*

უეჭველია, დავეტევი ახლა საკუთარ
ჩრდილშიც და თუკი ცოტა კიდევ შევიკუმშები,
იმ სიჩუმეშიც, ჩვენ შორის რომ ღმერთმა აკურთხა
და იმ ტკივილშიც, დღეები რომ მომიშუშებენ.

*

სისულელეა, რაღად ჩნდება ფუჭი იმედი,
გათენებამდე თუ გაქრება სუსტი კვამლივით.
ბევრი ვიწვალეთ და წყარომდე როცა მივედით,
აღარ ვიყავით აღარცერთი იმ წყლის დამლევი.

*

მე ახლა ვზივარ. იმ მთებსა და იმ ზღვებს ვიგონებ.
და კარგად ვხედავ, კარგად ჩანს და კარგად ვხვდები, რომ
ვებღაუჭები ჩავლილ დღეებს, როგორც სტრიქონებს
და ვცდილობ ყველა წერტილ-მძიმე დავიზეპირო...

* * * (ვერავინ გიცნობს. ამოჭამე ყველა განცდა და...)

ვერავინ გიცნობს. ამოჭამე ყველა განცდა და
რასაც შეეძლო აღელვება თუნდაც მცირედით.
ყველა ხედავდა, რაც გეგონა, თითქოს, არ ჩანდა.
რა იცოდი, რომ ბოლოს მხოლოდ გაიცინებდი
საკუთარ თავზე. ერთადერთი მონათესავე
შემოგრჩა ეჭვი, რომ გარშემოც ყველა იცინის.
იხსენებ, სადაც უნებლიეთ გაჩნდა მესამე,
როგორ წყვილ-წყვილად მიდიოდნენ შენგან ისინი.
ქარი იცვლება. ვერ იხილავ ქარს ხელმეორედ.
შენ ის იკითხე თვითონ ქარებს რა არ უნახავთ
და რა გადახდათ საბოლოოდ მასთან მეომრებს.
დადიხარ. ფიქრობ და სუყველგან უხერხულად ხარ,
რომ მომავლიდან კარგად გახსოვს, როგორ დაკარგე
ყველა მათგანი, ვისთანაც დღეს იყოფ სიხარულს
და დღევანდელი სიმშვიდე კი არის ხაფანგი,
რომელშიც ნანობ მომავალს და წარსულს მკითხაობ.

* * * (დღეები ისე მიდიან...)

(წერილი დედას)

დღეები ისე მიდიან,
თითქოს ცოტა რამ მიდის.
სუყველას გული დიდია,
ზოგის კი უფრო დიდი.
შემოვეკედლე ამ წერილს.
მალე მოატანს დილა.
არავისზე ვარ ნაწყენი
და არაფერი მტკივა.
ისე, ბავშვივით, მომინდა
გამომეგზავნა რამე.
აქამდე, როგორც ომიდან,
მკვდარ სიტყვებს, როგორც გვამებს,
გიგზავნიდი და მრცხვენოდა.
გიგზავნიდი და მძულდა.
სიცივე, როგორც ჩერო და
წყალი, მომქონდა გულთან
იმ უდაბნოში, ბავშვივით,
რომ გაგვეზარდა სახლში.
გამომელია ნახშირი.
გამოველიე ნახშირს.
რატომ მომინდა ამაღამ
ეს აჩვილება, თან რა,
ვერ მიხვდე – ბავშვი არა ხარ.
გამოვტყდე – ბავშვი არ ვარ.
ღია ცას გადარჩენილებს
სახლშიც რიდი გვაქვს სტუმრის.
შენგან ნათქვამი: «შენივე

თავის ხარ უბედური!»
დამდევს და რაც აქ წერია,
იქნებ, ზედმეტიც ჩანდეს.
მიყვარხარ – რა სათქმელია.
გეტყოდი – არ მიყვარდე.

3. მწერლის არქივიდან

ზაზა თვარაძე

თხა და გიგო

ფარსი ექვს სურათად პროლოგით და ეპილოგით

მოქმედი პირნი

გიგო – ბერიკაცი, რომელმაც თვითონაც არ იცის, რამდენი წლის არის და ყველა წიგნი წაკითხული აქვს, გარდა ერთისა.

თხა – ბებერი თეთრი ვაცი, რომელსაც ზოგი ამჩნევს, ზოგი – ვერა.

პისტი – გიგოს გაზრდილი ობოლი გოგო, გიორგისა და კესოს შვილი.

სესე – გიგოს ბავშვობის მეგობარი, ჩიტირეკია.

ნოდარი – გიგოს ბავშვობის მეგობარი, სწავლული.

გოგიელა – გიგოს ბავშვობის მეგობარი, რომელიც მუდამ უკან ჯდება.

თინა – ყოფილი ქეთო, ყოფილი მარო.

I პოსტმოდერნისტი

II პოსტმოდერნისტი

III პოსტმოდერნისტი

სამი ბრმა.

ორატორი – უზარმაზარი ტანის კაცი.

კირილე.

მომიტინგე მანდილოსანი.

I მდევნელი.

II მდევნელი.

მომიტინგენი.

მოლაპარაკე თუთიყუში ფლინტი.

ჭრელი ჩიტი.

მკვდარი მერცხალი.

ჩიტები, რომლებსაც ყველა ამჩნევს.

ჩიტები, რომლებსაც ზოგი ამჩნევს, ზოგი – ვერა.

თხები.

ზღარბები.

ქვა.

თხა და გიგო (პროლოგი მთაწმინდაზე)

სცენა წარმოადგენს მთაწმინდის პანთეონს. სიღრმეში, ცენტრში, ოდნავ მარჯვნივ მოჩანს მცირე ზომის სახელდახელო ტრიბუნა. ტრიბუნაზე – თორმეტიოდე კაცი, მათ შორის – ორატორი, უზარმაზარი ტანის და მქუხარე ხმისა. სახეზე აწერია შთაგონებული გამომეტყველება. თვალები ისე აქვს აპყრობილი, თითქოს საკუთარ ტვინში იყურება; ამავე დროს, თითქოს გულდასმით უგდებს ყურს რაღაც ხმას ზევიდან. ტრიბუნასთან მომიტინგეებს მოუყრიათ თავი. ისმის ჩახშული ჩოჩქოლი. წინა პლანზე მოჩანს ილია ჭავჭავაძის საფლავი. ირგვლივ გაფანტულია საზოგადო მოღვაწეთა საფლავები. ყველანი საფლავებს შორის დგანან. სცენის პერიფერიები სიბნელესა თუ ნისლში ინთქმება. მარცხნივ, უკიდურესად მარცხნივ, მოჩანს მამადავითის ეკლესიის აღმოსავლეთის და სამხრეთის ფასადების კუთხე. ისმის ზარის ხმა – ერთი, ერთადერთი. ზარის ექო მიწყდება თუ არა, ორატორი იწყებს ლაპარაკს.

ორატორი: კარგია!

ხმები მასიდან: სსუ! სუუ! მოუსმინეთ, მოუსმინეთ!

ორატორი: ერთი! ერთი! ერთი, ორი, სამი! (ამოწმებს მეგაფონს) ბატონებო (პაუზა), ბატონებო! დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა ვიმსჯელოთ ჩვენი ერისთვის მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხზე. ერთი! ერთი! ერთი, ორი, სამი!

ხმა მასიდან: სიჩუმე, სიჩუმე!

ორატორი (უფრო ხმამაღლა): ბატონებო, ალბათ ყველამ იცით, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა. ქართველი ერი ზეიმობს წმინდა ილია წინასწარმეტყველის ცად ატაცების თარიღს და, ამასთან ერთად, წმინდა ილია მართლის ხსენებას. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ გვთხოვა, სწორედ დღევანდელი დღისთვის დაგვემთხვია ჩვენი მიტინგი. ვასრულებთ თხოვნას და მიტინგს გახსნილად ვაცხადებთ. ჩვენთან არს ღმერთი!

ხმები: არს და იყოს! სიჩუმე! სიჩუმე!

ორატორი: ამის დასტურად თქვენ ყველას შეგიძლიათ იხილოთ ორი ცისარტყელა, დიდი და მცირე, რომლებიც სწორედ საგანგებოდ გამოხატა დღეს ცაზე ჩვენმა სასიქადულო მხატვარმა, ყოფილმა ბერმა მამა სერაფიმემ (ხელს გაიწვდის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, სადაც მახათას მთის ზემოთ, მთაზე მართლაც მოჩანს ორი ცისარტყელა – დიდი და მცირე – კონცენტრული ნახევარწრეებივით ერთმანეთში ჩახატული. მომიტინგენი, ყველა, როგორც ერთი, იქით მიაპყრობენ თვალს. ისმის აღფრთოვანების გამომხატველი შეძახილები).

ორატორი: როდესაც თვალს ვავლებთ ქართველი ერის სამიათას ოთხასწლოვან ისტორიას, კოლხეთის მეფე აიეტიდან მოყოლებული დღემდე, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ კურთხეულ სამეფოს ჰქონდა დაცემის და აღმავლობის მრავალი პერიოდი. მან გაუძლო ათასგვარ კატაკლიზმებს,

ისტორიულ ქარტეხილებს და მოატანა დღემდე. თითქმის ოთხიათასი წელია, რაც ეს კურთხეული ერი მიჯაჭვულია კავკასიონს და სისხლისმსმელი ყვავ-ყორნები გულ-ღვიძლს უკორტნიან მას. მიუხედავად ამისა, მისი გულ-ღვიძლი მთლიანად მაინც ვერ ამოჭამეს, და ეს ჯვარცმული ერი, ღვთის წყალობით, ავად თუ კარგად, დღესაც ცოცხლობს. დღეს ყოველი ჩვენთაგანის ფიქრია, გადარჩება თუ არა იგი? აღდგება თუ არა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე? ამ კითხვის პასუხი თქვენთვის ცნობილია. არსებობს მრავალი ნიშანი, რაც გვაუწყებს, რომ იგი უნდა გადარჩეს. ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ილია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც მან ცად ატაცების ჟამს გადმოაგდო დედამიწაზე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ხალენი ინახება სწორედ საქართველოში, თუმცა კი მისი ადგილ-სამყოფელი არავინ იცის. მეორე ასეთი ნიშანია ცხოვრება წმინდა ილია მართლისა, რომლის საფლავთან შეკრებილნი ვართ დღეს და რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს წიწამურიდან საგურამომდე, ეკლიან და პატარა გზაზე. მოგეხსენებათ, ფართოა გზა, რომელიც მიდის ბოროტებაში. ამ გზას მიჰყვებიან თანამედროვე ე. წ. «განვითარებული ერები», ხოლო ეკლიანი და პატარაა გზა, რომელიც მიდის ჭეშმარიტებისკენ – ეს არის გზა ქართველი ერისა. ერისა, რომელმაც შვა და მოკლა წმინდა ილია მართალი. თუმცა ზოგიერთები ალბათ საწინააღმდეგო მოსაზრებასაც გამოთქვამენ: იტყვიან, რომ შეუძლებელია გადარჩეს ერი, რომელმაც გარყვნილების ესოდენ საზომს მიაღწია. დაგეთანხმებით, საყურადღებო არგუმენტია! გადავავლოთ თვალი დღევანდელ ქართველებს – სადღა ნახავთ ძველებურ პატიოსნებას, ოდითგან რომ მოგვდგამდა. გაჩარჩდა ერი, გავაჭრდა! ძმა ძმას აღარ ინდობს, მეზობელი მეზობელს მონად ჰყიდის თურქეთში!

საყოველთაოდ მოდებულია სიდუხჭირე, მძვინვარებს ტერორი, ფრთები გაუშლია ნარკობიზნესს და ჩრდილოვან ეკონომიკას.

ხმა მასიდან: ეს ყველაფერი ქაფია ოდენ! დრომ მოიტანა! დრო დაწყნარდება და ქაფი გადაირეცხება! ხოლო ერის უშინაგანესი არსება ისეთივე წმინდაა, როგორი წმინდაც იყო წმინდა დავით აღმაშენებლის დროს!

ორატორი: აქ მე მისწორებენ, რომ ეს ნეგატიური მოვლენები მსწრაფლწარმავალი ქაფია მხოლოდ. გეთანხმებით. მაგრამ დღეს ჩვენ სწორედ იმისთვის შევიკრიბეთ, რათა ვიმსჯელოთ, თუ რა ეშველება ჩვენს ერს, რა კონკრეტული გზები უნდა გამოვნახოთ საიმისოდ, რომ ნაბან წყალს ბავშვიც არ გადავაყოლოთ. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ღმერთი არ დაღუპავს ერს, რომელშიაც თუნდაც ორმოცდაათი პატიოსანი ადამიანი მაინც მოიძებნება. ასე არ არის?!

ხმები მასიდან: ასეა, ასე!

სხვა ხმები მასიდან: ორმოცდახუთიც ეყოფა!

კიდევ სხვა ხმები: ორმოციც! ორმოციც!

ორატორი (ნასიამოვნები): მართალია, ორმოციც საკმარისია! მაგრამ ვაითუ ოცდაათზე მეტიც არ აღმოჩნდეს?!

ხმები მასიდან: ოცდაათიც საკმარისია! ერი გადარჩება!

სხვა ხმები: გადარჩება და გაბრწყინდება კიდეც!

ორატორი: ოცზე რას იტყვით?

ხმები მასიდან: ოციც თავზე საყრელია!

ორატორი: ათი?

ხმები მასიდან (როგორც ზღვის გუგუნი): ათიც გვეყოფა, ათიც!

ორატორი (ნაღვლიანად): მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ ბედკრულ ქვეყანაში ხუთი კაციც კი აღარ დარჩა პატიოსანი!

ხმები მასიდან: ხუთიც აღარ დარჩა? დავიღუპეთ!

ორატორი: კარგად დაფიქრდით, გეგულებათ კი სადმე თუნდაც ხუთი ასეთი ადამიანი?!

(მცირე ხნით სიჩუმეა. მომიტინგეები ერთმანეთს ათვალიერებენ, თავს გაწბილებით აქნევენ).

მერე ყველა ერთხმად: არა, არა! საუბედუროდ არავინ ჩანს!

ორატორი: აღარავინ ჩანს?! მაშ რისხვით მობრუნებულა ჩვენს თავზე ზეცის ბორბალი და ეგ არის! იქნებ ერთი კაცი მაინც იყოს! ნუთუ ერთი, ერთადერთი კაცი მაინც არ გეგულებათ ასეთი?!

მომიტინგენი (ერთხმად): არის! არის ასეთი კაცი!

ორატორი (იმედით მოატარებს თვალს): ვინ არის? დაასახელეთ! იქნებ იმისმა ლოცვამ გადაგვარჩინოს!

მომიტინგენი (ერთხმად, თითო-თითოდ, ყველა ერთად და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ცდილობს ერთმანეთს ყვირილში გადააჭარბოს): მე! მე! მე! მე! მეეე!

(დუმილი. ორატორი დაფიქრებით აქნევს თავს).

ორატორი: მე! მართალია! მე! მაგრამ ეს საკმარისი არ არის – მე კი ვარ, მაგრამ ამ დაძაბულ დროში ლოცვისთვის სადღა მცალია! იქნებ ჩემს გარდა კიდევ ვინმე სხვა, თუნდაც ერთი კაცი მაინც მოიგონოთ?!

მომიტინგეთა უმრავლესობა: არის ასეთი კაცი! გაგვიგონია!

ორატორი: ვინ?

ხმები: გიგო!

ორატორი (ყურს მოიჩრდილებს): გიგო?

ხმები: გიგო, გიგო, პაპა გიგო!

ორატორი: გიგო ვინღა ოხერია?

ხმები: მოხუცი მწიგნობარი გიგო. რაც ქვეყანაზე წიგნებია, სულ წაკითხული აქვს.

ორატორი (ეჭვით): როგორ – ყველა წიგნი?

ხმები: ყველა, ყველა, გარდა ერთისა.

ორატორი: დაუჯერებელია! თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ, მამაო?

ყოფილი ბერი სერაფიმე (თითს აღმართავს): კარგად გამიგეთ, სწორედ ეს მიზეზია.

ორატორი (დაბნეული): რა მიზეზი?

ყოფილი ბერი სერაფიმე: სწორედ ეს არის მიზეზი.

ორატორი: რისი მიზეზი?

ყოფილი ბერი სერაფიმე: იმის მიზეზი, რომ გიგო თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერეტიკოსად!

ორატორი: ერეტიკოსად?

ყოფილი ბერი სერაფიმე: ცხადია!

ორატორი: რატომ?

ყოფილი ბერი სერაფიმე: მიტომ, რომ იმ ყველა წიგნში, რაც მას წაკითხული აქვს, ბუნებრივია, შედის, აგრეთვე, მწვალებლური, ერეტიკული ნაწარმოებები. და მაშ რად, თუ არა მწვალებლად და ერეტიკოსად უნდა მივიჩნიოთ ადამიანი, რომელიც კითხულობს ასეთ ლიტერატურას?!

ორატორი (ხალხს): ბატონებო, აი, მამა სერაფიმე ამბობს, რომ გიგო თითქოს ერეტიკოსი ყოფილა, რადგან ყველა წიგნი წაკითხული აქვსო.

ხმები მასიდან: არა, არა! გიგო ერეტიკოსი არ არის, მას თუშური ქუდი ხურავს!

ორატორი: ეტყობა, სადაც მივიდა, იქაური ქუდი დაიხურა.

ხმები: არ დაუხურავს, ბავშვობიდან ეხურა!

ორატორი: ასე არაფერი გამოვა. ეს ამბავი უნდა გადავამოწმოთ. არის წინადადება, მივავლინოთ ამ ვიღაც გიგოსთან ჩვენი ემისარი და ყველაფერი დაწვრილებით გამოვარკვიოთ.

ცხვირკეხიანი, შავწვეროსანი, სათვალიანი მაღალი უცნობი მასიდან (დამცინავი მქუხარე ხმით): კი მაგრამ, როგორ მივავლინოთ, გიგო ხომ დიდი ხანია, გარდაიცვალა. მე მგონი, სწორედ იმ ავბედით 1989 წელს!

ხმები მასიდან: ცოცხალია, არ მომკვდარა, მხოლოდ ძალიან მოხუცდა.

ორატორი: ნამდვილად ცოცხალია?

ხმები: ნამდვილად, ნამდვილად!

ორატორი (დანანებით): მაშ უკვე ორნი ვყოფილვართ.

ხმები: (როგორც ზღვის გუგუნი) ორნი ვართ, ორნი! მე და გიგო! მე და გიგო!

სურათი პირველი

სცენა წარმოადგენს ქართლის სოფლის ეზოს, ეზოში მოჩანს კაკლისა და ხეხილის ხეები, ვენახი, ბოსტნეულის ნათესები. ღობის გადაღმა დიდი მუხები ჩამწკრივებულან. შუა ეზოში ჩადგმულია ქართული კრამიტით გადახურული ერთსართულიანი კოხტა სახლი. საღამოხანია. უზარმაზარი კაკლის ჩრდილში, ძელსკამზე ზის მოხუცი გიგო. აცვია ახალუხი, ქალამნები, თავზე თუშური ქუდი ჰხურავს, ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს და ჩასცქერის – თითქოს ეძინება, თავს აკანტურებს. მის წინ, ხუთიოდე მეტრში, დგას და თვალმოუშორებლად უყურებს დიდი, თეთრი თხა, თითქოს საცაა ადგილს უნდა მოწყდეს.

თხა (ძლიერი, შემზარავი, ბოხი ხმით): მეეე!

გიგო (შემკრთალი ასწევს თავს): რომელი ხარ?

თხა: მეეე! მეეეე!

გიგო (უკმაყოფილოდ): აჰ, ეს შენა ხარ, თეთრო მოჩვენებავ?! მგონი მერჩივნა ისევ თეთრ ვეშაპს წავწყდომოდი, ვიდრე შენ დამენახე! (იძახის): პისტი! პისტი! (თავისთვის, ბუზღუნით) ეს გოგო მაინც სად დაიკარგა?! დილიდან აქ არ ტრიალებდა?! ცამ უყო პირი თუ მიწამ?!

თხა: (ხმამაღლა) მეეეე! მეეეე!

გიგო (წიგნს ხელში ატრიალებს): ჰო, შეენ, შეენ! მეტი ხომ არც არაფერი იცი! უკვე რამდენი წელიწადია, რაც თვალწინ მიდგახარ და სიცოცხლეს მიშხამავ – ოთხმოცი?.. ოთხმოცდაათი?.. არ მახსოვს. მგონი, ცხრაას შვიდი წელი იყო, პირველად რომ გნახე, იმ დაწყევლილ საღამოს, უჰ, რა

მაგრად მაძგერე ეგ დასამტვრევი რქები. ისე მგონია, მხარბეჭი ახლაც მტეხდეს, თუ მართლა მტეხავს? ხომ არ მეჩვენება? კი, მტეხავს, მტეხავს! ამ ოხერი მარილების ბრალია. ან რევმატიზმის. კი მეუბნებოდა ის გოგო, – პისტი, – ნუ ზიხარ ერთთავად აგრე მოკუნტულიო! ეჰ, წიგნის კითხვით ვის დასდგომია ხეირი, რომ მე დამდგომოდა!

თხა: მეეეე!

გიგო (შუბლს მოიჩრდილავს): მეჩვენება, თუ უკვე დაღამდა? სად გაქრა მზის სხივები? ახლახან აქ არ იყვნენ და არ ციმციმებდნენ?! ან ეს რა უცნაური ყვითელი ლაქები გადღაბნილა ბალახზე?!.. როგორ დამაკლდა თვალს. სამ ნაბიჯში ვეღარაფერს ვხედავ. ეს რაღაა წინ? ხეებია თუ ადამიანები?

ამდენი ხალხი როდის შეიკრიბა? ფეხის ხმა რად არ გამიგია, ან მდუმარედ რატომ დამდგარან – ნუთუ პანაშვიდია?! იმ გოგოს ხომ არაფერი დაემართა?! (ყვირის) პისტი! გოგო პისტი! პასუხს არ მაძლევს. ალბათ პირუტყვის მოსარეკად თუა წასული. მაგრამ თუ დაღამდა, პირუტყვიც უკვე მორეკილი და დაბინავებული უნდა ჰყავდეს. პისტი, გოგონი, თხები დაწველე? დაწველილა, დაწველილა, ყოჩაღი გოგოა! მამამისის ალიკვალი! ეჰ, სადღა არის ჩემი გიორგი! პატარა ნაფოტივით არ ჩამიყლაპა იმ ვეშაპმა, იმისი მამის სული რომ წაწყმდა?! მაგრამ თვითონაც ხომ მოეღო ბოლო. უწია იმდენი ხალხის უბედურებამ! ეს რა ხმებია? დახოცილთა აჩრდილები ხომ არ შემოკრბნენ?! (ისმის კაკლების შრიალი) აჰ, კაკლები ყოფილა. კარგია, რომ ესენი მაინც შრიალებენ – საშინელია იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები! ვაი ჩემს მოსწრებას! ყურშიაც რომ აღარ მეყურება?! მეხსიერებაც დამიძაბუნდა!

მითხარი, თეთრო აჩრდილო, როდის იყო, რომ პირველად გნახე?!

თხა: მეეეეე!

გიგო (თავისთვის): მეეეეე! აი, პასუხი! როგორ გავშიფრო ეს გამოცანა? «მ» და «ეეეეე»! რამდენი «ე» იყო? ოთხი თუ ხუთი? ალბათ ხუთი. იქნებ ამ ბგერებში რაიმე დაშიფრული ინფორმაციაა ჩადებული? მაგალითად, როგორც «ჩყკზ» – 1837. ვცადო, ეგებ გამოდნეს რამე. ეგებ პირუტყვის ენით ბუნება ფარნავაზის მეფობის თარიღს მაუწყებდეს! – ეს ხომ სულმთლად ახალი აღმოჩენა იქნება. ოღონდაც, ოღონდაც, – ეპოქალური აღმოჩენა! «მ», «მანი» იყო პირველი ბგერა. თუ ეს ოხერი მეხსიერება არ მღალატობს, «მ» ორმოცს უნდა ნიშნავდეს. იქაც ხუთი «ე», ხუთჯერ ხუთი – ოცდახუთი, სულ – სამოცდახუთი. ო, დიდო ღმერთებო! რისი მაუწყებელია ეს რიცხვი?! ვერაფრით მივმხვდარვარ. იქნებ სამოცდახუთი წლის ვიყავი, გიორგი რომ გადაასახლეს. სულ ეს არის? არა, აქ უთუოდ რაიმე უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს! ხმა ამოიღე თეთრო აჩრდილო!

თხა (ჩუმად, ექოსავით): მეეე!

გიგო: ისევ მეეეეე! სამოცდახუთი! გაგონილა, თხა წინ გედგეს და ერთთავად «სამოცდახუთი, სამოცდახუთიო» – გიყვიროდეს? უცნაურია, მე და ჩემმა ღმერთმა! რა შარადებით მიმასპინძლდება ეს წყეული! თანაც მათემატიკური შარადებით! სამოცდახუთი – ექვსი ათეული და ხუთი ერთეული... მოდი, შვიდობით სისტემაში გადავიყვან. რამდენი იქნება შვიდობითში სამოცდახუთი? ექვსჯერ შვიდი – ორმოცდაორი. იქაც ხუთი – ორმოცდაშვიდი! «ჲე» უდრის «ლზ»-ს. ახლა ამ ასო-ნიშნების რიგობითი ნომრებიც ვნახოთ: ქართულ ანბანში ჲ მეთექვსმეტეა, ე – მეხუთე, ლ – მეთორმეტე, ზ – მეშვიდე.

აბა შევკრიბოთ! 16 პლუს 5, პლუს 12, პლუს 7 უდრის 40-ს. ეს რიცხვი რაღას უნდა ნიშნავდეს? ეშმაკმა უწყის!

თხა: მეეეეე!

გიგო (აჯავრებს): «მეეეეე! მეეეეე! სამოცდახუთი, სამოცდახუთი!» იქნებ ამით იმის თქმა უნდა, რომ სამოცდახუთი წლის არის?.. არა, კაცოუ! 65 წლის თხა სად გაგონილა? თუმცა, მგონი, ჩემი კბილაა ოხერი. მაინც კი მიბღვერის იმდღევანდელივით. მაშინაც ასე ქუშად დაეხარა თავი. მერმე ის იყო, ჩამთვლიმა და კიდეც მეძგერა, ზღართანი მომადენინა ამ კაკლის ძირში! ეს კაკალი კი, ღვთის მადლმა, მაშინაც სწორედ ამ ხნისა იქნებოდა! არა, ღმერთმანი, ამ ხნისა კი არა, უფრო დიდიც იყო – ტოტები, ეჰეეე, ცაზე ჰქონდა მიბჯენილი! მახსოვს, მაშინაც ამგვარი თუშური ქუდი მეხურა, წითელი, კორკლებიანი პერანგი, ვერცხლის ქამარი. რა ხნისა ვიყავ? ხუთისა თუ ექვსის? ხუთი და ექვსი?! 65! (შუბლში იტკიცავს ხელს) ჰო, მივხვდი, თერთმეტისა ვიქნებოდი! ეს თხაც თერთმეტის! ჩემი კბილაა ოხერი! მაგრამ მაშინ რამოდენა მეჩვენებოდა! ეხლა ჩემსავით დადნა და დაილია. ჰე-ჰე-ჰე! აბა რა გეგონა, შვილოსან! მე ხომ მომინელე და მომინელე, მაგრამ არც შენ გადგას კარგი დღე. დაიცა, დამაცა, დაბრუნდეს ის გოგო, პისტი, სახვალიოდ უნდა დავაკლეინო შენი თავი! მომენატრა თხის ყაურმა. ეჰ, რა დრო იყო! თერთმეტის ვიყავ, ლაღი და უდარდელი! კაკლის ქვეშ ვიჯექ, წიგნს ვკითხულობდი, თხებზე და ყაურმებზე არც კი ვფიქრობდი! მოიცა, რა წიგნი იყო? მგონი ისა, შიგ ია რომ ხატია. იქვე წერია კიდევ – «აი ია»... და ესეც ხომ, წირვის მადლმა, სამოცდახუთია! რა კოხტად მოერგო! «ია», ანუ ათი და ერთი! ესე იგი – თერთმეტი! აჰა! აი, თურმე რას მაუწყებდა შენი პეტელი, თეთრო ლევიათანო! «ია»! «11»! თერთმეტი წელი! სწორედ თერთმეტი წლის ვიყავი, როცა

პირველად გადაგეყარე! ხის ძირას ვიჯექ, წიგნს ვკითხულობდი და იმ წიგნშიაც ეწერა «ია», ანუ – თერთმეტი! თერთმეტჯერ თერთმეტი ასოცდაერთია! და ის კაკალიც ასოცდაერთი წყრთის სიმაღლეზე აღმართულიყო ჩემს თავს ზემორე! ხე შრიალებდა, ქროდა ნიავი, კაკლის ტოტები ზენიტამდე აღმართულიყო და მასზე, როგორც ცნობილ კიბეზე იაკობისა, ანგელოზები ადი-ჩამოდიოდნენ. რა არ მოჰქონდათ სულკურთხეულებს! – საღმრთო სიზმრები, ოცნებები, იმედნი ტკბილნი! ეჰ, სადღა არის ის ყველაფერი – წარილტვა, გაჰქრა სიზმრებრივ ჩქარად, და საიმედო რაც მქონდა ყმაწვილს, ლევიათანმა სულ ჩამამწარა! მხოლოდ ეს «ია» დამრჩა რამ ნიშანსვეტად – «ია», – «11», თარიღი ჩვენი პირველშეხვედრის. თერთმეტი წელი, თერთმეტი წელი... და ეს «წელიც» ხომ ოთხიათასსა მარაგსა იტყვის!..

მცირე ხანს დუმილია. მზის სხივები გიგოს გარშემო შარავანდედივით ციმციმებენ.

გიგო (დაფიქრებული დაჰყურებს წიგნს): ის ძველი წიგნიც რომ აღარსად არის! ვინ იცის, რამდენი ვინმე დააყენა გზაზე ჩემს მერე, ვიდრე სულმთლად დაიძენძებოდა! მე კი რა ვქენი?! ამ უკუღმართ დუნიაზე რაც წიგნებია, მგონი უკვე სულ წავიკითხე. რა არ ვისწავლე! აქ ბიოლოგიაო, იქ გეომეტრიაო... მერე, თანდათან უმაღლესი მათემატიკის საფუძვლებსაც ჩავუღრმავდი... მახსოვს, რა სწრაფად ვხსნიდი განტოლებებს ლოპიტალის წესით!.. მერე ქიმია,

ფიზიკა, ასტროფიზიკა, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა – ყველაფერი მოვასწარი, ყველა საგანმა დატოვა ჩემს გონებაში თავისი კვალი... მაგრამ აწ რაღა დამრჩა – ეს ბებერი თავი და ეს საზარელი თეთრი ვეშაპი, რომელიც ისევ რქამოღერებული მემუქრება, როგორც მაშინ, იმ ნეტარ დროში! მახსოვს, ომის მერე, ერთ წყნარ საღამოს, ალქიმიის საფუძვლებს რომ ვეწაფებოდი, ფილოსოფიური ქვის ძებნაში ჩაფლულს, კინაღამ გამკრა ეს დაკორძილი და მაგარი რქა. ძლივს ავიცდინე. მაშინ, იცოცხლე, მარჯვე ვაჟკაცი ვიყავ!.. ამისთანები ამიცდენია?!.. ეშმაკის კერძო! პანის ნასხლეტო! შენ კი არა და, თვით შენი ორფეხა ბატონიც რომ გამომცხადებოდა თავისი რქებითა და საპიპინოთი, იმასაც არ შევუშინდებოდი – თამამად გამოვიწვევდი ორთაბრძოლაში, რადგან მე მაშინ აპოლონის ქნარი მფარავდა, ათენას სიბრძნე! ჰერმესის სიცქაფე მქონდა, ჰეფესტოს ძალა! ოლიმპოს მადლმა, გამოვიწვევდი და კიდევაც დავამარცხებდი ოლიმპოსათვის უღირს ტყაშმაფას – თავისი მთელი სატირთა ჯარით... სატირაზე თუ მიდგა საქმე, ვისზე ნაკლები სატირიკოსი ვიყავი?! ტყუილად კი არ მიყვარდა პეტრონიუსის «სატირიკონი!» ახლა კი რაღა ვარ? რაღა შემრჩა?

თხა: მეეეეე!

გიგო (თავს აქნევს): მართალია! ეს თხა დამრჩა! და აი, ვზივარ მე მის წინაშე ოლიმპოს ღმერთივით ამაყი... მაგრამ ამ ბრიყვის ვალიდან მაინც ვერ ამოვედი იმ პირველი რქენის მერე! წყეულიმც იყოს ეს მიზეზშედეგობრივი გაუგებრობა, ცხოვრებას რომ ეძახიან!.. რომელსაც არა და არ სურს გიჩვენოს ნამდვილი სახე, მხოლოდ მის ლანდსღა თუ მოჰკრავ თვალს ამ წაკითხულ და წაუკითხავ წიგნების მიღმა... თუმც ჩემი წაუკითხავი რაღა იქნება ამქვეყანაზე!..

ჩემს გზას კი მაინც ვერ ვეწიე! არადა, მსურდა ქარივით თავისუფალი ვყოფილიყავი, მდიდარი, უხვი! მთელი მსოფლიოს მაგნატებს გავჯიბრებოდი ჩემი სიმდიდრით, უდიდეს ბრძენკაცთ – ჩემი გონებით... ახლა კი ჩემი სახელი მთელი მსოფლიოს ჯოჯოხეთურ და კაბალისტიკურ დავთრებშია აღნუსხული!.. ვალი ვალია, და მეც ვალში ვარ სწორედ იმ ერთადერთი წამისთვის, როცა ჩამთვლიმა და თავი მკერდზე ჩამომივარდა! იმ ერთადერთი საბედისწერო წამისთვის, რომლითაც ასე ცნობილი გავხდი, რომლითაც ახლა ასე ვიქადი... მაგრამ რაღას მარგებს სიქადული... ეს გოგო მაინც სად დამეკარგა! (იძახის) პისტი! პისტი! ავდგები და ღორივით დავაკლეინებ ამ უღვთო პირუტყვს...

შემოდის სესე. ხელში უზარმაზარი ქვა უჭირავს.

სესე: გიგოს ვახლავართ!

გიგო (შუბლს მოიჩრდილებს): რომელი ხარ?!

სესე და თხა (ერთდროულად): მე! მეეე!

გიგო: რომელი შენ?

სესე: მე ვარ, სესე ვარ!

გიგო: ოჰ, გამარჯობა. შემოდი, სესე-ბიჭო!

სესე (უკბილო პირით იცინის): ეჰ, ჩემო გიგო, რაღა დროს ჩემი ბიჭობაა! პირში კბილი აღარ შემრჩა, თავზე ბალანი! (მელოტ თავზე გადაისვამს ხელს).

გიგო: რამ მოგიყვანა ამ გახურებულ რთველობის ჟამს?

სესე: რა გითხრა, გიგოჯან, დავდივარ, დავეძებ ჩემს იღბალს... კაცო, აქეთ მერცხლების გუნდს ხომ არ გადმოუფრენია?

გიგო: არ ვიცი, ღვთის მადლმა. თითქოს დაფრინავდნენ რაღაც ჩიტები, მაგრამ ვერ გავარჩიე, მერცხლები იყვნენ თუ ჰადესის შავი ანგელოზები. ეჰ, თვალთ დამაკლდა, ჩემო ძმაო!.. ეგ კი არა, წიგნში ასო-ნიშნებსაც ძლივას ვარჩევ...

სესე (იმედით): მერცხლები იქნებოდნენ, მერცხლები!

გიგო: არ ვიცი-მეთქი! ბევრნი კი იყვნენ – თუ არ მეზმანა. საშინელი ხმით გაჰკიოდნენ. მგონი დღეს იყო. ან იქნებ გუშინ?! დროთა სათვალავიც ამერია. აღარც კი ვიცი, რამდენი წლის ვარ!

სესე: საით გაფრინდნენ?

გიგო: რა გითხრა... მგონი იქით, ჩრდილოეთისკენ... თუმცა არა. შემოდგომაა, სამხრეთისკენ გაფრინდებოდნენ, მულღაზანზარში, ფრინველთ-ქალაქში, იქ ცხოვრობს მათი წყეული მოდგმა. ძაან გაჰკიოდნენ ოხრები, თითქოს რამ სეისმური უბედურების მოახლოებას იუწყებიანო.

სესე (აქეთ-იქით იხედება. ქვას ათამაშებს): აღარცერთი არ ჩანს. ხომ არ მოგლანდებია, გიგო? ნამდვილად იყვნენ?!

გიგო: იყვნენ-მეთქი! მაგრამ არ ვიცი, მერცხლები იყვნენ თუ აჩრდილები, იქ ტრიალებდნენ, მუხების თავზე, და გაჰკიოდნენ. მათ შორის მგონი ჩემი მარიამის ხმაც შევიცანი.

სესე: მარიამმა ხომ ორმოცი წლის წინ მიაბარა სული უფალს?!

გიგო: ჰოდა, მეც იმას არ გეუბნები?! მგონი მის ხმასაც მოვკარი ყური ფრინველთ გნიასში. თითქოს მეძახდა, მეძახდა და თან მშორდებოდა. გამიგონია, ადამიანს სიკვდილის წინ სულ მიცვალებულები ელანდებიანო.

ეტყობა, მეც მალე უნდა წავიდე – მკვდრები მიხმობენ, ჩემო სესე, მკვდრები.

სესე (ქვას ათამაშებს): გიგო, არ გინდა, თავი გაგიპო?

გიგო (შემკრთალი): თავი რად უნდა გამიპო?

სესე: მაშ როდემდე ვათრიო ეს ოხერი ქვა?! ჰა, გიგო?! დაფიქრდი! ამ წუთისოფელში დიდი დღე მაინც არ დაგრჩენია. მოისხი ჩემი მადლი და ისე წადი! ერთ კეთილ საქმეს მაინც წაიღებ საიქიოში საგზლად.

გიგო: არა, არ მინდა!

სესე: მაშ არ გინდა?

გიგო: არა და არა!

სესე (ცეტად იხედება აქეთ-იქით): აბა ვის ვესროლო?!

გიგო (თხისკენ იშვერს თითს): აგერ ამ თხას ესროლე. უკვე თავი მომაბეზრა.

სესე (გაკვირვებული): რომელ თხას?!

თხა: მეეე!

გიგო: აგერ ამ ვაცს, რომ დამდგარა და ეშმაკივით მიყურებს!

სესე: მე აქ ვაცს ვერა ვხედავ.

გიგო: როგორ თუ ვერა ხედავ?! მაშ დაბრმავებულხარ!

სესე: ვერა ვხედავ-მეთქი!

გიგო: აი, აქა დგას (უთითებს თხისკენ).

სესე: შენ, ჩემო გიგო, ცოტა გადაკრულში ხომ არა ხარ? (ცეტად იცინის).

გიგო: გადაკრულში შენ უნდა იყო!

სესე: მაშ აბა რა ვაცები გელანდება!

გიგო: აქა დგას მეთქი! როგორ ვერ ხედავ?!

სესე: აბა სადა დგას?

თხა: მეე! მეეეე!

გიგო: აგე! ახლაც ვერ ხედავ? არც ბღავილი გესმის?

სესე: არ მესმის და გინდა მომკალი!

გიგო: მაშ დაბრმავებულხარ და კიდეც დაყრუებულხარ, შე უკბილო ქაჩალო!

სესე: ჰა, ჰა, გიგო, ენა ნუკი წაიგდე. ნაკითხი რო ხარ, განა ყველაფერი გეპატიება! (აქეთ-იქით იხედება შეჭირვებული): არა, მაინც ვის ვესროლო ეს ოხერი ქვა?

გიგო (დაფიქრებით): მოდი, ასე ვქნათ – შენ გვერდით მომიდექი, მე პირდაპირ თხაზე მიგითითებ. შენც ადექი და იქით ისროლე. მჯერა, გაარტყამ!

სესე: გარტყმით კი გავარტყამ, მაგრამ ეგრე არ მინდა!

გიგო (ნაწყენი): რადა?

სესე: იმადა, რომა, ჯერ ეგ ერთი, უხილავისთვის სროლა მე არა მჩვევია, სულმთლად კი არ დამიკარგავს ჭკუა! მეორეც და – მართლა რო მოხვდეს, გამოვა, შენ მართალი ყოფილხარ და მე კი მტყუანი (ეშმაკურად აქნევს თავს), არა, ძმაო, არა! ნაკითხობით ვერ გამაბრიყვებ!

გიგო: ესროლე, სესე, ძალიან გთხოვ, ეგებ გამშორდეს!

სესე (მტკიცედ): ვერ ვესვრი-მეთქი!

გიგო: რატომ-მეთქი, ადამიანო?!

სესე: აკი გითხარი.

გიგო: მაშინ დამიკალი. სახლში ორი დანა მაქვს.

სესე: ვერა.

გიგო: რატომ?

სესე: ცოდოა პირუტყვი! (მოულოდნელად მთელი სხეულით იძაბება. თითი ტუჩებთან მიაქვს) სსსუ!..

გიგო: (ჩურჩულით): რა იყო?

სესე: ჩიტი, ბიჭო, ჩიტი!

გიგო: აბა სადა?

სესე: ინდე, ვაშლის ტოტზე ჩამოჯდა.

გიგო: აბა სადა, სადა?

სესე: სუ! არ დამიფრთხო! (ვაშლის ხეს ეპარება. ქვას იმარჯვებს)

გიგო (შუბლმოჩრდილული უყურებს): რა ჩიტი, რის ჩიტი, ნეტა რა მოელანდა?

სესე: ჩუმად-მეთქი! (აღტაცებული ჩურჩულით) ნახე, ნახე, რამოდენაა! მგონი სვავია!

გიგო: სვავიო?!

სესე: ანდა კაკაჩა! უჰ, შენი გულის ჭირიმე (ფეხაკრეფით მიიპარება).

გიგო (გაკვირვებული): რა სვავი, რის კაკაჩა! აქ სვავი და კაკაჩა თავისდღეში არ მოფრენილა! სვავი კი არა, თუ მართალი გინდა, ბეღურასაც ვერ ვხედავ, არა, ნამდვილად მთვრალია ეს ჭკუათხელი!

სესე (მოულოდნელად იმართება და უზარმაზარი ძალით ტყორცნის ქვას. ქვა ჰაერში გაიშხუილებს, ვაშლის ტოტებში ლაწალუწით გაიქროლებს, ერთ ხეს გააღწევს, მეორის შტამბს ხვდება და დაბლა ეცემა. ისმის ფრთების ფრთხიალი. დაწყვეტილი ფოთლები და ტოტები მიწაზე ცვივა): უჰ, ავაცდინე!.. არა, არა, მოვარტყი, მე და ჩემმა მზემ! არა... ეჰ, ამიცდენია... გაფრენილა!.. ფუჰ, შემირცხვა მარჯვენა!.. (ბუზღუნით მიდის ქვის ასაღებად. დაიხრება. იღებს. ბუზღუნვითვე ბრუნდება უკან) ეეჰ, აღარ მამდევს მკლავში ძალა. ვაი, შენ, ჩემო ქვაო, როდემდე უნდა ვიყვე ეგრე გაწვალებული!..

გიგო: წიგნი წაგეკითხა, შვილოსან, და აღარ იქნებოდი გაწვალებული. ჰი-ჰი!

სესე: გიგო, ქილიკს შეეშვი-მეთქი, თორე ახლა შენ არ გამოგიქანო ეს ქვა!

გიგო: გამომიქანო?! შენმა მზემ! ბნელა, რო გამომიქანო?!

სესე (გულმოსული): ერთი შეხე! აღარ გახსოვს, კალოზე რო გაღრიალე?!

გიგო (წამოენთება): ეგ როდის იყო?!

სესე: როდის და... მაიცა, გავიხსენო... ჰო, ცხრაას ხუთში იყო... ცხრაას ხუთის ზაფხულს, კალოობაზე.

გიგო (დაცინვით): მაღრიალე, აბა! შენ არ იყავი, შებრალებას რომ მთხოვდი?!

სესე (გაწიწმატებული): მე გთხოვდი?! მე შენა?!

გიგო: ჰო, შენ მენა, შვილოსან. მერმე ის იყო, ავდექი და მეც შეგიბრალე. მითქვია და კიდევ გეუბნები – წიგნი უნდა წაგეკითხა, წიგნი, და სიბერემდეც ჩიტირეკია არ დარჩებოდი!

სესე: ვის ეუბნები, ბიჭო, მაგას, ვისა?! შენმა თავის გახეთქამ, შენ რომ წიგნები იკითხე, იმიტომაცა ხარ ეგრე ყოჩაღად!

გიგო (მხრებს შეათამაშებს): დიახაც, ყოჩაღად ვარ. მე ჩემს ბედს არ ვემდური. ის გოგო სადღა დამეკარგა ნეტავ? (შეშფოთებით) პისტი! გოგო პისტი!

სესე (განცვიფრებული): ვის ეძახი?

გიგო: პისტის.

სესე: არა, პისტი რაღაა, შენი ჭირიმე, თუ ღმერთი გწამს?!

გიგო: სახელია. ბერძნულად რაღაცასა ნიშნავს – არ გეტყვი. ჩემი გიორგისა და კესოს შვილია. ისეთი ყოჩაღი გოგოა, ისეთი ყოჩაღი! მერე რა გულკეთილია! ეგ არის ჩემი პატრონი.

სესე (თავისთვის): პირველად მესმის! (გიგოს) ახლა სად არის?

გიგო (მოულოდნელად წამოენთება): ჯანდაბაში და ოხრობაში! თხები გარეკა საძოვარზე. მას მერე აღარ დაბრუნებულა.

სესე (დაეჭვებით): როდის გარეკა?

გიგო: რა ვიცი, მახსოვს? დილას თითქოს აქ იყო. ან იქნებ არც იყო? თითქოს ეზოზე გაიარა, თითქოს თხებს მიერეკებოდა. მთელი არვე მყავს თხებისა, მრავლდებიან და მრავლდებიან, ოხრები. კალიასავით მრავლდებიან. ეზო ხო გადამიჭამეს. ბალახი აღარ შემარჩინეს. ახლა მინდორ-ველს მოედნენ და ჭამენ. არ გაძღა იმათი მუცელი! მაგრამ დავკლავ ამ შემოდგომით! ოხ, მაგათ ოხტში ამოვალ! მაგათ სისხლს დავლევ! ვამპირი გავხდები!

სესე: რა გავხდებიო?

გიგო: ვამპირი!

სესე: ეგ რაღასა ნიშნავს?

გიგო: სისხლისმწოველაა.

სესე: გასაგებია!

თხა: მეეეე!

გიგო (ბოროტად უყურებს თხას): აი, ეგ არის ვამპირი, ეგ! მაგან გამიშრო სისხლი!

სესე (მოულოდნელად ისევ ინაბება): სსსუ! ჩიტი! ჩიტი! შეხე, შეხე, რა ლამაზია! წიწკანა უნდა იყოს! შეხე, ვაშლის ტოტზე დაფრინდა, ო, შენი გულისა, რა ლამაზია! (ისმის ჩიტის სტვენა).

გიგო (გაოგნებული იყურება): რა ჩიტიო?! სად ხედავს ჩიტს ეს მამაძაღლი?!

სესე: აგე, კაცო, აგე, ვაშლის ტოტზე ზის. ბოლოს აქანავებს.

გიგო: შენ რა სულ ჩიტები გელანდება, ბიჭო!

სესე (ეპარება და გამეტებით ტყორცნის ქვას. ტოტების ლაწალუწი. ფრთების ფრთხიალი. სესე მუშტს უღერებს ზეცას): უხ, კიდე ავაცდინე! უხ, თქვენი სინსილა გაწყდა! თქვენს სისხლს დავლევ, ვამპირი გავხდები, სისხლისმწოველა!

გიგო (შეშფოთებული ყვირის): ნელა, შე სულელო! რას შვრები, რას! მთელი ტოტები დამიმტვრიე, ემანდ ფანჯრებიც არ ჩამილეწო!

სესე: ნუ გეშინია! (ინაბება. ქვისკენ გარბის წაკუზული. დასწვდება და უმალ სხვა მიმართულებით ტყორცნის.

ტოტების ლაწანი. ფრთების ფრთხიალი. სესე ისევ გარბის. ქვას დასწვდება და ელვისებურად ისვრის. იგივე ხმები)

გიგო (ყვირის): გაჩერდი, გაჩერდი! ნუ გამიჩანაგე ხეხილი!

სესე: ჩუმად, ბებერო, ჩუმად, ჩიტებს ნუ მიფრთხობ! (თვალებანთებული დარბის და გაუთავებლად ისვრის ერთსა და იმავე ქვას).

გიგო (განწირული ხმით): შეჩერდი-მეთქი! შესდექ! სდექ ვანდალო! ჩანს, რომ ამქვეყნად შენთვის აღარაფერი წმინდა აღარ არსებობს! ოი, ღმერთებო, რას დაემსგავსა ჩემი ნაპატიები ბაღი! ავგიეს თავლას, ავგიეს თავლას! წყეულიმც იყავ, ჭკვათხელო კაცო! პისტი! (ყვირის) პისტი, მიშველე პისტი, დამიხსენი ავ მეგობრისგან, ხოლო ჩემს მტრებს მე თავადაც გავუმკლავდები!

თხა (თვალანთებული): მეეე! მეეეეე!

(თხის ბღავილი ექოებად მეორდება)

გიგო: ეს რა საზარელი, გულისგამგმირავი ხმები მესმის? თითქოს ჯოჯოხეთის მთელი ძალები აღმდგარან და ჩემი დაღუპვა განუზრახავთ! ეს ბღავილია, თხის ბღავილია თუ სიცილი არის? ექო მრავალგზის იმეორებს – თავხედი ნიმფა! აჰ, ეს შენ ბღავი, თეთრო აჩრდილო! გამჩენსა ვფიცავ, ემაგ შენს ხმაში საბედისწერო დაცინვა სჭვივის! პისტი! სადა ხარ?! სადა ხარ, პისტი?! შენ მაინც მოდი, მომეშველე! შენ შეაჩერე ეს წყეული თხა და ეს უბირი ჩიტირეკია თხელტვინა კაცი! ჰოი ღმერთებო! აი, ფანჯარაც ჩამილეწა! ჩემი ფანჯარა, რომლის მიღმიდან ვჭვრეტდი ბალღი სოფლის ცვლილებას. აწ რაღასა იქმს? კარს მიმტვრევს, ვფიცავ, რათა შევარდეს და იმ თავის სამგზის წყეულ ქვას დასტაცოს ხელი! ო, დავიღუპე! არაფერს ინდობს! (თავს ხელებში ჩამალავს).

სესე აქოშინებული და წელში მოხრილი, ქვით ხელში მოჩანჩალებს გიგოსკენ. შავი ცხვირსახოცით მელოტ თავს იმშრალებს. ჯდება გიგოს გვერდით. გაშტერებული დაჰყურებს ქვას.

სურათი მეორე

(იგინივე და ნოდარი)

ნოდარი (შავი კოსტუმი აცვია. ცალ ხელში – შავი დიპლომატი. მეორეში – შლაპა. ნახევრად გამელოტებული, სწრაფი ნაბიჯით შემოდის. უახლოვდება გიგოს, მოწაფესავით იჯგიმება. თავს უკრავს): სალამი! სალამი პატივცემულო! გუტენ ტაგ, გენოსსე!

გიგო: რომელი ხარ?

თხა: მეეეე...

გიგო: ხმა ჩაიწყვიტე, ლევიათანო!

ნოდარი (ის იყო, პასუხს აპირებდა, თხამ დაასწრო): მაგას მე მკადრებ?

გიგო: არა, შენ არა. ახლოს მოდექი, ვერ შეგიცანი.

ნოდარი: ნოდარი გახლავარ.

გიგო: აბა ნოდარი?

ნოდარი (თავისთვის): ვერ მიცნო! სკლეროტიკი ჩერჩეტი კაცი! ასე იცის ზედმეტმა წიგნის კითხვამ. (გიგოს) ნოდარი ვარ, შენი კლასელი, ბებერო ტურავ! გახსოვს, სკოლაში სიქას მაცლიდი. პირველობაში მეჯიბრებოდი. (კეთილად იცინის) დამივიწყე, ლიიბე ფროინდ?

გიგო (გახარებული): ა, ჩემო ნოდარ! სად იყავი გადაკარგული?! ასე მგონია, ათასი წელი მაინც გავიდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის მერე.

ნოდარი (კვლავ გაჭიმული დგას): ამერიკაში ვიმყოფებოდი.

გიგო: ხომ ხარ ჯანმრთელად? მე უბედური თვალში ძლივსღა ვიყურები. მოდექ, დამენახე! (ათვალიერებს ნოდარს) სესე, ბიჭო, სესე! რას გაშტერდი, შე უბედურო! შეხედე, ჩვენი ნოდარი დგას ჩვენ წინაშე!

სესე (ჩაქინდრულ თავს ასწევს): აბა ნოდარი?

გიგო: აი, ნოდარი!

ნოდარი (ახლაღა ამჩნევს სესეს) იმედგაცრუებით: ამას ვის ვხედავ! სესეც აქ არის? ეეეჰ, მაშასადამე დავიგვიანე! არადა, რა იმედი მქონდა, რომ პირველი მოვიდოდი?! (გაწბილებული აქნევს თავს).

თხა (ნოდარის თავისქნევაზე ფეხს აბაკუნებს): მეეეე!

გიგო: გაჩუმდი, თეთრო ლევიათანო, მოეცალე, ნოდარ, არ გირქინოს!

ნოდარი (თხისკენ იხედება): ეს ვაცი ისევ აქ არის?

გიგო (ბოღმით): აქ არის, აქ არის და სხვარიგად, როგორც ჩანს, არ ძალუძს. ამისმა აქყოფნამ გამიშრო სისხლი! მოეცალე, ნოდარ, არ გირქინოს, რაღაც თვალში არ მოუხვედი.

ნოდარი (აგდებულად): მე ამისი არ მეშინია! ბატონებო, ჩემი ხანგრძლივი, არცთუ უნაყოფო ცხოვრების მანძილზე მრავლად მინახავს ამგვარი პირუტყვი, მაგალითად, მუფლონ, საიგაკ, ზუბრ, გუანაკო... ქედმაღლობით არ ვიტყვი, მაგრამ მაინც მსურს განვაცხადო, რომ ჯერ ჩემთვის არცერთს არ ურქენია!

გიგო (აშკარად არ უჯერებს): რა ვიცი... რა ვიცი... ზუბრი და საიგაკი ამ ჩვენს სოფელში არასდროს მინახავს...

ნოდარი: არც მუფლონ? იაკ?

გიგო: არც მუფლონი და იაკი, არც გუანაკო. ეეჰ, მე ისევ ეს თხა მომიღებს ბოლოს!

ნოდარი (შეწუხებული): როგორ ჩამორჩენილა ჩვენი ქვეყანა! გიგო, შენგან მიკვირს, განათლებული კაცი ხარ, ამ თხამ ეგრერიგად როგორ დაგაბეჩავა?! კლდის ნიამორი მაინც იყოს!

გიგო (თხას მუშტს უღერებს) ნიამორი მაგას და ჯანდაბა!

თხა: მეეეეე!

გიგო: მაგრამ სანამ თქვენ აქა ხართ, მეგობრებო, ვეჭვობ თავდასხმა გამიბედოს.

ნოდარი (კმაყოფილებით): ცხოველთა ქცევა საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი. ფრაიბურგში ყოფნისას გავიარე ზოოფსიქოლოგიის სრული კურსი დოქტორ ვოლფგანგ კიოლერთან! პრაქტიკული მუშაობისას მე მომითვინიერებია ისეთი მძვინვარე და ალოგიკური პირუტყვი, როგორიცაა ბორნეოს ორანგუტანგ – Pongo valgaris. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ნებისმიერი ცხოველის ქცევის წინასწარმეტყველება შემიძლია – ინფუზორიიდან ვიდრე შიმპანზემდე! მით უმეტეს, ამ უბრალო თხას როგორ ვერ ავუღებ ალღოს? (თხას მიუბრუნდება: პაკუ, პაკუ!

თხა: მეეე!

სესე (თავისთვის): მიწამ ჩამყლაპოს, თუ მესმოდეს, რას მიედ-მოედებიან! ნეტა ამ ხრიოკ ეზოში თხა სადა ნახეს?! (ეჭვით გადახედავს ორივეს) არა, თუ არ მაბითურებენ?!

ნოდარი (კვლავ მოწაფესავით გაჭიმული): კავკასიური თხა ერთ-ერთი ნაირსახეობაა სამხრეთდასავლეთაზიური თხების ოჯახისა. მაკეობს წელიწადში ერთხელ. იგებს

ერთ-ორ ციკანს. როგორც წესი, თხის, ისევე როგორც ყოველი ცხოველის ქცევას, განაპირობებს რამდენიმე საფუძველმდებელი ინსტინქტი, როგორებიცაა: თვითგადარჩენის, გამრავლების, მემკვიდრეობის დაცვის, თვისტომთა შორის პირველობის ინსტინქტები. ამას დაუმატეთ უმარტივესი ფსიქიკური აქტივობა: გარკვეული ფიქსირებული ატიტუდები და ინდივიდური გამოცდილების შედეგად შეძენილი ჩვევები... სულ ეს არის. ასე რომ, ელემენტარული დასჯისა და წახალისების მეთოდით შეგიძლიათ ისე მართოთ ნებისმიერი თხა, როგორც მორჩილი რამ მანქანა. ყოველ გამიზნულ ქმედებას მოსდევს უეჭველი პროგნოზირებადი უკუქმედება. აი, ახლა მე ვაიძულებ თხას, მორჩილად მომიახლოვდეს (იხრება, ბალახის ბღუჯას გლიჯავს, თხას უწვდის): პაკუ, პაკუ!

თხა ადგილიდან არ იძვრის.

ნოდარი (ბალახის ბღუჯას აგდებს. ხელს იწმენდს ცხვირსახოცით, რომელზედაც გამოხატულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის დროშები). (ნირშეუცვლელად): როგორც ჩანს, ცხოველი მაძღარია. არა უშავს. როგორმე სხვა დროს. ამ მარტივი ექსპერიმენტით მე უბრალოდ მინდოდა წარმომეჩინა, თუ რა ადვილია ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერი ცხოველის მართვა. რაც უფრო ღრმად გაქვს შესწავლილი ცხოველის ფსიქიკა, მით უფრო ადვილია მასთან მუშაობა. მე ვიტყოდი, ხშირ შემთხვევაში, ერთგვარი თანამშრომლობის განცდაც კი ჩნდება.

თხა: მეეეე! (თავს დახრის და ნოდარისკენ მიემართება მრისხანედ)

ნოდარი (შეშინებული გარბის. კაკლის ხეს ამოეფარება, იქიდან თავგამოყოფილი): აი, ხომ ხედავთ! მე ახლა ვიმოქმედე ცხოველის აგრესიულ იმპულსებზე. სავსებით

აშკარაა მისი მოტივაცია – იგი თავს ესხმის ობიექტს, რომელიც, მისი აზრით, გარკვეულ საფრთხეს უქმნის მას. აქტივიზირდება ცხოველის თვითგადარჩენის ინსტინქტი. ამ შემთხვევაში ცხოველის აგრესია თავდაცვასთან არის დაკავშირებული. პაკუ, წყნარად, პაკუ, წყნარად!

თხა (თავის ადგილზე ბრუნდება, ბალახს მოწიწკნის): მეეეეე!

გიგო (უიმედოდ): ამ თხას ნუ ეხუმრები, ჩემო ნოდარ!

ნოდარი (გამოდის ხის უკნიდან): მეტსაც ვიტყოდი, თანამედროვე მეცნიერება მივიდა იქამდე, რომ არათუ ცხოველის, ადამიანის ქცევის პროგრამირებაც კია შესაძლებელი. ამას მოწმობენ, სხვათა შორის, ნეიროლინგვისტური პროგრამირების უახლესი მონაცემებიც. დღევანდელი ადამიანი უკვე აღარ არის ძველი რომანტიკული ეპოქის პირმშო. იგია სოციალური მექანიზმის ერთგვარი ჭანჭიკი, იგი აღარ განიცდის საკუთარ თავს, ვითარცა, «მე,» – როგორც ეს თხა – არამედ ვითარცა, «ჩვენ», ადამიანი დაიშალა ფუნქციებად. იგი აღარ წარმოადგენს მთლიან-პიროვნულ ერთეულს, არამედ მხოლოდ მონადას ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტისა. მაგალითად, ავიღოთ რომელიმე რიგითი ოფისის რიგითი კლერკი. ყოველდღიურად იგი ჩართულია მხოლოდ იმ სამუშაოში, რომლის შესრულება მას სამსახურებრივად ევალება. მისი გონება იღებს და ამუშავებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც მის საქმესთან არის დაკავშირებული. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჩვენი კლერკი მიდის სახლში, სადაც მას ელოდება სტანდარტული ვახშამი, საღამოს სტანდარტული პრესა და ტელევიზია. მისი ადამიანური მოთხოვნილებები შემოფარგლულია სულ რამდენიმე ძირითადი ელემენტით – ესაა მუშაობა,

დასვენება, გართობა, სექსუალური ცხოვრება. ყოველი ეს მომენტი მისი ცხოვრებისა თავიდან ბოლომდე დაქვემდებარებულია საყოველთაო სტანდარტს: მისი სამუშაო მკაცრად სპეციალიზებულია, მისი დასვენება მკაცრად სტანდარტიზირებული, მისი გართობა ამოიწურება სტანდარტული ტელესერიალებითა და სტანდარტული საგაზეთო ინფორმაციებით, მისი სექსუალური ცხოვრება მკაცრად განსაზღვრულია იმით, რასაც მას ასწავლიან კოლეჯსა და ოჯახში. თუ შუასაუკუნეების ადამიანი, თავისი უხეშობითა და გამძაფრებული გვაროვნული ინსტინქტით ჰგავდა ცხოველს, თანამედროვე ადამიანი დაემსგავსა მწერს! მოგეხსენებათ, მწერებში უმაღლეს დონეზეა აყვანილი საზოგადოებრივი ურთიერთქმედების მექანიზმები. ასე მაგალითად, მუშა-ფუტკარი სკაში ასრულებს მკაცრად იმ ფუნქციას, რაც მასში კოდირებულია ქრომოსომულ დონეზე. იგი არავითარ შემთხვევაში არ მოიქცევა ისე, როგორც არა-მუშა ფუტკარი. მისი ქცევის პარადიგმები უმკაცრესი ბიოლოგიური კანონებით წინასწარ კოდირებულია მის ორგანიზმში!

სესე (წამოიჭრება): ჩიტი, ჩიტი!

ნოდარი: ნუ მაწყვეტინებ, სესე!

სესე: მგონი კაჭკაჭია. ღობეზე ჩამოჯდა (ფეხაკრეფით მიიპარება) აგე, მეორეც, მესამეც! ღმერთო ძლიერო! რამდენნი არიან!

ნოდარი (განცვიფრებით): რა დაემართა?

თხა: მეეეე!

გიგო: ერთი სული აქვს, ჩიტი მოკლას.

ნოდარი (ხელს მოიჩრდილებს): მერედა აქ ჩიტს სად ხედავს?!

გიგო: რა ვიცი, რაც მოვიდა, მას მერე სულ ეგრე დარბის.

ნოდარი: მე ვერავითარ ჩიტს ვერ ვხედავ!

ისმის ქვის შხუილი. რამდენიმე წყვილი ფრთის ფართხუნი. ფრინველების მჭახე შეყვირება.

სესე (ყვირის): ვაი შენ, ჩემო ბედკრულო თავო! რამდენნი იყვნენ, რამდენნი იყვნენ და ერთიც ვერ მოვკალი! ფუ, ჩემს მარჯვენას! ფუი, ფუი! ერთი კი გავკენწლე, მაგრამ გაფრინდა. აგე, როგორ ფრთაათრეული მიფრინავს... არა უშავს, შორს ვერ წამივა, დავეწევი! (ეზოდან გარბის)

ნოდარი (თვალს გააყოლებს): ხომ არ იცი, საით გაიქცა? ეგებ მეც გავიქცე და მივასწრო?

გიგო (ხელს ჩაიქნევს): ჩიტებს მისდევს ჩიტირეკია.

ნოდარი: მე არავითარი ჩიტი არ შემინიშნავს, მინიმუმ ორასი-ორასორმოცდაათი მეტრის რადიუსით. შენა გიგო?

გიგო: რა ვიცი, თვალს დამაკლდა. ასე მგონია, ამ დაწყევლილი თხის მეტს ვერაფერს ვხედავ-მეთქი.

თხა: მეეეეე!

ნოდარი (შიშით გახედავს თხას): ჰო, ეს თხა მართლაც უცნაური ეგზემპლარია. რა თვალმოუშორებლად გიყურებს!

გიგო: მაგან გამიშრო სისხლი. აცე, აცე! გადი აქედან, შე თეთრო არგუსო! გორგონავ! ჰეკატონქეირო!

ნოდარი (დაფიქრებული შორს იხედება): ჩემი აზრით, სესეს ფსიქიკაში ადგილი უნდა ჰქონდეს გარკვეულ პათოლოგიურ ცვლილებებს.

გიგო: რას გულისხმობ?

ნოდარი: შენიშნე? იგი გაედევნა არარსებულ ფრინველებს ისე, როგორც ჯანსაღი ადამიანი გაედევნებოდა არსებულ ობიექტს.

გიგო: რა ვიცი, ეგებ კიდეც იყო რაიმე ფრინველი და ჩვენ ვერ დავინახეთ.

ნოდარი (მტკიცედ): დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო: არავითარი ფრინველი იქ არ ყოფილა! ყოველ შემთხვევაში, ჩემი თვალის ბადურაზე არ აღბეჭდილა ფრინველის მსგავსი არცერთი არსება. ხოლო, რამდენადაც ჩემი თვალის აპარატი ჯერაც სავსებით გამართულად ფუნქციონირებს, შეუძლებელია მას არ დაეფიქსირებინა ისეთი დიდი ზომის მატერიალური ობიექტი, როგორიცაა კაჭკაჭი! მით უფრო, რომ მზე ჯერაც არ ჩასულა და, საერთოდ, ხედვით-ოპტიკური პირობები ამ საღამოს საკმაოდ ოპტიმალურია! ჩემი აზრით, სესეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მანიაკალური ფსიქოზის ერთ-ერთ რომელსამე გამოვლინებასთან!

გიგო: შენი აზრით, გაგიჟდა?

ნოდარი: სწორად მიმიხვდი.

გიგო (თავს აქნევს): არა მგონია. (მიუბრუნდება თხას) ნუ მომჩერებიხარ, სატანისსახიანო ურჩხულო!

ნოდარი (ფიცხად): მაგას მე მკადრებ?!

გიგო: არა, თხას ვეუბნები.

ნოდარი (დაეჭვებული): აჰ, თხას?! იმას გეუბნებოდი, გიგო, შენ ალბათ ვერც შენიშნე, სესეს გონებრივი გადახრა. რა წაიკითხე უკანასკნელად ფსიქიატრიის დარგში?

გიგო (წიგნს გაუწვდის, მაგრამ ხელში არ აძლევს): სწორედ ახლა ვკითხულობდი.

ნოდარი (ცხოველი ინტერესით): ეგ რა წიგნია? (იცინის) ოჰ, ეგ ხომ კარგა ხანია, დაძველდა.

გიგო: რა ვიცი, მე ყველა წიგნი ახალივით მიზიდავს. ვკითხულობ, ვკითხულობ, სანამ არ ჩამეძინება. მაგრამ ჩაძინებას ვინ გაცლის! ეს ჯოჯოხეთის მოციქული არგუსივით მიდარაჯებს. უნდა დავაკვლევინო! ის გოგო სად დამეკარგა მაინც? (იძახის) პისტი, პისტი!

ნოდარი (თავისთვის იმეორებს): პისტი! ბერძნული სახელია. საკმაოდ არაკეთილხმოვანი! მასში ფიგურირებს ბაგისმიერი და სისინა თანხმოვნები. ლათინური შესატყვისი გაცილებით უკეთ ჟღერს: Credo, credo!... მაგრამ ქალის სახელად არ გამოდგება. შესაძლოა ინგლისური ვარიანტი ყოფილიყო უკეთესი: Creedence ან Faith... თუმცა ქალის სახელებად ესენიც არ ივარგებდა. ისევ რუსული სჯობია – Вера, კეთილხმოვანიც არის და ქალის სახელადაც ზედგამოჭრილი, მაგრამ, ვაი რომ, ყოველ რუსულ ტერმინს თან ახლავს დაბალი ინტელექტუალური სიმწიფის მაჩვენებელი ცალმხრივობა, სიბრტყულობა და, ამასთან ერთად, ბუნდოვანებამდე დასული არასრულყოფილება.

თხა (ძალიან ხმამაღლა, გაალმასებით): მეეეეეე! მეეეეეე!

გიგო: ჰოი, შე სამგლე! რა გინდა, რას მიმზერ, რას შემომიჩნდი?! დაიცა, მოვიდეს ის გოგო! დაიცა, ავალესინო დანა! ორი დანა მაქვს შენთვის გამზადებული! ორი დანა! რომც არა მქონდეს, საცხოვრებელს გავყიდდი და დანას ვიყიდდი! დამაცა, წაგაგდებინო თავი!

ნოდარი (ყვედრებით): გიგო, გიგო! რამ გაგამხეცა! როგორ შეიძლება უმწეო ცხოველს ემუქრებოდე?!

გიგო: დავემუქრები კი არა, სულ ასო-ასო ავქნი და ხაშლამას გავაკეთებ!

ნოდარი: ხაშლამა საკმაოდ ნოყიერი საჭმელია, მაგრამ მეტისმეტად პრიმიტიული!

გიგო: პრიმიტიულია თუ არაპრიმიტიული, მირჩევნია, მე მოვინელო ეს სანაცილე, ვიდრე მაგან მომინელოს! შემხედე, რას დავემსგავსე! ფერი აღარ მაქვს, მუხლებში ძალა გამომელია! ვეღარას ვხედავ! სკლეროზი დამეწყო! და ეს ყველაფერი ამისი წყალობაა! თვითონ კი არის ყოჩივით! მე შენ გეტყვი და, ასაკი დაეტყობა!

ნოდარი: მაგაზე ნუ ღელავ, ჩემო გიგო! შენს ასაკს მალე მოეძებნება წამალი.

გიგო: რა წამალი? სიკვდილი?

ნოდარი: არა კაცო, ჯვარი გვწერია! უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ თურმე შესაძლებელია ადამიანის გენეტიკური პროგრამირება. საკმარისი იქნება მცირედი კორექცია შენი ქრომოსომების ჯაჭვში, და შენს ყველა გასაჭირს ერთბაშად მოეღება ბოლო.

გიგო (ხელს ჩაიქნევს): ეეჰ, ეგ ხომ მეც ვიცი. ეგ მხოლოდ თეორიაა.

ნოდარი: ცდები, my dear friend! უკვე პრაქტიკულად ტარდება ექსპერიმენტები ამ სფეროში!

გიგო: დაუჯერებელია!

ნოდარი: დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! ამერიკაში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს სერიოზული ექსპერიმენტები გენურ ინჟინერიაში!

გიგო (განცვიფრებული): მაგრამ მაგას არ დაუშვებენ! ეკლესია არ დაუშვებს!

ნოდარი (აგდებით): ჰმ, ეკლესია! ჰქონდათ გარკვეული მცდელობა ამ რამდენიმე წლის წინ. უნდოდათ ექსპერიმენტების აკრძალვისთვის მიეღწიათ – მაგათ ხომ სულმუდამ აჩრდილები და საფრთხობელები ელანდებათ! მაგრამ მეცნიერების წინსვლას ვერაფერი გადაეღობა. რაც აღმოსაჩენია, აღმოჩენილ უნდა იქნას კიდეც! ამ ახალი ექსპერიმენტების შედეგად მალე მიწის პირისაგან აღიგვება ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა ავადმყოფობა, სიბერე, ჭარბნაშენიანობა... გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები. საბოლოოდ გადაიჭრება არსებითი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები! თუმცა ზოგიერთების აზრით, აქ არსებობს გარკვეული ბიოლოგიური საფრთხე, მაგრამ სპეციალური მარეგულირებელი მეთოდებით შესაძლებელია მისი თავიდან აცილება. მით უმეტეს, რომ სარგებელი ბევრად დიდია: შენ წარმოიდგინე, გენური ინჟინერიის, კერძოდ კი – გენების შეჯვარებისა და დეენკა რეკომბინაციის საფუძველზე მალე შესაძლებელი გახდება ადამიანისა და ნებისმიერი ცხოველის ჰიბრიდის მიღება! მაგალითად, საკმარისი იქნება, შენი ქრომოსომები გადავაჭდოთ, თუნდაც, აი, ამ თხის ქრომოსომებს და შენს წვალებას ბოლო მოეღება. შენ ისევე შეგეძლება გაუგო ამ, ერთი შეხედვით უგუნურ პირუტყვს, როგორც ახლა ჩემი გესმის. მაშინ თავშიც აღარ მოგივა მისი დაკვლა!

გიგო: დავიჯერო, ეს შესაძლებელია?

ნოდარი: უნდა დაიჯერო! ეს სულ მალე პრაქტიკულად განხორციელდება კიდეც! შენ იქნები ნახევრად თხა და ნახევრად ადამიანი – ანუ სატირი!

გიგო (დაფიქრებული) მირჩევნია, მგელი ვიყო. მაშინ ხომ სულაც ახლოს ვეღარ მომეკარება!

თხა: მეეეე!

ნოდარი: თუმცა აქ დგება იურიდიული და ეთიკური განხრის გარკვეული პრობლემები – მაგალითად მოქალაქეობის უფლება – მაგრამ ამასაც მოევლება.

გიგო: მგელი ვიქნები, მგელი! თანაც ნაკითხი მგელი! მაშინ გაბღავლებ, საბრალო პირუტყვო!

ნოდარი: რაო?!

გიგო: მაშინ გაბღავლებ-მეთქი, საბრალო პირუტყვო! (მუშტს ნიშნისმოგებით იქნევს).

ნოდარი (შეცბუნებული): მაგას მე მეუბნები?!

გიგო: შენ კი არა, თხას. საბრალო პირუტყვო!

თხა: მეეეე!

ნოდარი: აჰ, თხას? გასაგებია (ოცნებაში წასული), მალე ამ თხას ძმასავით გაუგებ.

გიგო: მტრისას ამისი ძმობა!

ნოდარი: რა გენაღვლება. მაშინ ხომ შესაძლებელი გახდება ნებისმიერი გენეტიკური ანომალიის გასწორება. ეს თხაც აღარ იქნება აგრესიული!

გიგო: ჰოოო, ეგ სხვა საკითხია.

ნოდარი: მოხდება ადამიანის რასიული გაუმჯობესება.

გიგო: ჰოოო!..

ნოდარი: ძალაუფლების კონცენტრაცია!..

გიგო: ჰო, ჰო!

ნოდარი: მთელი ძალაუფლება მეცნიერთა ხელში მოიყრის თავს!

გიგო: ოღონდაც!

ნოდარი: კვერცხუჯრედზე და სპერმაზე ჩატარებული მანიპულაციებით შესაძლებელი გახდება შთამომავლობის ბიოლოგიური პროგრამირება!

გიგო: უხ, შენი გულისა!

ნოდარი: შევქმნით კენტავრებსა და მინოტავრებს!

გიგო: და ოლიმპოს ღმერთებს!

ნოდარი: ჩვენი პარადიგმები გახდება სავსებით ადეკვატური!

გიგო: ეგ ხომ თავისთავად ცხადია!

ნოდარი: აღვადგენთ მითოლოგიურ ცნობიერებასა და ყოფიერებას!

გიგო: აღვადგენთ-მეთქი!

ნოდარი: გავაცოცხლებთ წარმართულ ღმერთებს!

გიგო: აპოლონს, ათენას!

ნოდარი: ჩვენ ვიქნებით ღმერთების როლში!

გიგო: მაგასაც შევძლებთ!

ნოდარი: და ჩვენ ვიქნებით თავად ღმერთები!

გიგო: შენს პირს შაქარი!

თხა (გაალმასებით): მეეეეეე!

გიგო: შენს პირსაც შაქარი, ჩემო თხაო, ბელა!

სურათი მესამე

(იგინივე, სესე და თინა)

ნოდარი (იღებს სიგარეტს): გავაბოლოთ, გიგო!

გიგო: რა თამბაქო გაქვს?

ნოდარი: ალჟირული სიგარეტია, «ექსპრეზიდენტი».

გიგო: გამასინჯე, ერთი.

(ორივენი ეწევიან. დუმილი.)

გიგო: არა, მე მაინც ჩემი ძველი ყალიონი მირჩევნია (იღებს ყალიონს, ჯიბეებში ფათურობს). ფუჰ, თუთუნი გამომლევია!

ნოდარი: ეს მოწიე, ეს!

გიგო: გმადლობ, აღარ მინდა. შეხედე, ჩიტი!

ნოდარი: აბა, სადა?

გიგო (ხელს იწვდის): ეგე, ვაშლის ხეზე დაჯდა.

ნოდარი: ჰო, ჩიტი ჩამოჯდა ვაშლის ხეზე. რა ჩიტია? მგონი, სკვინჩა უნდა იყოს. Fringilidae.

გიგო: სკვინჩა კი არა, გულწითელაა.

ნოდარი: ჩემი აზრით, მაინც სკვინჩაა. უფრო ზუსტად, სკვინჩისებრთა ოჯახის ერთ-ერთი მცირე ზომის ფრინველი, შესაძლოა, ეს იყოს უდაბნოს სტვენია – Bucanetes githagineus. ცნობილია ამ გვარის რამდენიმე ქვესახე, რომელთაგან საქართველოში შეიძლება შეგვხვდეს წინააზიური უდაბნოს სტვენია – Bucanetes crassirostris.

გიგო: იყოს სტვენია. ეჰ, საწყალი სესე. რაღა ახლა არ არის ადგილზე, როცა ჩიტი გამოჩნდა.

ნოდარი: აბა, ეგა თქვი! დაკვირვებული ვარ – ზოგ ადამიანს სწორედ იქითკენ მიუწევს გული, სადაც ვერავინ შეაფასებს მის უგუნურებას.

მოულოდნელად ისმის ქვის შხუილი. ჩიტი უსულოდ ეცემა ბალახზე. შემორბის სესე.

სესე (განწირული ხმით): თფუ ჩემს მარჯვენას! ავაცდინე! კიდევ ავაცდინე! შემირცხვეს კაცობა!

გიგო: არ აგიცდენია, სესე, მაგერ დავარდა, ვაშლის ძირში.

სესე (დაინახავს მკვდარ ჩიტს): არა, ეს ჩემი მოკლული არ არის. ეს უკვე მკვდარია, ქვასავით მკვდარი.

გიგო: გეუბნები, შენი მოკლულია-მეთქი. წეღან ტოტზე იჯდა.

სესე: ტოტზე როგორ იჯდებოდა, როცა უკვე მკვდარია?!

გიგო: როგორ და, მაშინ ცოცხალი იყო.

სესე (უნდობლად): თუ ცოცხალი იყო, რად არ ინძრევა?

გიგო: იმად რომ შენ მოკალი. ქვა გაარტყი და მოკალი.

სესე (ჩიტს აიღებს. თავს აქნევს): არა, არა, ძმაო, ვერ დამაჯერებ, მკვდარია, მკვდარი...

გიგო: ჰო, მკვდარია, აბა, რა არის!

სესე: მაშ, ცოცხალი იყოო, რად მეუბნებოდი?!

ნოდარი (გაჭიმული): იმიტომ გეუბნებოდა, ჩემო სესე, რომ ჩიტი ერთი წუთის წინ ცოცხალი გახლდათ, სანამ შენ მიერ

ნასროლი ქვა სიცოცხლეს მოუსწრაფებდა. ახლა კი მკვდარია.

სესე (დასცქერის ჩიტს): როგორ? წუთის წინ ცოცხალი იყო და ეხლა მკვდარია? ასე ანაზდად? სად გაგონილა?!

ნოდარი: სწორედ რომ გაგონილა – ცოცხალი იყო და ახლა მკვდარია. პირიქით რომ მომხდარიყო, მაშინ იქნებოდა საკვირველი!

თხა: მეეეე!

გიგო: ხმა ჩაიკმინდე, ბურიდანის ვირო!

ნოდარი (გაფითრდება): როგორ მიბედავ?!

გიგო: შენ არ გეუბნები, თხას ვუთხარი.

ნოდარი: თხას ადამიანური მეტყველება არ ესმის.

გიგო: ამ ბასილისკოს ყველაფერი ესმის!

ნოდარი: შეუძლებელია!

გიგო: რა არის შეუძლებელი?

ნოდარი: ვითომც თხას ადამიანური მეტყველება ესმოდეს!

გიგო: ესმის-მეთქი!

ნოდარი (იჯგიმება): შეუძლებელია! შენ მე შეურაცხყოფა მომაყენე და ახლა უარობ! მე მოვითხოვ პასუხს, ბატონო ჩემო!

გიგო: რის პასუხს?

ნოდარი (ამაყად): პასუხს გამოწვევაზე!

გიგო (განცვიფრებული): რა გამოწვევაზე?

ნოდარი: ჩემს გამოწვევაზე. მე თქვენ დუელში გიწვევთ, ბატონო!

გიგო (კიდევ უფრო განცვიფრებული): რა დუელში?!

ნოდარი: პატიოსან დუელში. აირჩიეთ იარაღი!

გიგო: რა ავირჩიო?

ნოდარი (ამაყად): იარაღის არჩევანი თქვენზეა, ბატონო ჩემო!

გიგო (მიმოიხედავს): კარგი, თუ ეგრე გინდა, ქვას ვირჩევ.

ნოდარი (შეკრთება): ჰმ, ეგღა მაკლია, ქვის სროლა დავიწყო!

გიგო: მაშინ დანა. ორი დანა მაქვს სახლში.

ნოდარი: დანა რა ვაჟკაცის საქმეა?!

გიგო (გაკვირვებული) აბა რა გინდა?

ნოდარი (ამაყად): ნებისმიერი იარაღი, ბატონო ჩემო!

გიგო: მე უკვე ორი დავასახელე.

ნოდარი: ნებისმიერი იარაღი მაგ ორის გარდა.

გიგო: მაშინ... მაშინ მუშტი.

ნოდარი: ნებისმიერი იარაღი ქვის, დანის და მუშტის გარდა.

გიგო: მაშინ ჯოხები ავიღოთ.

ნოდარი: თქვენ შეგიძლიათ, აირჩიოთ ნებისმიერი იარაღი – ქვის, დანის, მუშტისა და ჯოხის გარდა, ბატონო ჩემო!

გიგო (დაბნეული): სხვა არაფერი მაქვს.

ნოდარი (ზიზღით): ლაჩარო!

გიგო (წამოენთება): ლაჩრის ხმა მესმის!

თხა: მეეეე!

გიგო (თხას): ხმა ჩაიწყვიტე... აჰ, ბოდიში...

ნოდარი (ამაყად, ღირსეულად): ჰმ! კარგი, მიპატიებია!

გიგო (განცვიფრებული): რა გიპატიებია?

ნოდარი: წეღანდელი შეურაცხყოფა, რადგან ბოდიშს მიხდი.

გიგო: არავითარ ბოდიშს არ გიხდი!

ნოდარი: როგორ თუ არა?! ზუსტად ექვსი წამის წინ შენ წარმოთქვი სიტყვა «ბოდიში».

გიგო (დაბნეული): ეგ ამ თხას ვუთხარი.

ნოდარი: დაუჯერებელია!

გიგო: რა არის დაუჯერებელი?

ნოდარი: ის, რომ ვითომც თხისთვის მოგეხადოს ბოდიში!

გიგო (თავგზააბნეული): ჰო, მართლაც ასე გამოდის. თხისთვის ნამდვილად არ მომიხდია ბოდიში. ჭირი მაგას და ცეცხლი!

თხა: მეეეე!

ნოდარი: მაშასადამე მე მომიხადე!

გიგო: არც შენთვის მომიხდია.

ნოდარი: აქ სხვა არავინ არის. მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ და სესე.

სესე (თვალცრემლიანი დაჰყურებს მკვდარ ჩიტს ხელისგულზე): მე რა შუაში ვარ, თავი დამანებეთ! თქვენი

ბოდიშები არ მჭირდება, ჩიტის მკვლელებო!

ნოდარი: შენ მანდ გაჩუმდი, ჩიტირეკიავ!

სესე (განრისხებული): მე მეძახი ჩიტირეკიას? ჩიტი შენ მოკალი და კიდე მე მეძახი? მკვლელო, შე მკვლელო!

ნოდარი: მკვლელი ეწოდება პიროვნებას, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად სიცოცხლეს მოუსწრაფებს ერთ ან რამდენიმე სულიერს. რამდენადაც მე მსგავს მოქმედებაში შემჩნეული არ ვყოფილვარ, ამდენად არავითარი საფუძველი არ მოგეპოვება, მიწოდო ხსენებული განსაზღვრებითი სახელი. ფაქტია – მე მკვლელი არა ვარ.

სესე: ამას რა პირით ამბობ?! ეს ჩიტი შენ არ მოკალი?

ნოდარი (უდრეკად): ამის დამტკიცება შეუძლებელია, რადგან ამგვარ ფაქტს რეალობაში ადგილი არ ჰქონია!

სესე (გამწარებული): როგორ? შენ არ იყავი, წეღან გიგოს რომ მოკვლას უპირებდი?! შე მკვლელო!

ნოდარი: მე არავითარ გიგოს არავითარ მოკვლას არ ვუპირებდი!

სესე: მაშ ორთაბრძოლაში რისთვის იწვევდი?

ნოდარი (კვლავ უდრეკად, მოწაფესავით გაჯგიმული): მართალია, ვიწვევდი, მაგრამ დუელი არ შედგა. მე მან პატიება მთხოვა და მეც ვაპატიე...

გიგო (აწყვეტინებს) არაფერიც არ მითხოვია!

ნოდარი: ასეა თუ ისე, დუელი არ შემდგარა. არშემდგარი დუელი ჯერ კიდევ არავის აძლევს საფუძველს, მკვლელი მიწოდოს! სახეზეა მხოლოდ ერთადერთი ფაქტი – კერძოდ, გიგოს მიერ ჩემდამი მოყენებული შეურაცხყოფის ჩემ მიერ

პატიება. ამას კი, რამდენადაც მესმის, ყველა ენაზე დიდსულოვნება ეწოდება და არა მკვლელობა!

გიგო: მე შენთვის არავითარი შეურაცხყოფა არ მომიყენებია!

თხა: მეეეე!

სესე (ჩიტს დახედავს) მაშ შენ არ მოგიკლავს ეს ჩიტი?

ნოდარი (მტკიცედ): არა, ჩემო ბატონო!

სესე: მაშ ვინ მოკლა?

ნოდარი: უკვე მოგახსენეთ!

სესე: გამოდის, რომ ჩიტი თავისით მოკვდა და შენ მკვლელი არა ხარ?!

ნოდარი: გითხარით და კიდევ გიმეორებთ: მკვლელი ეწოდება პიროვნებას, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად სიცოცხლეს მოუსწრაფებს ერთ ან რამდენიმე...

სესე (აწყვეტინებს): მაშ, ცხოვრებაში არცერთი სულიერი არ მოგიკლავს?

ნოდარი (დაფიქრდება. მტკიცე ხმით): შესაძლოა მომიკლავს თაგვი ან ტარაკანი.

სესე: მკვლელო!

ნოდარი: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თაგვი თუ ტარაკან...

სესე (ლაპარაკს არ აცლის): მკვლელო!

ნოდარი (დაბნეული): ბატონებო, ერთი ან რამდენიმე თაგვისა თუ ტარაკნის მკვლელობა...

სესე (ისევ აწყვეტინებს): მკვლელო! ეს საცოდავი ჩიტიც შენი მოკლულია! უკვე დავრწმუნდი!

ნოდარი (თავგზააბნეული): შესაძლოა მე მართლაც მოვკალი რომელიმე ჩიტი...

სესე (ისევ აწყვეტინებს): ხომ გეუბნებოდით! მკვლელო, დაუნდობელო მკვლელო! რა დაგიშავა საბრალო წივწივამ?!

ნოდარი: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მე სამართლის ისტორიას მიკითხავდა დოქტორი ოტტო ვებერ!..

სესე: მკვლელო, ფარისეველო! დავინახე თუ არა საბრალო ჩიტი, მაშინვე მივხვდი, შენი მოკლული იქნებოდა!

თხა: მეეეეე!

გიგო (თხას შეუღრენს): ხმა ჩაიწყვიტე, თეთრო ურჩხულო!

ნოდარი: არსებობენ გარემოებები...

სესე (აწყვეტინებს ნოდარს): ხმა ჩაიწყვიტე ურჩხულო!.. თეთრო ურჩხულო!

ნოდარი არ პასუხობს. კვლავ გაჭიმული დგას, მაგრამ მდუმარედ.

სესე: შეხედე, როგორ დადუმდა! ქურდს ქუდი ეწვის! ქურდს ქუდი ეწვის-მეთქი! გიგო, თქვი, გიგო, ხომ მაგან მოკლა საბრალო წივწივა?!

გიგო (შიშით ქუდზე იტაცებს ხელს, მერე სესეს მიუბრუნდება. განრისხებული უყვირის): დამეკარგე აქედან, შე ჩიტირეკია! კაცი ამერიკიდან დეენკა რეკომბინაციას მპირდება, შენ კიდე ამ ერთი ჩიტის გულისთვის...

სესე: სსსუ, ससससუუ! გიგო, ჩიტი დაჯდა წყავზე.

გიგო (უნებლიეთ ჩუმდება, ჩურჩულით): აბა, ჩიტი?

სესე: აგე, წყავზე, წყავის ტოტზედა (მკვდარ ჩიტს სათუთად დებს ბალახზე, ქვას დასწვდება და ფეხაკრეფით ეპარება წყავის ხეს. ისმის ქვის შხუილი. ჩიტი უსულოდ ეცემა. სესე თავში იტაცებს ხელს, სასოწარკვეთილი გოდებს): ვაი შენ, ჩემო ბედკრულო თავო! კიდე ავაცდინე, კიდევ! გამიხმეს ეს მოსაჭრელი მარჯვენა, რა ახლოს იყო და გამიფრინდა!

გიგო: გაგიფრინდა კი არა, ემაგერ გდია ბალახზე!

სესე (გამოცოცხლდება): აბა სადა?!

გიგო (თითს იშვერს): ინდე მანდა!

სესე (დაინახავს მკვდარ ჩიტს. მიდის, დასწვდება, იჭვნეულად აქნევს თავს): არა, არა მგონია, ეს ჩემი მოკლული იყოს. არა და არა! მე რო ჩიტს ვესროლე, ის ცოცხალი და ჯანმრთელი იყო. ეს კი მკვდარია, ქვასავით მკვდარი!

გიგო: მკვდარი იმიტოა, რომ შენ მოკალი, შე ჭკუათხელო!

თხა (მრისხანედ): მეეეეე!

გიგო (მრისხანედ): დაიყვენ პირი!

სესე (ჩიტს სიბრალულით დასცქერის): შეუძლებელია, ასე ერთ წამში ის ცოცხალი და მსტვინავი წივწივა ამად ქცეულიყო! როგორც ჩანს, ავაცდინე. გამიფრინდა! თვალსა და ხელს შუა წამივიდა! ეს კი რაღაც სხვა ჩიტია. ალბათ ადრევე ეგდებოდა აქ, დილაზე მოკლავდა ვინმე... შენ ხომ არ მოგიკლავს, გიგო?!

გიგო: მე კი არა, შენ მოკალი, ბრიყვო!

თხა: მეეეეე!

გიგო (მრისხანედ): დუმენინ!

სესე (მწუხარედ აქნევს თავს. ხელისგულზე ჩიტს დაჰყურებს): ვერა, ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი მოკლული იყოს (ნოდარისკენ იშვერს თითს), ამასაც ეს მკვლელი მოჰკლავდა!

ნოდარი (ამაყად): ეს ბინძური ცილისწამებაა!

თხა: მეეეე!

გიგო: დადუმდი-მეთქი, ასთვალიანო არგუსო!

შემოდის თინა. ძაძები აცვია. სახე ნაყვავილარი აქვს. ხელები უცნაურად მიუხუტებია მკერდზე.

თინა: მიშველეთ, განიკითხეთ საბრალო ქვრივი!

გიგო (შუბლს მოიჩრდილავს): რომელი ხარ?

თინა: მე ვარ, თინა.

თხა: მეეე!

გიგო: ახლოს მოდი, ვერ შეგიცანი (ათვალიერებს განცვიფრებული), ქეთო, შენა?

თინა: არა, არა! მე ქეთო აღარა ვარ! მე ახლა საბრალო ღატაკი თინა ვარ!

გიგო: ეს რა დაგმართვნია, შე საცოდავო! მას მერე აღარ მინახიხარ, რაც ჩაჩნებმა მოგიტაცეს!

თინა: ჰო, ჰო, გიგო, აღარც მე მინახიხარ, აღარა!

თხა: მეეე!

გიგო: ეგ სახე რაღამ დაგიმახინჯა?! მახსოვს, მთელი საქალეთის თვალი იყავი, შენი სილამაზე თვით მზესაც შურდა! მეც გეტრფოდი, თავს გევლებოდი, შენ კი დამიწუნე წიგნის ჭიობით!

თინა (სახეზე აიფარებს ცალ ხელს და ტირის): იმ სილამაზემ დამღუპა! ვაი, მე უბედურს!

გიგო (სიბრალულით): რა იყო, რა შეგემთხვა, მომითხარ წვრილად!

თინა: ჯერ სულ ყმაწვილი ქალი ვიყავი, ჩაჩნებმა რომ გამიტაცეს. აულში ვსახლობდი. იქ დედობილ-მამობილიც გამომიჩნდნენ, პატიოსანი, კეთილი ხალხი – ვინმე ნაიბი და მისი ცოლი. ჩაჩნის ქალად გადავიქეცი, დამავიწყდა სამშობლო ენა, ჩემი დედ-მამა. ვცხოვრობდი ლაღად, როგორც მთის ყვავილი. ლამაზი ვიყავ, ეჰ, რა ლამაზი. ჩაჩნის ყმაწვილებს ჩემზე მზე-მთვარე ამოსდიოდათ. იქ გავატარე ცხრა-ათი წელი.

გიგო: მერე? მერე? ჩქარა მიამბე!

თინა: მერე ის იყო, გამომიტაცა უკანვე მამამან ჩემმან. კვლავ ვაშლოვანში დავემკვიდრე. ცხრა წლის მანძილზე დამვიწყებოდა სრულად სამშობლო. ვერავის ვცნობდი. მთელი დღეები ტირილში ვიყავ, ჩაჩნურ სამოსელს ვერ ვიშორებდი. ასე გავიდა ექვსი-შვიდი თვე – ჩემს ტირილში, მწუხარებაში, დედის ვარამში, მამის დარდებში. ერთ საღამოს დედაჩემი აივანზე იჯდა. მღეროდა (შორიდან ისმის იავნანა), ანაზდად თავში რაღაცამ დამკრა. «დედა!» – შევყვირე გონზე მოსულმა, «ძვირფასო დედა!» სწრაფად მივვარდი, გადავეხვიე. მამაც ვიცანი: «მამა!» – შევყვირე. გადავეხვიე მშობელ მამასაც. და გავხდი ისევ ქართველი ქალი. დავივიწყე სრულად ჩაჩნეთი.

გიგო: მერმე რა იყო?

თინა: მერმე ვცხოვრობდი ძველებურად დედ-მამის სახლში. მაგრამ გავიდა სამიოდე თვე და კვლავ ჩაჩნებმა გამიტაცეს. ჩამიყვანეს ისევ აულში, იქ ჩემს მამობილს მიმგვარეს კვალად. ჩემი საბრალო მამობილი – ვაგიზ უშევი, ჩემი საბრალო დედობილი – სათნო სანათა! თავდაპირველად ვერცერთს ვერ ვცნობდი, მაგრამ ერთ დღეს დედობილმა ფანდური აიღო, სიმებს ჩამოკრა და სევდიანად დაამღერა ჩაჩნური ჰანგი. მაშინ კი დამკრა რაღაცამ თავში. და მეც ვიცანი, მოვეხვიე – რა ვქნა, მიყვარდნენ. ვერ დავივიწყე მათი ამაგი!..

გიგო: ყოჩაღ, ქალო!

თინა: სამაგიეროდ გადამავიწყდა კვლავ საქართველო. ვიქეცი ისევ ჩაჩნის ქალად, დავემკვიდრე მთიან მხარეში. ყმაწვილი ვიყავ, ბედნიერი, ბევრნი შემტრფოდნენ. ბევრს სურდა ჩემი ხელი ეთხოვა. ვერა ბედავდნენ – გოროზი იყო მამობილი. მერმე ის იყო, ერთმა გაბედა და მთხოვა ცოლობა – დაუვიწყარი ასლან-გირეი! მამობილმაც თანხმობა მისცა. ნიშნობა გვქონდა, რომ გამიტაცეს კვლავ ქართველებმა. მიმგვარეს დედას. დედაჩემი აივანზე გამოსულიყო. ტკბილად მღეროდა. გადავეხვიე. მამაც ვიცანი. მაინც სხვა არის საკუთარი დედ-მამის სითბო, სხვარიგად ტკბილი. მას ვერ შეგიცვლის უცხო ქვეყანა.

გიგო: აფერუმ შენს ქალობას!

თინა: დამავიწყდა სწრაფად ჩაჩნეთი. კვლავ დავემკვიდრე მშობელ მხარეში. ვცხოვრობდი ლაღად, უდარდელად. ახალგაზრდა, კოხტა ვაჟები ჩემს სიყვარულში ერთი-ერთმანეთს ეცილებოდნენ. მაგრამ ერთ დღეს გამიტაცეს ისევ ჩაჩნებმა. მიმიყვანეს კვლავ მამობილთან. «ო,

მამობილო!» – შევძახე და სიყვარულით გადავეხვიე. ვერ წაეშალა დრო-ჟამის სრბოლას ჩემი გულიდან მადლიერება. კვლავ ძველებური სიყვარულით მიმიღეს იქაც. მსწრაფლ დამავიწყდა ჩემი ქვეყანა. ჩაჩნური კაბა გადავიცვი. გადაწყვიტეს ჩემი ნიშნობა. დამნიშნეს კიდეც. მაგრამ ნიშნობის მეორე დღესვე გამომიტაცეს კვლავ ქართველებმა. მამას მიმგვარეს. ძვირფასი მამა! რა ენა იტყვის იმ სიხარულს, რაც ჩემმა ნახვამ ჩემს დედ-მამას მოჰგვარა მაშინ. ვიღას ახსოვდა ჩაჩნეთი და დედ-მამობილნი. გავხდი ისევ ქართველი ქალი. აქაც დამნიშნეს ერთ ღირსეულ ქართველ ჭაბუკზე. მაგრამ მანამდე, ვიდრე ქორწილს გადავიხდიდით, გამიტაცეს ისევ ჩაჩნებმა. მცირე ხანს დავყავ საჩაჩნეთში. კვლავ ქართველებმა გამომიტაცეს. მერე ისევ ჩაჩანთ იმარჯვეს. ხელში მიგდეს საბრალო ქეთო. მერე კი აღარც ქართველებმა დაუდეს ტოლი. გამომიტაცეს. ამ ტაცება-მოტაცებაში ვიდოდა ჟამი. მე გავიზარდე, ფერი მომეცა, ხორცი შევისხი. გაშლილ ვარდ-ზამბახს ვედარებოდი. მაგრამ ვაი რომ, ჩემი ბედი არ იხსნებოდა – ვერ ასწრებდა ერთი სასიძო ჩემს ცოლად შერთვას, რომ მაშინათვე მიტაცებდნენ. დრო მიდიოდა. მე შევეგუე ამ მოტაცებებს. უკვე ჩაჩნეთში გატაცებული, იმავ საღამოს გადავიცვამდი კვლავ ქართულ კაბას – ვიცოდი, მალე მომიტაცებდნენ. ასე ვშვრებოდი საქართველოშიც. აღარავის უკვირდა ჩემი მოტაცება. ეს ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, როგორც მზის ჩასვლა ან მზის ამოსვლა.

გიგო: ეგ სახე რაღამ დაგიმახინჯა, შე საცოდავო?

თინა (ტირილით): გეტყვი, დამაცა. ლამაზი ვიყავ, ტოლ-სწორებში გამორჩეული. ჩემს სილამაზეს შენატროდნენ თანაბრად როგორც ქართველი, ისე ჩაჩანი ქალიშვილები. მე კი, გულზვავი, მათ არად ვთვლიდი, არად ვაგდებდი,

მუდამ ამრეზით ვუყურებდი ჩემს ტოლ-მეგობრებს. გამაყოყოჩა ჩემმა მშვენებამ. მეტადრე ერთი საბრალო გოგო, ელამი კატო ავითვალწუნე. დავცინოდი სიელმისათვის. ამ ყოყოჩობამ კიდეც დამღუპა – შემეყარა ერთხელ ყვავილი. არ მქონდა აცრა. ჰოდა შემემთხვა საზარი სენი, სახე სრულიად დამიმახინჯა. მას მერე შეწყდა ჩემი ტაცებაც. ჩემს ხელს არავინ თხოულობდა. მომიძულეს ტოლ-ამხანაგთაც – ვერ მაპატიეს ადრინდელი ქედმაღლობა. დავრჩი მარტოკა. მარტოობაში ვატარებდი დუხჭირ სიცოცხლეს. ბოლოს გამოჩნდა ერთი საწყალი ხეიბარი კაცი – პეპია. იმან შემირთო – ხეიბარმა სახეჩოფურამ. ცალკე დავსახლდით. გავმარტოვდით. გვეყოლნენ შვილნი, შვილიშვილნი. ჩვენს შორისაც გაჩნდა ერთგვარი სიყვარული, სითბო, სინაზე. მაგრამ სოფელმა ეს მცირედი სიხარულიც არ შემარჩინა – გაჩნდა სახადი. ერთმანეთის მიყოლებით გამომეცალნენ ხელიდან მეუღლე, შვილები, შვილიშვილები... ორი ობოლი შვილიშვილი დამრჩა მე ბედკრულს – ბიჭი და გოგო. ასე კარდაკარ დავიარები საგლახაკოდ, რომ გამოვკვებო რითმე ობლები!.. (ტირის, ცრემლს თავშლის კუთხით იმშრალებს).

გიგო (შეძრწუნებული): ეგ რა მოგსვლია, შე უბედურო!

თინა: მიტირეთ, ხალხო, მიტირეთ მე დასაღუპი! (ტირის)

გიგო: საბრალო მოხეტიალევ, ნუთუ ბოლო არასდროს მოეღება შენს ხეტიალს?!

ნოდარი (გაჭიმული უახლოვდება თინას): ნუ ტირი, ადამიანო. ცრემლით საქმეს არ ეშველება!

თინა: ეეეჰ, მე აღარც ცრემლით და აღარც უცრემლოდ არ მეშველება!..

ნოდარი: დამერწმუნე, თინა, მალე შენც გეშველება!

თინა: არა, არ მჯერა!

ნოდარი (სიბრალულით): ეჰ, საცოდავო ურწმუნო თინავ! უბედურებამ გონება არ უნდა დაგიბნელოს! ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ მალე ჩვენს ქვეყანაშიც დაინერგება გენური ინჟინერია.

თხა (გაჯავრებით აბაკუნებს ფეხს): მეეეე!

ნოდარი (შიშით გადახედავს თხას): დაინერგება გენური ინჟინერია და მოისპობა ყოველგვარი ავადმყოფობა. გამიგე, თინა? შენს ქრომოსომებს შევაჯვარებთ თუნდაც, აი, ამ თხასთან!

თინა (აღშფოთებული): თხასთან შემაჯვარებთ? ეგღა მაკლია!

ნოდარი: არა, არა! ვერ გამიგე! თხა ისე, მაგალითისთვის ვახსენე. ამით მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ყოველი ადამიანის გენეტიკურ კოდში შევიტანთ ისეთ კორექტივებს, რაც მოცემული ადამიანისთვის მოცემულ გარემოში სასიკეთო იქნება. ასე არ არის, გიგო?

გიგო (დაეჭვებით): ასეა, ასეა....

თინა: ჩემს გარდაცვლილ ქმარ-შვილს რაღა ეშველება?

ნოდარი: გარდაცვლილებს, რა თქმა უნდა, აღარაფერი ეშველებათ. მაგრამ გარდაცვლილებით ხომ არ იწყება და მთავრდება ეს ქვეყანა... შენ ისევ ლამაზი გახდები, თინა, ისევ ახალგაზრდა...

გიგო: ისევ გაგიტაცებენ და გამოგიტაცებენ.

თინა (შეშინებული): არა, არა, არ მინდა!.. არა მჯერა... თავი გამანებეთ! (ტირის)

სესე (დაღონებული უახლოვდება. ხელში მკვდარი ჩიტი უჭირავს): ნუ ტირი, თინა, შენზე უბედურებიც არიან ამქვეყნად. აი, თუნდაც ეს მკვდარი ჩიტი. შეხედე, რა საცოდავია! ამ მტარვალმა მოკლა! (თითს ნოდარისკენ იშვერს)

ნოდარი: ეს სიცრუეა!

თინა (ჩიტს დახედავს): მერცხალია?

სესე: მერცხალია!

თინა (მუჭს გაშლის. ხელისგულზე მასაც მკვდარი მერცხალი უდევს. სესეს უჩვენებს): აი, მეცა მყავს ჩემი მერცხალი. ასე დავატარებ ამ საბრალოს კარდაკარ.

სესე (სევდით): საცოდავი! ეგ ვიღამ მოკლა? ეგეც ამის მოკლული იქნება! (ნოდარისკენ იხედება)

თინა: მე მოვკალი, მე სასიკვდილემ, როცა მარო მერქვა.

სესე: რატომ მოკალი?

თინა: ერთ დღეს ვიჯექი, სახლს ვაშენებდი სათამაშო ბანქოს ქაღალდებისგან. დიდხანს ვეწვალე, ბოლოს, როგორც იქნა, ამოვიყვანე ორი სართული, თავის კედლებით, კარებით, ბანით. მინდოდა ბალღებისთვის მეხმო, მეჩვენებინა მათთვის ჩემი ნამუშევარი – ამ ქვეყანაზე გასართობი რა აქვთ ობლებს?! მაგრამ ჩამომიქროლა ჩემმა მერცხალმა. უნდოდა ხელზე მამჯდომოდა, მაგრამ ბედითად ფრთა გაჰკრა კოხტა შენობას. ჩამოიშალა, დაინგრა სახლი, თითქოს გრიგალმა დაანგრიაო უზარმაზარი რამ ნაგებობა, ანთუ – მიწისძვრამ. მრისხანებისგან თვალთ დამიბნელდა. ვწვდი მე უგუნური საბრალო ფრინველს და თავში მაგრად ჩავუჩაჩქუნე. ვერ გაუძლო სუსტმა არსებამ. ერთი შესწივლა და ჩემს ხელში

დალია სული. როგორ ვტიროდი. ვეფერებოდი, მოვუხმობდი, მაგრამ მკვდარს აბა, რითღა გააცოცხლებ?!

სესე: საბრალო ჩიტი!

გიგო (თავისთვის): საბრალო თინა! თუ გუმანი არ მღალატობს, კიდევ ერთ განსაცდელს უმზადებს, ბედკრულს, განგება, რომელიც ასე თოჯინასავით ათამაშებს მთელი სიცოცხლე.

თხა (სასტიკი ხმით): მეეეე!

სესე (იცრემლება): საბრალო, საბრალო ჩიტი!

ნოდარი (ამრეზით): რას დასტირით, კაცო, ამ ორ მკვდარ ბეღურას. ჩიტების მეტი რა არის ირგვლივ!

სესე (სწრაფად მიმოიხედავს): სად არის, აბა, სად არის?

ისმის ფრთების ფართქუნი. სესე სწრაფად მოისვრის თავის მკვდარ ჩიტს, ქვას მოიმარჯვებს და ფეხაკრეფით გარბის. ქვის შხუილი, ფრთების ფრთხიალი. მინის მსხვრევის ხმა.

სესე (სიღრმიდან ყვირის): ავაცდინე! ისევ ავაცდინე! ფუი, ჩემს იღბალს!

გიგო (განრისხებული): ნუ დამილეწე ფანჯრები, შე ჭკუათხელო!

თხა (საზარელი ხმით): მეეეე!

სურათი მეოთხე

(იგინივე და პოსტმოდერნისტები)

თხა (თავს აკანტურებს, ფეხს აბაკუნებს): მეეეე! მეეეე! მეეეე!

I პოსტმოდერნისტი: ვაჰ, აქ რა საინტერესო პატრიარქალური საზოგადოება შეკრებილა!

გიგო: რომელი ხარ მანდ?

თხა: მეეეე! მეეეე!

გიგო: ხმა ჩაიწყვიტე, სულთამხუთავო პირუტყვო!

I პოსტმოდერნისტი: მშვენიერი საღამოა. მზის სხივები ავანსცენასავით ანათებს ბაღჩას (კმაყოფილი იფშვნიტავს ხელებს).

ნოდარი: ვინ გნებავთ, ამხანაგებო?

I პოსტმოდერნისტი: ამხანაგების დრო წავიდა, ძიაკაცო. ცივი წყალი ხომ არ გექნებათ?

გიგო (უთითებს): მიდი, მანდ ჭაა. ჭასთან ვედროა. ვედროში წყალია.

I პოსტმოდერნისტი (წყალს სვამს): ოჰ, ოჰ, ნამდვილ პრეპოსტმოდერნულ ხანაში მოვხვდით!

II პოსტმოდერნისტი (ისიც სვამს): უჰ, რა ცივია! უეჭველად კბილებს მომკვეთდა, მაგრამ საბედნიეროდ მზეზე ისე გამთბარა, რომ თითქმის ადუღებულა!

გიგო: ცივი თუ გინდა, ჭიდან ამოიღე!

II პოსტმოდერნისტი (ლაღად): მაინც სად იშოვეთ ასეთი ყინულივით წყალი. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან ხომ არ არის ჩამოტანილი?

I პოსტმოდერნისტი: არა, ოკეანის წყალს არ ჰგავს – მარილი აკლია. ეტყობა ანტარქტიდის მარადიული ყინულები გაალხვეს!

გიგო: რომლები ხართ-მეთქი, დაუკითხავად რომ შემოიჭერით ჩემს ეზოში?!

I პოსტმოდერნისტი: არავინ. ჩვენ ვართ სრული არარა. თუმცა, თავისთავად შეუძლებელია არარა შედგებოდეს რაიმე რიცხვისგან. და მართლაც, ერთი შეხედვით, ჩვენ თითქოს სამნი ვართ. მაგრამ სამჯერ არაფერი ისევ არაფერია. ამდენად ჩვენი სამობა არ ნიშნავს თავისთავად არაფერს. სამი არარა – იგივე ერთი არარაა!

ნოდარი: თუკი ერთი არარა ხართ, მაშასადამე უკვე აღარ ყოფილხართ არარა, რადგან თავისთავად რიცხვი «ერთი» უკვე რაღაცაა. ასე არ არის, ახალგაზრდავ?

I პოსტმოდერნისტი: ერთჯერ ნული ისევ ნულია. ჩვენ არა ვართ ერთი არარა. ჩვენ ვართ წმინდა არარაობა ყოველგვარი პრედიკატის გარეშე.

ნოდარი: წმინდა არარაობა არ არსებობს, ბატონო ჩემო!

I პოსტმოდერნისტი (გამარჯვებული სახით): ცხადია, არ არსებობს, ჩვენც მანდა ვართ!

გიგო: სადა ხართ?

I პოსტმოდერნისტი: აქ!

ნოდარი (არ ეშვება): არარაობა არ შეიძლება იყოს სადმე.

I პოსტმოდერნისტი (კმაყოფილი. თავის ამხანაგს): ხედავ, ხვიჩა, რა უცებ შევქმენით პოსტმოდერნული სიტუაცია?! (ნოდარს) თქვენ ცდებით, ბატონო ჩემო. არარაობა ყოველთვის არის სადმე. არ არსებობს არარაობა, გარდა არარაობისა, რომელიც არის მუდამ და განუხრელად აქ!

გიგო (თავისთვის): ეს რაღაც აბდაუბდაა. ასეთი რამე არცერთ წიგნში არ წამიკითხავს!

ნოდარი (ჯიუტად): არარაობა არ იკავებს არავითარ ადგილს!

I პოსტმოდერნისტი (შემწყნარებელი სახით): ბატონო ჩემო, თქვენ აქაც ცდებით. არარაობა ყოველთვის იკავებს კონკრეტულ ადგილს. ჩვენ ვართ არარაობა, რომელიც იკავებს მთელს ადგილს, რაც კი შესაძლოა დაკავებულ იქნას. ჩვენ ვიკავებთ მთელს სამყაროს.

ნოდარი: მაშასადამე, მთვარეზეც ხართ?

I პოსტმოდერნისტი: რა თქმა უნდა!

ნოდარი: ირმის ნახტომშიც?

I პოსტმოდერნისტი: თავისთავად ცხადია!

ნოდარი: და ამავე დროს ახლა აქ, ჩვენს წინაშე დგახართ და გველაპარაკებით?

I პოსტმოდერნისტი: რა, ვერ გვხედავთ?

ნოდარი (ნიშნისმოგებით): არარაობას არ შეიძლება ხედავდე!

I პოსტმოდერნისტი: ერთი არარაობა მუდამ ხედავს მეორე არარაობას. თქვენ ჩვენ გვხედავთ იმდენად, რამდენადაც თქვენ თვითონაც არარაობა ხართ.

ნოდარი დაბნეული მიმოიხედავს.

გიგო: არარაობაცა ხართ და ორი მეტიც!

I პოსტმოდერნისტი (კმაყოფილი): ჩვენც სწორედ მაგას ვამბობთ, არ გეკამათებით. თუ შეამჩნიეთ, ჩვენ კამათი საერთოდ არ გვჩვევია. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რაც უჩვენოდაც თავისთავად ამბობს თავისთავს.

თხა (საშინელი ხმით): მეეეე!

გიგო: აი, ეს თხა თავისთავად ამბობს თავისთავს. ალბათ, თქვენც რაღაც მსგავსის თქმა გინდათ.

I პოსტმოდერნისტი: დაახლოებით!

II პოსტმოდერნისტი: მე აქ ვერავითარ თხას ვერ ვხედავ.

გიგო: აქ თხა დგას, ბედკრულო კაცო! არ მიუახლოვდე, თორემ მიწაზე დაგანარცხებს!

II პოსტმოდერნისტი: აბა, სად არის?

გიგო (უთითებს თხაზე): აი!

II პოსტმოდერნისტი: მე აქ ვერავითარ თხას ვერ ვხედავ!

I პოსტმოდერნისტი: მე კი ვხედავ!

გიგო: აი, ხომ გეუბნებოდი.

II პოსტმოდერნისტი (პირველ პოსტმოდერნისტს): რას ხედავ?

I პოსტმოდერნისტი: თხას!

II პოსტმოდერნისტი: აქ არავითარი თხა არ არის!

I პოსტმოდერნისტი: არის, აი, თხა!

II პოსტმოდერნისტი: არ არის-მეთქი!

I პოსტმოდერნისტი: (იცინის) არარა არ შეიძლება ხედავდეს თხას.

II პოსტმოდერნისტი (გაცხარებული): არარა შენ თვითონა ხარ!

I პოსტმოდერნისტი (სიცილით): რა თქმა უნდა, ნუ ცხარობ!

II პოსტმოდერნისტი: აბა, რას მიშვრები, მაშაყირებ?!

I პოსტმოდერნისტი: არა, მე მხოლოდ სიტუაციის პოსტმოდერნულობას მინდა გავუსვა ხაზი. თხა არის იმდენად, რამდენადაც მას ხედავს ეს სამი ბერიკაცი...

სესე (აწყვეტინებს): მე ვერანაირ თხას ვერა ვხედავ და გინდა, მომკალით!

II პოსტმოდერნისტი: აი, ხომ გეუბნებოდი!

I პოსტმოდერნისტი: მაშასადამე, თხა არის იმდენად, რამდენადაც მას ხედავს ეს ორი ბერიკაცი, ხოლო არ არის იმდენად, რამდენადაც მას ვერ ხედავს ეს ერთი ბერიკაცი. (მიუბრუნდება თინას) თქვენ თუ ხედავთ, ქალბატონო?

თინა: რასა?

I პოსტმოდერნისტი: თხას.

თინა: რა ვიცი, შენ შემოგევლე. აბა, რა ჩემი საქმეა თქვენისთანა ნასწავლი ხალხის ლაპარაკში ჩარევა.

I პოსტმოდერნისტი: საკუთარი აზრი მაინც ხომ უნდა გაგაჩნდეთ? სწორედ ეს თქვენი აზრი იქნება თხის არსებობის ან არარსებობის დამადასტურებელი უმთავრესი ფაქტორი. არის თუ არა თხა?

თინა (უყურებს თხას): რა ვიცი!..

თხა: მეეეე!

I პოსტმოდერნისტი (მხიარულად): ჰა, რას იტყვით?

თინა (მხრებს იჩეჩავს): რავი, არ ვიცი... კიკინებს კია-და!..

I პოსტმოდერნისტი: მაშასადამე, თქვენ გესმით კიკინი და აქედან ასკვნით, რომ აქ ნამდვილად არის თხა.

თინა: ჰო, ალბათ... რაკი კიკინებს, მაშ, უნდა იყოს კიდევაც...

I პოსტმოდერნისტი (გამარჯვებული სახით): ჰოდა, ძალიანაც ცდებით! რატომღაც ადამიანებს ჰგონიათ, რომ სადაც არის კიკინი, იქ აუცილებლად უნდა იყოს თხაც. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ფენომენი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას აქვს თავისთავადი მოცემულობა. არ შეიძლება, ერთი ფენომენი ახსნილი იქნას მეორეთი. არ შეიძლება თხა ახსნილი იქნას კიკინით. ხომ გამიგეთ. აქ ლაპარაკიც ზედმეტია ნებისმიერი სახის კაუზალობაზე. მაშასადამე, არის თუ არა თხა?

თინა (დაბნეული): არ ვიცი...

I პოსტმოდერნისტი: გამოდის, რომ თქვენ არ გაგაჩნიათ საკუთარი აზრი. თქვენ ბრმასავით მიჰყვებით საზოგადოებრივი ცნობიერების მდინარის ტალღებს. თქვენი ცნობიერება თითქმის მთლიანად განპირობებულია აჩრდილოვანი გლოსოლალიით! თქვენა ხართ ექო, და არა ადამიანი! თქვენ მკვდარი ხართ! მაშასადამე, თქვენ არ არსებობთ!

თინა (დაბნეული დახედავს მკვდარ მერცხალს): მენა?

I პოსტმოდერნისტი: დიახ, თქვენ! ხომ არ გეწყინათ?

თინა: არა.

I პოსტმოდერნისტი (უთითებს თინაზე): რა ჰქვია ამ არარაობას?

თინა: თინა.

გიგო: წმინდა ელმს ვფიცავ, ჩემთვის ისევ ის ქეთო ხარ!

თინა: ქეთო კი არა, თინა მქვია! ქეთო ადრე მერქვა, სანამ მომიტაცებდნენ. მერე მარო ვიყავი. ახლა თინა მქვია.

I პოსტმოდერნისტი: მაშასადამე, არარაობას ჰქვია უკვე სამი სახელი – ქეთო, მარო და თინა. (მიუბრუნდება ნოდარს) ხედავთ, არარაობასაც შეიძლება ჰქონდეს სახელი, და თანაც, მთელი სამი!

ნოდარი: თქვენ ვირი ხართ, ბატონო ჩემო! მე თქვენ დუელში გიწვევთ!

I პოსტმოდერნისტი (აინუნში არ აგდებს): ამ თხას რა ჰქვია?

თხა: მეეეე!

გიგო: ხმა ჩაიწყვიტე, თეთრო მოჩვენებავ!

ნოდარი (განრისხებული მიუბრუნდება გიგოს): მაგას მე მკადრებ?

გიგო: შენ არა-მეთქი. ნუ გამიჭირე საქმე, თხას ვეუბნები.

ნოდარი: თხას თუ მიმართავ, სულმთლად დაგიკარგავს, მოხუცო, ჭკუა!

I პოსტმოდერნისტი (გიგოს): ჭკუადაკარგულო მოხუცო, თუ შეიძლება, მითხარით, რა ჰქვია ამ თხას?

გიგო: ბელა.

I პოსტმოდერნისტი (კმაყოფილი): მაშასადამე, ჩვენს წინაშეა სამგზის არსებული და ორგზის არარსებული ბელა.

სრული პოსტმოდერნია!

II პოსტმოდერნისტი: აქ არავითარი თხა არ არის!

I პოსტმოდერნისტი (საყვედურით გადაულაპარაკებს): ჩუ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ამ ორ ჭკუანაღრძობს ხომ ჰგონია, რომ არის. მეტი რა გინდა. პოსტმოდერნი სახეზეა! (უახლოვდება თხას, ბალახს გაუწვდის. თხა სატანის თვალებით უყურებს) რა სატანის თვალებით მიყურებს?! (იცინის)

II პოსტმოდერნისტი: ვინა?

I პოსტმოდერნისტი: ბელა.

II პოსტმოდერნისტი (გაწბილებული): აკი არ არისო?!

I პოსტმოდერნისტი (იცინის): პოსტმოდერნიც ამაშია!

გიგო: ბარემ თქვენი სახელებიც გვითხარით, ბატონებო!

I პოსტმოდერნისტი: სახელებიც? რა, გვარები უკვე გითხარით?

გიგო (არ დაიბნევა): მაშინ სახელებიც გვითხარით და გვარებიც.

I პოსტმოდერნისტი (ამაყად): ჩემი სახელი უეჭველია, გაგონილი გექნებათ. მე ვარ თვით გოჩა მეტასტაზური!

II პოსტმოდერნისტი (ამაყად და სევდიანად): მე კი – ხვიჩა ინცესტუზური.

გიგო (მესამე პოსტმოდერნისტს, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია): თქვენ?

III პოსტმოდერნისტი (ამაყი სახით. ხელები გულზე აქვს დაკრეფილი): ბადრი!

გიგო: რა გვარი ბრძანდებით?

III პოსტმოდერნისტი: ბოდრიიარი.

გიგო: ეგ ალბათ ფსევდონიმია?

III პოსტმოდერნისტი (მრისხანე სახით): არა, ასე მეძახიან!

გიგო: მწერლები ხართ?

I პოსტმოდერნისტი: მწერლები? ეს სიტყვა არ გამოხატავს ჩვენი საქმიანობის არსს. ჩვენ ვქმნით ანტილიტერატურას. ჩვენ არა ვართ არც მწერლები და არც არამწერლები. ჩვენი ნაწერები თვითონ აკონსტრუირებენ თავისთავს მკითხველის ცნობიერებაში!

გიგო (თავისთვის, ჩუმად): არცერთის სახელი არ გამიგია. ეტყობა, სკლეროზი მჭირს. (ხმამაღლა): ფსევდონიმებით ხომ არ იბეჭდებით?

III პოსტმოდერნისტი: დიახ, მაქვს მოკრძალებული ფსევდონიმი.

გიგო: რა ფსევდონიმი, თუ შეიძლება?

III პოსტმოდერნისტი (ამაყად): ჰასან-ბენ-ალი-ბენ სელიმ-აბდალაჰ-მუჰამედ--მოისე-ალჰამალ-ჯემსეთჯეჯიზოი-დულიპ-ებუ-ბუნდური!

გიგო (თავისთვის): ჩანს, ბავშვობაში მარკ ტვენს კითხულობდა, მერე ამ გადარეულებს შეხვდა! (ხმამაღლა) სამწუხაროდ, არ მაგონდებით!

I პოსტმოდერნისტი (სიხარულით ამოყრის ჩანთიდან ათზე მეტ წიგნს): აი, ჩემი წიგნები! გთხოვთ წაიკითხოთ! უფასოდ ვარიგებ! ფასი ათასი მანეთი!

II და **III** **პოსტმოდერნისტები** (ისინიც, თითოეული ამდენსავე წიგნებს ამოყრიან, გიგოს წინ ახვავებენ): აი, ჩემიც, აი, ჩემიც. ერთმანეთზე უკეთესებია!

გიგო (გადაფურცლავს ერთს, განცვიფრებული ასწევს თავს); კი მაგრამ, აქ სულ ერთი და იგივე ფრაზა წერია, ბატონებო!

ნოდარი (დაინტერესებული): რა ფრაზაა?

გიგო (კითხულობს): «გამოვიდა როდესაც შევიდა და შევიდა როდესაც გამოვიდა შევიდა, ხოლო შევიდა გამოვიდა როდესაც გამოვიდა შევიდა ბაღში», – მთელს წიგნში მარტო ეს ერთი ფრაზა მეორდება.

I **პოსტმოდერნისტი** (კმაყოფილებით): ეგ ჩემი რომანია!

ნოდარი (დაფიქრებული): ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? აქ სიტყვაც არ არის ნათქვამი დეენკა რეკომბინაციაზე.

I **პოსტმოდერნისტი** (განმარტავს): ასე განზრახ გავაკეთე, რათა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს თვითონ აღადგინოს მთელი შინაარსი. ეს არის ანტიტექსტი, რომელიც თავისთავად ქმნის გარკვეულ მეტარეალობას მკითხველის ცნობიერებაში! ჩემი რომანი არ არის რომანი ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. თუ გნებავთ, ეს არის რომანების მთელი სერია, რადგან ეს ერთი რომანი ზუსტად იმდენი რომანია, რამდენი მკითხველის ცნობიერებაშიც მოხდება მისი კონსტრუირება!

გიგო: კი მაგრამ, თვითონ ეს ფრაზა რაღას ნიშნავს? აი, რომ გამოვიდა და შევიდა...

I **პოსტმოდერნისტი** (აზარტულად): «გამოვიდა როდესაც შევიდა და შევიდა როდესაც გამოვიდა შევიდა, ხოლო შევიდა გამოვიდა როდესაც გამოვიდა შევიდა ბაღში»... და

ასე, თავიდან ბოლომდე! ალბათ მიხვდებოდით – აქ მოთხრობილია მთელი კაცობრიობის ისტორია ადამ და ევადან მოყოლებული. პირველითგან იყო ცოდვა (თითს შემართავს) – ცოდვას მოჰყვა სასჯელი – სამოთხიდან განდევნა. მხოლოდ აქ ჩნდება იმანენტური ისტორიული ცნობიერება. მანამდე ყველაფერი მეტაისტორიაა, რაზეც მხოლოდ დუმილი შეიძლება, ამიტომ მეც ვდუმვარ, ამაზე არაფერი მითქვამს. თვით რომანში კი მოთხრობილია, თუ როგორ გამოაძევეს ადამ და ევა ედემის ბაღიდან, როგორ დაიწყეს ცხოვრება დედამიწაზე, როგორ განაყოფიერდნენ, გამრავლდნენ, მოედნენ მთელს დედამიწას, შექმნეს ათობით ცივილიზაციები, ააშენეს ბაბილონის გოდოლი და მოაღწიეს დღემდე. ეს არის რომანის ისტორიული პლანი. რაც შეეხება პერსონალურ პლანს, აქ მოთხრობილია, თუ როგორ ისწრაფის თითოეული ინდივიდი პირველადი ცოდვის გამოსყიდვისაკენ და საამისოდ აკეთებს ყველაფერს, რათა ეს ცოდვა გამოსყიდული არ იქნას! აქ ლაპარაკია ადამიანის საბოლოო დამარცხებაზე, რომელიც იგივე გამარჯვებაა, და საბოლოო გამარჯვებაზე, რომელიც უკვე თავის თავში შეიცავს დამარცხებას! რომანის ბოლოს, ოღონდ არა ემპირიულ ბოლოს, არამედ იერარქიულ ბოლოს, რაც ამავე დროს ყველაზე მაღლაა, ლაპარაკია ესქატოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, ცოდვის საბოლოოდ გამოსყიდვაზე და სამოთხეში დაბრუნებაზე, რაც თავისთავად, ახალი ცოდვაა და, ამდენად სამოთხეში დაბრუნება უტოლდება სამოთხიდან თავდაპირველ გამოძევებას! ასე იკვრება წრე!

გიგო (განცვიფრებული): მთელი ეს ყველაფერი ამ ერთადერთ ფრაზაში იგულისხმება?

I პოსტმოდერნისტი: ცხადია. აქ მთავარია წრე. წრე უნდა შეიკრას. ამიტომ რომანის ეს ერთადერთი ფრაზაც განზრახ

ავაგე ისე, რომ წრე შეიკრას ემპირიულ განზომილებაშიც. შეგიძლიათ მთელი რომანი ან თუნდაც ეს ერთი ფრაზა უკნიდან წინ წაიკითხოთ, და აბსოლუტურად იგივეს მიიღებთ!

გიგო (კითხულობს ფრაზას უკნიდან წინ): იგივე არ გამოდის!

I პოსტმოდერნისტი: იგივე არ გამოდის გარეგნულად, მაგრამ თავისი ინტენციით აბსოლუტურად იგივეა!

გიგო (ჩაიხედავს): ინტენციითაც არ არის იგივე, რადგან აქ უადგილოდ ჯდება კავშირი «და». აზრი – თუკი არის აქ რაიმე აზრი, – იკარგება.

I პოსტმოდერნისტი: (განმარტავს): აჰ, «და», ეგ მე განზრახ გავაკეთე ასე, «და» სწორედ გამოყოფილი უნდა იყოს, იგი მიანიშნებს სისხლის აღრევაზე. აქ იგულისხმება, რომ ევა არის ადამის და!

გიგო: ევა რატომ არის ადამის და?

I პოსტმოდერნისტი: იმიტომ, რომ ერთი მშობლის შვილები არიან! გასაგებია? ამავე დროს ევა არის ადამის ქალიშვილიც, რადგან მისი სხეულიდან დაიბადა. ჩვენს წინაშეა აშკარა ინცესტი! მამა წვება საკუთარ ქალიშვილთან, ხოლო და წვება საკუთარ ძმასთან! აქედან იღებს დასაბამს მთელი კაცობრიობა, და ეს ყველაფერი თავისი უღრმესი არსით, უკავშირდება პირველად ცოდვას! ხომ ნათელია?

გიგო (დაფიქრებული): ეს რაღას ნიშნავს – «ხოლო შევიდა გამოვიდა, როდესაც გამოვიდა შევიდა ბაღში»?

I პოსტმოდერნისტი (კეთილი სახით): «შევიდა» და «გამოვიდა» რომანის პერსონაჟების სახელებია. აქ

ნათქვამია, რომ «შევიდა» მაშინ გამოვიდა, როდესაც «გამოვიდა» შევიდა ბაღში! რაც შეეხება ბაღს, ბაღზე უკვე მოგახსენეთ – აქ იგულისხმება ედემის ბაღი, რომელიც იგივე ჯოჯოხეთია, რადგან მასში საერთოდ არ არის და არც შეიძლება იყოს არჩევანი.

გიგო (დაფიქრებული): გასაგებია!..

თხა: მეეეე!

გიგო მრისხანედ გადახედავს თხას, მაგრამ ხმას არ იღებს.

ნოდარი (I პოსტმოდერნისტს): თქვენ ჭეშმარიტად ჭკუათხელი ბრძანებულხართ, ბატონო ჩემო! ახლავე გიწვევთ დუელში! აირჩიეთ იარაღი!

I პოსტმოდერნისტი (აინუნშიც არ აგდებს. მიმართავს გიგოს): სხვა რომანებსაც გადაავლეთ თვალი. პოემებიც მაქვს. ისინიც წაიკითხეთ. მჯერა, არ ინანებთ.

გიგო: აუცილებლად.

II და **III პოსტმოდერნისტები:** ჩვენიც წაიკითხეთ, ჩვენიც!

გიგო (გადაფურცლავს რამდენიმე წიგნს): გასაგებია, აქაც იგივეა...

I, II და **III პოსტმოდერნისტები** (აღშფოთებულნი ერთხმად): სულაც არ არის იგივე!

გიგო: მე მინდოდა მეთქვა, რომ ტექსტია იგივე.

I და **III პოსტმოდერნისტები** (ერთხმად): ტექსტი აბსოლუტურად განსხვავებულია! ტექსტი მწერალია თავად!

II პოსტმოდერნისტი (თავის ამხანაგებს, ჩუმად): დაანებეთ თავი, ვერ ხედავთ, უწიგნურია!

გიგო (ყურს მოჰკრავს): უწიგნურიო?! რას ჰქვია უწიგნური! რაც ქვეყანაზე წიგნებია, სულ წაკითხული მაქვს! (თხას გადახედავს).

I პოსტმოდერნისტი (ნიშნისმოგებით): დერიდას წიგნი თუ წაგიკითხავთ, «პოსტმოდერნის თეორია და პრაქტიკა»?

გიგო (დაფიქრებული): არ მაგონდება...

II პოსტმოდერნისტი (ნიშნისმოგებით): აი, ხომ ხედავთ! აკი გითხარით, უწიგნურია-მეთქი. მეტი უნდა იკითხოთ.

თხა (გაალმასებით): მეეეე! მეეეე!

გიგო: ოი, ღმერთებო! მომაშორეთ ეს ფურია! ეს თეთრი ლევიათანი, რომელიც დამდევს და კითხვასაც აღარ მაცლის! დიდო ჰეფესტო, შენ გადაადნე ქურაში ამისი რქები! ზევსო, დალახვრე ელვის ლახვრით! გეავ, ჩამარხე შენს სიღრმეში! ჰადესო, შთანთქე! პოსეიდონო, ზღვის წყალში დაუდევ ბინა!

I პოსტმოდერნისტი (არხეინად): დაკალით და ეგ იქნება!

გიგო (იმედით): თქვენ ხომ ვერ დამიკლავთ? სახლში ორი გალესილი დანა მაქვს.

I პოსტმოდერნისტი (შეშფოთებით): აჰ, არა, არა, ცხოველის სისხლში ხელს როგორ გავისვრი! ადამიანი რომ იყოს, კიდევ ჰო!

გიგო (დაქადნებით): კარგი, არა უშავს, უთუოდ დავკლავ, უსიკვდილოდ, მაგრამ ის გოგო რო არ გამოჩნდა?! (ყვირის) პისტი! სადა ხარ, გოგო! სად დაიკარგე, პისტი!

თხა (დამცინავად): მე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე!..

სურათი მეხუთე

(იგინივე და გოგიელა)

გოგიელა (ბარბაცით შემოდის): აქ ვინ ყვიროდა?

გიგო (შუბლს მოიჩრდილებს): პისტი, შენა ხარ?

გოგიელა: გოგიელა ვარ, გოგიელა, ვაი შენ, ჩემო თაო!

გიგო: შენა ხარ, პისტი?

გოგიელა: დაყრუვდი, კაცო?! გოგიელა ვარ-მეთქი!

გიგო: რომელი გოგიელა?

გოგიელა: ეჰ, მოხუცო, ვეღარა მცნობ?! არ გახსოვს, ბალღობისას ციგაზე უკან რო შემოგიჯდებოდი ხოლმე?!

გიგო (სიხარულით): გოგიელა!

გოგიელა: გიგოჯან, ჭარმაგადა ხარ, აი!

თხა (გაალმასებით): მეეეე!

გიგო (მიუბრუნდება): იყუჩე, ჰეკატეს ნაშიერო!

ნოდარი: მაგას მე მკადრებ?

გოგიელა: ჩვენი ნოდარიც აქა ყოფილა! აი, იღბალი!

ნოდარი (ათვალწუნებით): მე არა ვარ შენი ნოდარი!

გოგიელა: რათა, კაცო, რად შემომწყერი?!

ნოდარი (დაცინვით): რათა, რათა! იმათა, რომ მკვლელი ხარ!

გოგიელა (თავს ჩაქინდრავს): ვაი, შენ, ჩემო ბედკრულო თავო!

სესე (თითს იშვერს გოგიელასა და ნოდარისკენ): მკვლელები! მკვლელები!

გიგო: რათა, გოგი, რათა ხარ მკვლელი? ვინ მოკალი ბიჭო?!

გოგიელა (დანანებით, სახემოქუფრული): ძმაკაცი შამამაკვდა!

გიგო: როგორა, კაცო?!

გოგიელა: როგორა და, სამნი ვიყავით – მე, ტოჟე, კურკა. პატარა საქმე გავაიმასქენით, დიდი ფული წამოვიღეთ! ტოჟეს მასკვიჩით წამოვედით. უკან ვიჯექი, ზადნი სიდენიაზე, წინ კურკა მეჯდა. ვერ მოვითმინე, ჩავეცი დანა. მასკვიჩი სუ სისხლით გაითითხნა. ტოჟემ ტორმუზი მისცა: გაგიჟდი, აქა კლამო?! ვერ მოვითმინე, ისიც დავაკალ ზედა. მასკვიჩი ხევში ჩავჩეხე, მდინარეში გავიბანე. ფული სუ მე დამრჩა. მაგრამ გამიგეს, თუთხმეტი წელი მახეხინეს კამერა. ცოდვილი ვარ, ცოდვილი (ხრიალებს).

თინა: ფული რაღა იქნა?

გოგიელა (ქუდს იხდის. მიწაზე ახეთქებს): მე სულელმა, ძმაკაცს გადავაბარე – აქა და აქ მაქვს, უპატრონე-მეთქი!...

თინა (თვალებანთებული): მერე, მერე?

გოგიელა: მერე დავკალი ისიც ძაღლივითა... მაგრამ ფულმა თქვენი ჭირი წაიღო.

სესე: ფუი! ძმაკაცსაც ვეღარ ენდობა კაცი!

გოგიელა: ვერა, ჰაი-ჰაი რო ვერა!..

თხა: მეეეეე!

გიგო (შეძრწუნებული. თხას ყურადღებას არ აქცევს): თუ შეინანე, ბედკრულო კაცო?!

გოგიელა: სინანული რაღას უშველის. იმოდენა ფული დაიკარგა!

გიგო: მეგობრების, მეგობრების დახოცვა თუ შეინანე-მეთქი, უბედურო!

გოგიელა (კმაყოფილებით): შევინანე, მაშა!

გიგო: რითა, რა ჰქენი?!

გოგიელა: სამი სანთელი დავუნთე!

გიგო (განცვიფრებით): სულ ეგ არის?!

გოგიელა: არა, რათა! საღმთოც დავუკალ!

თინა: კურატი?

გოგიელა: ცხვარი!

თხა (საზარელი ხმით): მეეეე! მეეეე!

გიგო (შეძრწუნებული): ჰოი, ღმერთებო! ჰოი, ათენავ, ჰოი, ნემეზიდავ!

სესე (მოწონებით): ყოჩაღ, გოგი, გული გქონია!

გოგიელა (გრძელ დანას ამოიღებს. თავჩაქინდრული დასცქერის. თვალს ვერ აშორებს): ვაი, შენ, ჩემო ბედკრულო თავო!

გიგო (დაფიქრებით უყურებს დანას): გოგი!

გოგიელა (გამოერკვევა): რა იყო, გიგოჯან?!

გიგო: მოდი, ერთი კაი საქმე გამიკეთე!

გოგიელა: შენი ხმალი და ჩემი კისერი. რა საქმეა?

გიგო: მოდი, ეს თხა დამიკალი!

გოგიელა: ადვილი სამსახურია. რომელი თხა?

გიგო (უთითებს თხაზე): აი, ეგა!

გოგიელა (მიმოიხედავს, მწუხარედ): დამცინი, გიგო?!

გიგო: რად დაგცინი?

გოგიელა: მე აქ თხას ვერა ვხედავ!

გიგო: როგორ თუ ვერა?!

გოგიელა: ვერა-მეთქი!

ნოდარი: თხა აქ არის. აი, თხა! (თითს იშვერს) ეს ისეთივე სინამდვილეა, როგორც ის, რომ მე ორი ფეხი და ორი ხელი მაბია!

თხა: მეეეე!

გოგიელა (მწუხარედ): რა ვი... მე კი ვერა ვხედავ და!

სესე: ვერც მე!

გიგო: მაშ ორივენი დაბრმავებულხართ!

II პოსტმოდერნისტი: ხომ ვამბობდი, არავითარი თხა აქ არ არის!

გიგო: შენც ბრმა ყოფილხარ!

I პოსტმოდერნისტი: თხა არსებობს იმდენად, რამდენადაც ვარსებობთ ჩვენ, და არ არსებობს იმდენად, რამდენადაც არ ვარსებობთ ჩვენ!

გოგიელა (განცვიფრებული. წარბშეკვრით გადახედავს): ესენი ვიღა არიან?!

III პოსტმოდერნისტი (გულხელდაკრეფილი დგას): მე ზღვის მზარეულ ჯონ სილვერს მეძახიან!

გოგიელა: ეი, შენ, მზარეული ხარ თუ პოვარი! აქ რას აკეთებთ, რას წაგიგდიათ ენები?!

III პოსტმოდერნისტი (შეშინებული): არაფერს, არაფერს... ჩვენ მივდივართ, გვეჩქარება...

თინა (ხელგაწვდილი): კეთილო ხალხო, ვიდრემდის წახვალთ, მოიღეთ მოწყალება, ორი ობოლი შვილიშვილი მყავს, ორიოდ გროში გამოიმეტეთ!

III პოსტმოდერნისტი: მე ფული არა მაქვს.

I და **II პოსტმოდერნისტები:** არც მე, არც მე!

თინა: ხალხო, შვიდი კაცი ხართ. თითომ თითო მანეთი რო გამაიმეტოთ, შვიდი მანეთი იქნება.

III პოსტმოდერნისტი: ფართინგიც არ მიდევს ჯიბეში!

თინა: გინდათ, ვიმღერებ, ვინძლო, გროში გამაიმეტოთ!

გიგო: არა, არა, არ გვინდა სიმღერა!

თინა: მაშინ ვიცეკვებ!

ხელებს გაშლის და ნარნარად უვლის წრეზე დავლურს.

გიგო (თავისთვის): ვაი, დედა!

პოსტმოდერნისტები (მხიარულად, ერთხმად): მიდი, ლეკური ჩამოუარე. ყოჩაღ, ყოჩაღ! (ტაშს უკრავენ)

თინა (ცეკვავს): ხალხო, გადმამაყარეთ, გადმამაყარეთ გროშები!

III პოსტმოდერნისტი: ერთი ოქროს დუბლონიც არ მიჭყავის. ჩემი ავლა-დიდება სულ ეს არის, კაპიტან ფლინტს ვეძახი (ჩანთიდან ყვითელი თუთიყუში ამოჰყავს. მხარზე ისვამს).

გოგიელა (თვალირიბად გადახედავს): ბებია გიჭყავის! ოქრო გქონდეს, აქვე დაგკლამდი!

კაპიტანი ფლინტი (მოულოდნელად ადამიანივით შეჰყვირებს): რვიანები! რვიანები!

სესე (ყვირის): ჩიტი, ჩიტი!

ქვას ესვრის თუთიყუშს.

სესე: ავაცდინე! ფუ, ჩემს კაცობას! (გარბის ქვის მოსატანად. სიღრმიდან ისმის მისი ბურდღუნი): არა უშავს, მეორე ცდაზე აღარ ავაცდენ.

(III პოსტმოდერნისტი. სასწრაფოდ ინახავს თუთიყუშს ჩანთაში).

თინა (ხელებგაშლილი, ცეკვით): გადმამაყარეთ, გადმამაყარეთ, ხალხო, ფული! თქვენთვისა ვცეკვამ!

სესე (მოირბინა. თვალებს აცეცებს): სად არის ჩიტი?

თინა (ცეკვავს. ხელში მკვდარი მერცხალი უჭირავს. უჩვენებს სესეს): აგე ჩიტი, სესე, აგე ჩიტი! მაიტა ფული, შენ შემოგევლე, მშიერი მყავ ობლები!

სესე: ჩიტი რა იქნა?!

I პოსტმოდერნისტი: რომელი ჩიტი?

სესე: აი, ყვითელი ჩიტი, ამ აყლაყუდას მხარზე რო ეჯდა.

I პოსტმოდერნისტი: ის ჩიტი არ იყო!

სესე: მაშ რა იყო?!

I პოსტმოდერნისტი: სად გინახავთ, ჩიტი ადამიანივით ლაპარაკობდეს? ხომ გაიგონეთ, მან შეჰყვირა: «რვიანები, რვიანები!»

სესე (მივარდება III პოსტმოდერნისტს): ჩანთაში ჩასვამდა!

III პოსტმოდერნისტი (შეშინებული): არა, არა, გაფრინდა!

სესე: თუ ჩიტი არ იყო, როგორ გაფრინდა?!

თინა (ცეკვით): გაფრინდა, გაფრინდაააა... ყაბარდო გადაიარაااااა, ავჭალას ბოლი ადინااااა, ფულები გაანიავااااა... ფული, თქვენ შემოგევლეთ, გროშ-კაპიკი მაინც გამაიმეტეთ!

I პოსტმოდერნისტი (ცდილობს, სესეს ყურადღება გადაიტანოს): ბატონო სესე, ნახეთ, რა კარგად ცეკვავს ქალბატონი თინა!

სესე: მაგისმა მზემ!

II პოსტმოდერნისტი: მიდი, ბრეიკი იცეკვე, დეიდა!

ჩანთიდან ისმის თუთიყუშის ჩახშული ჩხავილი: «ბრეიკ... ბრეიკ...»

თინა (ხელებს უცნაურად აიქნევს, თან წრეს უვლის): ბრიიიი... ბრიიიი... ეგეც თქვენი ბრეიკიიი...

II პოსტმოდერნისტი: ლამბადა იცეკვე, ლამბადა!

თინა (ხელებს ზუსტად ისე იქნევს): ლამბადااااა! აბა ლამბადა, ლამბადااااა! ეეეეეი, გამაიმეტეთ, ხალხო, რამეი, გამაიმეტევით! დამეხოცა ობლები!

ნოდარი: სამწუხაროდ, ფული არ გამაჩნია, თინა. რაც შეეხება ობლებს, იმედია, მალე ჩვენთანაც დაინერგება დეენკა რეკომბინაცია. მაშინ იმათაც ეშველებათ და შენც.

გიგო: თინა, გაჩერდი, ტყუილად ცეკვავ. ფული მაინც არავისა აქვს!

თხა: მეეეეე!

ნოდარი: თინა, შესდექი!

სესე და **გოგიელა** (ერთად): თინა, გაჩერდი, თინა!

თინა: ვეღარ ვჩერდები, ვეღარა... ჰეეეე, ჰეეეეე (ანაზდად შედგება, ცალ ხელს გულზე იტაცებს) ...ვაი!

გიგო: რა იყო, თინა?!

თინა მოწყვეტით ეცემა. ხელები აქეთ-იქით უცვივა. მოულოდნელად მისი ხელიდან აფრინდება მკვდარი მერცხალი და სწრაფად მიფრინავს.

სესე: ჩიტი! ჩიტი!

ისმის ქვის ჩხუილი. იფანტება შავი ბუმბული. მერცხალი ქვასავით ეცემა ვაშლის ხეში.

სესე (ჩიტისკენ გარბის ყვირილით): მოვკალი, მოვკალი! უჰ, რა გავტყლიჟე, შენი გულისა!

სხვები თინას შემოხვევიან გარშემო, გარდა გიგოსი, რომელიც თავისი წიგნით ხელში ისევ სკამზე ზის და იქიდან შეჰყურებს მიცვალებულს. ჩანთიდან ისმის კაპიტან ფლინტის შემზარავი ჩხავილი: «ნუ გათათრდები, ნუ გათათრდები!»

I პოსტმოდერნისტი (დასცქერის თინას): რა მოუვიდა?

გოგიელა: მკვდარია!

ნოდარი: საჭიროა, ექიმი გამოვიძახოთ.

გოგიელა: რაღა ეშმაკად უნდა ექიმი!

გიგო (თავისთვის): მოკვდა საწყალი, ეეჰ, ვიცოდი, ასე დასრულდებოდა მაგის ლეკური... (გასძახის) გოგი, ბიჭო! მოკვდა, გოგი?

გოგიელა: მოკვდა, საწყალი.

I პოსტმოდერნისტი: მოკვდა, მოკვდა!

გიგო: მოკვდა და ობლები ობლად დატოვა!

ნოდარი (ხელს ჯიბეზე გაიკრავს): მოწყალება მიცვალებულს! (ფულს იღებს და თინას გვამს აყრის)

პოსტმოდერნისტები (ერთხმად): მოწყალება, მოწყალება!

გოგიელა: მოწყალება!

გიგო: მოწყალება! (ამაოდ იქექავს ჯიბეებს)

სხვებიც ჯიბეზე ხელისგაკვრით იღებენ ფულს და ზედ აყრიან მკვდარს.

სესე (მოირბენს. ხელში ორგზის მკვდარი მერცხალი უჭირავს): შეხეთ, შეხეთ, როგორ მოვკალი, ხალხო, როგორ მოვკალი! (უეცრად თინას დაინახავს. გაცბუნებული): რა მოუვიდა?

ყველანი ერთხმად: მოწყალება, მოწყალება!

ფულს იღებენ და ცხედარს აყრიან. იგი თანდათან ფულის გროვით იფარება.

სესე (გონს მოდის): მომკვდარა! მოწყალება თინას, მოწყალება! (მკვდარ ჩიტს ასწევს და მიცვალებულს ზედ დააგდებს. ჩიტი ფულებში ეფლობა.

ნოდარი: კმარა, მეგობრებო!

სესე: ახლა რაღა ვქნათ? აღარც ჩიტია, აღარც თინა!

ნოდარი (საქმის ცოდნით): ახლა საჭიროა, მესაფლავე გამოვიძახოთ.

III პოსტმოდერნისტი: სჯობს, ჯერ მეკუბოვე გამოვიძახოთ.

I პოსტმოდერნისტი: არა, ჯერ ბალზამიროვშჩიკი უნდა გამოვიძახოთ.

II პოსტმოდერნისტი, იგივე ხვიჩა (ეჭვით იყურება გიგოსკენ): მე კი მგონია, ჯერ პოლიცია უნდა გამოვიძახოთ. ამ საქმეს ცუდი სუნი უდის.

გიგო: მე რას მიყურებ, შვილო?!

II პოსტმოდერნისტი: თქვენს ეზოში დაუდგენელ ვითარებაში გარდაიცვალა ადამიანი!

გიგო: როგორ თუ დაუდგენელ?! ცეკვავდა და გული გაუსკდა.

II პოსტმოდერნისტი: თქვენ რა იცით, რომ გული გაუსკდა? დაინახეთ?

გიგო: ჰო, გულზე იტაცა ხელი.

II პოსტმოდერნისტი: დარწმუნებული ხართ, რომ გულზე იტაცა?

გიგო: ჰო, გულზე.

II პოსტმოდერნისტი: კი მაგრამ, მიცვალებულს ხომ კაბა აცვია?!

გიგო (განცვიფრებული): მერე რა?

II პოსტმოდერნისტი (გამომცდელად უყურებს გიგოს): მერე ის, რომ ხელი სწორედ კაბაზე იტაცა და არა გულზე. ხელსა და გულს შორის იყო რამდენიმე შრე – ნეკნები, ხორცი, კანი, კაბის ქსოვილი. ასე რომ, მიცვალებული, ძალიანაც რომ სდომოდა, ხელს გულზე ვერ იტაცებდა! ეს წუთია, ექვსი მოწმის თანდასწრებით თქვენ მიეცით ცრუ ჩვენება. ჩემი აზრით, საჭიროა, პოლიცია გამოვიძახოთ!

გოგიელა (თინასკენ იხრება): პოლიცია არა ისა! ამას მე მოვუვლი!

II პოსტმოდერნისტი (მკაცრად): გაფრთხილებთ, პოლიციის მოსვლამდე ცხედარს ხელი არ ახლოთ!

გოგიელა (მოღუშული): შენ ვიღა გეკითხება?

II პოსტმოდერნისტი (ცბიერად): მეკითხებიან, ბატონო ჩემო, მეკითხებიან! აქ იმისთვის ვარ, რომ მეკითხებიან. ამ საქმეს ძალიან საეჭვი სუნი უდის.

გიგო (გოგიელას უყვირის): ყურს ნუ დაუგდებ, გოგი, ამ ჭკუათხელს!

II პოსტმოდერნისტი (გამომცდელად უყურებს გიგოს): აჰა, ცრუმოწმე მკვლელთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარებას ცდილობს! ყველაფერი გასაგებია! თქვენს ამბავს მივიტან, სადაც საჭიროა!

გიგო: მიიტან და მიიტანე. ნეტა რა ამბავს მიიტან?!

II პოსტმოდერნისტი: ამბავს, რომ თქვენ მოკალით ილია ჭავჭავაძე!

გიგო (გაცბუნებული): მე როდის მოვკალი?

II პოსტმოდერნისტი: 1907 წელს!

გიგო: მე არ მომიკლავს!

II პოსტმოდერნისტი: შესაძლოა პირდაპირ არ მოგიკლავთ, მაგრამ ირიბად თქვენი ხელიც ერია მის მკვლელობაში!

გიგო: შეუძლებელია. 1907 წელს მე ძალიან პატარა ვიყავი.

II პოსტმოდერნისტი (გამომცდელად): ძალიან პატარა? მაინც რამხელა?

გიგო (დაბნეული): აღარ მახსოვს, პატარა ვიყავი.

II პოსტმოდერნისტი: პატარა რომ იყავით, იმიტომ აღარ გახსოვთ?

გიგო (უფრო დაბნეული): ჰო, მაგიტომ.

II პოსტმოდერნისტი: ესე იგი, იმდენად პატარა იყავით, რომ აღარ გახსოვთ რამხელა იყავით?

გიგო: აღარ მახსოვს.

II პოსტმოდერნისტი: თუკი აღარ გახსოვთ, რამხელა იყავით, მაშინ რა უფლებით აცხადებთ, რომ პატარა იყავით?

ამ სიტყვებზე ყველანი, გოგიელას გარდა, რომელიც ხან თავის დანას დაჰყურებს და ხან ცხედარს, ეჭვით მიაჩერდებიან გიგოს.

გიგო (სულმთლად დაბნეული): არ ვიცი. ერთი სიტყვით, პატარა ვიყავი და მორჩა!

II პოსტმოდერნისტი: წეღან თქვით, ძალიან პატარა ვიყავიო, იმდენად პატარა, რომ აღარც კი გახსოვდათ, რამდენად პატარა. ახლა ირკვევა, რომ ძალიან პატარა კი არა, უბრალოდ პატარა იყავით და მშვენივრადაც გახსოვთ, რომ პატარა იყავით. რომელი ერთი დავიჯეროთ?

გიგო: რაც გინდათ, ის დაიჯერეთ. მაშინ მე საკმაოდ პატარა ვიყავი, რომ მკვლელობაში, თუნდაც არაპირდაპირ, მონაწილეობა მიმეღო!

II პოსტმოდერნისტი (ცბიერად): საკმაოდ პატარა? რას ეძახით საკმაოდ პატარას? მაგალითად, ხუთი სანტიმეტრი?

გიგო: (კვლავ დაბნეული): არა, მაგაზე დიდი.

II პოსტმოდერნისტი: მაინც რამდენი? ვთქვათ, ექვსი ან შვიდი სანტიმეტრი?

გიგო: არა, ბევრად დიდი.

II პოსტმოდერნისტი: შვიდ სანტიმეტრზე ბევრად დიდი იყავით?

გიგო: რა თქმა უნდა!

II პოსტმოდერნისტი: რას არ უნდა თქმა?

გიგო: იმას, რომ მე შვიდ სანტიმეტრზე დიდი ვიყავი.

II პოსტმოდერნისტი: მაშინ რატომღა ამბობთ?

გიგო: იმიტომ რომ მეკითხებით!

II პოსტმოდერნისტი (კმაყოფილი): გასაგებია. ესე იგი შვიდ სანტიმეტრზე დიდი იყავით!

გიგო: დიახ.

II პოსტმოდერნისტი: (იქედნურად მოწკურავს თვალებს): კი მაგრამ, წეღან არ ამბობდით, პატარა ვიყავიო?

გიგო: ვამბობდი და ვიყავი კიდევაც.

II პოსტმოდერნისტი: თუ პატარა იყავით, დიდი როგორღა იყავით?

გიგო (კვლავ დაბნეული): დიდი ვიყავი შვიდ სანტიმეტრთან შედარებით, მაგრამ პატარა ვიყავი ჩვეულებრივი ადამიანური საზომით.

II პოსტმოდერნისტი: განა სანტიმეტრული სისტემა არ არის ჩვეულებრივი ადამიანური საზომი?

გიგო: ჩვეულებრივი საზომია...

II პოსტმოდერნისტი (ყველას): აქ ძალიან საეჭვო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბატონებო, ეს კაცი ყოველ წინადადებაში თითო ტყუილს ამბობს!

გიგო (აღშფოთებით): მე არავითარ ტყუილს არ ვამბობ!

II პოსტმოდერნისტი (სარკასტულად): დავიჯეროთ?

გიგო: ბატონო ჩემო, ყური დამიგდეთ...

II პოსტმოდერნისტი (აწყვეტინებს): აჰა, ინებეთ! (იხსნის მარჯვენა ყურს და გიგოს ფეხებთან უგდებს).

გიგო (შეძრწუნებული დასცქერის): ეს რა არის?

II პოსტმოდერნისტი (მშვიდად): ყური!

გიგო: მე რად მინდა?

II პოსტმოდერნისტი: არ ვიცი. თქვენ მითხარით, «ყური დამიგდეთ», მეც დაგიგდეთ.

გიგო (თავგზაარეული): ეს ისე, ტყუილად გითხარით. სულაც არ მიფიქრია, რომ ყურს მოიძრობდით...

II პოსტმოდერნისტი: მაშ, ტყუილად მითხარით?

გიგო: რა თქმ... ცხადია.

II პოსტმოდერნისტი: (იქედნურად): ესე იგი თქვენ თურმე ტყუილებსაც ამბობთ? წეღან ამტკიცებდით, რომ ვითომც არავითარი ტყუილი არ გითქვამთ. რომელი ერთი დავიჯეროთ?!

გიგო: მე... მე...

თხა (საზარელი ხმით) მეეეეე!

II პოსტმოდერნისტი (გამანადგურებელი მზერით უყურებს გიგოს): თქვენი ყოველი სიტყვა სიცრუეა! სატანავ! რა

უყავით თქვენი ძმა აბელი?!

გიგო: რომელი აბელი?

II პოსტმოდერნისტი (გამჭვალავი მზერით): ჰმ! ვითომცდა არ იცით!

გიგო: მართლა არ ვიცი, ხალხო, ვინ არის აბელი?

II პოსტმოდერნისტი: ნუთუ მართლა არ იცით? ბიბლია არ წაგიკითხავთ? თქვენ არ ამტკიცებდით, ყველა წიგნი წაკითხული მაქვსო? თუ ესეც სიცრუე იყო?

გიგო: ბიბლია წამიკითხავს, ცხადია.

II პოსტმოდერნისტი: მერედა, არ იცით, ვინ არის აბელი?

გიგო: ცხადია, ვიცი...

II პოსტმოდერნისტი (ხელს მიაშვერს გიგოს, აწყვეტინებს): აჰა, კიდევ ერთი სიცრუე, კიდევ ერთი უსინდისო სიცრუე. ორი წუთის წინ ვითომც არ იცოდა, ვინ არის აბელი! თქვენ იშვიათი არამზადა ბრძანებულხართ, ბატონო გიგო!

თხა: მეეეეე!

გიგო: მე... მე... მე...

II პოსტმოდერნისტი: აღარ არის საჭირო თავის მართლება. ისედაც ყველაფერი ნათელია – თქვენ რეტროგრადი ტერორისტი ხართ, რომელსაც კეთილშობილი მოხუცის ნიღაბი აქვს აფარებული. მაგრამ ჩამოგხსნით, ჩამოგხსნით მაგ ნიღაბს! წავედით, ბიჭებო, თქვენს ამბავს მივიტანთ სადაც საჭიროა!

სამივე პოსტმოდერნისტი ჭიშკრისკენ მიდის.

ნოდარი (შეშფოთებული): შესდექით! მოიცადეთ! სად მიდიხართ?!

II პოსტმოდერნისტი (თავს მოაბრუნებს): უშიშროების განყოფილებაში.

ნოდარი (თავქუდმოგლეჯილი გარბის. მისი ხმა შორიდან ისმის): პირველი უნდა მივიდე, პირველი!

თხა: მეეეე! მეეეეე!

პოსტმოდერნისტები აუჩქარებლად მიდიან ჭიშკრისკენ. ისმის მათი დაშორებადი ლაპარაკი.

I პოსტმოდერნისტი: სად გავარდა ის ჭკუანაღრძობი?

II პოსტმოდერნისტი: უშიშროების განყოფილებაში.

III პოსტმოდერნისტი: მერედა ამ სოფელში უშიშროების განყოფილებას რა უნდა?

II პოსტმოდერნისტი: არაფერიც არ უნდა. უშიშროება აქ საერთოდ არ არის.

III პოსტმოდერნისტი: აბა სად გარბის?

II პოსტმოდერნისტი: გაუშვი, ირბინოს, რა გენაღვლება!

I პოსტმოდერნისტი: ისე კი, ნაღდი პოსტმოდერნული სიტუაცია შევქმენით, არა, ხვიჩა?

II პოსტმოდერნისტი: აბა, ეგა თქვი!

თხა (ხმამაღლა): მეეეეე!

I პოსტმოდერნისტი (აჯავრებს): მეეეე! მეეეეე!

შორიდან ისმის კაპიტან ფლინტის საზარელი ჩხავილი: «თავისუფლება! თავისუფლება ნელსონ მანდელას!»

გიგო (შუბლზე ხელს გადაისვამს): წავიდნენ, ნოდარიც წავიდა. უეჭველად პირველი მივა. ნეტა რას იტყვის? ჰოი უბედურებავ! ჰოი უბედურებავ! (ახლაღა შეხედავს თინას

ცხედარს. შეკრთება. თითქოს პირველად დაინახა): ამ საბრალოს რაღა მოვუხერხოთ?

გოგიელა: ეგ მე მომანდე, გიგოჯან.

გიგო: რას აპირებ?

გოგიელა: ეგ მე ვიცი (იხრება ცხედარზე).

თხა: მეეე!

გიგო: ხმა ჩაიწყვიტე!

გოგიელა (გაიმართება და გაკვირვებული გამოხედავს): ხმა ჩავიწყვიტო?

გიგო: არა, არა, შენთვის არ მითქვამს! ემაგ უბედურს რას უპირებ?

გოგიელა (დაიხრება): აი, გავახვევ (ახვევს ცხედარს გრძელ, შავ მოსასხამში, მერცხალიც, ფულიც მთლიანად, გოგიელას დანაც შიგ ექცევიან), აი, ეგრე, უჰ, რა მძიმეა... საბრალო თინა... ამ ფულების ნაწილსაც შენს ობლებს მოვახმარ (ზურგზე იკიდებს შესუდრულ ცხედარს, მოკაკული მიდის)... ეს უბედურიც გამოგვეცალა ხელიდან... ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა, სიბერესა... რა ქალი იყო?! რა სახე ჰქონდა, რა თვალები... რაღა დარჩა იმისგანა – ეს ერთი გახევებული ცხედარი... ორმოცი, ჰა, ორმოცდაათი კილო ხორცი... ცივი ხორცი... მეტი აღარც-რა! საწყალი თინა... კარგა მძიმე კია, ოხერი (მისი ხმა თანდათან შორდება). ეჰ, მეც კაი ბიჭი ვიყავი, რო დავრჩენილიყავ ბიჭადა... დავბერდი, მეც დავბერდი. ვაი, შენ, ჩემო თაო, აღარავინ შემრჩა, აღარავის ვახსოვარ... მარტო ეს მკვდარი მკიდია ზურგზე. ან ის ჩემი ძმაკაცები სადღა არიან... ეჰ (ჩუმი ხმით მღერის)... ეჰეჰეი, ჰეჰეი! ვაქროლებდი ბალღი ციგას, უკან

მეჯდა გოგიელა, გადაბრუნდა ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა... ეეეეჰ...

სურათი მეექვსე

(გიგო, სესე, ნოდარი, ბრმები)

მზე თითქმის ჩასულია. ბინდდება. ხეთა ჩრდილები ბაღში შავად გაწოლილან. აქა-იქ კიდევ ჩანს მზის სინათლის ლაქები. ეს ლაქებიც თანდათან იწურება და იკრიფება. თანდათან არემარეს სიბნელე მოიცავს. ისმის თხის საზარელი ბოხი ბღავილი.

თხა: მეეეე! მეეეეე!

გიგო (ყვირის): პისტი! პისტი!

სესე: მზე ჩადის, გიგო.

გიგო (სევდიანად): ჰო, ჩადის, ბიჭო, სესე.

სესე: ჩიტები აღარ იფრენენ, გიგო.

გიგო: ჰო, მე კი წიგნს ვეღარ წავიკითხავ.

სესე: არა უშავს, ღამურებს ვესვრი ქვასა.

გიგო: ღამურა ხო ჩიტი არ არის.

სესე: ჩიტია, აბა რა, ოღონდ ღამის ჩიტია.

გიგო: ჩიტი კი არა, თაგვია.

სესე: თაგვის ფრენა სად გაგონილა. ღამურები კი ფრენენ ჩიტებივითა. ეჰეჰეი (მაღლა იყურება), ჯერ არა ჩანან.

გიგო: გამოჩნდებიან.

სესე: შენ რაღას იზამ, გიგო?

გიგო: დავიძინებ. ეგებ დამეძინოს. მაგრამ აქ თუ ჩამთვლიმა, მყისვე თეთრი ურჩხული დამეძგერება.

სესე: რომელი თეთრი ურჩხული, გიგო?

გიგო: ეს თხა.

სესე: აბა თხა?!

გიგო: აგე, თხა (თხისკენ იშვერს თითს).

სესე: მე ვერა ვხედავ.

გიგო: მე კი ვხედავ. დგას, მიყურებს, თვალს არ მაშორებს. თეთრია, თეთრი, როგორც აქაბის ლევიათანი. თვალები კი წითელი აქვს, წითელი და დამცინავი. მიყურებს, თითქოს ესაა, რაღაცას შემეკითხა და პასუხს ელისო. ელის და ელის. თხაა თუ სფინქსი, ვერ გავიგე. მოდი, ვუპასუხებ, ეგებ გამშორდეს, გადაიხვეწოს, ზღვაში ჩაინთქას სფინქსივით. «ადამიანი» – აი, პასუხი, წყეულო სფინქსო – ადამიანი, ვინც ბავშვობაში ოთხზე დაბობღავს, სიჭარმაგეში ორ ფეხზე დადის, სიბერისას კი ჯოხს ებჯინება. ადამიანი! მე კი ვზივარ და ვზივარ. არც ოთხზე დავდივარ, არც ორზე და არც სამზე. მთელი დღე აქ ვზივარ და წინ ეს წყეული მიდგას. პასუხიც ხომ მოისმინა – მაინც არ ქრება. მიყურებს, როგორც გორგონა. მგონი კიდეც გამაქვავა, ხელებს ვეღარ ვგრძნობ. სესე, ბიჭო, სესე! ღამდება, ბიჭო, თუ მეჩვენება?

სესე: ღამდება, გიგო.

გიგო: ეს ვინღა მოდის?

სესე: აბა სადა?

გიგო: აგე, ჭიშკართან. რაღაც აჩრდილი გვიახლოვდება, ჭიშკართან მოჩანს რაღაც ლანდი.

სესე: მგონი, ნოდარი უნდა იყოს.

გიგო: შენა ხარ, ნოდარ?

ნოდარი: მე ვარ, გიგო, ისევ აქ ზიხარ?

გიგო: აქ ვზივარ, სხვა რა შემიძლია (მწარედ იცინის). შენ სად იყავი?

ნოდარი (სინანულით აქნევს თავს): ეჰ, იმათ კი მივასწარი, მაგრამ პირველი მაინც ვერ მივედი. ვიღაცები უკვე იქ იყვნენ.

გიგო: სად იქ?

ნოდარი: პოლიციაში.

გიგო: გაარკვიე მაინც რამე?

ნოდარი: რა უნდა გამერკვია?

გიგო: აბა, რისთვის გაქანდი?

ნოდარი: იმისთვის გავქანდი, რომ იმ სამი არამზადისთვის მიმესწრო და პირველი მივსულიყავი.

გიგო: ისინიც მოვიდნენ? დამაბეზღეს?

ნოდარი: აბა მე რა ვიცი? უკან რომ გამოვვარდი, ჯერ შუა გზაშიც არ იქნებოდნენ მისული. ისე, უცნაურია, უკანა გზაზე რატომ არ შემხვდნენ?

გიგო: უკან რაღაზე გამოვარდი?

ნოდარი: რომ აქ პირველი მოვსულიყავი... მაგრამ ვხედავ, სესემ დამასწრო.

გიგო: სესე აქ იჯდა, არსად წასულა.

ნოდარი (კმაყოფილი): მაშასადამე, პირველი მოვსულვარ. იმედია, კიდევ შემოგვემატება ვინმე, თორემ ჩემს თავთან ხომ არ ვიქნები პირველი.

გიგო: პისტი უნდა მოვიდეს (შეწუხებული). არა, სად დაიკარგა ის გოგო? ნუთუ მიმატოვა?

ნოდარი (მიმოიხედავს): თინას ცხედარი სადღაა?

გიგო: გოგიელამ წაიღო სადღაც.

ნოდარი (დაეჭვებული): სად წაიღო?

გიგო: მე რა ვიცი. დაჯექი, კაცო!

ნოდარი: გმადლობთ, არ მინდა. ეჰ, ნეტავი გეკითხა, სად წაიღო. გავიქცეოდი და მივასწრებდი. ეგ ნელა ივლის – ზურგზე მკვდარი ჰკიდია.

გიგო: არ დაიღალე ამდენი სირბილით?

ნოდარი: რა დამღლის.

სესე (წამოიჭრება): ჩიტები, ჩიტები!

ვაშლის ხეებთან ზიგზაგებით დაფრინავენ ღამურები.

ნოდარი: აბა ჩიტები?

სესე: აგე, ვერა ხედავ?

ნოდარი: ეგ ღამურებია.

სესე: ღამურაც ხომ ჩიტია.

ნოდარი: ღამურა მღრღნელია, მფრინავი თაგვი. (ლათ. სახელი)

სესე: მოგცლია ერთი! დაფრინავს კია და! (ფეხაკრეფით მიიპარება ღამურებისკენ. ისმის ქვის შხუილი) ეჰ, ავაცდინე! კიდე ავაცდინე, კიდენა! ეს ოხერი, რამდენნი არიან და მე კი ავაცდინე! (გარბის ქვის ასაღებად, ახლა მეორე მხრიდან ისვრის. ისმის ქვის შხუილი. საშინელი

ჭახანი. კვნესა. ნოდარი მოცელილივით ეცემა ძირს. სესე მორბის. აღტაცებული): მოვარტყი?

გიგო (სევდიანად): მოარტყი და მგონი, კიდეც მოკალი. ასე დამთავრდა შენი ქვისსროლა, შე ბედკრულო ჩიტირეკია!

სესე: აბა, სად არის?

გიგო: მაგერ, წინ გიდევს.

სესე: ეს ხომ ნოდარია! (იხრება ნოდარზე)

გიგო: ნოდარია? ნოდარი იყო. ახლა კი აღარც ნოდარია და აღარც სხვა ვინმე.

თხა (საზარელი ხმით): მეეეეეე!

გიგო (ბოროტად გადახედავს): იბღავლე, იბღავლე! მოირავ, სიკვდილის მაუწყებელო!

სესე (როგორ თუ ვიბღავლო?! ეგებ არ მომკვდარა. ცოცხალზე ტირილი სად გაგონილა?! ნოდარ! ბიჭოუ, ნოდარ! (ანჯღრევს)

ნოდარი (თვალს ახელს. გაჭირვებით წამოდგება ფეხზე): უხ, როგორ მიხურს შუბლი. ეტყობა სიცხე მაქვს.

გიგო (გახარებული): გადარჩი, ნოდარ?

თხა (საზარელი ბოხი ხმით): მეეეეეეე!

გიგო: გაიხარე, ჩემო ბელა, გაიხარე!

ნოდარი (უცნაურად შეჰყურებს სესეს): რას მომჩერებიხარ, სესე?

სესე (შეშინებული შეჰყურებს): ეს ნოდარი არ არის!

გიგო: აბა ვინ არის?

სესე: არ ვიცი, სახე ნოდარისა აქვს, თვალები კი ვიღაც სხვა კაცის!

ნოდარი (თვალებში რაღაც უცნაური კვიმატი ცეცხლი უელავს. გიგოს): შენ რაღას დამჯდარხარ აქ, ბებერო! წამოდექი ფეხზე, ნაბიჯით იარ!

გიგო (შეშინებული): რა უცნაურად ლაპარაკობს! რა დაგემართა, ნოდარ?!

ნოდარი (უახლოვდება სესეს. დაჰყურებს მის ქვას): სესე, დაკვირვებული ვარ, შენ ერთობ არასწორად ტყორცნი ქვას!

სესე: აბა როგორ უნდა?

ნოდარი: მომეცი აქ და გასწავლი. თავდაპირველად ხელის სწორად მოკიდება უნდა აითვისო.

სესე (ქვას ზურგსუკან მალავს): არა, არა! ვერ დამტყუებ!

ნოდარი (ცდილობს, დამაჯერებლად ილაპარაკოს): იცი რა, სესე, საქმე რაშია, იცი, ქვა ბურთი კი არ არის. ეს უნდა დაიხსომო. შენ რატომღაც სულ ბურთივით ტყორცნი ქვას.

სესე (არ ენდობა): ბურთივით არა!

ნოდარი: მოდი, იცი რა ვქნათ, მომეცი და მე გასწავლი ქვის მეცნიერულ ტყორცნას, დამიჯერე, ბიჭო, სესე, მათხოვე ეგ ქვა და ნახავ, რა სასწაულებს მოვახდენ.

სესე (ქვას მალავს): არ მინდა, არა!

ნოდარი (ვითომ ღამურებს ათვალიერებს. სესეს გასაგონად): ჰო, ჰო, საინტერესო პერსპექტივაა. აზიმუტი უცვლელია (ცერა თითს ასწევს, ვითომ თვალით რაღაცას ზომავს ჰაერში), საჭიროა წინა მარცხენა ორიენტირის ტრიანგულაცია. ძალიან კარგი. ამ დილას რიყეზე ერთი

ისეთი ქვა ვნახე... ბაზალტისა და გრანიტის ნარევი. შვინდისფერი იყო. თეთრი და შავი ზოლები დაჰყვებოდა. მერე რა ზომიერი... წავალ, იმას მოვიტან (ვითომ წასვლას აპირებს).

სესე (თავის ქვას დახედავს): ჰა, ჩემი ქვა აიღე.

ნოდარი (აგდებულად): არ მინდა, სესე, უკვე გვიანია. ვხედავ, მოწაფედ არ გამომადგები.

სესე (ქვას სჩრის): აიღე, აიღე!

ნოდარი (ვითომ ყოყმანობს. მერე სწრაფად დასწვდება ქვას და ღამურებს ესვრის. ქვა სრულიად უმიზნოდ მიფრინავს. სახლის კედელს ხვდება).

გიგო: ფრთხილად, თქვე გადარეულებო!

ნოდარი (გარბის. ქვას დასწვდება. კიდევ რამდენჯერმე ისვრის. ისმის ხეხილის ტოტების ლაწალუწი. ნოდარის ბუტბუტი): დავლეწავ, მიწასთან გავასწორებ ყველაფერს!

სესე (ენანება ქვასთან განშორება): ეჰ, თითქოს გული ამომგლიჯეს! ჩემი ქვა! ჩემი ქვა! ვაი შენ, ჩემო ქვაო! არადა, ჩემი ხელით რო არ მივეცი?! (თვალზე ცრემლი ადგება. ცოტა ხანს კიდევ ითმენს. მერე გული ვეღარ უძლებს. გარბის. დავარდნილ ქვას დასტაცებს ხელს): დამიბრუნე, არ მინდა შენი სასწაულები!

ნოდარი (გულხელდაკრეფილი დადგება. აქოშინებული): კარგი, სესე, მოდი, ასე მოვიქცეთ: შენ ესროლე, მე გიხელმძღვანელებ. ეცადე, ათიდან ათი გაარტყა. თუ არა და, წაგებული ხარ.

სესე: უჰ, შენი გულისა! მოსულა! (ქვას დასწვდება. გადიან ბაღის სიღრმეში)

გიგო: სესე! ნოდარ! აღარც რო მამჩნევენ! ეს ნოდარი მაინც რამ გაასულელა? ნუთუ თავში ქვის მოხვედრამ იმოქმედა ასე? (დაფიქრებით) გამიგონია, ზოგჯერ ძლიერი ტრამვის მერე ადამიანები უძველეს ენებზე იწყებენ ლაპარაკს. მაგრამ ამ კაცს კი რა დაემართა? ეს რაღაც უცნაური, აუხსნელი, საბედისწერო შემთხვევა უნდა იყოს! ო, ბედისწერავ! განა არ სჯობდა, მომკვდარიყო ეს მუყაითი, გამრჯელი კაცი, ვიდრე ჩიტირეკიად ქცეულიყო?! მაგრამ ჩუ, მგონი ლაპარაკობს!

ნოდარი (პირობებს კარნახობს სესეს): აბა, სესე! მოეწყვე ორ მწკრივად! ასე! აბა, ერთი-ორი, ერთი-ორი! აი, იმ ხისკენ, მე რომ გიჩვენებ, ნაბიჯით იარ! დაიკავე პოზიცია. კარგია!

სესე მის ყოველ განკარგულებას კეთილსინდისიერად ასრულებს. ჯერ იჯგიმება, მერე მხედრული ნაბიჯით მიდის ხისკენ.

გიგო: შემზარავია ორი მოხუცის ბავშვური თამაში. საღამოს ბინდში მექანიკურ თოჯინებს ჰგვანან ისინი. ჰოი, ღმერთო ჩემო! როგორი იმედი მქონდა ჩემი ნოდარის!. რად დაუშვი ჩვენს თავზე ეს განსაცდელი?! თითქოს სინამდვილეა და თითქოს აღარც სინამდვილეა. თითქოს რაღაც უსაზრისო წიგნს ვკითხულობდე (დაღონებული გადააქნევს თავს). არადა, როგორ მიყვარდა ეს კაცი! როგორ მხიბლავდა მისი თვისება, ყველგან და ყველაფერში პირველი ყოფილიყო! მახსოვს, ჯერ კიდევ სასწავლებელში, გაკვეთილზე მოსვლას ვერავინ დაასწრებდა. დილაადრიან მიირბენდა, ფანჯრებს გამოაღებდა, დაფას გააპრიალებდა, – ყოველი საზოგადო საქმე მისთვის საკუთარი საქმესავით ფასეული იყო.

თხა: მეეეე!

გიგო (თავისთვის ბუტბუტს განაგრძობს): მერმე ის იყო, უცხოეთში გადაიხვეწა. გაასწრო. სხვებსავით ლაფში არ ამოთხვრილა იმ საშინელ დროს. იქაც პირველი წავიდა. ყველას მოასწრო.

თხა: მეეეეეე!

გიგო (ერთი გადახედავს თხას): თუმცა რა... ახლა რომ ვუყურებ, ყოველი დრო თავისებურად საშინელი იყო. ასე მეგონა, განსაკუთრებული ვინმე ვიყავი. ვიჯექი, დღემუდამ წიგნს ვკითხულობდი. მაგრამ ეეეჰ! ვიღას რად უნდა აწ შენი წიგნები! ახლა რომ ვხედავ, სჯობდა სესესავით ჩიტირეკია გამოვსულიყავი. მაგრამ არა, თითქოს რაღაც საბედისწერო ძალა არ მიშვებდა. ჩემი ამბავი თითქოს უკვე უჩემოდ იყო გადაწყვეტილი ზეციურ კანცელარიებში. თავი მომქონდა, სხვებს არა ვგავარ-მეთქი! და აწი კი ვხედავ – მეც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი ვყოფილვარ მუდამ, როგორც სხვები – თუნდაც აი, ეს ჩვენი სესე, ან გოგიელა... და ესენიც ხომ, ღვთისმშობლის მადლმა, ყველანი სულ სხვადასხვანაირი და ერთმანეთისგან გამორჩეული ადამიანები არიან!

თხა (ხმამაღლა, თითქოს ვიღაცას უხმობს): მეეეე! მეეეეეე!

შემოდიან ბრმები. სამი გლახაკი ბრმა. ტანზე ფლასები მოსავთ. ხელში – ყავარჯნები. შუა ბრმას წინასთვის ჩაუვლია კალთაზე ხელი, უკანას – შუასთვის. ჯოხის ცეცებით მიიკვლევენ გზას.

გიგო (თვალს იჩრდილავს. ცდილობს გაარჩიოს): ეს რა აჩრდილები გამოჩნდნენ, რომლები ხართ მანდ?

თხა (ჩუმად, ექოსავით): მეეეეეე!

შუა ბრმა (საწყალობელი ხმით): გვიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი. მიგვასწავლეთ გზა საბრალო უსინათლოებს!

გიგო: რისი გზა, ძმობილო?

შუა ბრმა: სოფლისა. სოფლისკენ გზას ვეძებთ და ვერ გაგვიგნია.

წინა ბრმა (შუას, საყვედურით): გაჩუმდი, ადამიანო! აკი გითხარი, გზა კარგად ვიცი-მეთქი! მალე მივადგებით სოფელს.

უკანა ბრმა: ეეჰ, გზა რომ იცოდე, აქამდე ხომ სოფელშიც ვიქნებოდით.

წინა ბრმა (ჯიუტად): ვიცი-მეთქი!

გიგო (თავს გადააქნევს): მაშ, აბა სად გგონიათ თქვენი თავი? სოფელში ხართ და ეგ არის!

წინა ბრმა: აკი გითხარით!

შუა ბრმა (სიხარულით): სოფელში ვყოფილვართ! გმადლობთ, კეთილო კაცო!

უკანა ბრმა (ეჭვით): გმადლობთ, გმადლობთ, კეთილო კაცო! მაგრამ რა სოფელია?

გიგო: რა ვიცი, სახელიც აღარ მახსოვს. ისე კი ჩემი მშობლიური სოფელია, მერწმუნეთ!

წინა ბრმა (რიხიანად): აკი გეუბნებოდით, გზა ვიცი-მეთქი! უკვე მოვსულვართ კიდეც. ზენათში ვართ!

გიგო (დაეჭვებული): ზენათში? არა მგონია! ეს ზენათი არ უნდა იყოს.

წინა ბრმა: ზენათი არ უნდა იყოს? მაშ, რა არის?

გიგო (შუბლს იჭმუხნის): რა ვქნა, სოფელი კია და... სკლეროზი დამემართა ეს ოხერი (გასძახის სესეს და ნოდარს, რომლებიც ღამურებზე ნადირობით არიან გართულნი): სესე! ნოდარ! სესე, ბიჭო! ნოდარ! ეჰ, არ ესმით. მაგათ ეხსომებათ, მაგრამ რად გინდა. ისე კი დამიჯერეთ – ეს ზენათი ნამდვილად არ არის. ქვემოჭალა კიდე ჰო, ან ერთაწმინდა. ზენათი კი არა და არა! ეს ხომ ქართლია. ზენათი, მგონი, იმერეთში უნდა იყოს.

წინა ბრმა (მოუთმენლად): ჰო, იმერეთშია. და ჩვენც სწორედ იმერეთში ვიმყოფებით. ეს ხომ იმერეთია?

გიგო: არა-მეთქი!

წინა ბრმა: როგორ თუ არა! მაშ, რა არის?

გიგო: ქართლი!

წინა ბრმა: იმერეთია-მეთქი. სადგურში ეგრე გვითხრეს.

გიგო: ვინ გითხრათ?

წინა ბრმა: ვიღაც მაღალმა, შავწვერიანმა, ცხვირკეხიანმა და სათვალიანმა უცნობმა.

გიგო (განცვიფრებული): ეგ ვიღამ გითხრათ, რომ ის უცნობი მაღალი, შავწვერიანი, ცხვირკეხიანი და სათვალიანი იყო?

წინა ბრმა: მივხვდი, ვიცანი! ადამიანის ცნობის უნარი კი არ დამიკარგავს.

თხა (თვალებანთებული, ხმამაღლა): მეეეეეეე!

წინა ბრმა (ისევე, როგორც მისი ორი მიმდევარი, შემკრთალი ატრიალებს თავს): ეს რა საზარელი ხმები მესმის!

გიგო: თხამ დაიბღუილა.

წინა ბრმა (ნიშნისმოგებით): აჰა! მაშ რას ვამბობდი! თუ იმერეთი არ არის, თხას აქ რა უნდა?!

გიგო: როგორ თუ რა უნდა? რაც თავი მახსოვს, ეს თხა სულ აქა დგას. განა ქართლში კი არა გვყავს თხები – მთელი არვე მყავს თხისა.

წინა ბრმა (სახე ეღმიჭება. ყავარჯენს იქნევს, ყვირის): იმერეთია-მეთქი! იმერეთი! დიდი ბაგრატისა და დავითის ქვეყანა! დავიძრათ, ბიჭებო! გზა კარგად ვიცი! დავიძრათ და თან იმერული მგზავრულიც შემოვძახოთ!

გიგო (თავს დანანებით აქნევს): ეჰ, რაც უნდა შემოსძახოთ, მაინც ქართლია, შვილოსან!

შუა და უკანა ბრმები (უმწეოდ ატრიალებენ თავებს): რა ვქნათ, წინამძღოლო, რა დავიჯეროთ?

წინა ბრმა: იმერეთში ვართ, შიგ შუა ზენათში!

გიგო: ქართლია, ჯიუტო კაცო, ჩემი სოფელი! დაბადებიდან აქა ვცხოვრობ!

წინა ბრმა (დაცინვით): ჰმ, შენი სოფელი! სახელიც არ იცი! ყურს ნუ დაუგდებთ, შვილებო, გზა-კვალს გვირევს! ვერ ხედავთ, ეშმაკის მოციქულია ვიღაც!

შუა და უკანა ბრმები (ერთხმად): ვხედავთ! ვხედავთ!

წინა ბრმა: ან თავად ეშმაკია! ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!

გიგო (გაცეცხლებული): ეშმაკებიცა ხართ და ორი მეტიც!

თხა: მეეეეეე!

ბრმები თხის ხმაზე შეკრთებიან. ცახცახი აიტანთ. აქეთ-იქით ატრიალებენ ყურებიან თავებს. თვალები შავი

ორმოებივით უჩანთ.

გიგო (მათი შესახედაობით დამფრთხალი პირჯვარს იწერს. ჩუმად, თავისთვის): ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს!

წინა ბრმა (პირველი მოეგება გონს, გამბედაობას იკრებს): წავიდეთ, ძმებო! მალე გამგეობაშიც მივალთ. ზენათის გამგებელი ჩემი ძველი დოსტია. ხელგაშლილი მიგვიღებს.

ერთმანეთს ჩაჭიდებული ბრმები ჯოხების კაკუნით, თავაწეული, პირდაღებული დაიძრებიან. მათი პირებიც შავი ორმოებივით მოჩანს. უდიდესი სიფრთხილით მიიკვლევენ გზას.

გიგო (გამოერკვევა. მისძახის): მაქით ნუ წახვალთ, თქვე ჭკუათხელებო! მაქით ხევია. მთელი სოფლის ნაგავი და უწმინდურება მანდ იყრება.

წინა ბრმა (დაბალი ხმით. დაბეჯითებით): ყურს ნუ დაუგდებთ, ბიჭებო, არ შეგაცდინოთ! ერთი ორასი-სამასი მეტრიც და გამგეობაში ვიქნებით. გამგებელი საკუთარი შვილებივით გვიპატრონებს!

თხა: მეეეეეეეე!

თხის ბღავილთან ერთად ისმის სესესა და ნოდარის ყიჟინა. ბრმები უმწეოდ ატრიალებენ თავებს. ცდილობენ გაარკვიონ, საიდან მოდის ხმები, მაგრამ ამაოდ, რადგან სესეცა და ნოდარიც განუწყვეტლივ იცვლიან ადგილს.

წინა ბრმა (აკანკალებული): რა საზარელი კივილი ისმის. თხის სუნიც დატრიალდა ჰაერში. მალე გავშორდეთ ამ დაწყევლილ ადგილს. ძალა მოიკრიბეთ, ძმებო! ბევრი აღარ დაგვრჩენია (ლოცულობს): ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმა მნახოსა (რამდენჯერმე იმეორებს)...

შუა ბრმა (უკანას, ჩურჩულით): გაიმეორე, შენც გაიმეორე: ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმა მნახოსა!

უკანა ბრმა (ბუტბუტებს, ეშლება): ანგელოზთა ახოსა ეშმაკეულთ მნახოსა...

შუა ბრმა (აწყვეტინებს): ეგრე კი არა, უკუღმა, სულელო!

უკანა ბრმა (ეჭვიანად): რა უკუღმა, წაღმა უნდა ითქვას!

შუა ბრმა (შეშინებული): ჯვარი აქაურობას! პირიქით მეთქი!

უკანა ბრმა: შენ რა იცი?!

შუა ბრმა: როგორ თუ რა ვიცი! აზნაური ვარ!

სამივენი ბუტბუტით იმეორებენ ლოცვის სიტყვებს. ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფი ნაბიჯით გასცილდნენ იქაურობას.

გიგო (გასძახის): მაქით ნუ წახვალთ-მეთქი! ღამდება. ჩაცვივით ხევში და ამ სიბნელეში ვიღა ამოგიყვანთ?!

წინა ბრმა: არ მოუსმინოთ მაცთურს, შვილებო! ჰმ! ღამდებაო! განა ჩვენთვის რა განსხვავებაა, ღამე იქნება თუ დღე? ღამითაც და დღითაც ერთნაირი საკვირველი ნათელი გვინათებს გზას. მხარი მომეცით! (მღერის).

უკანა ბრმა (ჩურჩულით): ნათელიო? ეჰ, რა ვიცი! მე კი ერთთავად სიბნელეში ვარ და...

შუა ბრმა: ჩუმად, ძმაო, ჩუმად! სიბნელეში რომ ხარ, იმიტომაც უნდა მიჰყვე შენზე შორსმჭვრეტელს.

უკანა ბრმა (ჩურჩულით): შენ თვითონ თუ ხედავ, ძმაო, რამე ნათელს?

შუა ბრმა: როგორ გითხრა... კი და არა! ხან ვხედავ, ხან თითქოს თვალიდან მეკარგება ცოდვილს. მაგრამ ერთხელ

რომ ვირწმუნე, მას მერე სიარულიც მიადვილდება!

ბრმები ერთმანეთის კალთას ჩაჭიდებულნი, შეძლებისდაგვარად ჩქარი ნაბიჯით ყავარჯნების ცეცებით გადიან სიბნელეში.

გიგო (სინანულით): ვაი, თქვე უბედურებო (ბრმების კვალს გაჰყურებს)! იმერეთიო! რის იმერეთი! ცხოვრება აქ გამიტარებია და ეხლა იქცა იმერეთად?! პირდაპირ ხევისკენ არ დაადეს თავი ამ საწყლებმა?!

თხა: მეეეე!

გიგო (თავს გადააქნევს. თხას გადახედავს): ეეეჰ, მე კიდე სხვაზე რომ ვიტყვი საწყალსა და უბედურს! ვაი შენ, ჩემო თაო! ამათ ფეხები მაინც შერჩათ. მე კი რაღა დავრჩი? ეს სესე და ნოდარიც რაღა ახლა გადამერივნენ? ან ის გოგო მაინც სად არის ამდენ ხანს? (გაჰყვირის) პისტი! პისტი! გოგო, პისტი, სად ეშმაკებში წახვედი, შე მამაძაღლო! ვაი, უბედურო გიგო! ბრმაცა ხარ, ყრუცა და ოხერიც! არა, აღარ ღირს ამქვეყანაზე შენი ცხოვრება. გიჯობს ჩაძაღლდე, ცრუ და ფარისეველო კაცო!

თხა: მეეეეე!

გიგო (ყურს არ უგდებს): სესე! ნოდარ! სესე, ნოდარ, თქვე შობელძაღლებო! ყურადღებასაც აღარ მაქცევენ! ვითომ აქ არც ვიჯდე. ან ვის რად უნდა მარადის მჯდომარე კაცთან ლაპარაკი? მე კი სულ ვზივარ და წინ ეს თეთრი მოჩვენება მიდგას. თუმცა ვინ იცის, ეგებ ეგ კი არა და, მე თვითონ უფრო ვარ მოჩვენება?! მაშ თუ არა მოჩვენება, სხვა რა არის ჩემი ცხოვრება – გაუთავებელი ერთ ადგილზე ჯდომა. არც საქმე, არც არაფერი. მოვედი, ვზივარ და წავალ ამ ქვეყნიდან. მერე იტყვიან – იყო თუ არა ეს კაცი? ხომ არ მოგვეჩვენა?!

თხა (ხმამაღლა. თითქოს გიგოს ყურადღების მიპყრობას ცდილობს): მეეე!

გიგო (ყურადღებას არ აქცევს): ჰო, დიახ, სწორედ ეგრე იტყვიან! მე კი სადღა ვიქნები? – არსად. თუმცა ახლაც ხომ თითქმის არსადა ვარ, რადგან მთელი ცხოვრება აქ ყოფნა იგივე არსად ყოფნაა. და, კაცმა რომ თქვას, ის სამი ყმაწვილიც ამას არ მეუბნებოდა? კიდევ რა მითხრეს? ვითომცდა მკვლელი ვიყო. ანუ, ესე იგი, პასიური თანამონაწილე! ესეც განა მართალი არ არის?! რამდენი სიკვდილი მინახავს. რამდენი ძალადობა. ხელი გავანძრიე? სიტყვით მაინც გამოვესარჩლე ვინმეს? აი, თუნდაც საბრალო თამროს რომ ნამუსი აჰხადა ბატონმა... თუმცა არა, მგონი მე იქ არცა ვყოფილვარ...

მოულოდნელად თხა ადგილს მოსწყდება, მთელი ძალით ეკვეთება სკამზე მჯდომარეს. როგორც კი დაეძგერება, მაშინვე ზამბარიანივით ადგილზე იყინება და გამარჯვების მაუწყებელი საზარელი ხმით ბღავის. გიგო თოჯინასავით გადაყირავდება სკამიდან. წიგნი მარცხნივ, სკამის წინ უვარდება ბალახში. ზემოთ, კაკლის ხესთან, მექანიკური სათამაშოებივით ტეხილად დაფრინავენ ღამურები. თანდათან ბნელდება. კარგა ხანს სრული სიჩუმეა. მერე ისმის გიგოს კვნესა.

გიგო (კვნესის, სუსტი ხმით): მიშველეთ, სესე, ნოდარ!

თხა (წითელი თვალებით დაჰყურებს წაქცეულს. თითქოს რაღაც უკვირს): მეეე!

გიგო (მწარედ იცინის): მეეე! სამოცდახუთი! ნიშნსაც რომ მიგებს. მიგებს და კიდეც მომიგო.

ახლოვდებიან სესე და ნოდარი. განცვიფრებულები იხედებიან აქეთ-იქით. გიგოს, ისევე როგორც თხას, ვერ

ამჩნევენ.

ნოდარი: მომისმინე, სესე, ამ სკამზე თითქოს ვიღაც იჯდა. რას იტყვი?

სესე: იჯდა, მაშ არ იჯდა?!

ნოდარი: მაგრამ ვინ იჯდა?

სესე (გაკვირვებული უყურებს): როგორ თუ ვინ იჯდა?! რაც თავი მახსოვს, ამ სკამზე ჩვენი გიგო ზის.

ნოდარი: ნეტავ სად წავიდა? იქნებ მეც გავიქცე?!

სესე (ამჩნევს სკამის უკან გადავარდნილ გიგოს) აგერ არის.

ორივენი გიგოს მისცვივდებიან.

სესე: რა მოგივიდა, გიგო-ჯან, აქ რატომ გაწოლილხარ?

გიგო (სუსტი ხმით): თეთრი ლევიათანი მეკვეთა.

სესე (დაჰყურებს წაქცეულს): რაო, გიგო, რა მეკვეთაო?

გიგო (ძლივს ლაპარაკობს): თხა, თხა დამეჯახა, ჩემო სესე. ეჰ, ისევ მაგისი წერა გავხდი.

ნოდარი (ენერგიულად): არავითარი თხა აქ არ ყოფილა. აბა, სწრაფად წამოდექი ფეხზე!

გიგო: ვერა, ვეღარ წამოვდგები, ჩემო ნოდარ. როგორც ჩანს, დამიდგა აღსასრული.

ნოდარი: როგორ თუ აღსასრული?

გიგო: ვკვდები, ჩემო ნოდარ.

ნოდარი: კვდები? ეგ არაფერი. ახლავე გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე. ყური მიგდე (არაფერს არ ეუბნება).

გიგო (შეშინებული): ვკვდები?! ღმერთო ჩემო! ნუთუ უნდა მოვკვდე? მე ხომ ჯერ ერთი წამიც არ მიცხოვრია სინამდვილეში და უკვე უნდა მოვკვდე?! ერთი წამი. მომეცით სულ ერთი წამი და ქვეყანას გადავაბრუნებ!

სესე (ტირილით): ჩიტები უნდა გეხოცა, გიგო, ჩიტები!

გიგო (სევდიანად): ეეჰ, შენ რა გესმის, ჩემო სესე, ჩემო ჩიტირეკია.

სესე: ჩიტები-მეთქი, გიგო, ჩიტუნიები. პატარა მსტვინავი არსებები. შავფრთიანები, წითელ და თეთრგულიანები. უხ, შენი გულისა! იცი, რად ღირს თუნდაც ერთი ჩიტის ჩამოგდება?! მთელს სიცოცხლედ! მთელ შენს სიცოცხლედ! ჩიტები თუ არა, ღამურებისთვის მაინც უნდა გეტყორცნა ქვა.

გიგო (დაბნეული): ჩიტები... ღამურები... განა მეც მთელი სიცოცხლე ჩიტებს და ღამურებს არ შევალიე?

სესე (ქვას სჩრის ხელში): აჰა, გიგო, აიღე ჩემი ქვა. ერთხელ მაინც გაუქანე. ეგებ თუნდაც ერთი ღამურა ჩამოაგდო.

გიგო (ხელს უღონოდ აიქნევს): ქვა ცხოვრებაში არ მისროლია. სულ მეშინოდა, ვინმეს თავში არ მოხვედროდა. ეეჰ, იმის დრო მაინც მქონდეს, რომ წამოვდგე და ჩემი ნებით გადავეშვა არარაობაში!

ნოდარი: სახეზეა აშკარა ბოდვითი იდეები. რას იტყვი, სესე?

სესე (თვალცრემლიანი): მგონი მართლა კვდება.

ნოდარი: სიკვდილის ფენომენი ჯერჯერობით სახეზე არ არის.

სესე: როგორ, თუ არ არის. შეხედე, როგორ გაუთეთრდა სახე.

გიგო (გაკვირვებული აჰყურებს. ჯერ ნოდარი, შემდეგ კი სესე წიგნებად ეჩვენებიან): ეს რა არის? ეს რა წიგნია?! რაღაც ახალი უნდა იყოს. თითქოს წაკითხული არ უნდა მქონდეს. აბა, ერთი მომაწოდე, ჩემო პისტი! მხიარული წიგნი ჩანს. ერთ ღამეში გადავიკითხავ. არ მიყვარს მზის ჩასვლისას დაძინება. ვიცი, სამ-ოთხ საათში ისევ უნდა გამეღვიძოს. საშინელია შუაღამისას გამოღვიძება, ჩემო გოგო, სიბნელეში, როცა ირგვლივ არავინ არის. იმ ღამესაც ასე ვიჯექი, გოგონი, ჩვენს აივანზე, წიგნს ვკითხულობდი. მთელს სოფელს ეძინა. ანაზდად გადავიხედე ბაღში და რას ვხედავ! – გამოსულიყვნენ ზღარბები. ექვსნი იქნებოდნენ. სადღაც ერთი ცალი ვაშლი ეპოვნათ. გამოსულიყვნენ და იმ ვაშლით მთვარის შუქზე თამაშობდნენ ბურთს. ისე მომინდა მათთან ბურთის თამაში!.. მაგრამ რა მექნა. კვლავ ჩემს წიგნს მივუბრუნდი, ჩემო პისტი.

სესე (ჩაჰყვირის): გიგო! გიგო! კვდები, ბიჭო? კვდები?!

გიგო (უცნაურად იცვლება. უცნაურად აცეცებს თვალებს): ასე, ასე, ჩემო პისტი! აბა, ეს მეორე წიგნიც გადმომაწოდე! ეს ცოტა სევდიანი მოთხრობა ჩანს. ცოტა სევდიანი და ცოტაც საბავშვო. კარგია, მიყვარს ასეთი მოთხრობები. მეტადრე ზამთარში. ზამთრის გრძელ საღამოებში, როცა გიორგი და კესო ჯერაც არ დაბრუნებულან შინ. ო, რა სიამოვნებით ჩავიკითხავ ასეთ მოთხრობას! მერე ისინიც მოვლენ – ჩემი გიორგი და კესო. შემოდიან პირნათელები, ლოყები უღაჟღაჟებთ. შენც ხომ აქა ხარ და აქ, ჩემო პისტი, ჩემო ციცქნა გოგო. აბა, გოგონი, აგე ის დიდი გროსბუხი გადმომაწოდე! მანდ არის ჩემი ნუსხა – რა წავიკითხე, რა

დამრჩა წასაკითხი. ოჰო, კარგია, კარგი! ბოლოში გავსულვარ!.. ეს ერთიღა დამრჩენია წასაკითხი – ერთი პატარა, სუ პაწაწკინტელა საბავშვო მოთხრობა. მიკვირს, როგორ გამომეპარა, რატომ ადრევე ვერ შევამჩნიე. ალბათ სხვა, დიდ წიგნებს შორის თუ იყო გაბნეული... მოიტა, აქ მომეცი! შენც მომიჯექი გვერდზე, პისტი, ჩემო ფისუნია, ყური მიგდე, ხმით წავიკითხავ. შენ ხომ ჯერ წერა-კითხვა არ გისწავლია. მაშ მომისმინე! სამაგიეროდ, რომ გაიზრდები, ბევრი გეცოდინება. ასე, პატარა ქალო, აბა დავიწყოთ! ჯერ სათაური ვნახოთ: «თხა და გიგო». აჰა, აი, თურმე რა ყოფილა! რას იცინი, შე ონავარო! მე კი არა ვარ, ეს სხვა გიგოა, წიგნის კითხვა ეზარებოდა და თხამ ურქინა (მძიმედ სუნთქავს).

სესე (ჩუმად): მგონი კვდება.

ნოდარი: ჩუმად იყავი, სესე! შენ არ იცი, რა არის სიკვდილი. ახლავე აგიხსნი – სიკვდილის ფენომენი საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი.

გიგო (მისუსტებული ხმით): თხამ ურქინა, პისტი, გოგო. თხამ ურქინა, ლევიათანმა კი არა (სხეული უდუნდება, თავი არაბუნებრივად უვარდება გვერდზე. მზერა მიპყრობილი აქვს ღობის გადაღმა, მუხების მწკრივისკენ)... ჰეეეე! აი, ჩვენი მუხებიც დაძრულან და სადღაც მიდიან!.. მაგრამ აკი ჩვენებური მუხა სულ ადგილზე დგასო?! სად წამიკითხავს? აღარ მაგონდება...

თხა (საზარელი, არაბუნებრივი, ბოხი ხმით): მეეეეე! მე-ჰე-ჰე-ჰე-ჰე!

სესე: კვდება და მგონი მოკვდა კიდევაც.

სწრაფად ნათდება. მთვარე ამოდის.

გიგო (ბოდავს); აი თხა! აი სესე! აი თოხი... ათი თოხი... ასი თოხი... აი თათი. აი ოსი. ოსი! ოთხი ოსი... ათი ოსი! ასი ოსი... აი თიხა... აი თხა... ათი თხა... ასი თხა... აი სასა. სა-სა. სი-ა... აი ასასი... ათი საათი... ხის საათი... აი ხის საათი... აი ოთახი... პისტი, მითხარი, გეთაყვა, საიდან მოდის ნამი?

თვალებს ხუჭავს. იმავე წამს იმ ადგილიდან, სადაც გიგოს მარჯვენა ხელია, ჭრელი ჩიტი ამოფრინდება და სწრაფად მიფრინავს ზევით. სესე და ნოდარი ელვისებურად წამოიჭრებიან, ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ ქვას.

სესე, ნოდარი (ერთხმად): ჩიტი, ჩიტი! მაცალე, ბიჭო, მაცალე!

ისმის ქვის შხუილი, ფრთების ფრთხიალი. ზემოდან ვარდება ერთადერთი შავი ბუმბული და ფარფატით ეშვება სკამზე.

სესე (სინანულით აყოლებს თვალს): გაფრინდა, გაფრინდა!..

ორივენი მაღლა იყურებიან. დუმილი. სიჩუმეში მთვარის შუქზე გამოდიან ზღარბები – ექვსი ზღარბი – გიგოს უძრავ სხეულს შემოეხვევიან და შეჰყურებენ.

კარგა ხანს სრული დუმილია. მერე შორიდან ისმის ეჟვნის წკრიალი. სესე და ნოდარი აყურადებენ.

ნოდარი: სსსუ!

ეჟვნის წკარუნი თანდათან ძლიერდება და ახლოვდება. ისმის თხების ბღავილი. ბღავიან სხვადასხვა ხმაზე, სხვადასხვა ტონალობაში. ჭიშკარი იღება. შემოდიან თხები. ოცდაათზე მეტი თხა. თხების მთელი არვე. ეზოში მყოფი ვაცი ბღავის და მოუთმენლად ცმუკავს. სხვა თხები მისკენ მირბიან, შემოეხვევიან. ეზო ივსება თხების

ყურისწამღები ბღავილით. ყოველი მხრიდან, თითქოს ვარსკვლავებიდანაც, ბღავილი ისმის. ჭიშკარი იხურება. თხების არვეს უკან მოსდევს პისტი – თორმეტი ან ოცდაერთი წლის საკმაოდ ლამაზი გოგო. ხელში წკეპლა უჭირავს. ცდილობს თხები საჩიხში შერეკოს.

პისტი: აქეთ, აქეთ, თქვე ეშმაკებო!

რის ვაივაგლახით შერეკავს თხებს. საჩიხის კარს კეტავს. ახლაღა ამჩნევს ცარიელ სკამს და იქ მდგარ სესეს და ნოდარს.

პისტი (გაკვირვებული): გიგო პაპა სად არის?!

სესე (უხერხულად): იგერ არის, სკამის უკანა.

პისტი: სკამის უკან?!

სესე: ჰო, აქ არის, გადავარდა...

პისტი (შეშფოთებით): რა დაემართა? ცოცხალია? (გარბის სკამისკენ, იხრება. ისმის მისი ქვითინი): ვაიმე, ვაიმე, გიგო პაპა! რა დაგმართნია, შე საწყალო! რა მოგსვლია! (თავზე ეფერება და ჩასძახის): პაპა გიგო! პაპა გიგო! პაპა გიგო!..

სცენა ბნელდება

თხა და გიგო (ეპილოგი მთაწმინდაზე)

სცენა წარმოადგენს მთაწმინდის პანთეონს. მოჩანს სახელდახელო ტრიბუნა, რომელზეც დგას უზარმაზარი ტანის წვეროსანი ორატორი და შედარებით ნაკლებად უზარმაზარი ტანის თორმეტიოდე კაცი. ორატორს ხელში მეგაფონი უჭირავს. ირგვლივ, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საფლავებს შორის დგანან მომიტინგენი. ყველა ლაპარაკობს, ყაყანია.

ორატორი (მეგაფონში): ერთი!.. ერთი, ორი, სამი!.. სიწყნარე, ბატონებო, სიწყნარე!..

პაუზა.

ორატორი: მე ვითხოვ სიწყნარეს!

შეძახილები ხალხიდან: სიმშვიდე! სიმშვიდე!

ორატორი: სიმშვიდე იყოს!

ხმები ხალხიდან: სიჩუმე! დუმილი!

ორატორი: იყოს დუმილი! (უბერავს მეგაფონში, ზედ რაღაც მაგარ საგანს ურტყამს) დუმილი! ერთი... ორი... სამი!.. კარგია! ვიწყებთ, ბატონებო!

ხმები: სსუ, სსსუ.

ორატორი: დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ, ამ წმინდა ალაგას, რათა განვსაჯოთ ვინმე გიგოს საკითხი. გუშინდელ მიტინგზე ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ ვითომცდა სწორედ ეს გიგო იყოს ის ადამიანი, ვინც მოიცლიდა ერისა და მამულისათვის. ჩვენ ცოტა არ იყოს, ეჭვი შეგვეპარა ამ ინფორმაციის სისწორეში. ახლა კი თუ ვინმეს რამე აქვს სათქმელი, გთხოვთ, ბარემ ვთქვათ და დროზე დავიშალოთ

(საათზე იხედება), ოთხი საათი... ბატონო? (მიუბრუნდება გვერდზე მდგომს, რომელიც ჩუმი ხმით ეუბნება რაღაცას)... ჰო... ათი საათი... ათ საათზე... რა? ოსები? რა დროს ოსებია... ბევრნი არიან?.. მაგათ საკითხს ხვალინდელ მიტინგზე განვიხილავთ. აბა, ბატონებო, არავის არა გაქვთ სათქმელი? გთხოვთ!

ტრიბუნაზე ადის დარბაისელი, თეთრწვერა ბერიკაცი. თვალებში გონიერება ეტყობა, ხმაში – სისულელე.

მომიტინგე ბერიკაცი: გიგოს, ჩემო ბატონო, კი ვიცნობდი მე ადრე, ოდესღაც, ბოვშები რომ ვიყავით, მაშინ. თუ გინდათ სიმართლე, მთლად ისე კი არ ვიცნობდი, უფრო იგი მიცნობდა თვითონ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მქონდა გარკვეული ჩამოყალიბებული მოსაზრება მასზედ. ჩემის ღრმა რწმენით, ბატონებო, გიგო მუდამ აბდალი იყო. მას ახლოსაც არ გაუვლია ჩვენს ეროვნულ მოძრაობასთან. ასე, ჩემო ბატონო! (ხელებს იფშვნეტს) სხვა რა გითხრათ. გიგოს, მოგახსენეთ, ერთი ხანობა კი ვიცნობდი ასე თუ ისე მე. ვფიქრობ, იგი აბდალი გახლდათ მუდამ. მას არაფერი საერთო არ ჰქონია ჩვენს ეროვნულ მოძრაობასთან. მე თუ მკითხავთ, ასეთი ადამიანები არაა ცოტა ჩვენს ქვეყანაში. მგონი მაქვს ამის თქმის უფლება – საკმაო ხნის ვარ მე. ზოგიერთებს აქ ბაბუადაც კი შევეფერები. ჰოდა, ჩემო შვილიშვილებო, მინდა მოგახსენოთ, რომ ერთხანობა მე ხშირედ ვხედავდი გიგოს მის სოფელში, სკამზე მჯდომარეს. ალბათ საყურადღებო უნდა იყოს თქვენთვის ჩემი მოსაზრება – მოგახსენებთ, არ დაგიმალავთ. ჩემი აზრით იგი არ არის ბრძენი ადამიანი. იგი აბდალი იყო მუდამ. რამეთუ მას ახლოსაც არ გოუვლია ჩვენს ეროვნულ მოძრაობასთან. ჩემო შვილებო და შვილიშვილებო! რატომო, მკითხავთ. ამასაც მოგახსენებთ: მიტომ რომე, გიგო აბდალი იყო მუდამ. მას ახლოსაც არ გოუვლია...

ორატორი (აწყვეტინებს): გასაგებია, დიდი მადლობა, ბატონო კირილე. სხვას ხომ არავის სურს სიტყვით გამოსვლა?

კირილე (ტრიბუნას არ თმობს): თქვენ ალბათ ვერ გამიგეთ. მე ჯერ კიდევ არ მითქვამს უმთავრესი: მსურს მოგახსენოთ, თუ რატომ მიმაჩნდა მე ეს კაცი ისეთად, როგორადაც მიმაჩნდა: რამეთუ, – ჩემი აზრია ეს, არავის თავზე არ გახვევთ – რამეთუ აბდალი გახლდათ, ბატონო ჩემო, მუდამ. ეროვნულ მოძრაობას რაც შეეხება, მას ახლოსაც არ გოუვლია ჩვენს ეროვნულ მოძრაობასთან...

ორატორი (ხელს შემართავს): კმარა! საკმარისია! შემდეგი!

კირილე რამდენიმე ადამიანს ჩაჰყავს ტრიბუნიდან. ამ დროს იგი ლაპარაკს განაგრძობს. ბოლოს ჩუმდება და წინა რიგში დგება ვალმოხდილი სახით.

ტრიბუნაზე ადის II პოსტმოდერნისტი.

II პოსტმოდერნისტი, იგივე საიდუმლო სამსახურის აგენტი, იგივე ხვიჩა: აქ საკითხი დაისვა ვინმე გიგოს შესახებ. თუ არ ვცდები, ეს კაცი მე გუშინ საღამოს ვნახე. სკამზე იჯდა. ახლაც იქ ზის, ჩემი აზრით. ჩამოყალიბებული რეტროგრადია ეს კაცი და რა გინდათ. დარწმუნებული ვარ, აწევს კისერზე მრავლის უმრავლესი ცოდვა. საინტერესოა, როგორ გადაურჩა შავბნელ ოცდაათიან წლებს?! რატომ არ მოყვა რეპრესირებულთა რიგებში? (ნიშნისმოგებით მოავლებს თვალს მომიტიმგეებს) იმიტომ რომ, როგორც ჩანს, მას ჰქონდა რაღაც-რაღაცა დამსახურებები იმდროინდელი მთავრობის წინაშე. ვინ იცის, რამდენი ჭეშმარიტი მამულიშვილი ჰყავს გასტუმრებული საიქიოს თუ არა, ციმბირის ცივ მიწაზე მაინც. სრულიად არ გამოვრიცხავ, რომ დიდი ილიას მკვლელობაშიც ერიოს

მისი ხელი. თუმცაღა, თვითონ ცდილობდა დავეჯერებინეთ, ვითომცდა, იმ დროს ძალიან პატარა ყოფილიყოს. მაგრამ მისი არგუმენტები, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია. ამასთან, მსურს დავუმატო, რომ იგი ამჟამადაც საკმაოდ აგრესიულად განწყობილი სუბიექტია. მან მე ყური მომაკვნიტა (მარჯვენა ყურზე ივლებს ხელს), საბედნიეროდ, სათადარიგო ყური მქონდა და ის მივუგდე!

ხმები მასიდან: ძირს გიგო! ძირს რეტროგრადი ტერორისტი!

ორატორი (აშკარად კმაყოფილი): ძალიან სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა! მაშასადამე, ცნობები გიგოს პატიოსნების შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია. აქ ჩვენს წინაშე გამოვიდა ორი ყველასგან პატივცემული კაცი და ცალსახად დაადეს მას ხელი, როგორც რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო სუბიექტს. მოგეხსენებათ, ბატონებო, დიდ სჯულის კანონში ნათქვამია, რომ ორი მოწმის ჩვენებით დაემტკიცება ყოველი ჭეშმარიტება და სიცრუე ნებისმიერ ადამიანზე. ჩვენც დღეს ეს ვიკმაროთ. შემდეგი მიტინგი გაიმართება სამშაბათს, დიდუბის პანთეონში, ოთხ საათზე. არა, ათ საათზე (იყურება საათზე), მაშასადამე ათ საათზე. შეკითხვები ხომ არავის გაქვთ?

ტრიბუნასთან მიდის ნოდარი. რაღაცას გაცხოველებით უხსნის ორატორს.

ორატორი: კარგი, კარგი, ოღონდ მოკლედ!

ნოდარი (დგება ტრიბუნაზე): ბატონებო! მე არ ვაპირებდი დღეს აქ გამოსვლას, მაგრამ უმოკლეს დროში იმდენი ცილისწამება გავიგონე ჩემი მეგობრის შესახებ, რომ მსურს გაუწყოთ ერთი მეტად არასასიამოვნო ამბავი.

როგორც იტყოდა დოქტორი ვალტერ შტერნ, ადამიანის ცხოვრება, პერსონის ცხოვრება...

სტვენა. ყვირილი.

ხმები მასიდან: ქართულად გველაპარაკე, ქართულად! ეგ უცხოური სახელები შენთვის შეინახე!

ნოდარი (იხტიბარს არ იტეხს): ბატონებო, მე ძალიან ვჩქარობდი, რათა აქ პირველი მოვსულიყავი, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გზად ცოტა შემაგვიანდა. ასე რომ, სიტყვა მომზადებული არა მაქვს. ბევრს არც ვილაპარაკებ. მე აქ ზოგზოგებთან საკამათოდ არ მცალია. მხოლოდ ერთი რამ მინდა გაუწყოთ...

სტვენა. ყვირილი.

ხმები მასიდან: არ გცალია და წაეთრიე აქედან! წადი, საიდანაც ჩამოსულხარ! არც ჩვენ გვცალია შენთან სალაპარაკოდ!

ორატორი (მქუხარე ხმით): სიჩუმე! სიჩუმე! ვათქმევინოთ ამ კაცს! რამდენადაც ვიცი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს!

ნოდარი (ორატორს, ცივად): მადლობელი ვარ, ბატონო! (მეგაფონში) აქ მრავალი ცილისმწამებლური ფრაზა გაისმა ჩემი მეგობრის შესახებ, მაგრამ მე მათ ახლა არ ვუპასუხებ. მხოლოდ მსურს გაუწყოთ, რომ გიგო გუშინ საღამოს გარდაიცვალა. ასე რომ, შეგიძლიათ შეწყვიტოთ დისკუსიები ამ საკითხზე!

ხმები მასიდან: ცრუობს! ტყუის! ჩააქვავეთ ეგ არამზადა!

ნოდარი (ქვის ხსენებაზე შემკრთალი მიმოიხედავს, მაგრამ მაინც ჯიუტედ განაგრძობს): გიგო გარდაიცვალა! ეს

ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ მე ორი ხელი და ორი ფეხი მაბია!

საერთო სიცილი.

ხმები მასიდან: არ დაუჯეროთ! პროვოკატორია ვიღაცაა! ცალფეხა და ცალხელა პროვოკატორი! კიდურებწართმეული პროვოკატორი!

ორატორი: სიჩუმე! სიჩუმე ბატონებო! ახლა ამ ბატონის პირით ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია გიგოს გარდაცვალების შესახებ. არა გვაქვს საფუძველი, არ ვენდოთ ამ კაცს. როგორც თვითონ ამტკიცებს, იგი თვითონ ესწრებოდა გიგოს გარდაცვალებას.

ნოდარი: მთლად მე თვითონ არა. ეს გრძელი ამბავია.

ორატორი: მაგრამ თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენი ინფორმაციის სიზუსტეში? გიგო მართლა გარდაიცვალა?

ნოდარი: სრული ჭეშმარიტებაა!

ორატორი (სიხარულით): ძალიან კარგი! ყველაფერი გასაგებია! მეგობრებო! ბატონი გიგო მომკვდარა! (ამის გაგონებაზე მომიტინგეთა განწყობილება ერთბაშად იცვლება)

ხმები მასიდან: მომკვდარა? გიგო მომკვდარა? ბატონი გიგო გარდაიცვალა? ვაი, ჩვენს დღეს!

ორატორი (მქუხარედ): იგი მსხვერპლად შეეწირა ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს!

მაღალი, წვეროსანი, ცხვირკეხიანი, სათვალიანი კაცი ქუხილის მსგავსი ხმით მასიდან: ბატონებო! გიგო მოკვდა! გაუმარჯოს გიგოს!

მომიტინგენი (ერთხმად): გაუმარჯოს გიგოს! დიდება გიგოს!

თმაგაშლილი მომიტინგე ახალგაზრდა მანდილოსანი (მუშტშემართული წივის): მაჰკვდია ბეჩაო იერემო! დასდევა სიღარიბის ჯოხი! მიწანიმც დაილოცებიან, შიშველნი მოგიმალნეს ხორცნი!

ორატორი (ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმით): ბატონებო! ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ბატონი გიგო ჭეშმარიტი მამულიშვილი გახლდათ! და აი, ეს დადასტურდა კიდეც მისი უმწიკვლო გარდაცვალებით. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს აღვძრათ შუამდგომლობა ქალაქის მერიაში, რათა ბატონი გიგოს ნეშტი ღირსეული პატივით იქნას დაკრძალული საბურთალოს პანთეონში!

ხმები მასიდან: სწორია, სწორი!

სხვა ხმები: დიდუბეში! დიდუბე უფრო უპრიანია!

კიდევ სხვა ხმები: საბურთალო, საბურთალო, გიგო ფეხბურთელი იყო!

მქუხარე ხმა: მთაწმინდაზე! ბატონი გიგოს ადგილი მხოლოდ მთაწმინდაზეა!

ორატორი: მთაწმინდაზეც შეიძლებოდა, იგი რომ რომელიმე ჩვენი თანამემამულის მიერ იყოს მოკლული. მაშინ ეს იქნებოდა მოწამეობრივი სიკვდილი, მაგრამ, საუბედუროდ, ბატონი გიგო არავის მოუკლავს. იგი საკუთარი სიკვდილით გარდაიცვალა. ამიტომ მთაწმინდაზე ვერ დავკრძალავთ. თანაც, რამდენადაც ვიცი, მთაწმინდაზე ადგილი აღარ არის! (ცერად გადახედავს გვერდზე, მარცხნივ რაღაც ადგილს).

მამა სერაფიმე (მიუბრუნდება ორატორს. ჩუმი ხმით): შეუძლებელია ერეტიკოსის პანთეონში დაკრძალვა! (ცბიერი სახით): თანაც, რამდენადაც ვიცი, მან სიკვდილის წინ ვიღაც წარმართი ქალისგან მიიღო ზიარება!

ნოდარი (მტკიცედ): გიგოს არავითარი ზიარება არ მიუღია არავითარი წარმართი ქალისგან!

მამა სერაფიმე: დარწმუნებული ხართ?

ნოდარი (მტკიცედ): არა!

მამა სერაფიმე: მაშინ რატომღა ამბობთ?

ნოდარი: იმიტომ, რომ მე ნაწილობრივ იქ გახლდით გიგოს გარდაცვალების დროს და არავითარი წარმართი ქალი არ აღბეჭდილა ჩემი თვალის ბადურებზე. ხოლო რამდენადაც ჩემი მხედველობითი აპარატი ჯერაც სავსებით გამართულად ფუნქციონირებს, უფლება მაქვს განვაცხადო, რომ...

ორატორი (აწყვეტინებს): გვეყოფა, გვეყოფა! მთლად ასეც არ არის საქმე! მთავარია, რომ ბატონი გიგო ერის სამსახურში გარდაიცვალა და თავისი გარდაცვალებით გააკეთა დიდი მამულიშვილური საქმე. მე მგონი, მამაო, თამამად შეგვიძლია შევიყვანოთ ქართველ წმინდანთა რიცხვში.

მამა სერაფიმე (მტკიცედ): არავითარ შემთხვევაში!

ორატორი: ნუ, კარგი. წმინდა თუ არა, მართალი მაინც ვუწოდოთ – გიგო მართალი!

მამა სერაფიმე: მართალი კიდევ შეიძლება. ან, ვთქვათ, ნეტარი.

ორატორი: ძალიან კარგი. ნეტარი გიგო (ხმამაღლა, მეგაფონში): დიდება ბატონ ნეტარ გიგოს!

მომიტინგენი (ერთხმად): დიდება ბატონ ნეტარ გიგოს!

ნოდარი (თავისთვის): მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა! ჰმ, მეც გიგოსავით ციტატებით არ დავიწყე ლაპარაკი?!...

შემორბის თხა. ბოხი ხმით ბღავის. აქეთ-იქით აწყდება

თხა: მეეეეეე! მეეეეეეეეეეე! მეეეეეეეეეეეეეეე!

ორატორი: ვისია ეს თხა?

ხმები მასიდან: ვისია თხა? ვისია?

სხვა ხმები: დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

ორატორი თვალით ანიშნებს გვერდზე მდგართ. რამდენიმე უზარმაზარი ტანის კაცი ტოვებს ტრიბუნას. მისდევენ თხას. მალე უკანვე ბრუნდებიან.

ორატორი (ჩუმად): რა ქენით?

თხის მდევნელები: დავიჭირეთ. მანქანაშია.

ორატორი (შეშფოთებული): ვის მანქანაში?

I მდევნელი: ჩემი ნოლშესტის ბაგაჟნიკში.

ორატორი (კმაყოფილებით იფშვნეტს ხელებს): კარგია. დღეს ერთი კაი ჩაქაფული გავაკეთებინოთ!

I მდევნელი (მოწიწებული ფამილარობით): მიკვირს, კაცო, ჩაქაფულიო, რომ აბბობენ. როგორ დამკვიდრდა ეს ტერმინი! ჩაქაფული კი არა, ჩაკაფული იქნება სწორი! ასე ხომ მთლად გაირყვნება ჩვენი ქართული ენა!

ორატორი (ხელს ჩაიქნევს): მოგცლია ერთი! ჩაქაფულია თუ ჩაკაფული, გემრიელი კია და...

II მდევნელი: კაი ჩაქაფულს ერთი კაი კახური ღვინოც მოუხდება!

ორატორი: ღვინისთვის «ჭაშნიკში» გავაგზავნოთ ბიჭები. 50 ლიტრი გვეყოფა. ამ ტილიანებს ნუ დავისწრებთ.

II მდევნელი: არის, შეფ!

ყველანი გადიან.

სცენა ცარიელდება. საფლავებს შორის ყრია ქაღალდის ნაკუწები. უბერავს ქარი. ნაკუწებს საფლავებზე ფანტავს. ტრიბუნის ფიცრებს ქარი ახმაურებს. ტრიბუნა თანდათან ირღვევა და იშლება. თანდათან ქარიც ცხრება. დაშლილ ტრიბუნასთან დგას ნოდარი. ქუდი მარცხენა ხელში უჭირავს. სიჩუმე. სრული სიჩუმე. სიჩუმეში დაშლილ ტრიბუნასთან გამოდიან ზღარბები და გარინდებული მისჩერებიან გარინდულ ნოდარს. ნოდარი დაიხრება. მიწიდან ქვას აიღებს. ხელში ათამაშებს და და გამეტებით ტყორცნის ჩაწყვეტილი საბაგირო გზის მიმართულებით.

ნოდარი (ქვას თვალს აყოლებს): ჰმ! ესეც ასე! მოვახდინოთ ფაქტების კონსტატაცია: გიგო გუშინ საღამოს გარდაიცვალა. თხას დღეს გამოუყვანენ წირვას. მაშასადამე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებულ რეალობაში აღარც თხა დარჩა და აღარც გიგო!..

ფარდა

1994 წ.

4. ახალი თარგმანები

ტონინო ბენაკვისტა

ვოლიერი

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

ტონინო ბენაკვისტა დაიბადა 1961 წელს პარიზის გარეუბანში, იტალიელ ემიგრანტთა ოჯახში. კინოხელოვნების კურსების დამთავრების შემდეგ, ლიტერატურული კარიერის დაწყებამდე, ახალგაზრდა კაცმა არაერთი პროფესია გამოიცვალა და თავი დროებითი სამუშაოებით გაჰქონდა. ეს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება გახდა მოგვიანებით მისი პირველი ე. წ. «შავი რომანების» («კურდღლებზე ნადირობა», «განთიადის ნაკბენი») შთაგონების წყარო. ბენაკვისტას შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია და ლიტერატურის განსხვავებულ ჟანრებს მოიცავს: რომანები («საგა», «მალავიტა»), თეატრალური პიესები («კონტრაქტი»), კინოსცენარები («ღიმილი ჩემს ტუჩებზე»), ნოველები (კრებული «ყველაფერი ეგოსთვის») და კომიქსები («შავი ყუთი», «lucky Luke»).

რაც შეეხება «მალავიტას», მის ყველაზე ცნობილ რომანს, ეკრანული სიცოცხლე შესძინეს ცნობილმა ფრანგმა კინორეჟისორმა ლიუკ ბესონმა და მთავარი როლის შემსრულებელმა, ოსკაროსანმა რობერტ დე ნირომ.

ნოველაში, რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობთ, აისახა მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები: თხრობის ძალდაუტანებელი, გამჭვირვალე, კლასიკური ყაიდა, პერსონაჟების ხატვის ოსტატობა, მსუბუქი ირონიით შეზავებული ყოველდღიური ცხოვრების ამბები, ადამიანთა სიხარულის და ტკივილის გადმოცემის სიწრფელე და, რაც მთავარია, თანალმობა...

დარწმუნებული ვარ, ქართველ მკითხველს საშუალება მიეცემა, უფრო ახლოს და ღრმად გაეცნოს ტონინო ბენაკვისტას – გამჭრიახი, კეთილი და ფიქრიანი შემოქმედის სხვა ნაწარმოებებსაც.

მთარგმნელი

* * *

ბუდაპეშტში ვცხოვრობდი და იქაურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი, როდესაც, ერთ დღეს, საფრანგეთიდან დამირეკეს და სასწრაფოდ მომაკვდავი ბიძის სარეცელთან მიხმეს. როგორ ვიფიქრებდი, რომ მოხუცი მაინცდამაინც ჩემს მკლავებში ისურვებდა სიკვდილს, მაგრამ როდესაც ჩემს დანახვაზე გაძვალტყავებული ხელი გამომიწოდა, მივხვდი, რომ გრძელი გზა ტყუილუბრალოდ არ გამომივლია. მომვლელმა ქალმა ოთახში მარტო დაგვტოვა. ცუდი დრო კი შეარჩია; ეტყობა, საქმე თავზესაყრელად ჰქონდა: სხვებისთვისაც უნდა მიეხედა. უცნაური გრძნობაა, როდესაც ნათლად გაიაზრებ, რომ ახლობელი გვერდით აღარავინ გყავს და სრულიად მარტო დარჩი. ლურჯ ზეწარზე ვიჯექი, მაგრამ უწონადობის განცდა მომეძალა, გულით და გონებით ისევ ბუდაპეშტში ვიყავი, ბინასა და აუდიტორიას შორის გამოდებული: დღისით ლექციებს ვატარებდი, საღამოობით კი ოთახში ვიკეტებოდი, ვკითხულობდი ან ვწერდი. ბიძაჩემი მიყვარდა. სწორედ ამიტომ ვიყავი ახლა აქ, ამ ოთახში, მის ხელს დავყურებდი და ვფიქრობდი, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი ცხოვრების მეგზური მუდამ გვერდით რომ მყოლოდა და ასე ხელჩაკიდებულს სიკეთის გზით ვეტარებინე.

მუდამ თანატოლივით მექცეოდა, ჰოდა, ბავშვსაც მეტი რა უნდა! ის დღე მახსენდება, როდესაც დაკარგული პირველი

სიყვარულის სევდამ შემომიტია, ჩემს ოთახში ჩავიკეტე და ბიძაჩემის გარდა კარს არავის ვუღებდი. მეგონა, სული ამომხდებოდა. მთელი სამყარო უსამართლოდ მექცევა და სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირს–მეთქი, გავიძახოდი. ბიძაჩემი თავთით მეჯდა და მამშვიდებდა, ნუ გეშინია, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად შეხვდები სხვას, უფრო ლამაზს, იქამდე კი შენი სავალი გზა, გინდა – არ გინდა, თვითონ უნდა განვლოო. მე კი მოხუცი დავივიწყე...

– მართალი გითხრა, არ მეშინია.

– ეჭვიც არ მეპარება. შიშის დაძლევა ხომ შენგან ვისწავლე.

– ის დღე თუ გახსოვს, ვენახის ბოლოში ხოჭოები რომ დავიჭირე, მიწაზე წრე შემოვხაზე, შიგ მოვაქციე და ცეცხლი წავუკიდე?

– გუშინდელივით მახსოვს.

– ჰოდა, იმ საქციელს ახლა ვნანობ, სამარცხვინო საქმე ჩავიდინე.

ის სცენა თვალწინ დამიდგა. ორივენი მიწას ჩავჩერებოდით და ვუყურებდით, როგორ წვალობდნენ პატარა მწერები. ერთმა ნესტარი აღმართა, მკერდში იძგერა და დიახაც, თავი მოიკლა. მშვენიერი, თანაც, საშინელი სიკვდილის მომსწრენი გავხდით. ამაზე ბევრს ვფიქრობდი, თავში უამრავი კითხვა მიტრიალებდა და პასუხებს ვეძებდი. უცებ, მოხუცმა სუნთქვა შეიკრა, მერე ტუჩები გახსნა და... «მსურს ვოლიერის გვერდით დამკრძალო». მერე თავი ბალიშზე დაუვარდა, თოვლის ფანტელი მიწაზე რომ დაეცემა, აი, ისე. «რა მოგდის ბიძია, მოკვდი? დავიჯერო? რამდენი სიკვდილი გვინახავს ერთად ამ დალოცვილ მიწაზე ხეტიალისას, გახსოვს, ტყეში რომ

ვსეირნობდით ზამთრის პირას, გზააბნეული ბუზები, ზედმეტად ცნობისმოყვარე კატები, ხეები... ახლა შენი ჯერიც დადგა, სიკვდილმა შენც მოგაკითხა. გახსოვს, ერთხელ მკითხე, «ნოტარიუსი და მღვდელი მეზობლის სახლში შევიდნენ, მაცოდინა რისთვის, მეზობელს რა შეემთხვა?» მეზობელი კი კვდებოდა».

ჟამმა გიწია, მაგრამ არც ნოტარიუსია, არც მღვდელი. არასდროს არაფერი გებადა და ღმერთისაც არ გწამს. სრულიად მარტო ვრჩები, ახლა სად ხარ, არ ვიცი. მართალი რომ გითხრა, არც მაინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს შევხვდებით, მაგრამ ამის არცთუ ისე მჯერა. ხომ არ გეწყინება, შენი დაკრძალვა ამ საქმის მცოდნეებს რომ გადავაბარო? აბა, ერთი მითხარი, რა სანახავი ვიქნები, კუბოს მარტო თუ გამოვყვები და გვერდით სხვა ჭირისუფალი არ მეყოლება, ვერაფრით მივმხვდარვარ, როგორ შეიძლება ცერემონიას მთავარი გმირი არ ესწრებოდეს? საღამოობით, როდესაც მსოფლიო სევდა შემომაწვება, მეცოდინება, რომ სადღაც ხარ გაშოტილი და იმ საიდუმლოებებზე ფიქრობ, რომელთა ჩემთვის გაზიარება ვერ მოასწარი. ჰო, სადღაც გაშოტილი... გაშოტილი კი, მაგრამ სად...

დარწმუნებული ვარ, სწორედ ასე თქვა: «მსურს ვოლიერთან დავიკრძალო». მხედველობაში ნებისმიერი კი არა, რომელიღაც ერთი განსაკუთრებული ვოლიერი ჰქონდა. მაცოდინა მაინც, რომელი ვოლიერი იგულისხმა? ნეტა, ასეთი რა ვოლიერია? ვისურვებდიო, კი არ უთქვამს, არა, გადაჭრით განაცხადა: «მსურს ვოლიერის გვერდით დამკრძალონ». კარგად მესმის, ბიძაჩემო, ვოლიერის გვერდით დაკრძალვაზე უკეთესი რა უნდა გეთხოვა, მაგრამ ხომ შეგეძლო, ჩემთვის საქმე გაგეადვილებინა.

მომვლელი ქალი დაბრუნდა, მომისამძიმრა და სიკვდილ-სიცოცხლეზე ჭკვიანური სიტყვებიც მითხრა, მეც პირდაღებული ვუსმენდი და ბრიყვივით თავს ვუქნევდი – ვოლიერებზე ფიქრი ტვინს მიფორიაქებდა.

– ერთი ეს მიბრძანეთ, ქალბატონო, აქ, სადმე, თუნდაც სასაფლაოსთან ახლოს, სამტრედე

ან რაიმე ამის მსგავსი ხომ არ გეგულებათ?

მომვლელი ქალი ჩემმა კითხვამ შეაცბუნა, სამძიმარს მისადაგებულ საპასუხო სიტყვებს ნაჩვევმა ქალმა უცნაურად გამომხედა, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი.

– არც ვოლიერების სასაფლაოზე გსმენიათ რაიმე?

– დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლებს მიმართეთ, ისინი თუ გიპასუხებენ, ყველაზე თავსატეხ კითხვაზეც კი მზა პასუხი აქვთ.

სანამ ამას იტყოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ჩამოსვლით ყველაზე ძნელი საქმე უკან მოვიტოვე, მაგრამ ახლა არც კი ვიცი რატომ, საკუთარ თავს გამოვუტყდი, გარდაცვლილს მარადისობა რომ შესძინო, სრულიადაც არ კმარა თხუთმეტი წუთის განმავლობაში მისი ხელი გეჭიროს. შემეძლო, ბუდაპეშტში დაბრუნება გადამედო, ჩემი სტუდენტები კიდევ ერთი დღის ლოდინს როგორმე გადაიტანდნენ, მე კი მსურდა, ვოლიერის ამბავი, ესოდენ უაზროდ რომ მეჩვენებოდა, ბოლომდე ამეხსნა, რათა თავიდან ამეცილებინა მომავალი სინდისის ქენჯნა. «მსურს, ვოლიერის გვერდით დამკრძალონ». ჯანდაბას! ხომ შეიძლებოდა, რაიმე უფრო ადვილი ეთხოვა, უფრო ბანალური, მაგალითად: «მუდამ გახსოვდეს, პატარავ, მხოლოდ რომანტიზმია აბსოლუტური», მაგრამ ვოლიერის გვერდით დაკრძალვის სურვილი როგორ ავუსრულო.

– ჩვენ პატარა, პროვინციულ სასაფლაოს ვემსახურებით. იცით, პერ-ლაშეზის გვერდით კოლუმბარიუმია[1] რა თქმა უნდა, მხოლოდ იმათთვის, ვინც გარდაცვალების შემდეგ კრემაცია ითხოვა.

– გარკვევით მითხრა, დამკრძალეთო.

– ასე თქვენ გგონიათ, სამი დღე და კუბოში უნდა ჩავასვენოთ.

– სამი დღე?

– იცით, ასეთ რამეებს სიკვდილამდე წყვეტენ. სამი დღეც და იძულებული ვიქნებით ჩვეულებრივ პროცედურას მივყვეთ.

* * *

სამი დღე... უნივერსიტეტის რექტორს მეტიც ვერ გამოვტყუე. სამ დღეში ვოლიერი უნდა ვიპოვო ან ბიძაჩემი აქვე უნდა დავკრძალო, მაგრამ მომაკვდავის ნებას რომ ვერ გადავალ?! შევეცადე, ის საათები დამეთვალა, რომელიც ჩემზე მზრუნველმა მოხუცმა ჩემ გვერდით გაატარა. ახლა კი ორშაბათის დილა იყო, ოთხშაბათამდე ვოლიერს თუ ვერ მოვნახავდი, ბიძაჩემი საფლავში ჩაწვებოდა, მაგრამ მისი სული საუკუნეების მანძილზე სიმშვიდეს ვერა და ვერ ჰპოვებდა. მეორე დღეს ქალაქის ცენტრში იმ ბინის მოსანახულებლად წავედი, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა. 40 წელი გამოხდა, მაგრამ იქაურობა ისევ ისეთი დამხვდა, როგორიც მახსოვდა, არაფერი შეცვლილა. ბავშვობა გამახსენდა. ჩვეულებრივ, ხუთშაბათობით ვსტუმრობდი, იმ ბედნიერ დროს რა დამავიწყებს. თუნდაც, ამ საშაქარლამოს, სადაც ორივე ხელით ტკბილეულს პირში ხარბად ვიტენიდით, კინოთეატრს, სადაც მოზარდებისთვის განკუთვნილ

ფილმებს უშვებდნენ, კაფეს, სადაც ბიძაჩემი ბილიარდს თამაშობდა, მე კი მაგიდასთან, სკამზე მჯდარი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ბურთულების აქეთ-იქით სრიალს. კიბის მეზობელი, მარადიული შინაბერა, ახლაც აქ ცხოვრობდა, წლები არ დასტყობია და ხასიათიც არ შეუცვლია.

– მოიცა, მოიცა, ჟანო ხარ? მოდი და ნუ გაოცდები, იცი, ბიძაშენის ეშმაკური თვალები გაქვს, ლუისთან ერთად ქუჩაში რომ გაგევლო, ვერავინ გამოიცნობდა თქვენ შორის ონავარი ვინ უფრო იყო, შენ თუ ბიძაშენი.

– თქვენთან საუბრისას ოდესმე ვოლიერი ხომ არ უხსნებია? სამუდამო განსასვენებლად მაინცდამაინც ის ადგილი შეარჩია.

როზმარინის ნაყენი შემომთავაზა, თანაც ამიხსნა, სასმელი ტვინს მიხსნისო. უარი ვეღარ ვუთხარი და ორი ჭიქა ზედიზედ გადავყლურწე. გონებრივი ოპერაციის დასაჩქარებლად ნაყენს კონიაკიც მიაყოლა.

– ბიძაშენი მაგარი ვინმე იყო. მთელი დღე შეგვეძლო, კედლის გაღმა-გადმოღმა გვეკამათა, რა სიტყვებით არ ვთათხავდით ერთმანეთს. საღამოს კი ჩემს ოთახში შემოდიოდა, «ფერმე ბრანკას»[2] მივირთმევდით და გაუთავებლად ვსაუბრობდით, ჩვენზე კი არა, სამყაროზე და მის მომავალ ბედზე. მახსოვს, 1969 წლის 21 ივლისს, ღამის 2 საათზე, ამ ოთახში ვიყავით. ბიძაშენი იქ იჯდა, სადაც ახლა შენ ზიხარ; ვუცქერდით, როგორ დააბიჯებდა ამერიკელი მთვარეზე.

– იქნებ ვოლიერზეც მითხრათ რამე?

– იცი... ვოლიერი რაღაცას მახსენებს... პარასკევობით ხდებოდა. რა ხდებოდა, ამას ნუ მკითხავ, ზუსტად მაინც

ვერ გეტყვი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ათი წლის განმავლობაში, ყოველ პარასკევს, რაღაც ნამდვილად ხდებოდა. ისიც მახსოვს, ვეკითხებოდი, «ამ საღამოს ვესტერნის სანახავად მიდიხართ, ბატონო ლუი?» ის კი მპასუხობდა: «შენც კარგად მოგეხსენება, რომ პარასკევი ვოლიერის დღეა.» ეტყობა, მტრედები უყვარდა; ან – რაღაც ამდაგვარი... მოგეხსენება, არიან ადამიანები, რომლებიც წერილებს მტრედს თათებს შორის უმაგრებენ და ფრი... ფოსტისა და ფოსტალიონის გარეშეც იოლად გადიან ფონს. ახლა მიდი და გაიგე. ამრიგად, ყოველ პარასკევს, საღამოს 6 საათი ჩამოჰკრავდა თუ არა, მისი ძმაკაცი ფერე... უბანში ავტომობილების სახელოსნო ჰქონდა, ხომ გახსოვს?

– პირველად მესმის.

– კარგი, ეგ არაფერი. ასეა თუ ისე, როგორც გითხარი, პარასკევობით ფერე გამოუვლიდა და ერთად მიდიოდნენ იმ, ჯანდაბასაც წაუღია, ვოლიერში. ბიძაშენი გამთენიისას ბრუნდებოდა, ამის შემდეგ, მომავალ პარასკევამდე, არაჩვეულებრივი არაფერი ხდებოდა. მეც მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. სულ ეს არის, რაც ვიცი, შვილიკო.

წერილები მტრედების თათებში... კარგად ვიცოდი, რომ ბიძაჩემს უცნაური გატაცებები ჰქონდა, მაგრამ ფრთოსნები თუ ასე უყვარდა, თან საყვარელ არსებებს საქმისთვისაც იყენებდა, მართლა არ მეგონა. ის, რაც მოვისმინე, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენა. რა თქმა უნდა, კვალს მივყევი და ძიება გავაგრძელე. იმავე საღამოს ბორნის უბნის სუპერმარკეტში შევიარე. ერთ დროს ეტიენ ფერეს სახელოსნო სწორედ ამ უბანში ჰქონდა, ახლა პატივცემული მოხუცი მაღაზიიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. მეც ბევრი აღარ დავახანე და,

ორსაათიანი ძებნის შემდეგ, სასურველ ბინას მივადექი. კარი ბავშვებმა გამიღეს და ჩემს დანახვაზე ყიჟინა დასცეს:

– ბებია-ბაბუას ზეიმზე მოხვედი?

სასადილო ოთახში ფერადი კრემით გამოყვანილი «50»-ით დამშვენებული ტორტის გარშემო სტუმრებს მოეყარათ თავი. ეტიენ და ჟოზეტ ფერეები ქორწინების ორმოცდაათ წლისთავს ზეიმობდნენ. ამაოდ ვეფიცებოდი და ვარწმუნებდი ოთახში შეკრებილ საზოგადოებას, რომ ზეიმზე შემთხვევით მოვხვდი. თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ დამიჯერა. როდესაც განვაცხადე, რომ ლუის ძმიშვილი ვიყავი, ეტიენი მომიახლოვდა და მკლავებში ჩამივარდა, ხოლო როდესაც ვამცნე, რომ მისმა ძმაკაცმა სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

– დარწმუნებული ვარ, საკუთარი ტკივილი არავისთვის გაუმხელია. მუდამ ასეთი მახსოვს, სიბერეში რაღა შეცვლიდა. უნდა ვაღიარო, ეს ბოლო წლებია, ისე ხშირად ვეღარ ვხვდებოდით ერთმანეთს. დაკრძალვა როდისთვის გადაწყვიტეთ?

– დღე კი დავნიშნეთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ არ ვიცით, სად დავკრძალოთ.

ბავშვმა ნაადრევი, ჯერ კიდევ უმწიფარი მარწყვით სავსე ჭიქა მომართვა.

– სანამ სულს განუტევებდა, მითხრა, ვოლიერთან დამკრძლეთო. თუ არ ვცდები, თქვენ და ბიძაჩემი ყოველ პარასკევს მემტრედეებს ხვდებოდით, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, იქნებ, თქვენ მითხრათ უფრო მეტი.

არ ვიცი, ასეთი რა ვთქვი, მაგრამ მყისვე სამარისებური დუმილი მჭახედ დაეხალა იატაკს, გეგონებოდათ, ეს-ეს არის, ვიღაც ჩამოახრჩვეს და კისერზე დაჭიმულმა თოკმა გაიტკაცუნაო. მერე კი ისევ დუმილი. ეტიენს სახეზე მიტკლისფერი დაედო. კანონიერმა მეუღლემ კი ეჭვით სავსე მზერით გამოხედა.

– ერთი ეს მიბრძანე, ეტიენ, აკი პარასკევობით ლუისთან ერთად ბელოტს[3] ვთამაშობო? გვიან ღამით ბრუნდებოდი, თანაც, ისე უცნაურად გამოიყურებოდი, რომ, ნამძინარევი, ძლივს გცნობდი.

– იცი, დავბერდი და მეხსიერებამაც მიმტყუნა, რაღაც-რაღაცები მავიწყდება, – მერე ჩემკენ მოაბრუნა თავი, – ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დღეს ჩვენი შეუღლების 50 წლისთავია. ჰო, მართლა, შენც ამასვე გისურვებ, ღმერთმა მოგასწროს. ახლა კი კარებამდე მიგაცილებ, რა თქმა უნდა, გამიგებ, ასე თუ ისე, ოჯახური ზეიმია.

ფერე კარისკენ გამომყვა. ორი წუთიც და მისი ასაკის კაცისგან მოულოდნელი ძალით კიბის მოედანზე გამიძახა და სანამ კარს ცხვირწინ მომიხურავდა, სიტყვა დამადევნა:

– 50 წლის ყოველდღიური შრომა წყალში გადამიყარე. მაინცდამაინც დღეს მომადექი ვოლიერის ამბის გასაგებად! იცი, იქექე წარსულში, სანამ არ მოგბეზრდება, მე კი თავი დამანებე, დაგიჩემებია, ვოლიერი, ვოლიერიო, გირჩევ, გრენვილში სასტუმრო «ვერხვებს» მიაკითხო, მაგრამ ჩემთან ნუღარ მოხვალ, ნურც ნურაფერს გამაგებინებ, არ მაინტერესებს, რას ნახავ და რას გეტყვიან.

საღამოს 11 საათი იყო, ამ დროს გრენვილში არცერთი ავტობუსი აღარ მიდიოდა. სასტუმროში მთელი ღამე

თვალი ვერ მოვხუჭე და ძილიც გამიქრა. ღამის დარაჯი გავაღვიძე და გარიჟრაჟამდე ბუდაპეშტსა და დუნაიზე ვესაუბრებოდი.

* * *

სასტუმროს მოკრძალებული იერი მხოლოდ მოხეტიალე, ზურგზე ჩანთამოკიდებულ ტურისტებს თუ აცდუნებდა. მაგრამ ზღურბლს რომ გადააბიჯებდი და დიდ დარბაზში ამოყოფდი თავს, წამსვე მიხვდებოდი, რომ ერთ დროს მასაც ჰქონდა დიდების დღეები: ძვირფასი ხით გაწყობილი კედლები, წითელი სავარძელი, ორმოედნიანი კიბე, რომელსაც ატლანტები უმაგრებდნენ ძირს, ერთი სიტყვით, გასართობი ფილმის დეკორაციები. ოთახს ხომ არ ინებებთო, მკითხეს. დაღლილი ვიყავი და თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ახალგაზრდა კარისკაცმა სასტუმროს წარსულისა ბევრი არაფერი იცოდა და მხოლოდ ის მამცნო, რომ ოცდაათი წლის მანძილზე სასტუმრომ სამჯერ გამოიცვალა პატრონი, სანამ, ბოლოს და ბოლოს, დიდმა სინდიკატმა არ ჩაყლაპა. მმართველმაც თითქმის იგივე მითხრა, სხვა თანამშრომლებმა კი ახალი ვერაფერი მითხრეს. ვატყობდი, რომ ჩემი კითხვებით ყველას თავს ვაბეზრებდი. სამგლოვიარო ცერემონიალის ოფისის მოსამსახურეს დავურეკე. მითხრა, თქვენი ბიძის კუბოს თავსახურს ვაჭედებო. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო მჭირდებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, ოთახში დავრჩენილიყავი. ნაშუადღევს გარეთ გამოვედი და გზადშემოყრილი გამვლელების გამოკითხვა დავიწყე. ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაცამ სასაფლაო მიმასწავლა. ხეებით შემოგარული, მოუვლელი მიწის პატარა ოთხკუთხედი სასტუმროდან ქვის ერთ გარტყოცნაზე თუ იქნებოდა. ამ სანდომიან ქალაქში, ესოდენ მდიდრული სასტუმროს და უპატრონოდ მიტოვებული სასაფლაოს

მეზობლობა მართლაც რომ უცნაური მეჩვენა. საღამოს ქანცგაწყვეტილი, ტელევიზორის ეკრანს მიჩერებული ვფიქრობდი, ყველაფერი ჯანდაბას წაუღია, ავდგები და უკან გავბრუნდები-მეთქი. მერე ბიძაჩემის სახე წარმომიდგა. ჩემი შესაშური შემართებით და ნებისყოფით კმაყოფილი და ამაყი ზეციდან დამყურებდა. უცებ, კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა კაცმა შემოყო თავი. შეთქმულებაში მონაწილის იდუმალი იერი ჰქონდა.

– ადმინისტრაციის თანამშრომელი გახლავართ. ორმოცი წლის წინ ამ სასტუმროს ბებიაჩემი განაგებდა. თქვენი ბიძა ლუიც კარგად ახსოვს.

ღამის სიბნელეში უკან გავყევი და მალე ქალაქის გარეუბანში, პატარა სახლთან მივედით.

– ძალიან დამავალეთ, თან, ვალდებულიც არ იყავით. მადლობის მეტი რა მეთქმის.

– ახლობლების უკანასკნელ ნებას პატივი უნდა ვცეთ. ბებიაჩემს ხმის გამცემი აღარავინ დარჩა. სირცხვილი ამ ქალაქს. ქების ღირსი ხართ, ბიძათქვენისთვის ასე რომ ირჯებით.

ბებიის ასაკს ვერაფრით გამოვიცნობდი. ვიწრო ოთახში ხორახორად ეყარა მოგონებების აღმძვრელი ძველისძველი ნივთები.

– ლუი მენუელი და ეტიენ ფერე... იმ დროს პირველი უფრო მომწონდა, მაგრამ საბოლოოდ მეორე შემრჩა ხელთ.

– ვოლიერის შესახებ რა იცით?

ქალის ხითხითი ფეხმონგრეული სკამის ჭრიალს მოგაგონებდათ.

– გასაგებია... თავს ლაფი დავასხი თქვენს მასწავლებლებს, ჩემი ნება რომ იყოს, ცხრაპირ ტყავს გავაძრობდი. სკოლაში ყველაფერს გასწავლიან, ცხოვრების გარდა, ხომ ასეა? ვოლიერის შესახებ არასოდეს არაფერი გსმენია? იქნებ სარდაფია, იქნებ ციხის საკანი, ჰა, ვერ იხსენებ? იქნებ საროსკიპო, თუ გსურს, სამეძავო დავარქვათ.

– გართობის სახლი?

– ასე ზნეკეთილი, ჭკუადამჯდარი მოქალაქეები უწოდებდნენ, სწორედ იმათი მშობლები, ვინც დღეს თითს ჩემკენ იშვერს და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებს. უმადურები. მე თუ მკითხავ, ღირსების ორდენი მეკუთვნის, მაგრამ ეს რომ აგისხნათ და გაგაგებინოთ, წარსულში დაბრუნება მოგვიწევს. აბა, ერთი, ამას შეხედე...

ქალმა ჩემს ფეხებთან სიძველისგან გაყვითლებული ფოტოსურათებით პირთამდე სავსე შამპანურის ბოთლების ყუთი დადო. ერთ სურათზე თვითონ იყო გამოსახული, ირგვლივ გოგოები ეხვივნენ, მეორეზე ქალ-ვაჟის წყვილი გრამოფონის გვერდით ცეკვავდა. ყველა სურათზე მხიარულება და სასიამოვნო განწყობა სუფევდა.

– დამაცადე, ჯერ ყველაზე კარგი არ გინახავს...

ყუთი ამოქექა და საზეიმო იერით სურათი ცხვირწინ ამიფრიალა. ღმერთო, მაღალო, ბიძაჩემი!.. სახეზე ნეტარი ღიმილი, ხელში გიტარა და ზურგსუკან კოხტა გოგო, რომელიც მხრებში ჩაფრენია. ყველა ის პარასკევი გამახსენდა, ჩემს ხუთშაბათობებს რომ მოჰყვებოდა. ჩემიანებს არასოდეს არაფერი უეჭვიათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბიძაჩემთან ფეხსაც არ მიმადგმევინებდნენ, ტვინს გამიხვრიტავდნენ, ნამდვილი ურჩხულიაო. ეს რომ

მომხდარიყო, დღეს ის არ ვიქნებოდი, რაც ვარ. სხვა ვიქნებოდი, შეიძლება უკეთესი, მაგრამ სხვა.

– ფერე ერთი ჩვეულებრივი მუშტარი იყო, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, ყალბად აღგზნებული, რომელიც აქ გიჟური ზეიმისთვის მოდიოდა და შინ დარცხვენილი ბრუნდებოდა. ბიძაშენი სულ სხვანაირი იყო... შეყვარებულივით იქცეოდა.

– ვერ გავიგე...

– ამ გოგოს ხომ ხედავ, ბიძაშენი ტკბილ სერენადას რომ უმღერის? მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარულია. ო, რა წყვილი იყო... ერთ ნახვად ღირდა... «ვოლიერში» მხოლოდ მათი ჟღურტული ისმოდა. ვაჟი შეყვარებული ბაყაყივით გადმოკარკლული თვალებით შეშტერებოდა, გოგო კი, თუ საყვარელი მოსვლას აგვიანებდა, მოუთმენლობისგან ადგილს ვერ პოულობდა. მათი სიყვარული ათი წელი გაგრძელდა. ერთმანეთი ჩემს სახლში იპოვეს. ასეა, ჩემო კარგო, არვინ იცის, სიყვარულს სად გადაეყრები. ყველაფერი ჩვენი ნების გარეშე ხდება.

ქალის სიტყვებში სიამაყე გამოსჭვიოდა.

– შეეძლო, ცოლობა ეთხოვა და თან წაეყვანა. აბა, სხვა რა გითხრა, თავში არაფერი მომდის...

ბიძაჩემის ხასიათს მე ვინ მასწავლიდა. მისგან არც ასეთი საქციელი გამიკვირდებოდა.

– დღეს უკვე ძნელია რაიმეს მტკიცება... ეტყობა, ასე გადაწყვიტეს, სხვას ვერაფერს გეტყვი. კაცია და გუნება, სიყვარულიც სხვადასხვანაირია.

– გოგოს როგორ წაუვიდა ცხოვრება?

– ერთ მშვენიერ დღეს სიტყვის უთქმელად წავიდა. არ ვიცი, რა ეშმაკი შეუჯდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და აი, სამიოდე წლის წინ უკან დაბრუნდა, რათა აქ ეპოვა უკანასკნელი ნავსაყუდელი. ახლა კი შენ იცი და შენმა კაცობამ, სხვისგან არ გესწავლება, როგორ მოიქცე.

* * *

შევხედე და წამსვე ვიცანი: საფლავის ლოდს ფოტოსურათიანი მედალიონი ჰქონდა დატანებული. სურათიდან ლამაზი ქალიშვილი იღიმებოდა. ეჭვი არ არის, ღიმილი ბიძია ლუის ეკუთვნოდა. როდესაც ჩემიანებს გადაჭრით განვუცხადე, გვერდიგვერდ უნდა იწვნენ-მეთქი, არავინ შემკამათებია. ყოველ წყვილს თავისებური სიყვარული აერთიანებს, სხვებისას რომ არ ჰგავს, ისეთი... ჰოდა, მეც აღსრულებულით კმაყოფილი, გალაღებული და ბედნიერი დავბრუნდი ბუდაპეშტში. ბოლო თვეების განმავლობაში ერთი ასჯერ მაინც მოვუყევი იმათ, ვისაც ჩემი მოსმენა არ ეზარებოდა, ბიძაჩემის სატრფიალო თავგადასავალი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თხრობა დასაბამიდან უნდა დამეწყო, იმ წუთიდან, როდესაც ბიძაჩემმა პირველად შემომხედა, იმ წუთამდე, როდესაც საკუთარი ხელით დავუხუჭე თვალები. მაგრამ ირგვლივ არავინ მეგულებოდა ისეთი, რომელიც მოთმინებით აღიჭურვებოდა და ბოლომდე მოუსმენდა სიყვარულის გრძელ ამბავს. «შეგედის ბარში», ყველაზე ნაკლებ რომ ველოდებოდი, სწორედ იქ გადავეყარე ანას. ერთი შეხედვით შევიცანი მასში ის ერთადერთი, ვინც «ღირსი იყო მამაკაცს მისთვის მთელი სიცოცხლე მიეძღვნა». ბიძაჩემის სიტყვები გამახსენდა, მუდამ ამას მიმეორებდა, როდესაც ცდილობდა, ჩემთვის ყმაწვილური სიყვარულის მიერ მიყენებული პირველი ტკივილი დაეამებინა. თავს

პირობა მივეცი, რომ წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს, ყოვლადწმინდობისას[4] დავტოვებდი ანას მარტო სახლში.

ღირდა კი ქრიზანთემების ერთი თაიგული ესოდენ ხანგრძლივ მოგზაურობად? ბიძაჩემს რომ გაეგო, გაბრაზდებოდა, რატომ იხარჯებიო. ცოტა ხანი საფლავთან ვრჩებოდი და სივრცეს გავყურებდი. იქით, სიშორეში, «ვერხვების» სასტუმრო, აქეთ კი პირველ ნოემბერს ნათესავ-ახლობელთა მისვლა-მოსვლით აფორიაქებული სასაფლაო. ერთ ასეთ დღეს ჩემი ასაკის ქალმა გვერდით საფლავზე მუხლი მოიყარა. ჩემკენ არც კი გამოუხედავს. ძველი, დამჭკნარი ყვავილები გვერდზე გადადო და საფლავის ქვაზე ახალი თაიგული დადო. მერე წამოდგა, საფლავი ცოცხით მოხვეტა და კუთხეებთან მიწა გაასწორა. მისი სახე მეცნაურა, გულმა რეჩხი მიყო... შეიძლება ეშმაკური, ცელქი თვალების გამო, რომლებიც ბიძაჩემის მეზობელმა ქალმა შეხვედრისას ასეთი სიზუსტით ამიწერა. გადავწყვიტე, გამოვლაპარაკებოდი:

– აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ.

– არა, პარიზში ვცხოვრობ. არ ვიცი, დედას თავში რატომ მოუვიდა, რომ მაინცდამაინც აქ დამეკრძალა.

– მე ჟანი მქვია.

– მე კი ლუიზი.

– ერთი ამბავი უნდა გიამბოთ, ლუიზ. იმედი მაქვს, თქვენ მაინც გეყოფათ მოთმინება და სათქმელს ბოლომდე მათქმევინებთ.

(2001)

ეუგენიუს ალიშანკა

ლექსები

თარგმნა მარიამ წიკლაურმა. პწკარედები ლიტვურიდან – ნანა დევიძის და ლიდია გიორგობიანის

ლიტველი პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი. დაიბადა 1960 წელს ბარნაულში (რუსეთი), გაციმბირებული ლიტველების ოჯახში. დაამთავრა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა ლიტვის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში. 2003 წლიდან ლიტერატურულ ჟურნალ «ვილნიუსის» მთავარი რედაქტორია. ავტორია ექვსი პოეტური და სამი ესეების კრებულის.

ურჩხულის ძებნაში

მესამედი სიცოცხლისა წინ იარე
შემოგხვდება ერთი ქალაქი
შორიდან იგრძნობ მის წლოვანებას
იგრძნობ რა ხდება შიგ რას ინახავს
საძირკვლების ქვეშ

სარდაფებს სავსეს წინა ომის დროინდელი
მჟავე კიტრით და კარტოფილით
ბრმა თვალებიდან ამოსული ფესვების წნულით
რომ დაუხეთქავთ ძველი ქილები
ტაძრებზე ძველი
კატათა მოდგმა

რამდენიმე პარფიუმერი
მაღაზიები რომ გაუხსნიათ კოშკების ძირში
ზაფხულობით გამოღებული ფანჯრები ხომ
ჭკუაზე შლის სოფლელ გლეხუჭებს
ბაზრობაზე რომ ჩამოსულან

მილებიდან ამომავალი ჭვარტლი
ალხი ნახშირისაგან
დუქნებიდან მოტკბო ბოლი
ხელით შეხვეულ თუთუნის და
გამაბრუებელ ბალახეულის.

მიდი იჩქარე მესამედი შენი ცხოვრების
გამუდმებით წინ და სწრაფად უნდა იარო
რომ არაფრით დაგაგვიანდეს
და ახალგაზრდამ მიუსწრო ქალაქს
სანამ თრაკლის და რილკესი

ჯერ კიდევ რაღაც გაგეგება
ჯეელს ხელში ლუდის კათხითაც.

სანამ ღამით დღეზე უფრო ნათლადა ჩანს ყველაფერი
თვალებსაც რომ არ სწევდე ზევით
საგზაო ჯვრებსაც უკეთ არჩევ
მოქანავე ქალის ფეხებსაც ფოსფორიან ისრებად
რომ გეჩვენება იმ კომპასისა
ჩრდილოეთს რომ ჩრდილოეთზე მეტად გიჩვენებს.

სადაც გზამკვლევ ვარსკვლავს დაეძებ
სადაც კლიმატიც უფრო მკაცრია
სადაც ყოველი ჩაბნელებული ფანჯრის მიღმა
გაყინული ქალი იძინებს როგორც მძინარე მზეთუნახავი
აი ქალაქი რომელშიაც უნდა ჩაასწრო

სულ პირდაპირ იარე სანამ
გადააწყდები გზაჯვარედინის მუხასავით
განტოტვილ ვარჯებს
მიმნდობ მზერას მოციმციმე შუქნიშნებისა
ვეება მოედანს და მის გვერდით
თეთრ კათედრალსაც
აი პირველი პაემანიც წამოგეწევა

ამის მერე კი
მე უკვე შველა არ შემიძლია
ნუ გეგონება აქ bildungsroman ან bildungsgeschichte
არც გპირდები რომ ძველმოდურად
კორექტულად მოგეპყრობი
ამის მერე თავად ეძებე

ან როგორც იტყოდა თადეუში
«ღრმად ამოჭრილ
შარიშურაკედლიან ბნელ

და თბილ სარდაფს»
შეუყევი vestibulum vaginae-თის.

ან შემობრუნდი მდინარე ვილნას მხარეს სადაც
მდინარისგაღმა ბასტიისაკენ ძველი სახლების და
ქოხმახების ქუჩაბანდებით
მიადგები გამოქვაბულს ამოვსებულს
ადამიანთა ძვლებითა და თავის ქალებით
გზააბნეული ძაღლების და კატების ქალაქს
თხებისა და შვლების სუნი რომ უდიოდა
ასწლეულობით

თხა თუ არა
გამოქვაბულის სიმყრალე მაინც დაგხვდება ვიცი
და ვთქვათ ქალაქიც რომ არ დაგხვდეს
უქალაქოდაც იქონიე ჯიბის ფანარი
გაზის ბალონი პატარა სარკე
ტურისტული კომპლექტი და შენი სახის
ბნელი მხარისკენ რომ დაეშვები
ის ურჩხული საძებნელად გამოგადგება.

მოდის სახლი

ის ქუდი მამამ
გაზეთისგან რომ დაამზადა
რომ ატარებდა მელოტ თავზე
ჭერის შეთეთრებისას
ხელში ფუნჯი როცა ეჭირა
ქუდი სამოცდაათიანელების
მაღალი მოდის დიზაინით
ტოლს არ უდებდა ივ სენ ლორანსაც

დააბიჯებდა გაზეთებით მოხატულ
პოდიუმის ხალიჩაზე
შედგებოდა ტაბურეტზე და ხატავდა ისიც
თეთრ კვადრატს და
ტოლს არ უდებდა რომ ვთქვათ მალევიჩს

ეს მამა
აწყობილია ძვლის და ტყავისგან
ახალგაზრდა ლამაზი მანეკენი
შთამბეჭდავი ცხვირით

ის გაზეთი გადავსებული
სამოცდაათიანების სიახლეებით
«პრავდის» დამატებებით
თავუკუღმა რეზოლუციებით
ჭერის მათეთრებლის ლაქები პოლიტბიუროს
წევრთა სახეებზე
მსოფლიო შეთქმულებათა ციტატები

ის სახლები
არასდროს გამოსულან მოდიდან
სავსენი მობინადრეებით

ზოგი იწყებდა კარიერას
ზოგს ეწურებოდა ვარგისიანობის ვადა
იშლებოდნენ და იკეცებოდნენ
ცარცისა და წებოს სუნიანი სახლები
ორპირებით იატაკის ღრიჭოებში

გადავდივარ ერთიდან მეორეში აგერ აქამდე
თან დამაქვს მოდის კატალოგი
სიმართლის ვირთხა ორპირი ქარი

მხოლოდ მამის ქუდს
გაზეთიდან შექმნილს ვერსად
ვეღარ ვპოულობ
ალბათ გათელეს
ქუდი რომელიც აწყობილი იყო ფერფლისგან

ზედგამოჭრილი იქნებოდა ჩემი ჭაღარა თავისთვის ახლა.

დაუწერელი

ახალგაზრდობაში შეყვარებულებს ვუწერდი ლექსებს
სარდაფში ვწერდი ღამღამობით
საჭირონიც კი იყვნენ და კითხულობდნენ
წიგნებიდანაც კი ხევდნენ ფურცლებს
სანთლის ალზე ატარებდნენ
საჭირო სიტყვების ამოსაწვავად
თუმც ისედაც ყველაფერი ნათელი იყო

ახლა უკვე ხანდაზმული ბევრის მნახველი
სხვას ვუძღვნი ლექსებს
ხშირად იმათ არასდროს რომ არ მყვარებია
დილაობით ვწერ
კანტორაში როგორც პრაღელი ებრაელი
ასი წლის წინათ.
არაფრის დაწვა აღარ მჭირდება.
იაპონური ქვების ბაღივით
ყველა კუთხიდან სხვადასხვა სახე რომ მოუჩანს
სინამდვილეში არც არსებულა

საიდან ეჭვი
უმთავრესი სწორედ იგია
საიდან ეს დახშული ბგერა
თითქოს ვიღაც ფანჯარაზე აკაკუნებდეს
იქნებ ეს სულაც ჰერბერტია ქვების მცნობი
სიკვდილის მერე მომდგომია და აკაკუნებს

რატომ ვწერდი ლექსებს შუამდე
ვინახავდი რა იცი რა შემთხვევისათვის
ვითომ მზრუნველი კაცი ვიყავი
დაუწერელს რატომ ვარქმევდი
ესაა საქმე?

ახალგაზრდობაში ყველანი შექსპირები ვართ

მაშინ ხბოსავით ახალგაზრდა როცა ვიყავი
გოგონასათვის მსახიობობას რომ აპირებდა
და სულ ერთ წელში გადაიფიქრა
უკეთესად რომ მეკოცნა
იქნებ ხალხისთვის უკეთესი ამბებიც კი
მეუწყებინა დანიიდან

არც ოფელიას ემარჯვებოდა ბევრი რამ მაშინ
წინა კბილებით დავეტაკეთ ერთმანეთს ისე
როგორც ორი კუ ორი ბაკნით

მეჩვენება რომ ოფელია კი არ მიყვარდა
უფრო ის ვისიც იყო კბილები
და იმ საღამოს მახსოვს ვიღაც იტალიელი უმღეროდა
«ფელიჩიტას»
ფონი ძალიან არ უხდებოდა იმ ტრაგედიას
შეჩვეული კი ვიყავი უხარისხო და შეუსაბამო დეკორაციებს
დაჭრილ სცენარებს
ძალიან მსხვილი ხედით უყურებს ცხოვრებას ჩემი
რეჟისორი
მისთვის მთავარი ერთადერთია ყოფნა-არყოფნა

წავიდა გოგოც მიმატოვა
მაშინ რომ მისთვის უფრო უკეთ მეკოცნა ალბათ
უკეთეს როლებს მარგუნებდნენ
არა ბინძური მესაფლავისას.

ერთადერთი წინადადებით

ერთადერთი წინადადებით ევლინება ახალშობილი
სამყაროს
ერთადერთი ბგერით ზუზუნებს ფუტკარი
ერთადერთი წინადადებით ტოვებენ ქალსაც
რადგან სხვა ყველა შორიახლოს ჩავლილი ტყვიებია
წუილით ჩავლილი
ორ ბნელ მარტოობას რომ ანათებს
ერთადერთი წინადადებით დღის ჰოროსკოპი
მთელ წელს ჯოჯოხეთად აქცევს
ერთადერთი წინადადებით ჟონგლიორობს წინადადებათა
ოსტატი
ერთადერი ბურთი გააქვს ზეციურ კარში
ერთადერთი წინადადებაა მთელი ახალი ამბებიც
ერთადერთი წინადადებით იწყება ომებიც
ერთ წინადადებას ჩაეჭიდება კიბორჩხალა ენაზე და
ჭრის თავისი კუდის მაკრატლებით
ვერ იხსნი თავს წერტილით თუ მრავალწერტილით
მოკლე თუ გრძელი ხაზებით
ერთი წინადადებით ცოტა ხდება
ერთი წინადადებით იფუჭებენ მთელ თავის ცხოვრებას
ერთი წინადადებით აფასებენ ბიბლიას შექსპირს
რომეოსა და ჯულიეტას კლავენ
ჰამლეტი კვდება
ღმერთიც კვდება ერთადერთი წინადადებით
ღმერთო რატომ არ მიმატოვე
ერთადერთი წინადადებით არასგზით
ამბობს ავტორი «პირწიგნაკისა» არასგზით
მთელი სამყარო ერთადერთი წინადადებით
მართალია რთულით ქვეწყობილ-თანწყობილით

გააზრებულ-გაუაზრებლით
საკუთარით თუ სხვისით
ერთი ერთი ერთადერთი წინადადებაა ლექსიც
არასგზით

პოეზიის ათი მცნება

1

არ იყოლიო მუზა დილაობით ჭინჭრებში ფეხშიშველი სიარულის გარეშე

2

არა ლექს წერო უკანასკნელ ლოთურ ვახშამზე და დამსხვრეულ სასმისებზე შენი სიმთვრალე გადაეცემა თაობიდან თაობას და ყველაზე მწარე ნაყოფს მოიმკის უკანასკნელთა შორის კითხვაც რომ აღარ ეცოდინებათ

3

არ იმალო და არ შეეფარო ლექსებს რადგან ლექსები იზიდავს მეხს თუნდაც საფლავის ქვის ქვეშ შეძვრე ან განდეგილის გამოქვაბულში

4

შენ ყველაფერს სხვა დღეებში იდღესასწაულებ წლის სხვა დროებში განსხვავებით საყვარელი ადამიანებისაგან სხვა კალენდარი გექნება და სხვა თარიღები არა წითლადუქმე არამედ ყველა ერთნაირად შავი ღამეებით შავი ხვრელებით რომელშიც ნამდვილი პოეზიის ვარსკვლავები გამოჩნდებიან

5

პატივი ეცი ენასა შენსა და ყოველს რომელიც თავშესაფარს პოულობს მასში და მათაც ვისაც არაფერი აქვს სათქმელი ამ ენაზე მათი ლეგიონები ცაში მიწისქვეშ და ქალაქებში უთვალავია და მათაც ვინც დუმს რადგან ვერ ხვდება სად იწყება და მთავრდება სამანები ენის გალაკტიკისა

6

არა ლექს კლა სოდომ-გომორიდანაც რომ მოიწევდეს შენსკენ ურდოსავით ლუკმაპურზე რომ არ იცვლებიან, არამედ რომ არ იციან რას სჩადიან კი ნუ გაწირავ ჩაიკარი გულში განუკითხავად კრიტიკის წმინდა შეშლილობისა

7

არ იმრუშო არ აცდუნო პოეტი ქალი მისი მუზა შვიდი ღვთაების სართულით ქვემოთაც რომ ცხოვრობდეს

8

არა იპარო მათგან კარს რომ არ რაზავენ, ნურც კვდრისაგან ნუ მოიპარავ, რასაც იპოვი კარღიაში საფოსტო ყუთში ცეცხლში შეყარე დაუბეჭდავად ფერფლით კი მიდი როგორც სასუქით ანოყიერე შენი მუდმივად დამშეული ტალანტი

9

არ იცრუო და ცილი არ სწამო რითმით არასდროს

10

თვალი ნუ დაგრჩება და გული ნუ გითქუმიდეს სხვის სახედარზე მონობაში მყოფ სხვის სტრიქონებზე სხვებზე მდიდარი ვერ გახდები იქნები კარგი მაგრამ არა საუკეთესო

[1] სიტყვების თამაში: 1. კოლუმბარიუმი - (colombe - ფრ. მტრედი), კრემატორიუმის დარბაზი, სადაც კრემირებულთა ურნებს ინახავენ. 2. სამტრედე.

[2] ფრანგული კონიაკი.

[3] ბანქოს თამაშია ერთგვარი.

[4] Toussaint – ფრ. 1 ნოემბერს კათოლიკური ეკლესია »ყოველთა წმინდანთა» დღესასწაულს ზეიმობს, ამ დღეს ახლობელთა საფლავებს მოინახულებენ.